

1983

60

ISSN 0182-599 X



გნებობა

3/5
114
mm



9

1983



ენათმეცნიერება



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
და საქართველოს მწერთა კავშირის ენათმეცნიერების განყოფილება

წიგნი № 59-0 № 9 სექტემბერი, 1983 წ.

შინაარსი

პროზა, პოეზია

| | |
|---|----|
| რეზანა მარგინანი — ლექსები | 3 |
| აკაკი ხელთახველი — სხვადასხვა ღროვის ჩანაწერები | 9 |
| ტარიელ მანუჩარი — ლექსები | 51 |
| მეზია კვიციანი — ლექსები | 56 |
| თამარ ჯგერაძე — რეკლამებიანი ანთოლოგია, მოთხრობა | 61 |
| თამარ ჩხენკელი — ლექსები | 74 |
| ლადო თოთაძე — ლექსები | 76 |
| იოსებ ბაგრატიონი — ფართოხასიანი მხატვრობა, მოთხრობა | 78 |

ჩვენი მივლინებით

| | |
|---|-----|
| ბიკონი ხარგია — წიგნების კოლექციონი | 89 |
| 1783 — გორგონიძის ტრაგედია — 1983 | |
| პალატიანი ითონიძის — დარიალის გზა საქართველო-რუსეთის შტაბილურებაში | 101 |

კრიტიკა

| | |
|---|-----|
| ნიკოლოზ (ლუბა) ჯანაშია — „მედიისის წამების“ კრიტიკები | 109 |
|---|-----|

კრიტიკა, კვლევითი

| | |
|--|-----|
| ბორის ზუბოვი — დროისა და ცხოვრების პირისპირ | 133 |
| ნიკა აბიჯანი — „რუსთაველი მასწავლებელი“ | 141 |
| პეტრე პეტრესონი — სამი შეხვედრა ოტია იოსელიანთან ანუ თარგმანის ერთი ახალი მიმართი. ლიტერატურულ თარგმანა უზანა | |
| სახელმწიფო | 146 |
| დინარა ალიბა — ქალი — მთავარი მოქმედი გმირი | 151 |
| გონდო არაქელიანი — საინტერესო ლექსების ახალი გამოცემა | 156 |

მ. ზვირიანი



ნიგნავის მიმოსილვა

ჯარჯი ფხოველი — ღან კოტბოს ქართული თარგმანი

□

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

- ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
- მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, გ. დოჩნაშვილი, კ. კალაძე,
- მ. ლასურია, მ. ლეონიძე, ე. მალაძე, ლ. მამლაშვილი, გ. ნატრო-
- შვილი, რ. პატარია, თ. პაპორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წულეისკირი,
- თ. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.

„რიკა“ გრძელდება

მხოლოდ შენ ერთს...

თუ ყველგან წვიმს
და ყველგან თოვს
შენს მიწას მაინც მზე დანათის.
შენი უწმინდესი ნაფლეთი ცის
მე უბით დამქონდა გრიგალის დროს
და შეილთაშვილებს ექნება მარადის.

„მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია მაღლიდან ღმერთს!“
შენს მოფუთფუთე მაღლიან მკერდს
ჩემი ყრუანტელი ერთვის —
დიდების დღეს, ზეიმის დღეს.

თუ ყველგან წვიმს
და ყველგან თოვს
აქ წყნარი ამინდია.
ჩემთვისაც მღელვარე

უხსოვარ ხნის
სანთელი აგინთია.

მრავალი საუკუნის
ჟამთა სიკვანი,
სსოვნაში ინავლება.
და დღემდე მოვიდა
ბრძოლაგადახდილი
სისხლით ვალუმპული,
ქართული ბრწყინვალეობა!

„მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია მაღლიდან ღმერთს!“
შენ გლოცავ, მამულო,
ზეიმის დღეს, დიდების დღეს.
და ჩემი სისხლის ყოველი წვეთი
მხოლოდ შენ გეკუთვნის,
მხოლოდ შენ ერთს!

შარშანდელი ღვარცოვი, ავღარი ქვედა მულახში

(ჩემი თვალების შორიდან თითქმის ზუსტი ვიდეოჩანაწერი)

მულახში ახლაც
საოცრად ცრის,
სუსხი დგას
არნახული.

და აქ, მაგიდაზე
ქალღმერთი თრთის
ავი ზმანებებით
დათალხული.

ქ. შარშანდელი
სახ. ...

კალამი მეურჩება, სწუხს
არ შემორჩილება
გათანჯული.
მე ვხედავ: მულახში
ღვარცოფი დღუს,
სოფელი ძლივს
სუნთქავს დაჯანღული.

მულახის თავზე
არა სჩანს ტყე,
სიმეჩხრეს ვინ ჩივის,
საესებით.
საშველად იწვდინან
დაწვიმულ ხელს
აქა-იქ
შერჩენილი ნაძვები.

ღვარცოფი დღუს,
ხვივის და დღუს
სათიბში
დაეშვა ხელი,
ედგერა უმანკო
ყვავილების მუხლს
ტალღა დევის
ფაფასავით სქელი.

გვერდი აუარა
პატარა საყდარს,
ყანასთან
მიიჭრა, აგობს.
ალო გამოსტაცა
გლეხკაცის სახლკარს
შუადღის ხვატით
გაოფლილი კალო!..

ყანამ ჩაიმუხლა,
რა ჰქნას,
წაწვა დელგმისაგან
ნაწამები,
თავთავები
ნიაღვარმა შთანთქა,
თავთავები —
ყამარ-ქალის წაშწამები.

მულახში წვიმს
გადაუღებლად
ღრუბელი დევივით
ბორგავს და იზმორება.

პირველად ვიხილე
ღვარცოფის ადუღება
თბილისში,
ამხელა სიშორედან!

მულახში წვიმს,
ღვარცოფი შხივის,
მუქარით
შედმუის სოფელს...
დაეშვა დაბლა
და ქამარივით
შემოხსნა ყანას —
დაწული ღობე.

მულახში წვიმს.
აწყვეტილ ნიაღვრებს
უმატებს
საოცარ ძალას.
ღვართქაფი, ღვარცოფი
ნათესებს შიარღვევს,
შეაფლეთს სათიბებს
ხასხასა ხალათს.

მულახში წვიმს
და ღრუბლის ფთილები
აცვია
მურყვამებს თავზე.
ღვარცოფი — გველუშაბი
ლორლიან კბილებით
სათიბს გლეჯს,
გადმოაქვს გზაზე.

გვალდაზე ღრუბელი
დევივით წევს,
ელვისგან დაჭრილი
ძლივს სუნთქავს, ფშვინავს,
ადგომა სურს და
ვერ ითრევს წელს,
ზლუქუნებს
და ცრემლი ძირს ცვივა წვიმად.

ღრუბელი დაჭრილი
დევივით ბორგავს,
გაოფლილ ტანზე
იჩიჩქნის ბალანს,
მკერდზე უხათქუნებს
ცეცხლიან ჩოგანს
ელვის უღმობელი,
ვეება ძალი.



გაყინულ ცრემლებად
 აცვივა ყანებს,
 ფერდობზე თევზივით
 ხტისა და ფეთქავს
 გლეხკაცის ავის
 მოსურნე და მადნე —
 სეტყვა,

სეტყვა,
 სეტყვა,
 სეტყვა...

ნიაღვარმა მოთხარა
 ვეება პანტა,
 ბალივით აიტაცა,
 გააქანა ქვემოთ.
 პანტამ ბევრი
 ჩიტი გამოზარდა
 და დღემდე შემორჩათ ნისკარტზე
 მწიფე პანტის გემო.

თავგზაბნეული
 ნახირი ბლავის,
 მირბის და მორბის
 დაბნეული ხალხი.
 ყანას მოსდებია
 ნიაღვრის ალი,
 დედის სველ ძუძუებს
 შესტირის ბალღი.

ბარბალეს საყდართან
 ლოცულობს ვილაც.
 გახელებული
 ღელე კლდეს ღეწავს.
 ღრუბელი ცოხნის
 ყინვარის ძუძუ-ჭიქანს,
 საადროდ
 ამღვრეულა ზეცა.

გლეხკაცმა რა ჰქნას,
 ვით იხსნას ყანა,
 რომელიც ღვარცოფს
 ნაჰერ-ნაჰერ შიკვს.
 სათიბში დგას და
 სავალ გზას კვლავს
 დასცქერის მოსხეპილ
 დეკას და ღვიას.

დგას, სიმწრით უსმენს
 ღვარცოფის შხუილს,

აბორგენტული
 მდინარის ღრიალს
 გაიშუილებს
 „ვი“ და „უვი“,
 როგორც მტრისაგან
 ნასროლი ტყვი.

ერთი დღე და ღამე
 დაუღლეელი თქეში,
 ღვარცოფმა ქვედა მულახს
 დაუფლითა მკერდი.
 ავდარს ელვის შოლტი
 ეჭირა ხელში
 და ტრიალებდა.
 ჩემი კოშკის გვერდით!

ავდარო! შეეშვი
 სათიბებს ჩემსას,
 იღბლად რომ მულახში
 არა გვაქვს ზვარი.
 ნულარ გამაგონებ
 გლეხკაცის კენესას,
 გულს მიკლავს მათი
 გლოვა და ზარი.

ავდარო, შეეშვი,
 შეეშვი, შეეშვი!..
 ზზა მიეც
 მზიან დარს, იღბლიანს.
 ცოტალა შემოგვრჩა
 დამეჩხრილ ტყეებში
 პაწია ნუკრი
 და ნიბლია!

ჩვენს მიწას პატარას
 ღვარცოფი აცილე,
 წარღვნად მოვარდნილი
 ღვარცოფი.
 ნუ მიგაქვს ჩემი
 ყრმობა-სიყმაწვილე
 მოგონებებისთვის
 ისედაც არ მყოფნის!

ნუ მიგაქვს ქვესკნელში
 წისკვილი პაწია,
 სახურავს ნუ სტაცებ
 გალუმპულ ყავარს.
 ფიქრით იქა ვარ და
 ჯვალოს პერანგი მაცვია,

მე წისკვილს
ყრმობიდან შეზღაპრედ ვყავარ!

ამ წისკვილს,
ხვიმერასა და დოლაბს,
ხრიალით

ჩახლეჩია ხორხი.

იქ, ჩემი ყრმობის
დღეები ბოლავს,
და ვხედავ ძველ წისკვილს
ბეჭებში მონხრილს.

ავდარო! შეეშვი,
ჩემს მიწას შეეშვი,

ხომ ხედავ ჩიტები
დამეკარგნენ და ველარ ლალობენ.
შეციენიათ ხეებს
ამ მეჩხერ ტყეებში
და ველარ ამშვენებენ
დაფლეთილ მაღლობებს.

ქვედა მულაზში
ავდარი მძლავრობს,
ირგვლივ ჰყრია ღორლი
ღვეის ფჭვილის ანაცერი.
შენც ჩაიდექ ღვარცოფო,
კუდიანო ჭარო...
...მუქდება ჩემი თვალების
ვიდეოჩანაწერი.

ნაცნობ თემაზე

მოუოხე, მოუოხე,
დაუამე თბილი ფრთებით,
იქნებ აღარ გაურჩისდნენ
ბალებს ყვავილ-ბატონები!

მოუოხე, მოუოხე,
გადიმება უწყალობე.
— კირი იქა, ლხინი აქა
— შიახარე ბაღის მშობელს!

მოუოხე, მოუოხე,
უალერსე ჩიტებს — გვრიტებს
და დამფროხალი მათი გული
დაამშვიდე, დაამშვიდე!

მოუოხე, მოუოხე
და ბურუსი განუფანტე,
ცეცხლის ალი შეუნელე,
რომ ტკივილი დაუამდეს!

სასთუმალთან უწყრიალე
უნაზესი ძეწკვი მივითა,
ბაღს ნიავმა ჩაუჭროლა,
იქნებ ფეხი შეუცივდა!

მოუოხე, მოუოხე,
ტკივილები დაუამე
მოუცილე თვალზე ბინდი,
გარიყრაყით დასწვი ღამე.



მოუოხე, მოუოხე,
 შემოჰხვიე თბილი ფრთები,
 დაუმშვიდნენ იქნებ ბალღებს
 აგი ყვავილ-ბატონები!

შენ უნდა გწამდეს..

შენ უნდა გწამდეს:
 რომ ხარ ვაჟკაცი,
 და არა მხოლოდ ვინმე გულადი.

მხნედ უნდა იდგე
 მტრების აღყაში
 სიციცხლის შენის
 დასასრულამდე.

შენ უნდა შესძლო,
 შენ უნდა გწამდეს
 და შენი ფერით
 ამ ცას ღებავდე.

მიგიწვდებოდეს
 სიმღერა ცამდე
 გათენებიდან —
 დაბინდებამდე.

შენ უნდა გწამდეს —
 ის რაც გამოთქვი,
 დააჩნდეს შიწის
 შენი ნახმლევი.

არ გეშინოდეს
 სულის ამოთქმის
 ერთგულს ქართული
 ოდა-სახლების.

შენ უნდა გწამდეს,
 რომ ხარ ვაჟკაცი,
 მამულის ძე ხარ
 უზენაესი.

გამძლე გახადე
 შენი ბათქაში
 და ლბილზე-ლბილი
 შენი ალერსი.

შენ უნდა გწამდეს
 რომ ხარ ვაჟკაცი —

მამულისათვის
 წელგამართული.
 და რომ ამაოდ
 დედის კალთაში

არ გისწავლია
 სიტყვა ქართული.

ლამარიას გალავანში

ბესარიონ ნიყარაძეს



ლამარიას გალავანში ერთი სამარეა
და მას ჰირისუფლობს ლამარია.

ლამარიას გალავანში, მალლა ცის სიღრმეში
ბესარიონ ნიყარაძეს სძინავს ძველ სიზმრებში.

მამაო ბესარიონ, სამოცდასამი წელიწადი აღარა სუნთქავ,
და ნეშტი შენი უშგულის მიწას აბარია.
ილიას შენთვის რა დიდებული სიტყვა უთქვამს:
— შენი სვანეთში ყოფნა ახლა მამულისთვის მთავარია!

ლამარიას გალავანში ერთი სამარეა
და მას ჰირისუფლობს ლამარია.

მამაო ბესარიონ, გესიზმრება ალბათ „ივერია“,
ბრძენი ილიას დარიგება მოგესმის ახლაც.
დიდი შამის შეგონებით მამული ახლაც ძლიერია,
ეს იციან ჩვენში ცეროდენა პატარა ბაღშიაც.

შენგან მიცემული ფიცი მყარი და ძლიერია —
ისე, ვით ილიას მიერ კურთხეული ივერია!

მამაო ბესარიონ, წოდებულო „თავისუფალ სვანად“,
ნეტავი შენ, ილიას თბილი სიტყვით რომ დაილოცე!

ილიას სიტყვა სვანეთისკენ მიგჭონდა წამლად,
გასული საუკუნის ჰორფლიან ალიონზე.

მამაო ბესარიონ, შენ იცოდი ბრძოლა და ჰირთა თმენა,
კუნაპეტ ლამეში ანათებდნენ შენი კვარის ეინჟლოები.
ეამთა სვლამ შენი კვალი ვერაფრით გადათქერა
და დღესაც ენგურის სათავესთან მხვდები და იღიმები.

მამაო ბესარიონ, მიუვალ მთებში ქართული წიგნის აღამდარო,
მადლობით მინდა ეს ჩემი პატარა ლექსი დაეამთავრო!

ლამარიას გალავანში ერთი სამარეა
და მას ჰირისუფლობს ლამარია.

სხვადასხვა დროის ჩანაწერები

დაბადების 80 წლისთავის ბაჟი

1928 წელი.

29 ივნისი.

მშვენიერი შესახედავია ტფილისი და ფუნიკულიორი. სახლებიც თითქოს ერთმანეთზეა შელაგებული. მინდვრები და მთები. მინდვრები მწვანეა. გლე-

30 ივნისი.

მივიღე ერთ ზღვის პირას. გრილი დილაა და ზღვა წყნარია. გამოჩნდნენ ნავთობის კაბურღილთა კოშკები. სადგურზე მატარებლის კიბეებზე ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელები, გამყოლი კარს უღებენ და ვაგონში უშვებენ. არა უშავს რა, ერთი ორი გადაბენა შეიძლება რომ პატივი სცე. გამყოლი რუსია და გულკეთილი.

უეცრად მატარებლის აქეთ და იქეთ წამოიკრა ნავთობის კოშკურების მთელი ტყე. ასი. ათასი. ათასები. მთელი

რედაქცია მადლობას მოახსენებს ა. ბელიაშვილის შეყვიდრებს. რომლებმაც თავიზიანად შემოვეთავაზეს მწერლის არქივში დაცული მასალა.

ხები პურს მკიან. ერთი ქულს იხდის და მატარებელს ესალმება. ჩემთან კიდევ ორი სტუდენტი მოემგზავრება. ვილაც ექიმი ქალი. სადგურის ბუფეტებში ქართველები არიან. გავცილით განჯას და ვეშალები დასაძინებლად.

საწარმოო რაიონი თხელ ნისლშია გახვეული.

ბაქოსთან — გრანდიოზული წარმოება. უზარმაზარი რეზერვუარების მთები. დიდი და პატარა მილები ისვრიან ბოლის ღრუბლებს. შუშის კედლებიან შენობებში მოჩანს ერთმანეთში გადახლართული ღვედები, ბორბლები. ფუსფუსებენ.

ბაქოში თითქმის მთელი საათი ვდგავართ. გავდივარ ქალაქში. შევახტი პირველ შემხვედრ ვაგონს, მუშათა რაიონისკენ მივქრივარ. ვჩქარობ, უკან. სწორედ დროზე ვბრუნდები.

ვბრუნდებით ბალაჩარაში. იგივე სახაობა. რეზერვუარებს შორის გარბი-გამორბიან მატარებლები.

მივიღე ერთ ღერბენდისაკენ. სწორი

გზა, ტიტველი მთები. მახაჩკალამდე თითქმის სულ ზღვის პირას მივდივართ.

მახაჩკალა (პეტროვსკ-პორტი) საკმაოდ დიდი ქალაქია. პორტში იდგნენ ორთქლით მავალი გემები. აქ დაიღუპა თეთრგვარდიელთა დატვირთული გემი.

1 ივლისი.

გამყოლისაგან ვგებულობ, რომ ვუახლოვდებით ბესლანს. ბესლანი სადგურია, საიდანაც მიდის ლიანდაგი კავკავამდე. მთები შეჭრილან ღრუბლებში. გრილი დილაა.

სადგური „მინერალური წყლები“. მოჩანს ორი მეტად ლამაზი მთა.

სადგური „კავკასკაია“. ვნახეთ ქართველი სტუდენტი, გაგვეხარდა.

2 ივლისი.

ვიღვიძებ, დღეა. ნაშუალამევის ორი საათი ყოფილა. გაოცებული ვარ. მეუბნებიან, რომ აქ ორის ნახევარზე თენდება. გარშემო გაშლილი მინდვრებია. ეს უკრაინაა. ქოხები, სოფლები ისევ ჩიჩიკოვის დროის. ყოველ ეზოში ჩანს გასაშრობად დაწყობილი აგურები. ვკითხულობ, რა საჭიროა, რომ ყოველ მოსახლეს აგურები დაუშვადებია. იცინიან, მიხსნიან, რომ ეს არის მათი ერთადერთი სათბობი მასალა, რომელსაც ამზადებენ ნეხვისაგან. აქ ხომ ტყეები არ არის, სულ გაშლილი მინდვრებია.

ქოხები ყველა თეთრადაა შეღებილი. საერთოდ, სოფელი მეტად სუფთად და ლამაზად გამოიყურება. გზაში ვხედავ ქარის წისქვილებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰაერი სრულიად არ იძვრის, ბალახი სრულიად არ ირხევა, წისქვილები მაინც მუშაობენ. იქნევენ ცისკენ აშვერილ ხელებს.

ყოველ სოფელში დგას საუცხოო ეკლესია.

სადგურზე დედაკაცები ყიდიან ქათმებს, კვერცხებს, შავ პურს, რძეს.

პორტის დათვალიერება ვერ მოვასწარი. ღამდება. მახაჩკალადან გვუხვევთ მარცხნივ. იწყება სწორი გეგმა და ღამებამდე მატარებელს მოსდევენ დიდი კალიები. ღამით შევდივართ გროზნოში.

მინდვრები და კახათა სტანიციები. საღამოვდება. ვუახლოვდებით როსტოვს. გამოჩნდა დონი, ზედ გემები, პატარა ბაიძარები იხევივით გამწკრივებულან. სადგურიდან გავედი ქალაქში. დადიან ავტობუსები, ტრამვაიები,

ღამე. მთვარე. დონი ელვარებს მთვარის შუქზე. მოჩანს იალქნიანი ნავი. მეტად კარგი სანახაობაა. დონი გაშლილია ზღვასავით. ბუქსირი მიათრევს დიდ ბარჯას.

ვუახლოვდებით ვორონეჟს. აქ თავდება უკრაინა და იწყება რუსეთი.

ვორონეჟმა მომაგონა ქუთაისი, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით. ქალაქი გაშენებულია გორაკებზე და გარშემო არტყია ნაძვნარის აგარაკები. ვორონეჟიდან, ისევე როგორც ბაქოდან და როსტოვიდან, მატარებელი იცვლის მიმართულებას და „ზურგით მიდის“. იწყება ნაძვნარი. მატარებელი ავითარებს დიდ სიჩქარეს და მთლად შტევერში გახვეულნი მივდივართ.

როსტოვიდან დაწყებული მოსკოვამდე საბარგო თახჩები სულ თავისუფალია. მგზავრებს თავქვეშ ულაგით მთელი ბარგი-ბარხანა. ამ ხაზზე გავრცელებულია ქურდობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სახელგანთქმულნი არიან როსტოვი და კოზლოვი. სადგურზე ფანჯარა თუ გაღებული დაგჩხა, პირდაპირ ფანჯრიდან გადმოგწვდებიან და ხელიდან გამოგლგავენ თუ რაიმე დაინახეს. ამიტომ სადგურებზე ფანჯრებს კეტავენ და როდესაც კარგად გასცდებიან სადგურს, მხოლოდ შემდეგ აღებენ.

3 ივლისი.

დილას რიანში ვართ. ვესაუბრები გამყოლს და არაუჭე ვპატივებ.

მოსკოვისაკენ მიმავლებმა გავიარეთ სადგური კოლომნა. აქ მანქანათმშენებლობის ქარხნებია. აქაა დამზადებული კიბათურის ხაზის ორთქლმავლები. ლინდავებზე ვხედავ ახალთახალ ვაგონებს წარწერით „დნებროსტროი“. კოლომნას ჩაუდის მდინარე მოსკოვი.

მოსკოვი გარშემორტყმულია აგარაკებით. სახლები პირდაპირ ნაძვანარშია გაშენებული. ლამაზი სანახაობაა. თითქმის ყოველ კილომეტრზე მოწყობილია ბაქნები. ბაქნებთან ახლოს რამდენიმე სავაჭროა. ერთზე წაფიკითხე წარწერა „ნარკომზემ გრუზია“.

ჩვენი მატარებელი უნდა დადგეს ყაზანის ვაგზალზე. აქედან მიდის ხაზები ყაზანისკენ, ჩელიაბინსკისკენ, ტფილისისაკენ... სადგურის ბაქნები უცნაურად არიან მოწყობილნი, არა სადგურის კედლის გასწვრივ, არამედ მართობულად. ორთქლმავლები შუბლს აჭერენ სადგურის კედელს.

...ქალაქში გავდივარ. მხოლოდ ტრეტიაკოვის* მისამართი მაქვს, ისიც შემთხვევით ჩამაწერინა ტფილისში ვოვა მაკუვარიაძე. ერთმა რუსმა ჩემი ბარგი მოიკიდა და 22 ნომერ ტრამვაიში შევბოხდით. ტრამვაი სწრაფად მიჰქრის და უეცრად თეატრის მოედანზე გაფერულით, ჩემს წინ აიშართა თეატრის უზარმაზარი შენობა, ზევით — ეტლში შებმული ცხენების ქანდაკებით.

ნიკიტინის კიშკართან ანუ, როგორც თვით მოსკოველები უწოდებენ, ნიკიტთან. ვაგონიდან ვადმოვხტით. აქედან იწყება ტვერის ბულვარი. ბულვარის თავში დგას ტიმირიაზევის ძეგლი. ვეძებთ მალაია ბრონნიას. იქვე უხვევს, ვიწრო ქუჩაა, მალალი შენობებით.

ვხედავ ახალი გემოვნებით აგებულ

შენობას. კარებთან მიკრულია განცხადება: აქ არის საკინმრეწვის წარმოების დეპარტამენტი.

ტრეტიაკოვი სახლში დამიხვდა. მეტად კარვად მიმიღო. ცოლი თავაზიანად მთხოვეს, პირი დავიბანო და ვისაუბრო. მართლაც და გზაში მთლად უპატრონო ბავშვს დავემგვანე. მაგრამ ჩემს ვასუფთავებას რამდენიმე საათი სჭირდება. სერგეი გარბის, უნდა ღვინო მომიტანოს. ყველაფერზე უარს ვამბობ, ვთხოვ მხოლოდ კირსანოვის მისამართს. სერგეი ცოლს მიმართავს, ეტყობა, ცოლი მისი მდივნის მოვალეობას ასრულებს. მონღოლური სახის ქალია, სათვალეებით. სერგეი მეკითხება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ტფილისზე. ტელეფონით ვრეკავ ყველგან, სადაც შეიძლება კირსანოვის ნახვა. არსად არ აღმოჩნდა. ჩემს ბარგს ვტოვებ ტრეტიაკოვთან და მივდივარ ქალაქში.

პირველად გავეშურე კრემლისაკენ. გადავჭერი წითელი მოედანი და გავემართე მავზოლეუმისაკენ. მავზოლეუმში რემონტია და დაკეტილი აღმოჩნდა.

კრემლის კოშკების წვეროებზე ისევ ორთავიანი არწივებია.

კრემლი.

ამ ნაგებობით შეიძლება იგრძნო მთელი რუსეთის სიმძიმე და სიდიადე.

მდინარე მოსკოვზე აღარება ნაგებია მიმოფანტული. დგანან პატარა ორთქლის გემები.

ქუჩები მეტად მტვერიანია და სუსუფთავეს ვერ დაიჩემებენ. შევხტი რომელიღაც ტრამვაის, მივდივართ ვანაპირა უბნებისაკენ, ვიწრო ქუჩები და დაბალი სახლებია, თითო-ოროლა გამვლელი. ორმილიონნახევარი მცხოვრები კი არის მოსკოვში. ტფილისი ათჯერ პატარა ქალაქია და უფრო დიდი მოძრაობაა ქალაქის განაპირა ქუჩებშიც კი.

ვბრუნდები უკან.

თეატრის მოედანზე ტელეფონ ავტომატით ამოდ ვეძებ ქალაქში კირსანოვს. არსად არ არის.

* სერგეი ტრეტიაკოვი — რუსი ლიტერატორი.

გადივარ ტვერის ბულვარზე, ვათვალთვარებ ტიმირიაზევის ძეგლს.

მივდივარ ტრეტიაკოვთან. ვხედავ, მათთან ზის კირილე ზდანევიჩი. ძველი ნაცნობი და მეგობარი. სიხარულით ცასა ვწვდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. იხსენებს ტვილისის ამბებს, ნაცნობებს, მეკითხება როგორ არიან. მისამართს მაძლევს და მთხოვს, რომ აუცილებლად შევიარო. სერგეი სადილად მპატიეებს. უკვე ნასადილევი ვარ, მე მხოლოდ ქრონიკას ვწერ ქურნალისათვის და ვემზადები სადგურზე წასასვლელად.

გზაზე ეტლი დავიჭირავე. მეეტლეს ცოცხივით გაშლილი წვერი აქვს. ეტლში ერთი ცხენი უბია. ძლივს მოვთავ-

4 ივლისი.

დილა. ერთფეროვნება. მივდივართ ჩუვაშების რესპუბლიკაზე. ყოველ სადგურზე ჩუვაშის ქალებს გამოაქვთ გასაყიდად კვერცხები, ჭორის ნალის ოდენა შავი პურები, ლუდი. გზაში არაფერი არ არის საყურადღებო. ვაგონში სივიწროვება. ვხედავ, შემოსულა ყაზანელი თათარი. უცნაურად არის გაპარსული. ნიკაპს ზევით და ყელში წვერი გამოპარსული აქვს, მხოლოდ დატოვებული აქვს ნიკაპ ქვეშ ყბების მოყოლებით.

სალამოვდება. მალე უნდა გავიაროთ ვოლგაზე. გამოჩნდა ხიდი და შემდეგ ვოლგაც. გადაწოლილა მდორედ, თითქოს არ იძვრის. მარჯვენა ნაპირი შემადლებულია. მდინარეზე რამდენიმე ორთქლითმავალი გემი დავინახე.

5 ივლისი.

მოსაწყენი და ერთფეროვანი გახდა მგზავრობა. მთელი დღის მანძილზე ტყიანი ადგილები, ნახევარზე მეტი გადაშწვარი. ეს ტყეების სასაფლაოა.

სდი. ეტლი ნელა მიჩანჩალებს და მეც კმაყოფილი ვარ, მიდამოს ვნახვალთვარებ.

სადგურზე ადრე მომხდა მისვლა. ყველგან რიგია. სვერდლოვსკის მატარებლის რიგი იმსიგრძეა, რომ მატარებელში შესვლის იმედი მეკარგება. მაინც ვდგები. ვილაც ფინელი დგას ჩემს გვერდით. ვესაუბრები. ორივემ გადავწყვიტეთ, წინ წავიდეთ.

კარი გააღეს, ოცდაათამდე კაცი გაუშვეს. დანარჩენს აბრუნებენ. სხვა გზით უნდა შევიდნენ მატარებელში. მე როგორღაც გავძვერი, ვეძებ ჩემს მატარებელს.

ვაგონში დასაწოლი ადგილი ვიშოვე. ცოტა ხნის შემდეგ ვაგონი მთლად გაიქცა.

ჩემს გვერდით ორი რუსი გლეხი დგას. ორივემ ამოიოხრა:

— ეებ, ვოლგა მატუშკა რეკა...

(ვოლგა რუსში რომანტიკულ განწყობილებას იწვევს). ხიდიდან მართლაც ლამაზი სანახაობა იყო. რაღაც უდაბურება, რომელიც გიზიდავს.

ყაზანთან ჩანს კრემლი. თეთრად შეღებილი. მშვენიერი სანახაობაა. ცოტა უფრო მცირეა მოსკოვის კრემლზე, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი. ყაზანში სადგურის უკან გაველ, გავხედე. გვაგონება, სადღაც უდაბურ ადგილას აუგიათ სადგური. ქალაქი სადგურს არ მიუყვება.

ყაზანში ღამდება. აქედან მატარებელი ისევ უკან ბრუნდება ერთი სადგურით და შემდეგ განაგრძობს გზას.

სადგურში ღია ბარათებს ვყიდულობ და მეგობრებს ვუგზავნი.

ჩემთან ერთად მოდის მალოროსი კომანდირი. მშვენიერი ყმაწვილია. ზორბა მკვრივი სხეული აქვს და სავსე მთვარესავით მრგვალ სახეზე ღიმილი არ ცილდება. ვსაუბრობთ. მიყვება ციმბირის ამბებს. გუნერალ დიდერიხის

და კოლჩაის დროისას. კოლჩაის დროს ციმბირში ერთი ცნობილი რევოლუციონერი იყო, გადასახლებული მეფის მთავრობის მიერ. ის მეთაურობდა წითელ რაზმებს. გულშეკრძლვად შლილი ჰქონდა ჰალარა წვერი. მთელ მოსახლეობას გაგიჟებით უყვარდა. როგორც კი თავის რაზმით გამოჩნდებოდა, თეთრები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. სადაც დიდი გასაკირი იყო, ან თეთრები შრავლად იყვნენ, იქ აუცილებლად მას აგზავნიდნენ. შიშის ზარს სცემდა თეთრებს. ბოლოს, გადაწყვიტეს მისი მოკვლა. ერთ ხეობაში, სადაც უნდა გაეგლო მატარებელს, რომელშიაც მისი შტაბი იყო მოთავსებული, ჩასაფრდნენ თეთრები, თავს დაესხნენ და მთელი შეშადგენლობა ამოწყვიტეს. ისიც იქ მოკლეს. ძია კალანდარიშვილი.* ყველა ასე ეძახდა. ძია კალანდარიშვილი. სოჭეხი იყო, მგონია, — ამბობს კომანდირი.

6 ივლისი.

დილით სვერდლოვსკში ვართ. აქ უამრავი რკინიგზის ხაზი ერთდება.

სადგური საესვა მგზავრებით. მომავონდა სამოქალაქო ომის ხანა. ყველგან გაუფალი სიბინძურეა. ტომრები, კალათები, ყუთები. მთელი იატაკი მოფენილია მგზავრებით. ზოგს ძინავს, ზოგი ჩაის სვამს. საერთოდ, აქ ჩაის სვამენ დილიდან საღამომდე.

ჩემი მატარებელი გადის მხოლოდ ოცდაერთი საათის შემდეგ. თითქმის ერთი დღე უნდა ვიცადო ქალაქში. ბარგი შესანახად ჩავაბარე, რასაც სათანახვარი დასკირდა და წავედი ქალაქში.

დადიან მხოლოდ ავტობუსები. მივემგზავრები ცენტრში. რალაც გაფანტული ქალაქია. ყოფილი ეკატერინბურგი. ამ ქალაქში დახვრიტეს ნიკოლოზ

არა, — ვეუბნები მე, — ქართველი იყო.

კომანდირი მიყვება სახალისის ბებს, იქ უმსახურია. სახალისზე შედარებით. თბილი ზამთარი იცის, ოცი, ოცდახუთი გრადუსი ყინვა.

დღეს გავიარეთ ორი მდინარე, ვიატკა და კამა. სიდიდით არცერთი არ ჩამოუფარდება ვოლგას. კამა უფრო ფართოც არის ამ ალაგას. უზარმაზარი ტივი მოცურავს, თუმცა სულ არ ეტყობა რომ იძვრის. აქ ძნელად გაარკვევ, საით მიედინება მდინარე.

მხოლოდ დაღამებისას შევედით ურალის მთებში. მაგრამ ეს რა მთებია. ყველაზე მაღალი მთა ამ ადგილზე არ აღემატება ორმოცდაათ საექნს. პატარა გორაკებია. რამდენიმე გვირაბი გავიარეთ და გათავდა. მივდივართ სულ სწორ ადგილებზე. აქაურები ამას მთებს უწოდებენ.

მეორე. ბაზარში ყიდიან იმ სახლის სურათებს, სადაც ის დახვრიტეს. ქუჩები მეტად ფართოა.

ქალაქში დგას იაკოვ სვერდლოვის ძეგლი. ეს მტკიცე და შეუპოვარი რევოლუციონერი ვერაგულად იქნა მოკლული.

იქვე, ძეგლის პირდაპირ ოპერის შენობაა. ესეც ზორბა ულაზათო ნაგებობაა. შუაგულ ქუჩას დაყვება ბალი, რომელშიც მარტო ბალახი და რამდენიმე პატარა ხეა.

ქალაქში ჩამოდის პატარა მდინარე. აქ მოწყობილია საგუბარი, ხელოვნური ტბა, მოფენილი ნაგებობით. ერთი მოტორიანი კატერიც დაჩახჩახებს. იქვე მოუწყვიათ საბანაო, სახტომებით და საგანგებო ბაქნებით. ვილაც ქალი გაწოლილა ბაქანზე და იზმორება.

პარაპეტზე დგას პატარა ფიცრული ქოხები. აქ შეიძლება ჩამოქდე, დალიო კუმისი, რძე, კეფირი და უცქირო ტბას.

დავექებ საპარიკმახეროს. მივაგენი ერთ კუთხეში. სამი დალაქი მუშაობს

* ნესტორ კალანდარიშვილი — ცხოვლი ციმბირის პაპა.

ერთად. ერთი მათგანი მაკრატლით ხე-
ლში მომვარდა და თავაზიანად მიმიპა-
ტიეა. სამივე ებრაელია. ცოცხალი ხა-
ლხია. დალაქმა ერთი საათი მალამაზა.
თავი დამბანა პიკსაფონებით, ოდეკა-
ლონით, ვეჟეტალით. თავისუფლად
ამოვისუნთქე.

მთელი დღე დავხეტებო. მოსაწყენია.
ღამის ორ საათამდე უნდა ვიცადო.

ქალაქში ახლა გაპყავთ კანალიზაცია.
ქუჩებზე მიწის გროვა დგას.

მოულოდნელად ჩემს ყურთან რაღა-
ცამ მძლავრად დაიგუგუნა. შემდეგ თი-
თქოს ფრთების რხევით გაიბნა ჰაერში.
ავიხედე, ეკლესიის სამრეკლოზე უზარ-

7 ივლისი.

გზაში მეუბნებოდნენ, რომ ალაპა-
ევსკში მხოლოდ ოთხ საათზე ჩავალ-
თო. ძალიან ცუდია ჩემთვის. ვერ მი-
ვუსწრებ კანტორაში მომუშავეთ, შემ-
დეგი დღე შაბათია და ჩემი ფინანსე-
ბის საქმე კი ცუდადაა.

მიყრუებულ სადგურ ეგორშინოში
ვდგავართ თითქმის ხუთი საათი. ძალი-
ან მაჭაერებს გზებზე მოძრაობის ასეთი
განაწილება. მაგრამ მგონი აქ მგზავ-
რებზე უფრო საბარგო მატარებელს
აფასებენ.

მართლაც, ოთხი საათი სრულდებო-
და, როდესაც მივეუხლოვდით სადგურს.
აქედან ქალაქი გრანდიოზული მეჩვე-
ნა. უამრავი ქარხნის მიღები, შენობე-

8 ივლისი.

კვირა დღეა. ვესაუბრები რეგისტრა-
ტორ ქალს. ვუყვები ამბებს საქართვე-
ლოზე. ქალი ოხრავს და თვალეზიანა-

9 ივლისი.

დილას მივდივარ ქარხნის კანტორა-
ში. ხვალისათვის მიბარებენ. დღეს
მხოლოდ ავანსს ვღებულობ, ქალადე-

მაზარი ზარია. ზარის ენაზე ჩამულ-
ბაწარს ორი ქალი ექაჩებან. ენა გაცი-
ლებით სქელი და დიდაა, ვიდრე ას-
ორივე ჩასუქებული დედაკაცი ერთად
აღებული. ეტყობა, მეტად მიმიეა, რა-
დგან მისი გაქანება ასე უჭირთ. გულ-
მოდგინედ ექაჩებიან და ზარიც ღრია-
ლებს უზარმაზარი დათვივით. ეს ღრი-
ალი ტალღებივით მეხლება...

თეთრი ღამეა და მე სადგურის უკან
დავდივარ, ვამთქნარებ, პაპიროს ვეწე-
ვი.

ნაშუადღევს ორი საათია, მზე იჭ-
ყიტება ტყიდან. შევდივარ ვაგონში.

ბი... სადგური პატარაა. გადმოვდივარ.
არ ვიცი, საით წავიდე.

სადგურის ბუფეტში ვილაც კისერ
ჩასუქებულმა ძველი „პომეშიკის“ ტი-
პის წვერიანმა კაცმა მასწავლა გზა, ჩა-
მაწერინა მთავარი დირექტორის გვარი
და მე გავეშურე ქალაქში.

პირველად მივედი „გლებთა სახლ-
ში“, სადაც ახალგაზრდა გოგონამ წიგ-
ნში ჩამწერა, ჩემი ბარგი-ბარხანა შე-
სანახად ჩაიბარა.

დირექტორი ვერ ვნახე. ტელეფონით
ვუკავშირდები დირექტორის მოადგი-
ლეს. მეუბნება, რომ შინ დამხვდება.
კარგი ყმაწვილია. მოველაპარაკე.

შაბათი მოსაწყენად ვაგატარე. დავ-
ყილობდი ქუჩებში. ვნახე ტბა, მოფე-
ნილი ნავეებით. ავუარ-ჩაფუარე ქარხ-
ნებს.

ბული მიცქერის.

ქალაქში დავდივარ, მაგრამ მწყინდე-
ბა მუნჯივით ყოფნა და ისევ ვბრუნდე-
ბი „გლებთა სახლში“.

ბში ვტარდები და უკან ვბრუნდები.
საქმე არა მაქვს. ვსლაქავ ნაყინს, ვავ-
ცქერი ქალაქს, ვემუსაიფები რეგისტ-
რატორ ქალს. საშინლად მომეწყინა.
წვერ წერილებს დედას, მეგობრებს.

როდის მივიღებ პასუხს. მეთექვსმეტე დღეს. ქალაქში არ იშოვებია არც ერთი ახალი ვაზეთი. მოდის ხოლმე ქალაქ ტავილიდან, მაგრამ ვაზეთი კი არა, მიქარავია. ყველაზე მეტად მაინტერესებს ნობილს* ექსპედიციის ბედი. ერთი კვირაა არაფერი წამიკითხავს იმის შესახებ. ახლა ტფილისში მიმდინარეობს ამიერკავკასიის საჰაერაჲო შეჭიბრი. ნეტავ, ვინ აიღო პირველობა?

ახლა ვგრძნობ სამშობლოს გარეთ

10 ივლისი.

დღეს ვნახე რკინის მადნის მალაროები. საუცხოო სანახაობაა. რალაც უძველესი არქაული სახის წარმოება. გათხრას ახდენენ საფეხურებით და მთელი წარმოება გავს ფარარნებისდროინდელ სამუშაოებს. ორბორზლიან ეტლში შებმულია ცხენი. შიგნით ფეხზე მდგარი ქალები ამორჩალებივით დაარბუნებენ მათ ამ პირამიდების საფეხურებზე. ზოგი მადანს ზიდავს, ზოგი ცარიელი უკან ბრუნდება. საოცრად ცხელი მთელი დღე და ლოყებდაწითლებული მსხვილმკლავებიანი ქალები დაუღალავად მუშაობენ. მოხდენილად უბაგუნებენ წალკატს მიწას. ნიჩბებით მარდად აესებენ თავიანთ ეტლებს და მიაჰუნებენ ზევით, რომ იქ დასცალონ. უნებურად წარმოვიდგინე ჩვენი ქალები. სუსტნი, მუდამ ავადმყოფნი.

მე ვერ ვიტყვი, რომ აქაური ქალები გარყვნილები იყვნენ. მაგრამ აქ ქალი

18 ივლისი:

რამდენიმე დღეა ვმუშაობ. დილით ექვს საათზე აქაურ უცნაურ ეტლში „მოვოზკაში“ ვაწყობ კიბრეგელის და მენუელის ყუთებს, ლარტყებს, პლან-

* ნობილს ექსპედიცია — 1928 წელს იტალიური ექსპედიცია გაემგზავრა ჩრდილო პოლუსისაკენ დირიჟაბლ „იტალიათ“ ნობილს ხელმძღვანელობით.

ცხოვრება რა აუტანელი უნდა იყოს. თუმცა შეიძლება შექმნა შენთვის საშობლო ყველგან, მხოლოდ ალაპავესკში. ეს ჩემთვის, ჩემი ნებით გამომგზავრებულისთვისაა ასეთი აუტანელი აქ ცხოვრება, თუნდაც ერთი თვით. წარმომიდგენია, რას გრძნობდნენ გადასახლებულნი, — რა ცარიელია ეს ქვეყანა. მე, თუმცა, დასახლებულ ადგილას მოვხვდი. რა იქნება ციმბირი.

ისეთივე თავისუფლებით სარგებლობს, როგორითაც მამაკაცი — ჩვენთან.

ჩვენი სირცხვილად ითვლება ქალს ხელი შეუბრუნო, თუ კი ქალმა გაგაწინა სილა. აქ კი, ამა ერთი ვაბედოს ქალმა და გაარტყას მამაკაცს. ისეთს უთავაზებს ურცხვი რაინდი, რომ თვალუბიდან ნაპერწყლები გადმოსცვივა. აქაური ქალი არ არის სუსტი არსება.

ჩვენი შევხვედრივარ მალაროს მუშას, წელში მოხრილი მიჩბის. ვეკითხები, სად მიდის? ოჯახობა ყავს ავად. სუსტი გამოდგა ქალი. ჯანსაღი ქალი თავის წონა ოქროდ ფასდება.

და მე ვფიქრობ, ნეტავ თუ მოინახება საქართველოში თუნდაც ერთი ქალი, რომელიც შესძლებს რვა საათის განმავლობაში ურახუნოს წალკატი, ტვირთოს ეტლი, მთელი დღე ირახრაზოს ფოლადით მოჭედილ ბორბლებზე, როდესაც ზაფხულში მზე ცეცხლივით ანთია და როდესაც ყინვა მიწას ხეთქავს ზამთარში.

შეტს და მეც მოუხერხებლად ვეწყობი შიგნით. ერთი საათის ლაზათიანი რეცხვის შემდეგ მთლად დანჯღრეული მივდივარ სამუშაოებზე. ვითომ და ქალაქია ესეც. მოუკირწყლავი ქუჩები. არც განათებაა. წყალს ქალები ზიდავენ მდინარიდან. წყალი მეტად ბინძურია, მოყვითალო ფერისაა. მდინარეზე, ჩემგან ათიოდე ნაბიჯით ზევით, წყალში ვილაც ჩამდგარა, ალბათ ბანაობს, პერანგი გაუხდია და პარაზიტებს დაე-

ძებს. აქვე კი ქალი თავდაღმა დახტობია წყალს და ხარბად სეამს.

ქუჩებზე ეტლების ბორბლებს ლიანდაგივით გაუკვალავთ მიწა და ყველანი ამ კვალს მისდევენ. უბედურებაა, თუ წინიდან მომავალი შეეტლეს შემოგეჩება. არც ერთი არ უხვევს გზიდან, რადგან ამ უზარმაზარ კოლბოხებზე გადავლა არც ისე ადვილი საქმეა. კარგა ხნის გინების შემდეგ რომელიმე მოიჭაჩლავს თავს, ან, უფრო სწორად, ორივენი გადაუხვევენ გზიდან.

ასრად არ მინახავს ასეთი მწარედ მკბენარე და მრავალი ჭიშის ბუზი. ხალათში გააძვრენენ დინგს და ისე იკბინებიან. ცერის ოდენანი არიან. საშინელებაა ამგვარად ცხოვრება, როდესაც

25 ივლინი.

ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი, რომ მომიხდებოდა ისეთი მატარებლით მგზავრობა, როგორც ვხახვ ერთ კინოსურათში ბესტერ კიტონის მონაწილეობით. იქ გადაღებული იყო პირველყოფილი მატარებელი სტეფენსონის „რაკეტით“.

თითქმის იგივე სურათის განმეორებაა. ვაგონები გადადიან და გადმოდიან იქით და აქეთ. გზაზე შეგვაჩერა შებორკილმა ცხენმა. კონდუქტორმა დიდის გაკირვებით გარეკა გზიდან ცხენი. მეორედ კიდევ, მემანქანემ თვითონ ისურვა გაჩერება, რადგან დიზენტერიის ნიშნები აღმოაჩნდა და ტყეში გაისეირნა. შემდეგ, შუა გზაზე, მატარებელი მოძრაობის დროს გადახსნეს და ისრის საშუალებით ორთქლშავალი ცალკე წავიდა და ვაგონები ცალკე შემდეგ ორთქლშავალი თავგამეტებით გამოიყიდა მატარებელს და ისე მძლავრად დაგვეჭახა, რომ სუყველა გადაყირავდა. საერთოდ, მთელ ლიანდაგზე ბალახი ამოსულა და გგონია, ვიწრო ვაგონები მოლზე მიგორავსო. მგზავრები ვაგონიდან პირდაპირ სწვდებიან ყვავილებს და კრეფენ. მეც გადავყავი ხე-

კაცს ვერ ხედავ, რომ დაელაპარაკო. წუხელ ბაღში შემთხვევით გაუცანი ახალგაზრდა ინჟინერი. მშვენიერი ყმაწვილია. სვერდლოვსკში დაუმთავრებია უნივერსიტეტი. ჰადრაკი ვითამაშეთ. კარგა ხანს ვისაუბრეთ.

მე მიპირავს საწოლი „გულხთა სახლში“. საუკეთესო ოთახია ვითომ და მახდევინებენ ყველაზე ძვირ ფასს, მანეთს დღეში. ოთხი საწოლი ღვას და მთელი ხნის განმავლობაში, რაც აქ ვიყავი, მხოლოდ ოთხმა კაცმა თუ გაათათათო ღამე.

ხვალ მივდივარ ზირიანოვსკის მალაროებში. ამბობენ, რომ იქაურობა საესეა კოლოებით და ბალღინჯოებით. ვნახოთ.

ლი. ბალახი ხელის გულის ქვეშ გარბის, იკეტება.

გარშემო სულ ტყეებია და გაუვალი ჭაობები. მთელი მიდამო კოლოებით არის ავსილი.

პირდაპირ ტყეშია გაშენებული მუშათა საცხოვრებლები. ორსართულიანი მორების შენობები სავსეა ბაღინჯოებით. ტარაქებითა და ათასი სხვა მწერით. არავის არ სძინავს სახლებში. სუყველას ან საჩინბოში, სათიფეზე ან სხვენზე აქვთ მოწყობილი საწოლები. გარშემო კი ცამდე აშოლტილი ისრებივით გამართული უზარმაზარი ფიჭვის ხეებია. ტყეში კი ჭაობიდან ადის სქელი ნოტიო ნისლი.

მალაროები მეტად პრიმიტიულად მუშავდება. მხოლოდ ახლა მოუტანიათ ორი ექსკავატორი და მოუწყვიათ ბუნკერები მანდის სატვირთად. მთელი მიდამო დაფარულია მანდის ნაცხრილით და ჯერ ფიქრდაც არ მოსვლიათ გამამდიდრებელი ფაბრიკის აგება.

ივნისის დამლევამდე სულ გაყინულ მიწას თხრიან. შემდეგ კი მიწა საკმაოდ თბება და აგვისტოს დამლევამდე სითბოა. თუმცა ამ სამი დღის წინ ისე ციოდა, კინალამ გაეყინე.

უცნაურად ხმაურობს ტყე. ასეთი

ხმაური ჩვენს ტყეებში არ მსმენია. თითქოს რამდენიმე მილიარდი ფუტკარი დაფრინავს ზევით. მართლა და რამდენჯერმე ავიხედე მაღლა, ხომ არ ფრინავენ შეთქი.

თითქმის ყველა აქაური მცხოვრები უკრავს გარმონზე. სალამობით და მოსხდებიან კიბის საფეხურებზე და განუწყვეტლად აკყვიტინებენ. არ მომწონს ეს ინსტრუმენტი. საძაგელი ხმა აქვს.

1929 წელი

1 ივლისი, ქუთაისი.

ქუთაისში ჩამოველ დილის ექვს საათზე. ჩემი და მშვიდია ქუთაისი. თითო-ორიოლა გამვლელი. ვიჭირავე დარჩეული ეტლი.

სასტუმრო „ფრანციაში“ დამხვდა ჩემი ინჟინერ-გეოლოგი. ეძინა. ფანჯარა გავალე, რადგან ჰაერი ძალიან დახუთული იყო. გავცქეროდი ქალაქს და გავერთე ძველ გიმნაზისტურ მოგონებებში.

3 ივლისი. სოფ. მამაწმინდა.

მეორე დღეა, დგას ნისლი, რაც შეუძლებლად ხდის მუშაობას. წარმოუდგენელი მოწყენილობაა. ქვევით შხუის რიონი. მაღლა კი მთები გახვეულან ნისლში. საშინელი მიუკარებელი და კარჩაკეტილი ხალხია აქაური მცხოვრებლები.

ბინად ვდგავართ ერთ მოხუც გერასიმე მორჩაძის სახლში. ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცი ისე მხნედ და ძაღოვნად გამოიყურება, რომ არც კი მჯერა, თუ ამდენი ხნისაა. ამბობს, რომ ათი წელიწადი შინაყმად ყოფილა მესხთან. ბატონყმობისაგან განთავისუფლების ხანა „გუშინდელივით ახსოვს“. ბიძაა ცნობილ ყაჩაღ და მეამბოხე მორჩაძისა.

ქუთაისიდან ვიმგზავრეთ ლინეიკით. ქუთაისში სადამოს კინოში წავედი და ვნახე ინჟინერი პავლე საყვარელიძე და ტერ-სტეპანოვი. პავლე თურმე ბარიტის მადნეზე მუშაობს და ძალიან

მთელი დღე დავეხეტებოდი ქალაქში, ერთი ნაცნობი ვერ ვნახე. ცარიელი ქუჩები. შევიარე ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ვნახე კედლები, სადაც გავატარე ჩემი ყველაზე ძვირფასი დრო მოზარდობისა. საერთოდ, ქუთაისმა მინორულ ხასიათზე დამაყენა. (ჩემი მეგობარი ინჟინერი ხელს მიშლის, წერის დროს მიყვება თავის სულიერ განცდებზე. შეყვარებულია. ის ახლა ლოგინზე წევს და ოხრავს). როგორ გამეხარდება, თუ მომწერ.

გაუხარდა, რომ გაიგო ჩემი აქ გამომგზავრება.

ქუთაისში კინო კარგია (რადიუმის სახაფხულო შენობა), მაგრამ ძალიან სასაცილოა აქაური აფიშები, თავიანთი სულელური წარწერებით. კინოსურათის შემდეგ შესდგა კონცერტის მსგავსი რაღაც, სადაც იმღერა ტფილისის ესტრადის მომღერალმა ვილაც ბერტა მოშიაშვილმა (?) და მოცეკვავე „ტარზან-ბაკურაძემ“ შეასრულა „ის ცეკვა, რომელსაც ის ცეკვავს საბასში“. (რეკლამის წარწერაა).

მეტად ჭრელი, მაგრამ მიმზიდველი საზოგადოებაა. თუმცა უმრავლესობა ტფილისელებია, რომელნიც ზაფხულობენ ქუთაისში.

აქ სურსათის ისეთი კრიზისია, რომ ნახევრად მშვივრები ვართ. საქმეს რომ მოვრჩებით, ვწევართ ტაბტზე და სულ გასტრონომიულ თემებზე ვსაუბრობთ. ვოცნებობთ ათასნაირ შემწვარ-მოხრაკულეებზე. დღეს კაცს ვაგზავნი ქუთაისში სურსათისათვის და იმით ვინუგეშებთ თავს.

ქ. მარქაშის სახ. საჯ. სსრ

5 ივლისი. სოფ. მამაწმინდა.

მეხუთე დღეა წვიმს. ესხედვართ ყვავებივით და ვიცდით, ხანდახან ვთამაშობთ ნარდს, ვეწევით პაპიროსს და ვყვებით ანეგლოტებს. გული გაგვიწყალა ამ წვიმამ.

გუშინ დავათვალიერე სამუშაოები. მიყრილი მთავარებია. გვირაბებიც ვნახე. საძაგელი სამუშაოა. ვერტიკალური ფენაა ბარიტის, რომელსაც სართულეზად ამუშავენ. მადანს ანგრევენ დინამიტით, მიწიდან საშინელი გუგუნეი ამოდის.

მართლა, დინამიტზე გამახსენდა.

11 ივლისი. სოფ. ბენტაკოულა.

უკვე ერთი კვირაა, კარგი ამინდია. დღეს ვიყავი ხომლის მთის ძირას ათას ორასი მეტრის სიმაღლეზე. ჭერ არ მინახავს ასეთი დაკიდული აღმართები. საშინელ სიციხეში მომიხდა ასვლა, მაგრამ ერთი რამ აქარწყლებს ამ სიძნელეს, — ეს საუცხოო სანახაობა ამ მაღლობიდან, პირდაპირ ზღაპრული ხეობები და იქით თოვლიანი, მთები უდიდესი სიმაღლისა. აქედან მოჩანს უშუბა, მიუვალი ალპინისტებისათვის. აქ არის მთა „თავშავა“. საინტერესოა იმით, რომ მისი ფერდობი მუდამ გარშემორტყმულია ურბილესი და უნახესი ღრუბლებით.

იმდენაირად იცვლება პანორამა ყოველ თხუთმეტ წუთში, რომ რაღაც საზღაპრო ადგილას მგონია თავი.

ხუთი დღეა ამ ოთახში ვცხოვრობთ. პაპიროსებს ვეწევით, ანთუბულს ვსანთებს ერთმანეთს ვესვრით და დღეს ვნახეთ, რომ ტახტის ქვეშ ორი ყუთი დინამიტი ყოფილა შეხობებული. რა კარგ გუნებაზე დაედევით ყველანი!

ისევ წვიმს. როდის გამოიდარებს?! რიონი საშინლად ადიდდა და შეიძლება ბორანი, რომლითაც ჩვენ გვიხდება გავლა, გაჩერდეს. მაშინ უნდა ვუცადოთ რიონის დაკლებას. ახლა ამ წერილს სისწრაფოდ ვამთავრებ, რადგან ვინც უნდა წამოიღოს, ძალიან ჩქარობს რომ ბორანი არ დაიკეტოს.

ხომლის მთიდან მოჩანს რიონი და იქით ცხენისწყლის ხეობა. ცეცხლის პრიზმატული ღერბინდით დავცქერი მოსეს, მაგრამ ამ სიმაღლიდან და სიშორიდან მგზავრებსაც ვერ ვაჩვენებ. მხოლოდ წერილი ხაზი მოუყვება და რიონი ბრწყინავს.

ცოტა ხნის შემდეგ გავეხვიეთ ისეთ სქელ ნისლში, თითქოს რძის ზღვაში ჩავძირულიყავით.

რამდენიმე დღის მანძილზე უნდა ვიმუშაოთ იმგვარ ტყეში, სადაც თითო ხიდან თითო სახლი გამოჰყავთ და სადაც ხშირად შეიძლება წააწყდე დათვის. ჩემი მეგობარი თანაშემწე, ცოტა არ იყოს, დამფრთხალია, რადგან ჩვენი კარავი ტილოსაგან არის დამზადებული და კედლის სიმაგრით არ გამოირჩევა.

1980 წელი

21 მაისი, თბილისი.

...თბილისში ოცდარვაშდე დავრჩები. სანამ სცენარს არ დავამთავრებ, არ მიშვებენ. მინდოდა ამაღამ წამოსვლა და ზეგ უკან დაბრუნება, რადგან კასპში

ერთი დღე კიდევ მჭირდება მუშაობა (ინსტრუმენტალური მუშაობა -სულ მოვათავებ, მხოლოდ აბრისის შევსება დამრჩა). სცენარს რამდენიმე დღეში მოვათავებ.

7 მატომბარი. გზა.

ვსდებით კახეთის განთქმულ მატარებელში. შემოდგომის საგრძნობი სიცივეა. თვალწინ გაცურა თბილისის ლამაზმა პეიზაჟმა და ნათელულში დაგვიხვდა ყურის გამომჟღავნებელი ყაყანი.

ჯერ კიდევ ტფილისში გაიქედა მატარებელი მგზავრებით და ახლა ეს ამდენი კალათებიანი მგზავრი ხურჩინებით და ლანძღვა-გინებით აწვევა კარებს და ცდილობს როგორმე ვაგონში თავის შერგვას.

თავს უღარესად ბედნიერად გრძნობ, როდესაც რბილ ვაგონში ზიხარ და იცი, რომ ვინმე დახურჩინებული ფეთიანივით არ შემოგივარდება და არ გადაგყვავს.

კიბეები, ბაჭნები, ფანჯრები, ბუფერები, საბმელები მთლად დაფარულია ხალხით, ხურჩინებით, კალათებით.

მატარებელი ნელა დაიძრა, აკრიჭინდა და წავედით. რამდენიმე გრძელი შენობა გაირბინეს. საყუდში მდგარმა ვაგონებმა, საიდანაც გამოძვრა მთვარე, ბორბალმა უმატა ტახტებს და მეც მოვეშზადე დასაძინებლად...

...— გაიღვიძეთ, ამხანაგო, თელავში მივედით.

კეთილი. გავიღვიძებ. ავღეჭი.

— აბა, ერთი ადგილი!

— ორი...

— ერთი ადგილი დარჩა...

თელავში მიმავალი მელინეიკები რაც ძალი და ღონე აქვთ, გააკვივიან და მუშტარს ეპატიეებიან.

ერთმანეთში აირია ლინეიკები, ხურჩინიანი მგზავრები, მეეტლეები, ლანძღვა, გინება, მისალმება.

ჩვენ ვიშოვეთ საბუეში მიმავალი ლინეიკა და ბარგის გამოყიდვის შემდეგ შევუღეძეთ ლინეიკაზე დაჯდომაზე ზრუნვას, რადგან ეს არც ისე ადვილი საქმეა. ლინეიკა, ჩვეულებრივად, აგებულია ოთხი მგზავრისათვის, მაგრამ ის მელინეიკე რა მელინეიკეა თუ თავის უნივერსალურ ეტლზე რვა კაცი

არ დასვა. როგორღაც ახერხებენ მგზავრების მოცულობის იმდენად შემცირებას, რომ ასეთი მაქინაც შეესაძლებელი ხდება.

— კაცო, ვერ დავეტყვით, ძმაო, — და იმ სქელ დედაკაცზე ვუთითებ, რომელიც ჩვენს შუა უნდა ჩაჯდეს.

— ვა, რას ლაპარაკობ, ძმაო, ასეთი ნეენი ასობა ვერ უნდა დასხათ? ვერა ხედამ, წელში სადაცაა გადატყდება. აბა, მიიწ-მოიწით, გენაცვათ.

სად უნდა მიიწ-მოიწო, როდესაც ჩვენს შორის სამშაურთან წიგნსაც ვერ ჩასტევ, მაგრამ დედაკაცი მუხლებზე გვაჯდება, ჩვენ ვიწვეით რაც შეგვიძლია იქით-აქეთ და დედაკაცი ჯდება. მე ბალტოს ვეჭაჩები. ტყუილი ცდაა, დედაკაცი ისე მაგრად ზის, რომ მე იმედს ვკარავ და უნდა ვიქნე ასე ბეჭ ჩამოვლებული. უნებურად მეცინება, როდესაც წარმოვიდგენ, თუ რა შესახებ დავი ვარ, ალბათ, ამ წუთში.

დაიძრა ლინეიკა, ბორბალი ქვას წამოედო, ერთი მაგრად შეგვეჯღრია და წავედით რაზრაზ-წაქრევით.

მთები დაფარულია ღრუბლებით. ცოცხა გზა ატალახებულია. ხეებზე ფოთლები შეყვითლებულან.

გზაზე ზანტად მოდიან კამეჩებმული ურმები.

ღრუბლებმა მიღლა აიწიეს და გამოჩნდნენ იალაღები, თოვლით დაფარულნი.

გზაში გვეჯობრება ორცხენგამბული „ტაჩკა“, რომელზედაც ათამდე კაცი ზის. იმათი მეეტლე უკანიდან მოგვძახის:

— ჰა! რაო, ვერ მოგყვებით უკან? ჩვენი მეეტლე განგებ დინჯ სახეს იღებს, თავს აქნევს და იძახის:

— ვა! ვერა ხედავ, კაცო, აი ის, შაჭი ცხენია, რაც არის. რა მარჯვედ მოდის, შეხეთ, შეხეთ, ვა! ვა! კაცო!

გვერდით ჩვენი კანტორის მეეტლე ილა ზის. ისიც „ციგნობს“:

— მაიტა, კაცო, ლინეიკა დააყენე. აი, იმ ცხენს ერთი ყურები უნდა გავუსინჯო, რა ჭიშისაა...

— ბიჭო, კუდი გაუსინჯე, კუდი. ან კუდის ქვევით...

მგზავრები ხითხითებენ.

მალე „ტაჩკის“ ცხენებს სიქა გავართ და უკან ჩამოგვრჩენ.

უკვე გამოჩნდა ენისელის ძველი ეკლესია თავისი ციხე-კოშკით.

11 ოტომბერი.

ისევ ძველებურად დაიწყო მიპატივებები, ქეიფი, ღვინის სმა.

გლეხებს მოსაყალი მოწეული აქვთ, ყურძენი დაწურული, ფიჩხი მოზიდულ.

ახლა ფარდულების წინ ჭგუფ-ჭგუფად დგანან, ყაყაბებენ, ოხუნჯობენ, იგინებიან, ყოველ ამვლელსა და ჩამვლელს თვალს აყოლებენ, ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინებენ.

ჭრელი დღეებია. ღრუბლები დახეცებიან ცაზე, ხან მთებს გაედებიან, ხან ბარში ჩაწვებიან, ხან კიდევ ერთ ადგილას გაეხიდებიან.

ღამით კი, როდესაც აქაური ზორბა მურიები აყეფდებიან, სახლებიდან მოისმის სიმღერა, გიტარის ხმა და ფანჯრების მინებზე ლანდები ცეკვავენ.

მოსვლისთანავე ვეწყობი სამუშაოდ. დილით ბარომეტრი გადავიკიდე და წავედი ბოკი-გორას სამიჯნო პუნქტზე სიმაღლის შესამოწმებლად.

შილდის ძველისძველ ეკლესიასთან შემხვდა მოხუცი. ძროხას ერეკებოდა, ერთი წუთით შევაჩერე და ვეკითხები:

— ძია, ვერ მიმასწავლი ბოკი-გორის გზას?

ბიჭოსი როგორ „კაკო ყაჩაღივით“ მოეწყო:

— ვერ მიმასწავლი კუდი-გორის მთას?

(სხვათა შორის, კუდი-გორაც შორს არ უნდა იყოს, მკონი).

— აი, ესე წამობრძანდით, მარჯვნივ მოუხვიეთ, უფრო მარჯვია, — მიპასუხა მოხუცმა და თანვე დაურთო, — რა მოკითხოს კაცმა ეხლა ჩვენ გლეხებსა?

კედლები ჩაშაგებია. ჩამონგრეული ჭვარი ვვერდზე გადახრილა. გარშემო შემოფანტვია პატარ-პატარა საყდრები... ისინიც ჩანგრეულ თავებზე ბალახწამოზრდილინი.

ნახევარი საათის შემდეგ საბუეში ვართ.

— როგორ, ძია?

— აი, კაცო, უყურებ ეგე იმ გალავანს გვერდით ქვა რომ აღარაა, ჩამოუგდიათ. ზედ იმ ქვაზე ეწერა რო თუ როდის აუშენებიათ ეს ეკლესია და აგე ის წისქვილი, სუ ყველფერი ეწერა ზედა. ჩამოუგდიათ. თუ ქვა უნდოდათ იმ ოჯახქორებს, ქვის მეტი რა არი ამ სატიელოში. სირცხვილი არ არის, ასეთ არქეოლოგიურ მნიშვნელობის ეკლესიას ასე ვეპყრობოდეთ.

— ნეტავ რათ უნდოდა ის ქვა.

— რა ვიცი, აბა რა ვიცი. ეს ეკლესია ხუთასი წლის წინათაა აშენებული და ესე კი ანადგურებენ, არავინაც უურადლებას არ აქცევს. აი, ბოკი-გორაზე რო აბრძანდებით, იქ ერთი ჩანგრეული აკლამაა, აი იქაც სამი დიდი ქვა დევს, როდესაც ის აკლამა ვნახეთ, ქვებზე სამი მიცვალბული ესვენა. თავით შანდლები ედგათ, რა ვიცი რაები არ იყო შიდა, წიაღეს, დაიტაცეს...

აველ ბოკი-გორაზე. პატარა გორაკია. აკლამას თალი გვერდიდან ჩანგრევია. თვით აკლამა მშვენივრადაა დაცული. შიგნით სამი გათლილი ლოდი დევს. ისეთი მღებარეობისაა ბოკი-გორა, რომ აქ ამგვარი აკლამა ბევრი უნდა იყოს. ვამოწმებ ბარომეტრს და ვბრუნდები უკან.

რამდენი ციხე-კოშკია შილდაში.

მაღალნი, მტკიცენი, ვიწრო სათოფურებით. ერთ კოშკში ხე აღმოცენებულა, გაზრდილა, ჩანგრეულ სახურავს ასცილებია და განიერი ტოტები კოშკს ზემოთ ქოლგასავით გადაუშლია.

რამდენი წლისაა ხე და რამდენი წლის წინათ ჩანგრევია კოშკს სახურავი.

მეორე დღეს შუა გორაზე ავედი. აღ-

მართზე ხმელ ფოთოლზე ფეხი ცურდება და ძალიან მიჭირს ასვლა. დავილაღე. დასასვენებლად იქვე ხმელ ფოთლებზე წავწვიქ.

ტყე ჩუმადაა. მაღალი წიფლის ხეებიდან ცვივა ნაყოფი. რამდენი წიწიბოა! მთლად მოჭენილია ფერდობები.

მაგარი კაკა-კუკი შემომესმა. ვხედავ, კოდლა მისკუბებია ტოტს, ღონივრად სცემს ნისკარტს, მოხდენილად აგლეჯს ტოტიდან ხავსს ნისკარტით და თავის მოჭნევით შორს ისვრის.

კარგა რახუნის შემდეგ ვაპო ხის ქერქი, ააგლიჯა და ფათურით შეუყო ნისკარტი ქერქ ქვეშ.

ხევიდან მოისმა ყრუ გრილი და გაიფანტა ტყეში.

ლამები ააფეთქეს.

გუშინწინ საშინელი წვიმა მოვიდა.

ჩვენ მთის წვერზე ვიყავით. საილალო გზაზე.

ციოდა.

გზაზე პანტა ვნახეთ. ისეთი ტყბილი იყო, რომ ჭიბები ავივსეთ.

— დათვის უვლია, ხედავთ, კვალი ჩანს, — ამბობს ჩემი გამყოლი.

წაბლი. რამოდენებია, მუშტის სიშხონი. დავედეთ და ავამუშავეთ კბილები.

წვიმა განუწყვეტლად.

მაინც ზემოთ მივდივართ. აუცილებლად უნდა მივალწიოთ იმ კენწეროს, რუკაზე რომაა აღნიშნული.

ჩემი ბალტო თანდათან იელინდება და მძიმდება.

ალარ გაილია გზა.

აი, კიდევ ცოტა და კენწეროზე ვართ.

— ამას იქით ალარ წავალთ, — მუშტები გამყოლებს.

— მაშ, კარგი ცეცხლი დავანთოთ და ტყბილი პურიც ვკამოთ.

ცამდე ავარდა ალი, ვითბობ გვერდებს და თან აბგას გადავყურებთ გამყოლმა ამოალაგა პუბერული დედალი, ყველი და ხელადით ღვინო. გულაზე მოხდენილად დააწყო და მიგვიპატრია.

როგორ მაღიანად ვილუქვებით.

— აბა, ღვინო მიირთვით, რომ მუხლებში ძალა მოგვემატოს.

დავნაყრდით, „ქარი ამოვიღეთ“, გავთბით და თავქვე დავეშვით.

ჩამოვედით „ნათლისმცემლის“ საყდართან და გავედით „რუსის“ გზაზე. მოვდივართ შინისკენ და წვიმა შეუბრალებლად გვიბრაბუნებს ზურგში.

აი, ვატყობ, წყალი ჩამეპარა კისერში.

ქედებს ბოლქვა-ბოლქვა გადებიან ნისლის ქულები.

შინ მიმგება გაჩაღებული მხიარული ბუნარი.

დღეს კი მშენიერი დარია, მზიანი. თბილა. მთელი დღე შინა ვარ. ვმუშაობ.

მართლა, გუშინ ჩემმა გამყოლმა „ნათლისმცემლის“ ეკლესიასთან შემაჩერა და მიამბო:

— ხედავ ამ ქვას, ერთი ძველი გამოცდილი მონადირე მთიდან მოდინებულა და ამ ქვაზე დასასვენებლად ჩამომჯდარა. ჩიბუხს აბოლებდა თურმე. აი, აქედან წამოპარვოდა ლეკი, ნატყვიარს ხედავ, აი, აგერ უსვრია, მაგრამ აუტღენია. მეორეჯერაც ესროლა თურმე, მაგრამ ძველ მონადირეს უცბათ თოფი გადმადლო და მაინც მოუკლა ი ლეკი განა! ი სატიელო, შეხე როგორ დაძგერებია ტყვია.

აქ ლეკები ხშირი სტუმრები არიან.

გარშემო სქელი უძრავი ნისლი დგას და ჩვენი ქოხი რამდენიმე მაღალი ხით, ღრუბლებზე დადგმულ ზღაპრულ კუნძულსა ჰგავს.

მოსაბეზრებელია ეს თელხი კენჭყო.

21 მატომგარი.

1.

დაიწყო გაუთავებელი წვიმა და ჩანლი.

ბილიკებზე ფეხი გვიცურდება. სიცივე ძვლებამდე ატანს და წამდაუწუმ ვბუზღუნებ:

— ერთი, გამოიდარე რაღა...

ღღეს დილით ისეთივე ნისლი და ბურუსია. გადავწყვიტეთ, რომ გამოდარების ცდა არას გვარგებდა და შევეწყვეით აღმართს.

„სარბელი ცერის“ ქედზე უნდა ავიდეთ.

ჭერ მივდივართ ხევ-ხევ. მივდივართ სქელ ნისლში. ათი ნაბიჯის იქით აღარაფერი არა სჩანს.

თითქოს ყველაფერი ატირებულია. ხეებს ფოთლები და წვეთები სცივია. ყველაფერი სველია.

მივდივართ და ჩვენც ნელ-ნელა ვსველდებით.

უზარმაზარი წიფლის ხეები წაუქცევიათ ხევში და ყვარაი აუხდიათ.

ყოველი თხილის ბუჩქის ძირი მოფენილია გაყვითლებული თხილით.

გავლით დავწვდებით ხოლმე თხილს, ვაქნატუნებთ და მივდივართ.

ხანდახან გამყოლი მიძახის:

— მოდი ჩქარა, მოდი, აი, აგერ ხედავ, კალმახი.

რუ მრავალ ალაგას შეგუბებულა. ახლა ცივა და კალმახები მდორე წყალს ეტანებიან.

ავყევით დაკიდულ ფერდს. წამდაუწუმ ცურავს ფეხი.

მივდივართ სულ მაღლა და მაღლა.

უცბათ ძაღლმა ყეფა ატეხა. გამყოლმა მსუბუქად აირბინა აღმართი და თოფი მოიმარჯვა.

ჩვენ ერთ აღგილას შევჩერდით და სული გაეტრუნეთ.

ყეფა ახლა ხევიდან ისმის.

ვიცდით.

ყეფა გადაღმიდან ისმის. ნისლში არაფერი არა ჩანს. რძისფერი სივრცეა მხოლოდ და გგონია, თითქოს ძაღლი ციდან ყეფსო.

... დათვი იყო, კაცო. ვეღარ მივუსწარ, ცერზე გადამასწრო.

ჩვენ ისევ მაღლა მივდივართ.

აღმართი არ იღვია. ...

ბარომეტრს დავხედე. ათას ორას მეტრს აჩვენებს.

ისევ მივდივართ.

— აი ხედავ, შვლის ნაწოლი. აი ასე, ხეს მოეფარება ხოლმე და იქით-აქეთ ხევისაკენ იცქირება. ზევიდან სულ არა აქვს შიში.

— ისეთი კარგი რამეა, როდესაც გარბის, რო...

მივდივართ აღმართზე.

ხანდახან დავწვდებით წიფლის ნაყოფს, რომლითაც აქ მოფენილია ყველაფერი.

— აი, თელა... ავე ბოკვი... ხედავ, ურთხელი... სულ საექსპორტო ტყის მასალაა.

ურთხელი „წითელი ხეა“, რომელიც უძვირფასეს ჯიშს ეკუთვნის.

— აქ „შავი ხეც“ არის, შემდეგ თუ იალალის პირზე მივალთ, გიჩვენებთ, — მეუბნება გამყოლი.

ათას ექვსასი მეტრი. გავედით ქედზე. აქედანაც შეღმართი ვაქვს გასავლელი, მაგრამ ეს რა შეღმართია. ეს ვაკეა, დაახლოებით ისეთი დაქანების, როგორც მამადავითის ქუჩა ტფილისში.

ერთი საათის შემდეგ ფარეხის ყელზე ცეცხლი გავაჩაღეთ, მწვადები ავავეთ და გუდიდან ხელადით ღვინო ამოვაცოცეთ.

2.

გული წაიღო ამ წვიმამ.

ამალამ მელორეებთან მივდივართ. ღორი დაუკლავთ, საამხანაგო საკლავზე გვეპატიყებიან.

„ბნელა ისე, რომ არა ჩანს თითი თვალთან მიტანილი“.

ავანთეთ „ლაშურა“ ფარნები და გავემწკრივეთ მოლიბულ ბილიკზე.

ხანდახან რომელიმეს ფეხი დაუცურდება და ფარანი მაღლა შეყირავდება ხოლმე.

წვიმს განუწყვეტლად.

სიჩუმეა. მარტო მდინარე ხრიალებს ხევში და ყრუდ ხმაურობს წვიმა.

— ჭევეი...

გამოვარდა ბნელი ტყიდან ხმა და

აუფედნენ მურიები, ბოხად, მოწყვეტით.

— აქეთ ფრთხილად გავიაროთ, ღორები არ დავაფრთხოთ.

ფარნების მკრთალ შუქზე გამოჩნდნენ მორებივით მიყრილი სველი ღორები.

შემოგვეგებნენ შინელწამოსხმული მელორენი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ. აბა, ასე მიბრძანდით. — გვასწავლიან გზას კარვისაკენ.

მაღალი, განიერი კარავი დაუდგამთ. დაუფარავთ გვიმრით.

შუაში უზარმაზარი მორები დაუდევთ და ისეთი ცეცხლი გუზგუზებს, რომ ხარის შეწვა შეიძლება შამფურზე.

სხედან მწყემსები. წამოიშალნენ, მოგვესალმნენ.

ცეცხლზე კავით კიღია ძროფართო დიდი ქვაბი. შიგ ხახვჩაყრილი ღორის ხორცი იხრაკება ტყემლით. იქვე კუთხეში შამფურებზე ღორის ხორცს ასხამენ.

გვერდით ღორის თავ-ფეხი მზადდება. გამოაცოცეს სავსე ტიკი და ხელადები აავსეს.

მივლაგ-მოვლაგდით. ზოგი მორზე ჩამოჭდა, ზოგი ქვაბზე, ზოგი გაფენილ შინელზე.

ერთ-ერთმა მწყემსმა ჩანგურს ჩამოჭრა და ლექსები დაამღერა:

ნიკომ რო ომი დაიწყო
ათას ცხრაასთომეტში
საღდათშია წამიყვანეს
ვინტოვკა მომკეს ხელში.
საღდათში რო წამიყვანეს
ვინტოვკა მომკეს ხელში.
ზურგზე შინელი ამკიდეს
ქარი გამიღდა წელში.
ზურგზე ტომარა ამკიდეს
ქარი გამიღდა წელში
სახლში დამრჩა დანიშნული
ჩავეარდი შავბნელ ღლეში.

სახლში დამრჩა დანიშნული
ჩავეარდი შავბნელ ღლეში
გერმანიისკენ გამრეკეს
შემაგდეს ულრან ტყეში.
გერმანიისკენ გამრეკეს
შემაგდეს ულრან ტყეში
ისე ცვიოდა შრანელი
როგორც ქვიშა და ზრეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მღერა შეაწყვეტინეს. ქვაბი ჩამოიღეს. ჯამები ჩახრაკული ღორის ხორცით აავსეს, წინ ჩამოგვილაგეს და შემდეგ კუთხიდან გამოაგორეს წისქვილის ქვასავით უზარმაზარი ხმიადი (ნაცარში გამომცხვარი პური).

სიბნელეში ვერც კი ვარჩევთ, რასა ეკამთ. თითებით მარდად ვიკერთ ჭონში აცურებულ ღორის ხორცის ნაკვრებს და მაღიანად შევექცევით.

დავეწაფეთ ხელადებს.

დატრიალდა სადღეგრძელოები.

ღვინომ და გუზგუზა ცეცხლმა შეგვახურა.

„გარეთ“ წვიმს განუწყვეტლად.

გადმოალაგეს ცხელ-ცხელი აშიშინებული მწვადები შამფურებით.

ისევე აივსო და დიცილა ხელადები.

სქექს მრავალგამიერი.

მსუბუქად და თითქოს რხევით იწვეს ხმა სულ მაღლა და მაღლა.

როგორ ყირაობენ ფარნები! ბნელა. უკუნეთია. წვიმს. ფეხი ცურავს. შეზარხოშებულნი ვბრუნდებით უკან.

— ნელა, ბიჭო!

— ჰაა, ცურაობა არ დაიწყო!

— ცურაობა არა, და ფრენა კი ვისწავლე.

— ბიჭო, მარჯვნივ მანდ, ხრამია.

ტყლაპი გადაყირავდა ერთი და ამოილართხა ტალახში.

ვხარხარებთ.

წაქცეული იგინება და ისევე განვაგრძობთ გზას.

1944 წელი



21 მაისი, მოსკოვი.

თბილისიდან მგზავრობა ძალიან მოსაწყენი იყო. ექვსი დღის განმავლობაში ჭამისა და სმის მეტი არაფერი გავიკეთებია.

ვნახეთ დანგრეული სტალინგრადი. ჩემზე არასოდეს არ მოუხდენია ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება რაიმე სანახაობას. მზიანი დღე იყო და ეს გიგანტური ნანგრევები თავისი შემზარავი მღუმარებით საოცარი შესახედავი იყო.

მოსკოვის სადგურზე შეგვეგებენ მწერლები. ციოდა, კვირტი სრულიად არ დამჩრულა ხეებზე და ჩვენი პალტოები ძალიან გამოგვადგა.

კარგი შეხვედრა მოგვიწყვეს. პირველი საღამო მწერალთა კავშირში შედგა. ლევანი* იყო მომხსენებელი. მეორე საღამო — სვეტებიან დარბაზში. იქ ბესო იყო მომხსენებელი. კარგად ჩატარდა. მწერლებს დაეხალეს სიტყვებით გამოსვლა. პირველი სიტყვა შემხვდა წილად სამხედრო აკადემიაში გამართულ საღამოზე და მოულოდნელად ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე.

8 ივნისი, მოსკოვი.

ეს-ეს არის დაებრუნდი „დინამოს“ სტადიონიდან დალილი-დაქანცული ამ სასაცილო თამაშის ცქერით. ჩვენებს, რომ იტყვიან, იღბალმა არ გაუჭრათ, თამაშობდნენ შესანიშნავად, მაგრამ მე-ყოქეებმა შემთხვევით გარღვევაზე გასვლით გაიტანეს ერთი ბურთი... თუმცა რას გიყვებით, თქვენ ალბათ, ეროსი მანჭგალაძის გრძნობით აღსავსე გადაცემა მოისმინეთ, ასე რომ ამაზე ბურს აღარ მოგწერო. უნდა აღვნიშნო

* ლევან ასათიანი

კიდევ ხუთი თუ ექვსი საღამო გვექნება და დაებრუნდებით კიდევაც, თუმცა მე შეიძლება კიდევ დამჭირდეს დარჩენა კომიტეტში სასცენარო საქმეების გამო. ბოლშაკოვთან* მჭონდა თათბირი და ჩემს მიერ წაყენებული პროექტი მოიწონა.

ყველაზე ცუდად პროზის პროგრამა ჩატარდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, საღამოებზე არც ერთი მწერლის პროზა არ იქნა წაკითხული. ერთი ჩემი მოთხრობა იბეჭდება ეურნალ „სმენაში“. შეიძლება „პრავდასაც“ გადავცე რომელიმე მოთხრობა, თუ მოვასწარი თარგმნა.

ორი ბანკეტი იყო, უთავბოლო, არეულ-დარეული და მეტად მკლე.

ჩვენი მომღერლებიდან ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს დათიკო გამარეკელი.

ბევრი ხალხი იყო მწერალთა კავშირში და სვეტებიან დარბაზში. დანარჩენ საღამოებზე, გარდა სამხედრო აკადემიისა (იქ გავედილი იყო დარბაზი), ძალიან მცირე რაოდენობით ესწრება ხალხი.

1948 წელი

მხოლოდ, რომ არც ერთი გუნდი მოსკოვში არ სარგებლობს ისეთი ავტორიტეტით, როგორც ჩვენი. ესეც საქმეა.

აქ საშინელი სიტუებია. ჩვენი ნომრის ორი სართულით დაბლა, ვერანდაზე არის რესტორანი (მეშვიდე სართულზე) და ჯიზის ჭიჭიჩისაგან ყურები მაქვს გამოქედილი. გუშინ ამ ვერანდაზე ვივარდებოდი გოგლამ და მე, კოლია ტიხონოვთან, კირპოტინთან და ვილაც ლიტველ მწერალ ქალთან ერთად, რო-

* ბოლშაკოვი — კინემატოგრაფიის სახ. კომიტეტის თავმჯდომარე.

მელსაც უცნაური სახელი ჰქვია (თუ ფსევდონიმია, არ ვიცი) მირზა თუ მირცა.

ჩემს სცენარს ახლა სამინისტროში

23 ნომბერი, მოსკოვი.

ეს არის ჩამოფრინდი მოსკოვს სამი დღის ფრენის შემდეგ. ასეთი. სათავგადასავლო ფრენა ჯერ არ მქონია. ჯერ კიდევ თბილისში, აეროდრომზე რომ მიველ, ისეთი ქარი იყო, რომ სულ ხვეტდა ყველაფერს. მერე კიდევ სურამის უღელტეხილისაკენ საშინლად იღრუბლებოდა და ტყვიისფერ მძიმე ღრუბლებს პირდაპირ მიწაზე აფენდა. აეროპორტში არცთუ ბევრი მგზავრი იყო. ბერიტაშვილი მოდიოდა თავისი ცოლით (მხოლოდ სოხუმამდე). ჩავსხედით „დუგლასში“ და გავუღქქით ფრენა-ფრენით გზასა მოსკოვისასა. მალე ისეთ კუნაპეტ ღრუბლებში შევფრინდით, აღარაფერი ჩანდა. ასე ბრმად მივფრინავდით ქუთაისამდე და გზაში თვითმფრინავს მაგრად არყევდა. ქუთაისში თექვსმეტი მგზავრი და უამრავი ბარგი-ბარხანა დაგვიმატეს. პირდაპირ ჩემოდნებზე ისხდა ხალხი და ამ ხალხზე კიდევ ჩემოდნები ელაგა. ასე დატვირთული მანქანა, როგორც იყო, დაიძრა და ნახევარ საათში სოხუმში ვიყავით. აქაც ერთი ყუიჩინისა და ჩხუბის შემდეგ, მართალია, ოთხი მგზავრი მო-

კითხულობენ.

აქ არის ალიკა სამსონია, * სასტუმროში, სწერს სცენარს და მოელის თავის მეუღლეს.

გვაკლდა, მაგრამ რვა დაგვიმატეს და ნახევარი საათის შემდეგ ისევ ავფრინდით. აქედან კრასნოდარამდე ზაფხულის დღე იდგა, მზიანი, კაშკაშა და თბილი. ასე გასინჯეთ, რომ თვითმფრინავში გათბობაც კი გამოვავთიშვინეთ. კრასნოდარში ზოგი მგზავრი მოგვაკლდა, უფრო მეტი მოგვემატა და დავიძარიტო როსტოვისაკენ. აქ ამინდს შედარებით არაუშავდა. როსტოვში გვიტხრეს, რადგან გვიანაა, ხელამდე ვერ ვავფრინდებითო. ღამე აეროპორტის სასტუმროში გავათიე. დილას გამოგვიცხადეს, დღეს მოსკოვი განსაკუთრებული ბრძანების თანახმად, თვითმფრინავებს არ ღებულობსო. მეორე დილას ადრე ჩავსხედით „დუგლასში“ და ორი საათის ბრმა ფრენის შემდეგ, როგორც იქნა, გადავკვეთეთ სამი ათას ხუთასი მეტრის სისქე ღრუბელი. იქედან სულ ღრუბლებს ზემოთ მივფრინავდით და დღის თორმეტ საათზე უკვე მოსკოვის აეროდრომზე დავეშვით. ელვა გამოვაგზავნე და ახლა შალვა მამალაძის ნომერში ვზვივარ და ამ წერილს ვწერ. ხუთი საათია და უკვე ღამეა. თოვლია, სიცივე და მენატრება ჩემს სახლში ყოფნა.

24 ნომბერი, მოსკოვი.

...წუხელ ღამე გავათიე დათიკო როდელთან ვიწრო დივანზე. მაგარი სურდო მაქვს. რაც თბილისიდან წამოვედი, ოთხი ღამეა წესიერად არ მძინებია.

აქ ბევრი ნაცნობი ვნახე, ბენო გორდეზიანი, შალვა მამალაძე, ლეო ქიაჩელი და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ. მთელი თბილისი აქაა. სამინისტროში ხვალ მექნება შეხვედრა ხელმძღვანელებთან და ვნახოთ, რა გამოირკვევა.

მწერალთა კავშირში ვიყავი, მაგრამ

იქ რემონტი მიმდინარეობს და საღებავის სუნის მეტი არავინ შემგებებია. აქ მაგარი ყინვა დაიჭირა. დღის ხუთ საათზე უკვე ღამდება, დაწესებულებებში კი სამსახური შვიდ საათამდეა და შეუჩვეველს ყოველივე ეს რალაც მეუცნაურება.

ლეო ქიაჩელი სასტუმროში ცხოვრობს, მინდოდა მასთან შევეკვლეულიყავი, მაგრამ ორდინარული ნომერი

* ალექსანდრე სამსონია — დრამატურგი.

უჭირავს და იქ დამატებითი ლოგინი არ იდგმება. ლეო თავისი „ჯოტრს მამას“ თარგმანს ასწორებს. შემიკლეს ხელში,

26 ნომერბერი, მოსკოვი.

დღეს მთელი დღე დავრბოდი სამინისტროდან გამომცემლობაში, მერე მწერალთა კავშირში და ახლა, როგორც იქნა, მომეცა საშუალება გულდამშვიდებით დავჯდე საწერად უსტარისა. გამომცემლობაში ველაპარაკე სექციის გამგეს, მითხრა, ეს-ეს არის მივიღე რეცენზია თქვენს წიგნზე და ჯერ არ გავცნობივარო. ამავე დროს, იქ დამხვდა ვიქტორ გოლცევი, რომელმაც გამოთქვა სურვილი დამატებით დაწეროს რეცენზია. მწერალთა კავშირში მიბარებდნენ, რადგან თურმე პლენუმზე ვარ გამოძახებული, თანაც მითხრეს, — აუცილებლად უნდა გამოხვიდე სიტყვით და მოემზადეო. არ ვიცი, როგორ იქნება საქმე. პლენუმი თხუთმეტ დეკემბერს შედგება და მანამდე თუ აქ მომიხდა დარჩენა, გავგიჟდები. თუმცა, ისეთი საკითხები ირჩევა, ამ პლენუმზე დასწრებას მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, როგორც კინოს, ისე ლიტერატურის ხაზით.

აქ ყინავს, ნელ-ნელა თოვს და საერთოდ, მაჭარივით ფუჩხუნა სიცივეა. სურდომ თითქმის გამიარა.

გუშინ ვნახე ექვსი თითო ნაწილიანი სანახაობითი სურათი, უმშვენიერესი რამ იყო. ინდოეთი, სიამი, იაპონია, ალ-

27 ნომერბერი.

დღეს ცოტა გვიან ავდექი და ხუთ საათამდე არც ვავალ ვარეთ, რადგან თურმე გრიპმა კიდევ არ გამიარა და წუხელ თავს ცუდად ვგრძნობდი. ხუთ საათზე სამინისტროში უნდა წავიდე, ბოლშაკოვმა უნდა მიმიღოს. დღეს თოვს და ყინავს. თოთხმეტი გრადუსია. ავტომანქანებს უკვე სათბურები ჩააცვეს და ტროლეიბუსის ფანჯრებზე ში-

მდენი შესწორებები შემატანესო. ხვალ ან ზეგ „საბჭოთა მწერალში“ მივალ და ვნახოთ, რას იტყვიან.

ქირი, სტამბული, საბერძნეთი თავისი პართენონით — პირდაპირ მომიხილავი იყო (ყველა ფერადი, ცხადია). ვამაოცა იაპონიის ყვავილებმა და ქალეზის მორთულობამ.

გუშინვე ბება თუმანიშვილის მიწვევით მე და დათიკო რონდელი წავედით მის თეატრში და ვნახეთ ოპერეტა „ღამურა“. დიდად არ მოვსულვარ ალტაცებაში. დადგმა კარგი იყო, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვეულებრივი, ისე როგორც ამას აკეთებს და გააკეთებს ყველა, პროფესიონალურად და დიდი გემოვნებით. მაგრამ ამ სპექტაკლში მე ვერ დავინახე ის ნაპერწყალი, რომელიც მუდამ ახლდა კოტე მარჯანიშვილის დადგმებს და უნდა გითხრა, რომ ეს მინდოდა დამენახა. მე თუმანიშვილი მიმაჩნია ერთ-ერთ უშესანიშნავეს რეჟისორად და ჩემთვის ყოველთვის სასიხარულოა ქართველი კაცის გამარჯვება ამ დიდ თეატრალურ ცენტრში. სხვათაშორის, აქ გაუმართავთ მარჯანიშვილის ხსოვნის საღამო. დათიკო დასწრებია და პირდაპირ ვაგიჟებული იყო, ახლა ვავიგე როგორ აფასებენ აქ მარჯანიშვილსო, ეს რუსი ბუმბერაზი მსახიობები გამოდიოდნენ და ცრემლმორეულნი იგონებდნენ იმ ქადოქარ კოტეს, რომელმაც გვაგრძნობინა სასცენო ხელოვნების უმაღლესი განცდაო.

გნიდან ყინვის მოჭარგული ფარდები დაეკიდა.

აქ ძალიან გვიან თენდება და ადრე ღამდება. დღეც ისეთი ბნელია და მოსაწყენი, რომ თუ კაცს საქმე არა გაქვს, გული ვაგიწყალდება. მანდ უამრავი საქმე მაქვს, აქ კი ფაქტიურად არაფერს ვაკეთებ. მართალია, სცენარებს ვკითხულობ („სამგორი“ ფილიმონოვის მიერ გადაკეთებული, შკლოვსკის სცენარი და სხვა), მაგრამ ამათგან ხომ ისე მაქვს

გაბეზრებული თავი, ვერაფრით გული ვერ დავუღე. ვკითხულობ გვერდს, ფიქრები გამიტაცებს და გვერდი ისევ თავიდან უნდა ვიკითხო.

ეს ბარათი დამთავრებული არ მქონდა, რომ ბოლშეაკოვთან გავემზავრე.

29 ნომბერი, მოსკოვი.

გუშინ, ე. ი. კვირას მთელი დღე შინ ვიყავი, გარეთ არ გავსულვარ. ნაშუადღევს ჩემთან შეიკრიბნენ ყველა ჩვენი კინოსტუდიელები მიხეილ ჭიაურელის მეთაურობით და აგრეთვე ლეო ქიაჩელი. ვიშუსაფიქტ. ვიცინეთ, ჭიაურელის ამბავი ხომ იცი. შემდეგ ლეო ქიაჩელმა სადილად მიმიწვია თავის ნომერში და კარგადაც გამიმასპინძლდა. ჩავუჭექით მერე ჰადრაკს და კარგა ხანს ვიბრძოდით.

შაბათს ვნახე ბება თუმანიშვილის მეორე დადგმა «Беспокойное мое счастье», რომელიც წარმოადგენს ინსცენირებას სურათისა „თქმულება ციმბირის მიწაზე“. ეს დადგმა სურათსაც ჯობია და იმ პირველ დადგმასაც („ლამურას“). ძალზე კარგად გაუკეთებია სპექტაკლი და აქ უფრო მეტი ორიგინალური გამოგონებანი დაეინახე რეჟისორისა. შაბათს სამინისტროში მიიხარეს, რომ მალე ეკრანებზე გამოუშვებენ საუკეთესო ფილმებს. სინანულით ამბობდნენ, თავიდანვე შევეცდით, რომ ცუდი უცხოური სურათები გავუშვით ეკრანებზე, ხალხი დავაშინეთ და კინო-

30 ნომბერი, მოსკოვი.

დღეს დილით მივიღე კვესელავას* დეპეშა, სცენარი „საკენი“ გამოუგზავნია ავიაფოსტით და წარადგინე სამინისტროში. ამგვარად დამაბა მოსკოვში და ასე გამოდის, რომ თხუთმეტამდე ვეღარ წამოვსულვარ.

* მიხეილ კვესელავა — იმხანად კინოსტუდიის დირექტორი.

მიმილო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი საუბარი მხოლოდ ხუთ წუთს მიმდინარეობდა. საიდანაც დაურეკეს, სასწრაფოდ გამოიძახეს და იძულებულნი გავხდით საუბარი დაგვემთავრებინა.

ებს ალარაფინ ეკრებამო. უშვებენ ერთ სურათს გარი პილის მონაწილეობით, არაჩვეულებრივი რამაა თურმე. მალე გამოვა, აგრეთვე, სურათი რემბრანდტის ცხოვრებიდან.

ამ საღამოს გავისტუმრე დათიკო რონდელი და დავრჩი ნომერში მარტო. დავურეკე ლეო ქიაჩელს, მითხრა, ცოტას წაეძინებ და შემდეგ ჩამოდი, ჩაი დავლიოთ და ჰადრაკი ვითამაშოთო.

სხვათაშორის, ბოლშეაკოვმა გააუქმა ტიხონოვთან დადებული ხელშეკრულება. გუშინ ველაპარაკე ტელეფონით ტიხონოვს, ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. ვუთხარი, ცდა არ დავაკელიოთ, ჯერ ჭიაურელი ელაპარაკა, მერე რონდელი და შემდეგ მე მეთქი, არცერთის თხოვნამ არ გაქრა. ახლა სხვა ავტორი უნდა მოვიძებნო, მეტი გზა არ არის.

დღეს დათიკო რომ მიდიოდა, უნდა გენახათ იმისი სიხარული და ჩემი გულისწყვეტა. ვებუმრებოდი, შე უსვინდისო, ესტაფეტა მე გადმომეცი და ახლა შენ მიდიხარ მეთქი. ასე გამოდის. ეგ ხომ ორთვენახევარს იჭდა აქ და მითხრა, მართალია, სცენარს ვწერდი, მაგრამ კინალამ გავგიჟდიო.

დღეს „საბკოთა მწერალში“ კირიანოვს* უნდა შეეხვედროდი, მაგრამ მითხრეს არ მოვაო. ასე რომ, ხვალ უნდა ვცადო, იქნებ დავიჭირო სამსახურში. ერთი სიტყვით, აქ ძალიან სასწრაფოდ საქმეები კიდევაც რომ გქონდეს, ნუ იფიქრებ, რომ მათ სასწრაფოდ გადასწყვეტ.

წუხელ მე და ლეომ სასტიკად ვიკა-

* ს. კირიანოვი — გამომცემლობის დირექტორის მოადგილე.

დრაკეთ. ეგაა, რომ ძალიან ვცდილობ-
დი წამეგო და სულ ვიგებდი.

დღეს, როგორც იქნა, მივბრუნე ერთ
ოსტატს, რომელსაც კჭონდა ნამდვილი
პარკერის კალამი. მითხრა: ვი ზნეიტე
ეტო კაკაია ლუჩკა, ეტო იზკლუჩიტელ-

1 დეკემბერი, მოსკოვი.

აქ ახალი არაფერია, გარდა იმისა,
რომ ველოდები სანოვის* სცენარს,
რათა მაშინვე წარვადგინო სამინისტრო-
ში: კირიანოვი ვერც დღეს ვნახე, სამ-
სახურში არ მოსულა. ვერ გავიგე, რა
მოუვიდა.

სამინისტროდან დაებრუნდი და ნო-
მერში ბაიუშვივით ვარ. კიდევ კარგი,
რომ რადიო მაქვს, ავუსუვებ და ვაყაყა-
ნებ. დღეს ვნახე გრიშა ჩაჩკოვსკი, ჩა-
მოსულა პროექტებით და ნომერს ეძე-
ბდა. ახლახან დამირეკა ქუჯი ძიძიშვი-
ლმა, ლენინგრადიდან ჩამოსულა.

2 დეკემბერი, მოსკოვი.

დღეს, როგორც იქნა, მოვიდა კირი-
ანოვი, მაგრამ სამაგიეროდ წავიდა იარ-
ცევი და ვერაფერი ვერ გავარკვიე. ზვა-
ლიდან კაცველანი მიდიან კიევში უკ-
რაინის მწერალთა კავშირის ყრილობა-
ზე, რომელიც ექვს რიცხვში იხსნება
და დაბრუნდებიან არა უადრეს ათი-
თორმეტი რიცხვისა. მითხრეს, მაშინ
მოვილაპარაკოთ, მანამდე გოლცევიც
მოიტანს თავის რეცენზიას და მთა-
რგმნელების ხელშეკრულებასაც მაშინ
გავაფორმებთო.

დღეს ამინდმა გამაოცა, სრულიად
მოიწმინდა, ორი თუ სამი გრადუსი
იყო სითბო, კაშკაშა მზემ ჩვენი თბი-
ლისი მომაგონა. ეგაა, რომ მზე ძალიან
აღრე ჩადის, ოთხ საათზე უკვე ბინდ-

ნაია ლუჩკა, ა პელო ია ვამ დალომ დე-
ლიათ. კარგი „დარომაა“¹ ასმანუთიანი
მივეცი.

მე და ლეო სულ ჰადრაკის თამაშში
ვატარებთ დროს. გუშინ კი ჰადრაკიც
მოგვებზრდა და კორიკანობას მოგვე-
ვით.

დღეს საღამოს ლეო საღლაც გამეზა-
რა და ნომერში, მარტოდ მარტო ვარ.
ერთხანს სერგი ჰილაიას ვემუხაიფე
ტელეფონით.

დამირეკა უკრაინის გაზეთ „კომუნის-
ტის“ კორესპონდენტმა, სოცარია, სა-
იდან მოძებნიან ზოლმე ადამიანს, უკ-
რაინის მწერალთა ყრილობის გამოს მო-
სკოვში მყოფმა ქართველმა მწერლებ-
მა მისასალმებელი წერილი დაწერე-
თო. ლეო გუშინ შინ ვერ უნახავს და
მე მეცა. უნდა დაწვერო, მეტი რა გზაა.

საღამოს ჩემთან მოვიდა სერგი ჰი-
ლაია, დიდხანს ვიმუსაიფეთ, აქეთური
იქითური.

დება. ამავე დროს, რადიოთი ვისმენ,
რომ ჩრდილო კავკასიაში ტემპერატუ-
რა მინუს თხუთმეტ გრადუსს უდრის,
სოხუმში — მინუს ერთს და ერევანში
— მინუს ათსო. ეს ზამთარი აქედან
მანდ ხომ არ გადმოსახლებულა?

ამ წუთში დამირეკა ლეომ. ნერვებ-
აშლილია. ეს თავისი რომანი იმდენი
ასწორებინეს, იმდენი შენიშვნები მის-
ცეს ხან ერთმა რედაქტორმა, ხან მეო-
რემ, ხან მესამემ, რომ ტარაბუა დაახ-
ვიეს. ბოლოს, როგორც იქნა, გაასწო-
რა და დღეს წავიდა მთავარ რედაქტო-
რთან, რათა მთლიანად გამზადებული
მისალა უკვე გაეგზავნათ ასაწყობად.
მაგრამ მთავარმა რედაქტორმა უთხრა,
ძალიან ბოდიშს ვიხდით, პირველი ნა-
ხევარი რომანისა უკვე უნდა დაგვებე-
ჭდა ნომერშიო, მაგრამ ვერ გავუშვებთ,
სანამ ამ ნაწარმოებს კიდევ ვილაც არ
წაიკითხავსო. ლეო დადის ახლა თავის
ნომერში გაოგნებული, აღარც ჰადრა-
კის თამაში ისურვა, თუმცა მანამდე

* სანოვი — ნიკოლოზ სანიშვილი. რევი-
სორი.

დილიდან მოსვენებას არ მაძლევდა, აბა, დღევანდელ მატჩზე როგორ ხარო.

წამოველ ისევ ჩემს ნომერში და ჩავუჯექ ამ ბარათის წერას. თქვენ რომ გამოკდილი გქონდეთ, რას ნიშნავს სასტუმროში მართობა, ეს სპეციფიური ნესტიანი, მყრალი ჰაერი, რომელიც ზაფხულში იმდენად არ იგრძნობა, მაშინ სრულიად არ გაგიკვირდებათ, თუ რატომ მოიკლა თავი ესენინმა სწორედ სასტუმროში. ახლა ჩემთვის უფრო გასაგებია ო. ჰენრის და სხვა ცნობილ

მწერლების მოთხრობები, სადაც უბეტეს შემთხვევაში აღწერილი უფრო მეკვლელობები უმთავრესად მასტრუმოს როს ოთახებში ხდება.

ვიყიდე ალმანახი „ფილოსოფიის საკითხები“, სადაც მოთავსებულია წერილი ფრანგულ ეგზისტენციალიზმზე და გარჩეულია უმთავრესად გაბრიელ მარსელის ეგრეთწოდებული განწირულთა ფილოსოფია — ქრისტიანული ეგზისტენციალიზმი. ეს მარსელი დრამატურგია. ვაი, ქალაქი უკვე გამოთავდა?

4 დეკემბერი, მოსკოვი.

დღეს მომივიდა სცენარი „საკენი“. ველაპარაკე აგრეთვე ჰიაურელს. ლეო ქიჩელი დღეს ცოტა ნუგეშინად დაბრუნდა რედაქციიდან, — მითხრეს, შენი ნაწარმოები უკვე გავგზავნეთ შესამოწმებლად და პასუხს ველოდებითო. მერე ჩავუჯექით და ღამის თორმეტ საათამდე ვთამაშობდით ჰადრასკს.

უკუის ტკივილები მაწუხებს და ალბათ ესაა, რომ ჩემს ცუდ განწყობილებას კიდევ აათეკებს. ამინდი კვლავ კარგია, ჩამავალმა მზემ გამოიკუიტა, სასტუმროს დერეფანში შემოანათა და მთელი ეს გვირაბის მსგავსი გრძელი დერეფანი თავიდან ბოლომდე გაშუქებული იყო ჰორიზონტალური სხივებით.

მე და ლეოს გვინდოდა კინოს სახლში წასვლა, მაგრამ მერე გადავიფიქრეთ. მალე ეკრანებზე გამოუშვებენ „ინდოეთის აკლამას“ ახლად გადაღებულს და „ვივა ვილიას“. ამ ვივაზე გამახსენდა, ვნახე ირაკლი ანდრონიკოვი, მითხრა, მივდივარ სადღაც კალუგაში

თუ ვოლოგდაშიო, აღარ მახსოვს. რა უჭირს, დადის, კითხულობს თავის იმპროვიზირებულ მოთხრობებს. არხეინი კაცია. ლერმონტოვედია, მაგრამ რაღა უნდა გამოარკვიოს კიდევ ლერმონტოვის შესახებ, აღარ ვიცი.

ერთ ეურნალში წავიკითხე წერილი ახალ ხუმებტრიან (დიამებტრიო) ტელესკოპზე და საერთოდ ვარსკვლავთმრიცხველობაზე. პირდაპირ გამაბრუა მსოფლიოს სიდიდემ, აგებულებამ და ამ ასტრონომიულმა ციფრებმა. ორი წელიწადი აკეთებდნენ და რანდავდნენ თურმე ამ ტელესკოპის სარკეს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რა ხდება ერთ მილიარდ სინათლის წლის სიშორეზე. (სინათლის წელი, ხომ იცი, ეს ის მანძილია, რასაც სინათლე ერთ წელიწადში გაივლის. ზოლო, როგორც მოგხსენებათ, სინათლის სისწრაფე სექუნდში უდრის... — აბა, რას უდრის, მანანამ გითხრას). უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი ფანტასტიური რამეა ეს ასტრონომია. პირდაპირ გაგაპესიმიტებს კაცს.

7 დეკემბერი, მოსკოვი.

წუხელ ღამის სამ საათზე დამირეკა ერასტი ხაჩიძე.* მითხრა, შენი ოჯახობა იყო ჩემთან და შეგვაშინა ხალხი,

* ერასტი ხაჩიძე — კინოსტუდიის დირექტორის მოადგილე.

აკაკი ავად არის, აქ კიდევ ფული არა გვაქვსო. მკითხა, როგორა ხარო. მე ვუთხარი, ავადაც ვარ, და აბა ჩქარა ფული, მოგვიტანდე, შეგვასმიდე, ეგებ ცოტა მოგჭობინდე მეთქი. მითხრა, ყოველგვარ ზომას მივიღებო. მერე საჭმეებზე ვილაპარაკეთ და ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. მივიღე სიმონის დეპე-

შე ელვა, — მოხსენება დაამზადე და მოსკოვიდან არ წამოხვიდო. ერთი სიტყვით, კვესელავამ და სიმონმა დამაბეს აქ და ეგ არის.

ვაშაზაღებ მოხსენებას, მეტი რა ჩარაა. ვზივარ და ვმუშაობ. დღეს დიღას ლეოსთან ვიყავი, თავი სტკიოდა და მითხრა, მგონია სიკვდილს ვაპირებ და, თუ ძმა ხარ, დამწვით და ისე წამიღეთ თბილისშიო. განწყობილების გამოკეთება თუ გინდა, ამასთან უნდა ისაუბრო. შეიძლება ლეო ჩემთან შემოსახლდეს ნომერში, რადგან იქ უკვე ვადა გაუვიდა და ხვალიდან ორმაგი უნდა იხადოს. მაგრამ თუ ამან ასე ბებრულად იწუწუნა, გარეთ გავაგდებ. თუმცა ხანდახან ისეთი გემრიელი სიცილი იცის, მასთან საუბარს არა სჯობია რა.

დღეს მთელი დღე სამინისტროში ვიყავი, ვინახულე მთავარსამმართველოს უფროსი, მერე მინისტრის მოად-

უთარაილო

ორი დღეა მოსკოვში წვიმს და ჩვენებური შემოდგომა მახსენდება. გუშინ სამინისტროში ვიყავი იქ დამიხვდა აშხაბადის კინოსტუდიის დირექტორი, რომელიც რაღაც სასწაულოთ ცოცხალი გადარჩენილა და მთელი ორი საათის განმავლობაში გვიამბობდა საშინელ ამბებს, რაც იმ ქალაქს დაატყდა თავს. თვითონ, როგორც კი გაუგონია რაღაც შორეული გრავინვა, მაშინვე წამოვადრინილა ფეხზე და არაჩვეულებრივი ნაბიჯებით გაქცეულა კარებისაკენ. ერთი ნაბიჯი რომ დამრჩა კარამდე, უკვე დავინახე როგორ წავიდა ერთი კედელი იქით, მეორე — აქეთ და ჰერი ძირს დაეშვაო, კიდევაც გავედი გარეთ და კიდევაც წამოვიდა კედელი და ერთ წუთში უკუნეთში ჩავეშვიო. გრძობაზე მაღე მოსულა, რადგან, მართალია პირში ავური ჰქონოდა ჩაჩრილი, ტანზე კედელი აწვა, მაგრამ რაღაც სასწაულოთ თავხეები დატანებოდა ამ

გილე და კვლავ გაურკვეველი უშედეგო საუბარი გვქონდა. ეს როგორაა, ის როგორაა, ამ სცენარს ვეცდებით ხელი შევეწყუთ, იმ სცენარს განვიხილავთ, და შემდეგ: როგორ ფიქრობთ, რა ეშველება სასცენარო საქმეებსო. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, из этого в порожнее ან კიდევ ქართულად — წყალსა ვნაყავთ. ასე იქნება ალბათ პლენუმზედაც. ვნახე ეორა მდივანი, მითხრა რომელიღაც სტუდიას სცენარს ვუწერო.

დღეს მე და ლეო წავედით უნივერსიტეტში. მე ნემსი და ძაფი მინდოდა, პალტოზე და პიჯაკზე ლილების დასამაგრებლად. მაგრამ ვერსად ნემსი ვერ ვიშოვე საყიდლად. ავტომანქანები რამდენიც გინდა, იმდენია არჩევით, შეგიძლია მთელი დუქანი იყიდო, ხოლო ნემსი კი არ არის. ერთ ადგილას მახათებს მივაგენით და მე და ლეომ კარგახანს ვიხითხითეთ.

კედლის ნამსხვრევებს და შეესუსტებინა დაწოლა. ავტებზე ყვირილი, ვიღაც ცოცხალი გადარჩენილა, ისიც დაქვეითი იყო, მაგრამ მეცა და ამოთხრა დამიწყოო. საათნახევარი ეწვალა და, როგორც იყო, ამომათრია ნამსხვრევებიდანო. ერთ-ერთი მისი თანამშრომელი კი, რომელსაც თურმე ვერანდაზე ეძინა და იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ ბაღში გადამხტარიყო, კიბისკენ გაქცეულა, ცხადია, ვერ მოუსწრია გასვლა და ჭერ ერთი კედელი დაკეცია, მერე მეორე და მესამე. რამდენიმე წუთში მთელი ქალაქი ნანგრევებს წარმოადგენდა და იმაზე საშინელი არა იყო რა, რომ შეიქმნა ნანგრევებში მოყოლილთა (ცხადია, ვინც ცოცხალი გადარჩა) კვილი და ძახილი, გვიშველეთო. საშინელება იყო, თურმე. ერთი მამა გაფაციცებით თხრიდა ნანგრევებს, რადგან შვილის ძახილი ესმოდა. გაგიყვით თხრიდა თურმე საწყალი, მიადწია კიდევაც, მაგრამ შვილი უკვე გაგუღუღლი დახვდა. მეორე დღეს კიდევ უფრო

საშინელება იყო, ომაგაშლილი შეშლილი ქალების კივილი და დემონური კისკისო.

იღვა ეს კაცი და გვიამბობდა ვინ როგორ დაიღუპა, და ხან ერთზე იტყუოდა, ის შე დავმარბეო, ხან მეორეზე. დღეში ასი თვითმფრინავი მოდიოდა, მოჰყავდა ექიმები, მოჰქონდა მედიკამენტები, საკვები. მოიყვანეს ჭარის ნაწილები და მთელ ამ დაქვეულ ქალაქიდან არა თუ დაღუპულები ამოთხარეს, არამედ ბევრი ცოცხლებიც ამოიყვანესო.

ერთი მთავარი ბუხბალტერი იყო ჩვენს „გლავეში“, გვარად სოროკინი, მშვენიერი ადამიანი. საწყალი, მივლი-

8 დეკემბერი, მოსკოვი.

დღეს მხოლოდ სამ საათზე გამოველვარეთ და სამინისტროში ვიყავი. დიდიდან მოხსენებას ვაშუშავებდი. დამიჩრევეს „ოგონიოკის“ რედაქციიდან, საახალწლო ნომრისათვის ხომ არაფერს დასწერ და ძალიან გვიინდა, რომ სულ ასი სტრიქონი მაინც დაგვიწეროთ საქართველოზეო. ძალიან ვიუარო, ასე თათარიანხად რა უნდა დავწერო. არ მეშვებიათ. მგონია, რომ ვერ დავწერ, თუმცა არ იყო ურიგო რაიმე გამეკეთებინა. იქნებ, შე და ლეომ დავწეროთ ერთად. დღეს ველოდები ფულს, რომელსაც შემპირდა ერასტი ხაჩიძე, მაგრამ არაფერი ჩანს.

გუშინ მე და ლეო ვიყავით კინოს სახლში. ვნახეთ სურათი „მიჩურინი“, ფერადი, დოვენკოს დადგმა. ძლივს გავძელით ორთავემ ბოლომდე და ლეო სულ ბუზღუნებდა, რა მინდოდა აქ რომ მოვდიოდით, სახლში ვმჭადარიყავ, არ მერჩიოა?! სურათს არა უშავს რა, თუმცა მასებს არ მოეწონებათ. დრამატული სიტუაცია ძალზე სუსტია, ან უკეთ რომ ვთქვათ, იმდენად უხეიროდაა მოფიქრებული, რომ ინტერესს არ აღვიძებს მაყურებელში. ფე-

ნებაში გავზავნეს აშხაბადში. მატარებლით არ წავიდა, თვითმფრინავით უფრო მალე ჩავალო, ჩავიდა და კიდევაც დაიღუპა. მისი ცოლი ყვებოდა თურმე, ასე უცნაურად შემფოთებული ჩემი ქმარი არ მინახავსო. ყოველდღე წერილებს წერდა ცოლს, და დეპეშებს დეპეშებზე გზავნიდა, თითქოს წინათგრძნობდა, რომ რალაც საშინელება უნდა დატეხოდა თავზეო.

ეს რომ მიამბეს, გუნებაზე ვერ დავდექი. თუმცა მისტიკოსი არა ვარ. ეს ოხერი, ჩემი აღსასრულიც ხომ არ მოახლოებულია, ასე მწვავედ რომ განვიცდი სახლიდან მოშორებას? ეშმაკმა იცის, რას გაიგებ ამ წუთისოფლის ასავალ-დასავალს.

რები კი მართლა შესანიშნავია, და ეს რუსული პეიზაჟები, წლის სხვადასხვა დრო, გაზაფხულის აყვავილება, შემოდგომის მწიფე ნაყოფის მრავალფეროვნება, ფოთლის ცვენა, ყოველივე ეს შესანიშნავია და მომაქადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სამინისტროში სანოვის სცენარს კითხულობენ და შეიძლება კიდევაც დაამტკიცონ.

სამინისტროში ვნახე სერიოზა ერმოლინსკი.* საქმეები ბევრი აქვს, მუშაობს და კარგ გუნებაზეც არის. შინ მეპატიებოდა სადილად, მაგრამ არ წავედი. ვნახე, აგრეთვე, პ. ლ. რომელმაც ჯერ კიდევ თბილისში ამიშალა ნერვები და ახლა აქ მიშლის. დღეს ძლივს მოვიგლიჯე თავიდან. ჩამაცივდა, გინდა თუ არა, ჩემს პიესაზე შენი გვარიც მოვაწეროთ და საქართველოში აუცილებლად მიიღებენო. მე ვუთხარი, შენი პიესა სადაც გინდა, იქ მიიღებინე, და მე თავი დამანებე მეთქი. ამ კინემატოგრაფიის სადა ჰყავს შინც ამდენი დამთხვეული, მიკვირს. ზვალ მინდა მწერალთა კავშირში შევიარო და გავიგო როდის დაიწყებენ თავის მოყრას მოსკოვში პლენუმზე მოწვეულები.

* ს. ერმოლინსკი — სცენარისტი.

10 დეკემბერი, მოსკოვი.

აქეთ ახალი არაფერია. სიმონ ჩიქოვანი, როგორც ეტყობა, არ აპირებს ჩამოსვლას პლენუმზე. დილით ლეონ დეპეშა მიჩვენა, დადიანს აცნობე, დრამა-

13 დეკემბერი, მოსკოვი.

შესანიშნავი მზიანი ამინდია. თორმეტი გრადუსი ყინვაა და ყველაფერი გაფიჩხებულია ცივი მკვადივით. მთელი დღე შინ ვიყავი და ვმუშაობდი. ამ დილით კი გოლცევის დავურეკე. რეცენზია უნდა დაეწერა ჩემს წიგნზე. დავურეკე, მაგრამ თავზედი ვიწყველე. რეცენზია კი დაუწერია, მაგრამ ზუსტად საათ-ნახევარი შემიკლა ხელში ლაპარაკით. მოჰყვა ათას რამეს. მერე მითხრა, მეტად გულნატკენი ვარ, რომ საქართველოში ერთხელაც არ გამიხსენეს და არავითარი ჭილდო არ მომცესო. ძალიან გულდაწყვეტილია, ამდენს ვმუშაობ ქართულ მწერლობისა-

16 დეკემბერი, მოსკოვი.

პლენუმი უკვე დაიწყო, დღეს გრძელდებოდა. მე მხოლოდ გორბატოვის მოხსენება მოვისმინე ყაზახეთის ლიტერატურაზე და შემდეგ წავედი სამინისტროში, რადგან იქ საქმეები მქონდა. სალამოს სხდომაზედაც არ მინდა წასვლა, რადგან ჩემი მოხსენება არ დამიმთავრებია, იქ კი ამ სალამოს კამათი იქნება სომხეთის, ლატვიის და

19 დეკემბერი, მოსკოვი.

დღეს, ე. ი. კვირას (19 დეკემბერს) დილის სხდომაზე გამოვედი სიტყვით კინემატოგრაფიის საკითხებზე და ჩემთვის სრულიად მოულოდნელი შთაბეჭდილება მოვახდინე. რამდენჯერმე სიტყვა ტაშით შემაწყვეტინეს. განსაკუ-

ტურგიის საკითხებზე გამოვიდეს პლენუმზე, რადგან ჩვენ ვერ ჩამოვდევართო. დეპეშას ხელს აწერენ ჩიქოვანი და გომიაშვილი. პლენუმი, ალბათ, სამ დღეზე მეტს არ გაგრძელდება.

თვის და არავის არ ვახსოვარ. გრიშაშვილს სომხეთმა დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა და ნუთუ შენაკლები ყურადღების ღირსი ვარო.

ახლა დამირეკა ალექსანდრა ჭაფარიძემ. მოსკოვში იმყოფება, ძალიან დაინტერესებულია „უშბის“ პრობლემათ, უნდა რომ ეს სცენარი დაიწეროს. ცხადია, ორი ძმა შესწირა მთებს და მესმის მაგისი გულსიტკივილი.

ვიყავი მწერალთა კავშირში. უკვე ჩამოდიან სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები. დაახლოებით, ას ორმოცდაათი კაცი უნდა მოვიდეს. დერეფნებში ყოველ ენაზე გაიგონებ ლაპარაკს. განსაკუთრებით, ნამდვილი ბაბილონის გოდოლია ეროვნებათა სექტორის ოთახი.

ყაზახეთის ლიტერატურაზე. შემდეგ იქნება მოხსენება დრამატურგიაზე (ხელო დილას ან სალამოს) და მხოლოდ ამის შემდეგ — მოხსენება კინოდრამატურგიაზე. ეგ, ალბათ, ზეგ დაიწყება. მანამდე მე ჩემს სიტყვას ვავრანდავ, გავასალაშინებ და ვეცდები ვიყო ლაკონიური, მაგრამ საინტერესო.

გუშინწინ ჩემთან შეიკრიბნენ ჰიაურელი, ჭიაჩელი, აფხაზი მწერლები და ერთი ხორბოცი ვეჭონდა.

თრებით კმაყოფილი დარჩნენ ჩვენები.

გუშინ შალვა დადიანმა ილაპარაკა დრამატურგიის საკითხებზე. მე არ დავსწრებივარ (ვერ მივუსწარი). მითხრეს, კარგი გამოსვლა იყო. ხელო კი-აურელი აპირებს გამოსვლას, რადგან რამდენიმე ნაწყენმა რეჟისორმა „შემომოტია“.

1949 წელი

13 იანვარი, მოსკოვი.

გუშინ ჩამოფრინდი მოსკოვს. დილით, სახლიდან რომ წამოველ აეროდრომისაკენ, ირიერაფა. სამგორის გამწვანებულ ზეგანზე ცა თანდათან გათეთრდა, თითქოს მაშინ ვიგრძენი, რამდენად უსაზღვრო და უნაპიროა ეს უზარმაზარი პაერის ოკეანე.

აერობორტში იდგა გასაფრენად გამზადებული „ილ“-ი. გამეზარდა, რადგან ეს სწრაფი თვითმფრინავია და ერთ დღეში აუცილებლად ჩავიყვანს მეთქი მოსკოვს, მით უმეტეს, რომ ჩვენი პილოტი იყო ერთ-ერთი ცნობილი მფრინავი ძუეტოვი, რომელმაც ერთხელ კიდევაც ჩამიყვანა მოსკოვს და ისიც ექვს საათში. მალე პირველი უსიამოვნება გამოირკვა: თვითმფრინავი საბარგო აღმოჩნდა, უნებლიეთ ცივი, ალუმინის თევზების მსგავსი დასაჯლომებით. რას ვიზამდი, უკან ხომ არ დავბრუნდებოდი. გაფრინდი. ამინდი იდეალური იყო და არხეინად მივდიოდით. ჩვენთან ერთად მოფრინავდნენ ქართველი ბიჭები, ერთი ათიოდე მფრინავიც, ატეხეს ერთი სიმღერა, ტაში, ცეკვა. შეუმჩნევლად მივუახლოვდით ქუთაისს. თვითმფრინავმა დასაჯლომად აღიწყო დაშვება, მაგრამ უცხად კუდი აიჭნია და ისევ ზევით წავიდა მოტორების ღრიალ-ღრიალით. მფრინავები როგორღაც აფუსფუსდნენ, ფანჯრებს მივარდნენ, იჭყიტებიან და ერთმანეთს რაღაცას ჩასჩურჩულებენ ყურში. ჩვენთან ერთად მოდიოდა აერობორტის უფროსი. დაფეთებული შევარდა პილოტის კაბინაში. ამასობაში თვითმფრინავი ისევ დატრიალდა აეროდრომის თავზე, კიდევ სცადა დაშვება, მაგრამ კვლავ ავარდა ჩვენი საპაერო ხომალდი მალა. მივხვდი, რომ ბორბლები არ გამოდიოდა გარეთ და ამიტომ არ შეეძლო დაჯლომა. მგზავრებმა არაფერი არ იციან, მფრინავებს კი ფერი წაუვიდათ და პირმოკუმულნი გაკირკიტებენ ბორბლებს. ისევ დატრიალდა და მფრინავმა კიდევ მალა ატყორცნა თავისი მანქანა, თითქოს ძალით იჭნებ გამოებერტყა გარეთ ეს ბორბლები. კვლავ ზუზუნებენ პროპელერები და კვლავ ვტრიალებთ ქვიტირის თავზე. ბოლოს ისე მძლავრად აისროლა მალა მანქანა მფრინავმა, ფეხზე რომ ვიდექი, ლამის იატაკზე მიმასრისა. ვხედავ, მფრინავებმა სული მოიტქვეს. გამოვიდნენ ბორბლები და დავეშვით აეროდრომზე. რადიოთი აცნობეს თბილისს და იქედან ამ თვითმფრინავის გაფრენა აკრძალეს. გამოგვიგზავნეს მეორე მანქანა. სანამ ახალი ეკიბაეი ბინებიდან გამოიძახეს, სანამ ის თბილისიდან მოფრინდა, უკვე ორი საათი შეიქნა. ჩავსხედით ახალ მანქანაში.

ერთი საოცრება მოხდა. ჩვენი ძველი მანქანა იქვე იდგა აეროდრომის ნაპირას მოწყენილი და უცხად, თითქოს მუხლები მოკვეთოდეს, გამოუსხლტა ბორბლების საბჯენები და ბრაზგანი მოადინა ძირს, თანვე ფრთები მიეჭყლიტა და კინაღამ ქვეშ, მოიყოლა ერთი ათიოდე ცნობისმოყვარე, მათ შორის ჩვენი ახალი მანქანის პილოტი, რომელიც ბეწვზე გადარჩა და წამოიძახა თურმე: «Ох, эти Ил-ы доведут нас до могилы».

იმ დღეს ადღერს იქით არ გაგვიშვეს. მეორე დილას კრასნოდარამდე მივხედით. იქ დავვაყენეს და გვითბრეს, მოსკოვი არ გლებულობთო. ამასობაში თბილისიდან მოფრინდა ახალი „ილ“-ი, რბილი, რომელსაც, როგორც ეტყობა, პაერში ცეცხლი გასჩენოდა და ბოლით ისე იყო შემურული, თითქოს უღვაშები გადაეგრიბოს. ვხედავ, შიგ ალიო მაშაშვილი ზის. მაშინვე გადავსხედით ამ თვითმფრინავში, მალე მოსკოვმაც მოგვცა ნებათვია. ამ მანქანაში კი მართლა დავისვენე. ხარკოვში არ დავმგდარვართ, ხუთის ნახევარზე უკვე მოსკოვის აეროდრომზე ვიყავით.

15,16 იანვარი, მოსკოვი.

დღიდანვე შევეუდექი გადაბეჭდილი მასალის კითხვას. მერე ჩემთან, როგორც ყოველთვის, შეიკრიბა მთელი კოლონია. შებინდებამდე ჟერ საქმეებზე ვლაპარაკობდით, მერე ოხუნჯობანი დაიწყო და კარგა გვიან დაიშალნენ. ასე რომ, ჩემს საქმეს შინც მომაცდინეს. მაშინვე ჩავეუჭეკი მასალას და ახლა იმით ვისვენებ, რომ თქვენ ბარათს გწერთ.

19 იანვარი, მოსკოვი.

ეს ორი-სამი დღეა გადაბეჭდილი მასალის სწორებას მოვუხდით. გუშინ, როგორც იქნა, დავეკავშირდი ტელეფონით ბოროდინს.* დღეს სალამოს მოვა ჩემთან სასტუმროში და მოვილაპარაკებთ. მითხრა, სიამოვნებით მოგვიღებ შენს წიგნს ხელსო.

გუშინწინ ჩამოვიდა სიკო დოლიძე-სალამოს შევიკრიბეთ მთელი „კოლონია“. მოვიდა, ცხადია, მიშა ჭიაურელი და თავისი მხატვრული ოხუნჯობით ბევრი გვაციანა.

სხვათაშორის, მიშა კვესელავას მოუვიდა პირველად ისეთივე „ხანდრა“, დეკემბერში მე რომ დამემართა. მითხრა, ვავგიჟდები, ეს რა მომდისო. ვანუეყეშე, მეც აგრე ვიყავი, მაგრამ შევეჩვიე მეთქი. იქნებ თვითმფრინავის ვიბრაციის შემდგომი გავლენაა. სად-

20 იანვარი, მოსკოვი.

დღეს მივიღე ლეო ქიაჩელის დებეშა, მითხვს, რომ მივმართო ქურნალ „ხანამიას“ რედაქტორს კოევენციოვს, რათა ოცი ეგზემპლარი ანაბეჭდი გადასცენ საპრემიო კომიტეტს. რა თქმა უნდა, მივმართავ.

დღეს სამინისტროში ვიყავი. ის რე-

* ბოროდინი — გამომცემლობის რედაქტორი

ხეალ უნდა გადავეცე ჩემი სცენარი გლავეის რედაქტორს დიაკოვს, რომელმაც დასცენა უნდა დასწეროს.

ალიო მაშაშვილს მისცეს ცალკე ნომერი და ჩემთან ისევ გრიშა ჩიქოვანი შემოსახლდა.

ენახე ილია თავაძე. ბევრი ვიმუსაიფეთ ქართულ მწერლობაზე, გამაკვირვა თავისი გამკრიახობით. კარგა ხანს ესაუბრობდით. ახლა მას, მგონი, რომელიღაც აღმოსავლურ ქვეყანაში ნიშნავენ წარმომადგენლად.

დაც წავიკითხე, რომ ულტრახმები საოცარ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიაზე. თურმე ადამიანს განწირულობის გრძნობა იპყრობს. იქნებ, სწორედ ამისი ბრალია. მიშამაც ხომ თვითმფრინავით იმეზავრა. მაშინ რატომ სიკო დოლიძეც არ შეიპყრო ამ გრძნობამ, ახლა რომ არხეინადა და არაფერი არ აწუხებს?

აქეთ საკმაოდ თბილი ზამთარია, ყინვა რვა გრადუსს არ აღემატება. თურმე მოელიან დიდ ყინვებს და როგორც სინობტიკოსები ამბობენ ორმოცი გრადუსი იქნებაო.

ჩემთან იყო გიორგი ლორთქიფანიძე, მოიყვანა ლიტერატურული გაზეთის თანამშრომელი, რომელმაც მითხრა ჩვენი გაზეთისთვის აუცილებლად სტატია უნდა დაწერო. მე სტატიისათვის სადა მცალია. მაგრამ აქ ისე იციან ჩაციება, არ მოგეშვებიან.

დაქტორი, რომელსაც უნდა წავიკითხა ჩემი სცენარი, გადაიყვანეს მწერალთა კავშირში და ახალ რედაქტორს ნიშნავენ, მგონი მანვიჩის. დღეს სამინისტროში უნდა შეგხედროდით სემიონოვს. შევიკრიბეთ სანოვი, გულია, კვესელავა და მე. არ მიგვიღო, საქმე მაქვსო და სადღაც წავიდა. კვესელავა ძალიან ვაჯავრდა. ორშაბათს თბილისში ვბრუნდებო, ისევ შენ მოუარე, როგორც გინდა, ამ საქმეებს და მე აქ გამჩერებელი არა ვარო, მითხრა. რას ვაკეთებ

აქო. მე ვუთხარი, — დაიცა, მეც აგრე ვბტოდი და გულზე ვსკდებოდი, რომ მოვლიოდი ყოველდღე აქ და საქმეს ერთი სანტიმეტრითაც წინ ვერ ვწევდი მეტაქი. სიკო დოლიძე კი არხეინად არის, არაფერი არ აწუხებს და არც აღელვებს. მეც, უნდა მოგახსენო, რომ მას ვებაძე, (თუ ის მებაძავს, არ ვიცი). ნათქვამია, აჩქარებითა სოფელი არავის მოუტამიაო. მაგრამ ეს კია, რომ აქაურ დაწესებულებებში არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ხალხი შორიდანა ჩამოსული, რომ აქ ყოველი დღე დარჩენა მათ ძვირად უღირთ. ყურსა ბამბისასა. ამავე დროს, სასაცილო ისაა, რომ კინემატოგრაფიის სამინისტროში აკრძალულია სხვა ქალაქიდან

23 იანვარი, მოსკოვი.

ეს ორი დღე უქმე გადაება ერთმანეთს. მე, თუმცა, საქმე ბლომადა მაქვს, მაგრამ მუშაობას არ მაცლიან. ან ჩემთან იკრიბებიან ყველანი, ან მიშა კვესელავა არ მაყენებს, აქ წამოდი, იქ წამოდიო. თვითონაც წამოუღია სარეცენზიოდ ვილაც მეცნიერის სადისერტაციო შრომა, რომელსაც ვერ გადააბიჯებ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სულ ოცი გვერდი თუ წაიკითხა და დღეს კიაურელი იცინოდა, თუ ასე სწრაფად იკითხე, იქნებ ეს წიგნი ამ ხუთწლეულში როგორმე დაამთავროო.

გუშინ მთელი დღე, ღამის თორმეტ საათამდე, პირდაპირ თავები კინალამ დაგვისკდა სცენარ „სამგორზე“ ქაქან-კიკუინით. ისეთი ორომტრიალი, არეგდარევა და ვაიუშველებელია ამ სცენარის გარშემო, ვერ წარმოიდგენ.

გუშინ სიკო დოლიძესთან ვიყავით, წამოწოლილია ყვინივით (შეუძლოდ არის).

დღეს ძალიან მინდოდა მხატვის ფილიალში წასვლა, მიდის „ავუიაობის სკოლა“, ამბობენ საოცარი რამააო. მაგრამ ბილეთი ვერ ვიშოვე. დღეს მაგარი ყინვაა, ცა მოწმენდილია.

ფული მივიღე. მემანქანეები გავის-

ათ დღეზე მეტი ხნით მოვლინება მოსკოვს. თუ ამაზე მეტ დროს დარჩი, მაშინ აფით მინისტრის ან მისი მოადგილის საგანგებო ნებართვაა საჭირო. არც ერთი კი არ ფიქრობს იმაზე, რომ ოდნავ მაინც დააჩქაროს მივლინებით მოსული ხალხის საქმე.

ამ წუთში დამირეკა ბოროდინმა, მოვლივარო. მობრძანდი მეტაქი.

ბოროდინი მოვიდა, მოვილაპარაკეთ, თანახმაა იმუშაოს ამ ნაწარმოებზე. ბესოს უთხარი, ხელშეკრულება გაამზადოს ბოროდინთან და ეს ხელშეკრულება სასწრაფოდ უნდა გამომიგზავნო.

საუბრის შემდეგ ვივახშმეთ, მერე აიბუეთან წავედით და იქ ღამის ორ საათამდე ვლაქლაქებდით.

ტუმრე. მერე წავედი, პალტოები ვათვალიერე. არც ერთი არ მომეწონა... მერე ვიფიქრე, მოდი საბუქდ მანქანას ვიყიდი მეტაქი.

როგორც იქნა, მოვათავე ჩემი წიგნების გადაბეჭდვა და გასწორება. ამის მიზეზი იყო, რომ წერილი დაგიგვიანეთ. დილიდან სალამომდე (თუ კვესელავა მაცლიდა, რადგან ქორივით თავზე მადგა და სული ამომხადა სცენარების გარჩევითა და განხილვებით), ვიჯექი და გასწორებდი გადაბეჭდილ მასალას. შემდეგ შევკინძე და ორი ეგზემლარი გამომცემლობას ჩავაბარე. გუშინ გამომცემლობაში ვიყავი და კირიანოვთან მქონდა საუბარი. ბოროდინის სასტიკი წინააღმდეგნი არიან. როგორც ვატყობ, სხვა ვინმე უნდა მოვძებნო. ისე იმაზე შეგჩერდები, ვისაც თვითონ მიჩრევენ, თორემ მაგათი კაპრიზების თავი არა მაქვს. ახლა ჩემს წიგნს გადასცემენ სარეცენზიოდ ვ. გოლცევს, შემდეგ კიდევ ვინმეს, (იქნებ შკლოვსკის) და ხელშეკრულებას კი არ ვიცი, როდის გააფორმებენ. ჩემი წიგნი სარეზერვო გეგმაშია.

დღეს დილით ველაპარაკე გოლცევს, ხელში შემიკლა. ტელეფონის მიღმა ყურის ბიბილო მომაცვითა. შენი დიდი

პატივისცემის გამო ვკიდებ ხელს სარეცენზიოდ შენს წიგნს, თორემ საქმეებს არ ვიცი როგორ გავართვა თავიო. ეგ

30 იანვარი, მოსკოვი.

დღეს დილით მე და გრიშა წავედით ტიხონოვთან. გზად ლეინო ვიყიდეთ. ტიხონოვს კი სუფრა გავშალა და ფრიად გემრიელი საუზმით გავკვიმასპინძლდა. მის ბინას ფართო ფანჯრები აქვს აივნით. მოუჩვევიათ მტრედები, რომელთაც ყოველ დღე უყრიან საკენკს. მოსამსახურემ ჩვენს თვალწინ დაუყარა მათ რაღაც ქატონმაგვარი ცომი და უნდა გენახათ ამ მტრედების მხიარულება. მათ შემდეგ ბელურები მოვლენო, გვითხრა ტიხონოვმა და პირდაპირ აგვიკლებენ, თუ არ ვაკამეთო, ხოლო საღამოს ორი ყვავიცი მოვა და ცხადია, იმათაც უნდა ვარგოთ რამეო. ისეთი შესანიშნავი კატა ჰყოლია ტიხონოვს, მე მაგისი მსგავსი ლამაზი ცხოველი არ მინახავს. დიდი (ციმბირული ჯიშისაა), დიჩვი, საოცრად ზარმაცი. ტიხონოვმა სთქვა, ბელურა დაიჭირა, ისიც სრულიად შემთხვევით, პირიდან გამოვაცალეთ, საგსებით უვნებელი იყო ის პატარა ფრინველი და მშვენივრად გაფრინდაო, ეს კატა კი, ცხადია, სულაც არ ფიქრო-

31 იანვარი, მოსკოვი.

ხედა საართულის ნომრიდან გამოასახლეის კინოსტუდიელნი, რომელნიც თავინათი ჩემოდნებით და ბარგი-ბარხანით, ერთის ალიაქოთით ჩვენს ოთახში შემობარგდნენ. აქაო და ხარჯთაღრიცხვა უნდა შევადგინოთო, მაგიდებს დაეუფლენ და სული არ მოგვათქმევინეს. მერე მე სამინისტროში წავედი და დღის ექვს საათამდე იქ ვიყავ. იქედან წაველ სასცენარო სტუდიაში, რომელიც მწერალთა კავშირის პირდაპირაა კინოთეატრის შენობაში (ალბათ ვახსოვთ ის კინო), იქედან კი მწერალთა კლუბში შევედით, სადაც ვნახე ვიქტორ

ახლა «Дружба народов»-ის რედაქტორად დანიშნეს და წასაკითხი მასალა ალბათ მართლა ბევრი აქვს.

ბლა იმ საცოდავი ბელურის შექმმას და გაცეხული იყო, ალბათ, ეს რა მომივიდა, ბელურა დავიჭირეო.

ტიხონოვმა შემომჩვილა, იმდენი მასალა მაქვს წასაკითხი და არ ვიცი რა ვქნაო. მერე ფადევეიც საღლაც მიემგზავრება და კავშირის მთელი საქმეები მე დამაწვება თავზეო.

გუშინ სიკო დოლიძესთან ვიყავი და შინ რომ დავბრუნდი, დამიხდნენ მერი ნაკაშიძე თავისი ქმრით, ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მერი აქ კვალიფიკაციას იმალებს და აგვიხსნა, თუ როგორ უვიცად მღერიან თურმე თბილისში ჩვენი მომღერლები ჩვენივე დირიჟორების უვიცობის გამო.

გუშინ კვესელავა და კიაურელი იყვნენ ბოლშეაკოვთან. კვესელავა ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა, რადგან თითქმის ყველა საქმე მოვაგვარეო.

ტიხონოვთან ყოფნის შემდეგ მთელი დღე შინა ვართ და სანოვის სცენარს ვარჩევთ. ამოვიდა სული, ამდენი ლაქლაქი ალბათ გამათავებს, რამდენი ვარიანტი უნდა წავიკითხო?

გოლცევი. გუშინ ტიხონოვი იყო ჩემთან და მითხრა, რომ იარცევი მოხსნილია დირექტორობიდან, ორი წელიწადია მაგ არამზადას ვებრძვი და როგორც იქნა, გააგდეს ამ გამომცემლობიდანო. ვინ იქნება ახალი დირექტორი არ ვიცი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ჩემი საქმე კვლავ წარმოუდგენლად კიაურდება. ხვალ უნდა მივიდე გამომცემლობაში და ვნახოთ, რას მეტყვიან.

გუშინ ტიხონოვი დიდხანს მიამბობდა ერთ მის მიერ აღმოჩენილ პოეტ ქალზე, რომელიც აქაური ანა კალანდაძეა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს მგოსანესა საკმაოდ ხნიერია და ლექსების გარდა, მოთხრობების წერაც დაუწყია

და ახლა რომანსაც წერს თუ დაუწერია კიდევ. აქ ყოველმხრივ ხელს უწყობენ ადამიანს ასეთ შემთხვევაში, ჩვენში კი ისე შეეშინდათ ანა კალანდაძის სენსაციური პოპულარობისა, რომ საბრალო გოგონა კიდევაც დაამუშავეს ერთ-ერთ პლენუმზე.

I თემატრვალი, მოსკოვი.

დღეს აქ დაიწყო ნამდვილი ზამთარი. მთელი დღე თოვს, ქარია და ისეთი კორიანტელი ტრიალებს, რომ თვალში გამოხედვა შეუძლებელია. ვიყავი სამინისტროში, შემდეგ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“. მითხრეს, თქვენ დააჩქარებინეთ გოლცევეს, რომ სწრაფად წაიკითხოს თქვენი წიგნიო. ხუთ თებერვალს დაბრუნდება გამომცემლობის მთავარი რედაქტორი და მაშინ მობრძანდითო. შევეცადე მთარგმნელთა ჰონორარი გამომერკვია, მაგრამ ოცდასამ თებერვლამდე არაფერი არ იქნება და მაშინ კი გადაუგზავნით თბილისშიო. სიმონ ჩიქოვანის ხელშეკრულებას ამ დღეებში გავგზავნიეთო.

ვაპირებდი საკავშირო ლიტფონდში წასვლას, მაგრამ გავიგე, რომ კონსტანტინოვი იქ არ იყო, და წავედი „ზნამიას“ რედაქციაში. მთავარი რედაქტორი ვერ ვნახე, მაგრამ რედაქციის მდივანმა მითხრა, როგორც ვიცი, ამ ნაწარმოებს დაებეჭდავთ, მხოლოდ მეორე ან მესამე ნომერშიო (ლეო ქიაჩელზე გწერთ), ჩვენ დეპეშაც კი გავუგზავნეთ ქიაჩელს ამის შესახებო.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომეწყინა აქ და როგორ მენატრება შინ დაბრუნება. სანამ სამუშაო მჭონდა, კიდევ არაფერი. ახლა სცენარების კითხვის მეტი საქმე არა მაქვს და ერთადერთი გართობა ჩემთვის — ამ წერილების წერაა. რა თქმა უნდა, ბარათების წერაც თავისებური ხელოვნებაა და ახლა კიდევ მეტად ვაფასებ ფლობერსა და გრიგოლ ორბელიანს, რომელთაც მთე-

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემთან იყო „ოგონიოკის“ თანამშრომელი და შეადგინა წერილი განყოფილებიანთვის „წიგნები და ავტორები“ (არის ასეთი განყოფილება ჟურნალში), თანაც სურათი გადამიღო. დღეს დამირეკა, წერილი უკვე გავამზადე და ხვალ წავაკითხებო. ვნახოთ ერთი, რა დასწერა.

ლი ტომები აქვთ დაწერილი უსტარბარათებისა.

ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი კოსმოპოლიტ კრიტიკოსების წინააღმდეგ. გუშინ ლიტგაზეთიდან დამირეკეს, არიქა, სტატია გვჭირდება საქართველოში თეატრალური კრიტიკის შესახებ და დაგვიწერეთო. მე ვუთხარი, საქართველოში თეატრის დადგმებზე და პიესებზე რეცენზიებს წერენ ბესო ჟღენტი, შალვა აფხაიძე, ერემო ქარელიშვილი და დიმიტრი ჯანელიძე, უდიდესი პატრიოტი ხალხი და მაგათი კოსმოპოლიტიზმი ვის გაუგია მეთქი, გარდა ამისა, მე არაერთარი კავშირი არა მაქვს თეატრალურ ხელოვნებასთან, უმეტესობა დადგმებისა არც კი მინახავს და რა შუაში ვარ მეთქი. აქ კიდევ ერთი სომეხი პოეტია, გურგენ ბორიანი, იმისთვისაც უტაცნიათ ხელი, აბა გვიშველე, სომხეთის დრამატურგიის კრიტიკაზე დაგვიწერე რამეო. იმას უთქვამს, თქვენ შარზე ხომ არა ხართ, მე რა შუაში ვარ, ამ საკითხებს თავისი სპეციალისტები ჰყავს და იმათ მიმართეთო. დღეს უნდა წავსულიყავი ლიტგაზეთის რედაქციაში, მაგრამ აუტანელი ქარბუქის გამო, გადავწყვიტე გარეთ არ გავიდე. მით უმეტეს, რომ თვითონაც არ მირეკავენ. ალბათ მიხვდნენ, რომ მართლაც არა ვარ ამ საკითხების სპეციალისტი. თუ გინდათ, კინმატოგრაფიის საკითხებზე, დაგიწერო მეთქი. არარ, — ჯერ ასე მითხრეს, მერე მითხრეს — დასწერე, მხოლოდ ისე, რომ უფრო მეტი თეატრალურ დრამატურგიაზე იყოსო. ვითომ ჰკუთთ მატყუებენ.

2 თეზისი, მოსაოვი.

დღეს დილიდან სამინისტროში წვედით ყველანი გარდა სიკო დოლიძისა, რომელსაც კვლავ თირკმელების შეტევა ჰქონდა და ლოგინადა ჩავარდნილი. სამინისტროში შემავიანდა და იქვე ვნახე ჟორა მდივანი, რომელსაც უნახავს კონსტანტინოვი და ულაპარაკია ალიოს შესახებ.

კვესელავა ხვალ მოდის თბილისში და დიდი დღის შემდეგ მოვრიგდით, რომ თორმეტ რიცხვში წამოვალ თბილისში, თუკი ამ დრომდე ფილიმონოვმა დაამთავრა სცენარზე მუშაობა. შემდეგ ალბათ, მარტის შუა რიცხვებში კვლავ მომიხდება აქეთ წამოსვლა. მანამდე იქნებ ჩემი წიგნის რეცენზიებიც მზად იყოს.

სამინისტროში საქმეების მოგვარების შემდეგ მე და კვესელავა „არაგვში“ გეახელით და იმ მაგიდის ახლოს დაესხედით, ჩვენ რომ ზაფხულში ვუსხედით. გარეთ ისეთი მაგარი ყინვა იყო, რომ სასტუმრომდე სულ ვაფიჩხებულები მივიდოდით. კვესელავა ამბობდა: უპ, რა შესანიშნავი ამინდია, ამას რა ჯობიაო. მართლაც, რა ჯობია, როდესაც ოცი გრადუსი ყინვაა, თან

3 თეზისი, მოსაოვი.

დილით კვლავ სამინისტროში ვიყავი, შემდეგ — მწერალთა კავშირში, სასცენარო სტუდიაში და ისევ მწერალთა კავშირში. იქედან ისევ სამინისტროში დავბრუნდი. კავშირში მინდოდა ვაზეთები მენახა. „კომუნისტი“ მივლოთ, მაგრამ გოგი ლომიძეს მოესწრო და წაიღო, ხოლო „ზარია“ ჯერ არ მოსულა. სამინისტროში კვლავ ჩვენს საქმეებს დავდედით და კარგა დაგვიგვიანდა. იქედან მე და კვესელავა ისევ „არაგვს“ ვესტუმრეთ, თანაც ას-ასი გრამი არაყი ვხუხეთ (იციოთ რა, მეტისმეტად ჰყინავს და გვეპატიება) და ოდნავ შემთბარებმა სასტუმროსაკენ მო-

ქარია, რომელიც ბასრ დანასავით გისერავს სახეს და თვალბინში გამოხედავს არ შევიძლია.

სიმონის სიტყვა ყრილობაზე მთლიანად იქნება დაბეჭდილი ლიტერატურულ გაზეთში. ძალიან მაინტერესებს, ალბათ მოვახერხებ წავიკითხო, ან მწერალთა კავშირში ექნებათ ან ჩვენს წარმომადგენლობაში. ლეოს ველოდები. ხვალ ვეტყვი მწერალთა კავშირში და ნომერს დავუჭავსნით.

შევიძინე პოლ სკარონის „კომიკური რომანი“, აკადემიის გამოცემა და ბოროდინის „დამიტრი დონსკოი“. წიგნები აქ ბლომად მოიპოვება, განსაკუთრებით მწერალთა კავშირის ბუკინისტურ მაღაზიაში, მაგრამ შიშით ვერ შევდივარ, ვიცი, რომ თუ კარგი წიგნი ვნახე, სული წამძღვეს და ვიყიდი, ხოლო აქ სულიერი საზრდოს ამარა, როგორც მოგეხსენებათ, ასეთ ზამთარში შეუძლებელია.

დამთავრდა სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრთა არჩევნები. არ აურჩევიათ არც ერთი ჩვენი მხატვარი, რომელიც წარმოდგენილი იყვნენ (საკმაოდ ბლომად). ვერაა სასიამოვნო მოვლენა. ჩვენი მხატვრები არც თუ ისე ცუდნი არიან.

ვუსვით. ისეთი მწვავე ქარი და ყინვაა, რომ კვესელავა დღეს უკვე აღარ ამბობდა უპ, რა კარგი ამინდიაო, მოხრილი მირბოდა სასტუმროსაკენ.

ჩემს ოთახში კვლავ ხარჯთაღრიცხვას ამუშავებენ და მთელი მაგიდები, საწოლები მოფენილია ციფრებით აჭრელებული ქაღალდებით. მიშა ახლა სიკოსთან ერთად ცხოვრობს ნომერში და იქ წავიდა.

სხვათაშორის, ვიყიდე სამართებლები და აგრეთვე ნემსები. მართლა, როგორ იქნება ქართულად „შტოპა“? კემსვა თუ ბლანდვა? მე მგონია, ბლანდვა უნდა იყოს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ბლანდვა იგივეა, რაც დასავლეთ საქართველოში ლამბვა. მე კი

ვეიქრობ, რომ უმჯობესია ბლანდვა შტოპკას ნიშნავდეს, ხოლო ლამბევი იმას... (რა ჰქვია რუსულად ლამბევი?)

4 თებერვალი, მოსკოვი.

მთელი დღე ისეთი ორომტრიალი იყო დილიდანვე, რომ ახლაც თავბრუ მეხვევა. რადგანაც კვესელავა მოდიოდა, ყველა საკითხი ერთად უნდა მოგვარებულიყო. იქ სამინისტროში სცენარი „საკენი“ იყო შესათანხმებელი და დასკვნა დასაწერი, აქ ფილიმონოვს უნდა წაეკითხა დამუშავებული მასალა, ცალკე მთელი რიგი განყოფილებები უნდა დაგვევლო, ქვემოთ კიდევ, საქმეთა მმართველთან, მივლინების გაგრძელება უნდა გაგვეფორმებია, რაც აქ არც ისე ადვილი საქმეა და მთელ პროცედურას საჭიროებს. კვესელავას უთხრეს, თუ თვითონ არ შეხვედით მთავარსამმართველოს უფროსთან, ისე არ

5 თებერვალი, მოსკოვი.

დღეს ჩამოვიდა ლეო ქიაჩელი და ნომერში მეწვია დილითვე თავისი რძლით და შევილიშვილით. ნომერი ჯერ ვერ იშოვა, ჩემოდანი ჩემთან დასტოვა და მაშინვე რედაქციისკენ მოუსვა.

შემდეგ სამინისტროში ვიყავი მინისტრის მოადგილესთან კვლავ სცენარების საკითხების გამო. სასტუმროში შედარებით ადრე დავბრუნდი. ლეოს ველოდები. ამასობაში მოვიდნენ მერი ნაკაშიძე თავისი ქმრით. თბილისში ამანათს აგზავნიან და ერთი კვირაა, წამსვლელს ეძებენ. საუბარი გავაბით...

სიკო დოლიძეს მეუღლე ჩამოუვიდა.

7 თებერვალი, მოსკოვი.

დღეს დილით ადრე მწერალთა კავშირში წავედით მე და ლეო. იქ გაზეთი დავტოვე გოლცევისათვის გადასაცე-

„პროშეკა“ თუ „პროსტროჩკა“, არ ვიცი და ისე ვატყობ, რომ მართლაც ვიბლანდე ამ ტერმინების დადგენაში!

გაგიგრძელებენ მივლინებას და არ შეგიშემებენ სამივლინებო მოწმობასო. გაჯაერებულმა დახია ქალაღი, სულ არ მინდა თქვენი მივლინებაო. შემდეგ ერთი საათ-ნახევარი რედაქტორებთან გექონდა ჩხუბი და ჰაჰყანი, საბოლოოდ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივედით და ამგვარად ისევ ჩემი თავსაცემი გახდა ამ „საკენის“ საკითხი. მაგრამ თუ ფილიმონოვმა 10-12 რიცხვისათვის მოათავა სცენარი, — როგორც დამპირდა, — მაშინ მეც შემეძლება მოქუქსლო თბილისისაკენ.

წუხელ ათი წუთი ველაპარაკე ხაჩიძეს და ვეყაყანე ფულს რად არ აგზავნი მეტქი. შემპირდა, გამოგიგზავნიო და თვალთ კი ვერაფერს ვხედავ.

ვინახულე. გამიმასპინძლდა ზვანქარიო. სიკოს დღეს სასტიკად მწვავე შეტევები ჰქონდა თირკმელებისა.

შესაძლებლია მოვახერხო დრეზდენის გალერეის დათვალიერება. სიკო შემპირდა, თუ მანამდე მოკეთდა, ცხადია.

ლეომ ნომერი ვერ იშოვა და დამის გასათვებად თავისი ცოლის ნათესაებებთან წავიდა. რედაქციაში ანუგეშეს, მალე დავბეჭდავთო. კარგად მოიქცა, რომ ჩამოვიდა.

ხვალ დილას დაეურეკავ გოლცევს, მაგრამ შემეკლავს ხელში, ერთი საათი არ მოედლოიხება მილს. შკლოვსკიმ მითხრა, ურჩიე, მე მომცენ სარეცენზიოთო, იქნებ იმასაც მისცენ, კარგი იქნება.

მად. მერე მე და ლეომ კავშირის სასაღილოში ვისაუბრეთ და იქედან გავუღეჭით მე — „სოვეტსკი პისატელში“, ლეო კი — „ზნამიას“ რედაქციაში. „სოვეტსკი პისატელში“ კირიანოვი არ

იყო, ვნახე იარცევი. ჭერ, ალბათ, ერთ თვეს კიდევ დარჩება თავის თანამდებობაზე. უღუტს არ იტებს, ხითხითებს და გარეგნულად კარგ გუნებაზეა. მთავარი რედაქტორი ტარასენკოვი დაბრუნდა, მაგრამ ჭერ მასთან არ მილაპარაკია. ერთი ვილაც ტინგიცა ბიჭია და გული დაგწყდება ადამიანს, რომ ამისთანათა ხელშია შენი წიგნის ბედი.

იქედან სამინისტროში წავედი, სცენარი უნდა მიმეტანა და შინ ადრე, დაახლოებით ოთხ საათზე დავბრუნდი. მალე ლეოც მოვიდა. ახლა ქვემოდაა, ელის სასტუმროს ნომრის მიღებას. ორი ღამე სადღაც ცოლის ნათესავებთან გაათია, დავიტანჯეო მითხრა.

8 თებერვალი, მოსკოვი.

დღეს მივიღე შენს მიერ გამოგზავნილი ფული. კინოსტუდიიდან კი არაფერი არ მიმიღია. უსვინდისონი, დღეში 26 მანეთს იძლევიან და იმასაც კი არ გზავნიან.

გუშინ სალამოს მიხეილ კიაურელი და ტიხონოვი იყვნენ ჩემთან, იყო აგრეთვე, ლეოც.

გოლცევს დავურეკე. ავად გამხდარა გრიპით და ძლივს ქსინტავდა. ამან გადამარჩინა მასთან გაქიანურებულ საუბარს და მხოლოდ ხუთიოდე წუთი ველაპარაკე. მითხრა, მიქირს, მაგრამ მაინც ვკითხულობო, ოცდათვრამეტი გრადუსი მაქვს სიცხეო.

ლიტერატურული გაზეთი კვლავ ჩამციებია, გინდა თუ არა, თეატრალურ კრიტიკაზე და მანდაურ პიესებზე დაწერე რამეო. იქ პასინკოვია ლიტერა-

9 თებერვალი, მოსკოვი.

ისე მომენტარა ჩემს სახლში ყოფნა, მინდა ჩემს მაგიდას მივუჯდე და ვიმუშაო. ამ სცენარებზე ლაქლაქმა ტვინი გამოამილაყა.

დღეს გამოამცემლობაში ვიყავი. ვერ არიან მინცდამაინც გუნებაზე, ლიტ-

ამ წუთში მოვიდა ლეო. ნომერი მიუღია, ძალზე კმაყოფილია. ახლა ჩემთან ზის და ნაცნობებს ურეკავს.

სიკო, როგორც იქნა წამოდგა ფეხზე და დღეს პირველად გავიდა ქუჩაში. დიეტურ გასტრონომიულ მალაზიაში წავიდა. მე ვუთხარი, ბლამანეც იყიდე აუცილებლად მეთქი. ჩვენ კი ერთი რალაც პატარა სასადილო გავსწავლეს, სადაც ყირიმული ჩებურეკები მოაქვთ. წავდილით, ვისადილეთ. მაგრამ ასეთ სადილს მალე უნდა ვახშამი.

ახლა დამირეკა კიაურელმა. ამ საღამოს ჩვენთან მოვა. აქ ყოფილა მიკოლა ბაეანი, სასტუმრო „მოსკოვში“. ვურეკე, შინ არ იყო.

ტურული განყოფილების გამგე (მგონი, ნაციონალური სექციის) და პირდაპირ სული ამომართვა. მე ვუთხარი, საქართველოში თეატრში იშვიათად დავდივარ, ეს წერილები არ წამიკითხავს და მე რისი დამწერი ვარ მეთქი.

ალიო მაშაშვილი გუშინ წამოვიდა საქართველოში.

ეს ორი დღე მოსკოვში კრიალა ცა და კაშაქა მზეა, მაგრამ უინავს, 25 გრადუსია, თანჯრის მინებზე სქელი ყინულია გადაკრული.

გუშინ მთელი დღე ცუდად ვგრძობდი თავს. დილით ათ საათზე გამომიძახეს სამინისტროში, სასწრაფოდ მოდიო. ძლივს წავფრატუნდი. იქედან სასტუმროში კიაურელმა მომიყვანა მანქანით, თუმცა თავს უკეთ ვგრძობდი. ტივილები ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემს საერთო განწყობილებაზე.

გაზეთში უზარმაზარი წერილია მათი მუშაობის შესახებ და აქიაკებენ. იქედან სამინისტროში წავედი, ცოტა საქმე მქონდა და მერე მწერალთა კავშირში. იქ ვნახე კოჩეტკოვი და ბოროდინი, რომელიც სამი კვირით ყაზახსტანში მიდის და მითხრა, მანამდე სარედაქციო საბჭო შენი წიგნის საკითხს

გამოარკვევს და მერე მოვილაპარაკოთ. იქედან ლეოს დაევურეკე სასტუმროში. ლეომ მითხრა, ფატი თვალთვაძე* ჩამოვიდა, ჩემთანაა, და მოდი, შენი ნახვა უნდაო. დავბრუნდი სასტუმროში. ფატიმ მითხრა, თქვენთან ვიყავი, შენი ცოლ-შვილი ძალიან მომეწონა, ყავა დავლიეთ და ბევრი ვისაუბრე-

10 თებერვალი, მოსკოვი.

თქვენი მორჩილი მონა და მოკირნახულე მრავალ მოკითხვას მოგახსენებს. მერმე თქვენი უსტარი კარგა ხანია არ მიგვიღია, რაიცა ფრიალ დამწუხრებულსა გვხდის ამა ქალაქსა მოსკოვს და კმუნვასა გვიათეცებს. ხოლო ქალაქი ესე არს ფრიალ მოსაწყენი, მიუხედავად იმისა, რომ ლეოსთან კვლავ განვაახლეთ მღერა კადრაკისა. დღეს დილით ფატმანმა დაგვირეკა სალაპარაკოთა მილითა, რაიცა მუნებურად იწოდების ტელეფონად და გვაუწყა რომ იგი შეუძლოდ არს და ვერ გამოვა საპაქტოდ საქმეთა თვისთა იარცევთან. ხოლო ჩვენ მივმართეთ ბიჯნი ჩვენნი სამინისტროსა და მუნ მთელი დღე დავაღამე. მოლოდინში მთავარსამმართველოს უფროსისა სემიონოვისა ხილვისა. იგი დაგვირგვინდა დიდი-სა დროის გასვლის შემდეგ და მე მხოლოდ ვინახულე ამისა შემდგომ რა-

12 თებერვალი, მოსკოვი.

დღეს მომეცა საშუალება დამეთვალე რეზდენის გაღერა და მთელი დღე გაბრუებული დავდივარ. ვნახე რადეალის „სიქსტეს მადონა“, ველასკეზის, რუბენსის, ტინტორეტოს, გვიდო რენის და რა ვიცი კიდევ რამდენი ბრწყინვალე ოსტატის მსოფლიო შედევი. დირექტორი შემპირდა, როდესაც თქვენ ოქახს მოსკოვში ჩამოიყ-

თო. მერე მითხრა, ხვალ გამოცემლობაში წამყევი, რომ ამ ქართული ნოველების კრებულის ბედი გამოვარკვიოთ. კარგი მეთქი.

სალამოს ჩემთან შეიკრიბნენ გივი გაჩეჩილაძე და სახკინმრეწველნი. ღამის თორმეტ საათამდე ვსაუბრობდით.

მდენიმე წუთით იარცევი, რომელსა უნდა შევხვედ კიდევ ხვალ.

დღეს სიკოსა ბინასა შიგან ვიხილე არტისტი არტისტთა ჩემი სეხნია ხორავა, რომელთანაც გვქონდა ფრიალ ხანგრძლივი საუბარი.

ვეკვ, რომ მეტყველება ამგვარი ატკობდეს სმენასა თქვენსა, ამიტომ გადავდივარ ჩვენებურ გასაგებ ქართულზე. თუმცა რალა უნდა გაიამბოთ, ყველაფერი უკვე ავწერე ზემოთ და ამას შემიძლია დავუმატო ის, რომ მე და გრიშა დღეს თორმეტ საათამდე ვეყარეთ ლოგინებში. მე ვკითხულობდი სემუშკინის მოთხრობას „ალიტეტი შიდის მთებში“, გრიშამ კი ძილით იჯერა გული. სალამოს ჩვენთან კვლავ შეიკრიბნენ გივი გაჩეჩილაძე, ლეო ქიაჩელი და კარგა ხანს ვსაუბრობდით.

სიმონს დაურეკე და უთხარი, მერი ბევრს ეცადა შენთვის ეშოვა ინსტლინი, მაგრამ ვერა ვააწყო რა, ახლა სიკო დოლიძე შემპირდა, თუ იშოვა, აუცილებლად გიყიდი თქო.

ვანთ, აუცილებლად დაგათვალე რეზიდენტთა ამ სურათებსო. შემდეგ ვნახე ფაიფურის კოლექციები (საწყობში, სადაც ახლა მიმდინარეობს მათი აღწერა და კლასიფიკაცია).

შარშან ზაფხულში სახვითი ხელოვნების მუზეუმში ჩვენ ამ დარბაზებს რამდენჯერმე ავუარ-ჩაევარეთ და წარმოადგენაც კი არა გვქონდა, რომ ეს შედევრები იქვე გვერდით იყო.

სხვათაშორის, აქვეა რუსული გრაფიკის გამოფენა, რომელიც ზერელედ დავათვალე რე, რადგან ძალზე დადლილი

* ფატი თვალთვაძე — მთარგმნელი.

ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ საინტერესო მაინც შევამჩნიე. აქაა თეიმურაზ მეორის პორტრეტი, ვრავიურა, რომელიც პეტერბურგში გაუქეთებიათ იქ ჩასვლის გამო 1760 წელს. აქვეა გამოფენილი გაგარინის ესკიზები, მაიკო ორბელიანის პორტრეტი, ქართველი ქალე-

16 თიბერვალნი, მოსკოვი.

გუშინ მე და ლეო ქიაჩელი ქადრაცს ვთამაშობდით, რომ ამ დროს სიკო დოლოძის მეუღლემ დამირეკა, ჩამოდით ჩვენთან, გელოდებითო, ჩავედით. მალე მოვიდა მიშა ჰიაურელიც და ყველამ ძალზე ვისიამოვნეთ ჩვენებური პურ-მარილით. მერმე მიშა თავისებურად მოჰყვა თავის მხატვრულად მოყოლილ ამბებს. ღამით სიკო ჩემს ნომერში ათევდა ღამეს, რადგან თამართან მისი მრეწველობის დირექტორი ქალები უნდა დარჩენილიყვნენ (ნომერი ვერ ეშვოვათ).

დღეს მწერალთა კავშირში და ლიტგაზეთის რედაქციაში ვნახე შკლოვსკი. ძალზე შეწუხებულია, რადგან მგონი, კინმატოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით დამუშავებას უპირებენ და „ბეზროდნი“ კოსმოპოლიტებთან უნდათ რომ დააკავშირონ, საერთოდ, ამ უთვისტომოთა დამუშავება ძალიან ცხარედ მიმდინარეობს და ყველა გაზეთი აპრელბებულია მათ შესახებ სტატიებით.

18 თიბერვალნი, მოსკოვი.

დღეს მომიტანს სცენარს ფილიმონოვი და ამ ორ-სამ დღეში უკვე საბოლოოდ შექნება გამორკვეული ყველაფერი. ვფიქრობ, ჩემი აქ ყოფნა სავალდებულო აღარ უნდა იყოს. წიგნის გულისთვისაც აქ ცდა სრულიად არ არის საჭირო. ისე გაურთულდათ საქმე გამომცემლობაში, სანამ ხუთ კაცს არ

ბის პორტრეტები და თბილისის ხედი, — აკვარელით ნახატი. ჰქვევა გოგოლის ნაწარმოებთა ილუსტრაციები, მანანას რომ ალბომი ჰქონდა, — მათი დედნები. ბევრი ძალიან საინტერესო სურათია გამოფენილი და ისე დაღლილი რომ არ ვყოფილიყავი, უფრო გულდასმით დავათვალიერებდი.

დღეს უნდა შევხედროდი ფატის და ერთად წავსულიყავით გამომცემლობაში. მაგრამ მწერალთა კავშირში ის რატომღაც არ მოვიდა. იქ ვნახე კირიანოვი, რომელსაც მცირე ხნით ვესაუბრე. წინაღობით პარტიული კრება ჰქონიათ და ლიტგაზეთის წერილი დაუმუშავებიათ. ერთი სიტყვით, დიდ გაწამაწიაში არიან. ხვალ უნდა შევხვდეთ კვლავ ერთმანეთს მწერალთა კავშირში.

სამსახურის საქმეები თითქმის მოვითავე. ხვალ ფილიმონოვი სცენარს ჩამაბარებს. როგორც იქნა, დავამთავრებინე აგრეთვე სცენარი „საკენი“ სანოვს. ეს სცენარი სახელმწიფო გეგმაში შეიტანეს, ასე რომ, თუ დაამტკიცეს, სტუდია გამოვა ამ ფანტასტიურ გაჭირვებისაგან. თუ ახლა სასწრაფოდ ერთი სცენარი მაინც არ დავგიმტკიცეს, მაშინ ჩვენს სტუდიას ბანკი სრულიად შეუწყვიტავს ფინანსირებას. წუხელ ამის შესახებ კვესელავას ველაპარაკე, ძალიან ეზარება აქ ჩამოსვლა, მაგრამ ალბათ მოუწყევს. მეც ჩემს საქმეებს მოვწყვიდი. ჩემი საწერი მაგიდა მენატრება.

დააწერინებენ რეცენზიას, მანამდე არაფერს არ გააკეთებენ.

გუშინ ძალზე ცუდად ვიყავი, მეგონა, რომ ავად გავხდი. მწარე პირი, ტემპერატურა, ტანში მაყიყინებდა და მუხლებში მტეხავდა. საღამოს მწერალთა კავშირში წავედი, საქმე მქონდა. იქ დამხვდნენ ლეო და ფატი, ერთად ვისადილეთ. ცოტა არაყი ვხუხე, ზედლუდი დავაყოლე, მერე ლეონოც დავ-

ლიე და ამგვარად მოვედი შინ. მერე მე და ლეო ლამის პირველ საათამდე ვიკადრაკეთ და ამ დღით შესანიშნავ გუნებაზე ავდგები.

დღეს დამირეკა მიტუშა მკედლიძემ, განზრახული აქვს ჩვენი მიწვევა სახლში. მთხოვა, ამ ორ დღეში აუცილებლად დაგირეკავ და მესტუმრეო. მადლობა მოვახსენე. მიტუშა ქუთაისში სწავლობდა, ჩემზე უკან იყო ერთი წლით და ტრიალებდა ჩვენს წრეში. აღარ ვახსოვდი. მერე თანდათან მოვიგონეთ წარსული წლები.

ლეო ჯერ არ აპირებს წამოსვლას, დალიონებს და ძალიან კარგ გუნებაზეა. „ზნამიაში“ ჯერ კიდევ ვერ გამოარკვია, როდის დაბეჭდავენ მაგის მოთხრობას. გუშინ ვიყავი ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში. ახალ შენობაში გადაუყვანიათ, და მთელი ოთხი სათული ერთ რედაქციას უჭირავს. ვნახე პასინკოვი, რომელიც მაშინვე მეცა, რაიმე დამიწერე გაზეთისთვისო.

19 თებერვალი, მოსკოვი.

წუხელ ველაპარაკე კვესელავის და ვთხოვედი ფული გამოგზავნა, რადგან არშაბათს უკვე ფილიმონოვის სცენარს ადაეცემ „გლავს“ და სამშაბათ-ოთხშაბათს შემეძლებოდა წამოსვლა.

გუშინ ვიყავი გამომცემლობაში, წიგნის საქმეს კვლავ მიჰიანურებენ. საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის კომისიის რეკომენდაცია მომთხოვეს ახლა. ამ კომისიის თავმჯდომარემ მითხრა, ოფიციალურად უნდა მოვაწყოთ შენს წიგნზე მსჯელობაო. ეს კი დიდ დროს მოითხოვეს, რა-

ძლივს დავაღწიე თავი. მე ვუთხარი, რატომ ერთ წერილს არ დაბეჭდავთ? რთული ლიტერატურის შესახებ ყრილობასთან დაკავშირებით მეთქი. ეგაო, თქვენმა თავმჯდომარემ უნდა დაწეროს, ან საერთოდ საქართველოდან უნდა იყოს გამოგზავნილი, ჩვენ კი აქ ვის უნდა დავაწარინოთო. ეს, რომ თქვას კაცმა, მართალია, მაგრამ ამის ინიციატივა მაინც გაზეთს უნდა აეღო. პასინკოვმა მითხრა, ჩვენ ბევრჯერ მივმართეთ საქართველოს მწერალთა კავშირს, რომ წერილები გამოგზავნონ, მაგრამ ისინი არაფერს არ გზავნიანო. მიჰქარავენ. მე ვნახე როგორ შემოვიდა ერთი ქალი (ლიტერატურის განყოფილების გამგე), რომელიც აფხაზეთში მიუვლინებიათ და მას აფხაზეთის მწერლობაზე უზარმაზარი წერილი დაუწერია, რომელიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული. ერთი სიტყვით, აქ ამათ უნდა დაუცაცხანოს ვინმემ. მაგრამ ვინ?

დგან ორი ცალი ხელნაწერი როდის უნდა წაიკითხონ კომისიის წევრებმა. ამგვარად, ეს მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ არის შესაძლებელი. ორშაბათს კიდევ მოვილაპარაკებთ, იქნებ უამისოდ მოვრჩეთ, თუ არა და კისერიც უტეხიათ, როდესაც იქნება, იქნება, თან ხომ ვერ გადავყვები. წიგნის გამოცემა პრობლემადაა გადაქცეული. უმჯობესია საქმეებს მივხედო და დროს ტყუილუბრალოდ ნუ ვკარგავ. ჩემი წიგნი კი არა, აგერ სიმონის წიგნიც კი გაქვილია, მიუხედავად იმისა, რომ ოპერტიულ გეგმაშია. ყურსაც არ აპანტურებენ.

20 თებერვალი, მოსკოვი.

ეს-ეს არის წავიდა ლეო, კადრაკს ვთამაშობდით. დღეს მე და ლეო ვიყავით სესენციაში.* ტაძარში უამრავი

ხალხი იყო. მარცხნივ, ეკედერის წინ მიცვლებული ესვენა, მარჯვნივ — ბავშვებს ნათლავდნენ და ისეთი ალიაქოთი იდგა, ყურთასმენა აღარ იყო. პირდაპირ, — მთავარი აღსავლის კარის წინ კი, წირვა მიმდინარეობდა. ვნახეთ კვლავ ის წარწერა სპილენძის ფირფიტაზე.

* ვანესვატსკოეს ველისია.

ტაზე, რომელმაც სამთავე აგვადღევა. ამოვიკითხეთ ისევ ამ გადმოხვეწილი ქართველის გულმხურვალედ მოლაღადე ეპიტაფია. მერე დავბრუნდით სასტუმროში.

დღეს უკვე წუთებს ვითვლი, როდის ჩამოვლენ კვესელავა და კიკნაძე, რომ

1 მარტი, მოსკოვი.

ხუთშაბათს სამხატვრო საბჭოს სხდომას უნდა დავესწრო, კონფერენცია კი დღეს მთავრდება. ბოლშეაკოვმა მოხსენებაში ნაღრძობივით გამიხსენა, მე რომ მაშინ პლენუმზე შევუტეე და სთქვა, აჰხ. ბელიაშვილის ბრალია, რომ თბილისის სტუდიაში ცოტა სცენარები აქეთო და თანაც მეჩვიდმეტე საუკუნეზე უფრო გვიან პერიოდზე სცენარებს არ აწერინებს ხალხსო. ჭერ ვიფიქრე, გამოვალ კამათში და კარგა შევუტეე მეთქი, რადგან ასეთ არაადამიანურ პირობებში ექვსი სცენარი მოვამზადე, ისიც სამი უხელშეკრულებოდ, და მადლობის ნაცვლად პირიქით, საყვედურებს ამბობს მეთქი, მა-

6 მარტი, მოსკოვი.

ახლა ერთი წუთით შევისვენე სცენარ „სამგორით“ გაბრუებულმა. კვესელავამ სული არ მომთქმევინა და იმ ზომამდე მიმიყვანა განუწყვეტელი ჩიჩინით, რომ კინალამ დავხიე სცენარიც და ყველა ქაღალდებიც, რომლითაც მოფენილია მთელი მავიდა. სცენარს თავიდან ბოლომდე ჩემი ხელით ვასწორებ, ვწერ მთელ რიგ სცენებს და ერთი სიტყვით, ტალახში ჩაფლული ეს საცოდავი ვირი ვცდილობ ამოვათრიო. დღეს მოვათვაებ მთელ ამ სამუშაოს. ხვალ, ალბათ, შევხვდები ალ. ტიხონოვს, რომელიც შაბათს ჩამოვიდა აგარაკიდან და მასთან უკვე მქონდა ლაპარაკი. ის თანახმაა მოჰკიდოს ხელი ჩემი წიგნის რედაქციას და გუშინ წაიღო კიდევაც წინასწარ წასა-

მალე მოეუსვა შინისაკენ. რამდენი დრო დავკარგე აქ ყოფნით. აქამდე უნდა შექნებოდა მზად და რომანსაც შევუდგებოდი. დასაწყისი უკვე მოვიფიქრე...

სიმონისათვის ინსულინის შესახებ მერის დავურკე და მიშასაც ვეტყვი, იქნება რამე გავაწყო.

გრამ მერე ხელი ჩავიქნიე. რაც უნდა ისა სთქვას, თუ ასეთი ბოროტი ხასიათისაა და არ ესმის, რომ საქმიანი საყვედური პირადად მის წინააღმდეგ კი არა, საქმის საკეთილდღეოდ არის ნათქვამი, მაშინ მაგნაირ კაცს რა უნდა ველაპარაკო. მე მომბეზრდა ამ უხეირო ხელმძღვანელ კინემატოგრაფისტთან ბრძოლა. საქმის არა გავგებათ რა და არც კარგის გავგონება სურთ. ღმერთმა ხელი მოუშართოთ. მე ერთი რას გავაწყობ მათთან.

გამოცემის საქმე, როგორც იქნა, გამოირკვა, მგონი. ხელშეკრულება ჭერ არ დამიდეს, მაგრამ წინასწარი შეთანხმება გამიფორმეს და ფული მომცეს. ღმერთმა უშველოთ, თორემ ჭიბეში ერთი გროში აღარ მქონდა.

კითხად. შესაძლებელია დრო ვერ იშვოს პირველ ხანებში საქმაო, რადგან გორკის ნაწერების სრული კრებულის რედაქცია დაუვალებიან და როგორ გავანაწილებ საქმეებს, არ ვიციო. პავლენკომ მითხრა, ასეთი რედაქტორი საბჭოთა კავშირში არ არისო. მაგან გაუკეთა რედაქცია გამსაბურღიას და ანტონოვსკაიას რომანებს. თავის დროზე, თურმე გორკი მაგის გარდა არავის ანდობდა თავის ნაწარმოებთა რედაქციას. სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცია, ძალიან სასიამოვნო ადამიანი. მე გადავწყვიტე, დროს არ მივაქციო ყურადღება და ტიხონოვს დავავალო რედაქცია. ჯობს კარგად გამოვიდეს წიგნი და უფრო გვიან.

გუშინ ლეო, აკაკი ხორავე და მე დავკატაფა ფატი თვალთვაქმე, გავვიმას-

ბინძლდა ნამდვილი ქართული პურ-მარლით. ფხალი, ლობიო, საცივი, შაშხი და შემდეგ შემწვარი ხოხობი, მკადით და ლომით. ეგ იყო, რომ მოვიდა ვიქტორ გოლცევი. იმდენი ილაპარაკა,

10 მარტი, მოსკოვი.

გუშინ ვეჩხუბე კვესელავას. არაფრის გულისათვის არ მიშვებს აქედან. ერთადერთი გზა დამრჩენია — უნდა გამოვიპარო, თორემ იმ საქმეს, რისთვისაც კვესელავა მანერებს აქ, კიდევ ორი თვე სჭირდება.

გამომცემლობაში თითქმის დალაგდა საქმე. ტიხონოვი ფაქტიურად შეუდგა მუშაობას. ესაა, რომ წაკითხვას ორ კვირას მოუნდება.

დღეს სამინისტროში უნდა მოგვეყენ

20 მარტი, მოსკოვი.

როგორც იქნა, მგონი დავიძრა და ხვალ სალამოს გამოვუდგე გზას. ხორავას უკვე მივეცი ბილეთის ფული, დღეს პირველ საათზე უნდა აეღო. შესაძლებელია, ეს ბარათი ჩემზე გვიან მოვიდეს თბილისს, მაგრამ მაინც ვწერ, რადგან წერილები დაგიგვიანეთ და ამით მაინც გამოვასწორებ ჩემს დაუდევრობას. კვესელავა დღეს მოდის. მე კიდევ უნდოდა დავეტროვებინე რამდენიმე კვირით, მაგრამ მერე მართლა დარწმუნდა, რომ ჩემი აქ გაჩერება უაზრობა იყო და „დათანხმდა“ ორშაბათს წამოვსულიყავი. დღეს მოდის გრიშა აბაშიძეც. ლეო ქიაჩელი კი რჩება. მას ჭერ კიდევ არ მიუღია პასუხი თავის მოთხოვნაზე.

ხელშეკრულება, როგორც იქნა, გავაფორმე. მართალია, რედაქტორმა მრავალი თავსატეხი ამოცანა დაამისაზა,

26 მაისი, მოსკოვი.

გუშინ და დღეს დილიდან სალამომდე ყრილობას ვესწრები. აქ არიან სიყოფაშალიშვილი და მხატვარი დონი,

ტინი გაგვიხვრიტა ყველას და ლუკმა არ შეგვარგო.

გუშინ ველაპარაკე ნიკო ტიხონოვს (პოეტს). მითხრა, თავბრუ დამახვია საქმეებმაო.

პასუხი სცენარ „სამგორის“ შესახებ. გარდა ამისა, კვესელავას და კიკნაძეს აქვთ საუბარი თემატიურ გეგმაზე და ამგვარად, ყოველივე საბოლოოდ უნდა გამოირკვეს.

წუხელ კიკნაძე, კვესელავა და მე ვიყავით ნიკო კეცხოველთან. აქაა თავის საუნივერსიტეტო საქმეებთან დაკავშირებით. გაგვიმასპინძლა შესანიშნავი ღვინით. დიდხანს ვისაუბრეთ. მართლაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს თავისი უნივერსიტეტისათვის.

მაგრამ მე მგონია, რომ ყველა შენიშვნას მალე გავასწორებ.

გუშინ სალამოს ჩვენთან მოვიდა ჰიპურელი და გამოგვეთხოვა ამერიკაში წასვლის წინ. დღეს დილით კი გაფრინდა. ერთის ვაი-ვიშით და კრუსუნით მიდიოდა. ახალგაზრდა რომ ვიყო, მესმის კიდევო და ახლა ხანში რომ შევედი, სახლიდან გამოსვლა მეზარებოა. ასეთი შორეული მგზავრობა, ისიც თვითმფრინავით, მართლაც ძნელია.

მე სურვილი მქონდა, თვითმფრინავით წამოვსულიყავი, რადგან სამი დღე მატარებელში ჯაყჯაყი სრულიადაც არაა სასიამოვნო, გარდა ამისა, აქ ერთი ჩვენი თანამშრომელი ჩამოფრინდა ერთ დღეში, ასე რომ, თვითმფრინავს კვლავ უპირატესობას ვანიჭებდი, მაგრამ ხორავა არ მომეშვა, წამოდი, არ ხეინად გავუდგეთ გზას, მოეშვი ამ თვითმფრინავსო.

ანუ იგივე დათიკო ნაცვლიშვილი. ისინი ერთი დღით ადრე ჩამოვიდნენ მოსკოვში და სხვა სასტუმროში დაუბინავებიათ. დილით წავედი მათთან. ისე

გაუხარდათ ჩემი დანახვა, ბავშვებივით აპყლოპინდნენ.

წუხელ მოხსენების დამთავრების შემდეგ მოგვიწყვეს შეხვედრა ესტრადის აქტიორებთან. ისეთი უნიკო საღამო იყო, რომ კოლია ჩაჩავას კონცერტები,* ამათთან შედარებით მხატვის სპექტაკლებია. მთქნარებითა და მოწყენით ვიჭერეთ გული. არ დაგავიწყდეთ, რომ ესტრადის აღიარებული დიდი მსახიობები (იყვნენ სახალხო არტისტები) ასრულებდნენ იუმორისტ მწერლების ნაწარმოებებს, ასე რომ, ეს საპატიო ყრილობა სატირიკოს მწერლებისა საკმაოდ იყო დასჯილი. დღეს ეზოში ჩავვიყვანეს და სურათი გადაგვიღეს. რა გამოვა, არ ვიცი, რადგან ფოტოგრაფი მეოთხე სართულის ფანჯრიდან გვიღებდა.

27 მაისი, მოსკოვი.

დღეს რამდენიმე დაწესებულება დავირბინე, ვიყავი მოსტილმის ფაბრიკაში, სადაც ჩავაბარე ის სამი კოლოფი ფერადი ფირი, რომელიც მანდღდან ამკიდეს. ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ჭერ მთელი ნახევარი საათი ვიყურებულე ალაყაფის კართან, სანამ საშვებს მივიღებდი და კინოფაბრიკაში შემიშვებდნენ. მერე, ჩაბარებასაც მთელი დავიდარაბა დასჭირდა. მთავარი ინჟინრის რეზოლუცია იყო საჭირო, რათა ჩვენი ფირი გასამქდავენებლად მიეღოთ, მაგრამ ის იქ არ დამიხვდა, არც მოადგილე იყო, გავიქეცი საგეგმო განყოფილებაში, ვილაცხს დავეპყანე, არიქა, შენ წააწერე რეზოლუცია, იქნებ მიიღონ მეტქი. შემაბრალა და თანაც გაუხარდა უფროსის ფუნქცია რომ დავაკისრე და წამიწერა ქალაქზე: „მიიღეთ შესასრულებლად“. იქიდან გავიქეცი შეკვეთების მაგიდასთან (არის ასეთი განყოფილება). იქ

ყრილობა მიმდინარეობს უფროსი-სტუმრის ცენტრალურ სახლში. ეს სახლი ნიკიტინის ბულვარზეა არბატის მეტროს სადგურთან.

სამინისტროში ვიყავი. ვნახე ფილიმონოვი. შემპირდა, ერთ კვირაში სცენარს დავამთავრებო.

აქ ძალიან ცხელა, დაახლოებით ისეთი ამინდებია, შარშან რომ დაგვიხვდა.

გამომცემლობაში ჭერ არ ვყოფილვარ. გავიგე, რომ დიდი კრიზისი აქვთ თურმე ხელნაწერებისა, გეგმას ვერ ასრულებენ და, ალბათ, მეცემიან, დროზე ჩავვაბარე რომანიო. იარცვეი საავადმყოფოში ყოფილა, ასე რომ, მხოლოდ რედაქტორებთან მომიხდება საუბარი.

ჩემი ქალაქი მიკროსკოპიული სიზუსტით გასინჯეს და როგორც იქნა, გამოიწერეს უწყისი (ნარიადი). იქიდან გამაგზავნეს მთავარ ბუხპალტერთან, რომელსაც ამ უწყისზე რეზოლუცია უნდა დაედო. მთავარი ბუხპალტერი არ აღმოჩნდა, სადღაც წასულიყო. გავიქეცი მის მოადგილესთან, (ყველაფერ ამას ჰქირდება პირველი სართულიდან მეოთხეზე ავარდნა, კოლომეტრიანი დერეფნების გავლა, ისევე ჰქვევით ჩავარდნა, სახეზე სულ ხვითქი გადამდიოდა). მივედი მოადგილესთან. დახედა „ნარიადს“ და მითხრა, თქვენს შეკვეთას ვერ მივიღებთ, რადგან რაც წინათ გაგიკეთეთ, იმისი ფული არ გადავიხდითო. ელდა მეცა. ეს კოლოფები თუ კიდევ სათრევი გამიხდა, ალბათ გავგიყუდები მეტქი. შევებეწე, ვუთხარი, მე გარეშე კაცი ვარ, გამომატანეს, თქვენი ჰირიმე, დაიტოვეთ და რაც გინდათ, ის უქენით ამ ფირს მეტქი. გაიცინა და შეკვეთაზე ხელი მიწიწერა. ავიკიდე ეს კოლოფები და გავიქეცი საწყობში, სადაც ლებულობენ ფირს. იქ ვილაც ქალი წვრთნიდა მეორე სტაეიორ ქალს, რომელსაც ამ თანამდებობაზე უნდა ემსახურა, ალ-

* კ. ჩაჩავა იმ წლებში იყო მწ. კავშირის კლუბის გამგე. იწვევდა ესტრადის მსახიობებს და მართავდა კონცერტებს.

ბათ, და სანამ ჩემს კოლოფებს ჩამომართმევდნენ. მთელი საათი მოუძღნენ სამი ეგზემპლარი ბლანკის შევსებას, რომ თბილისის სტუდიიდან მიღებულია სამი კოლოფი ფირი აფთალ-კოლორი გასამქლავებლადო. მაინც ამ სიტყვა აფთალ-კოლორს გადაყენენ თან და ვერაფრით სწორად ვერ ჩაწერეს. ბოლოს, როგორც იქნა, დავადწიე თავი ამ კოლოფებს, ჩავაბარე და მოვკურცხლე.

28 მაისი, მოსკოვი.

გუშინ და დღეს გრძელდებოდა ჩვენი ყრილობა. გუშინვე გაიმართა საღამო მწერალთა კლუბში, სადაც სატირიკოსი მწერლები გამოდიოდნენ და კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. ეს საღამოები შედარებით უფრო მხიარული გამოდგა წინანდელზე, თუმცა აქაც ბევრი ვამბობს.

დღეს ვიყავი მწერალთა კავშირში და ევგენოვმა მითხრა, სამშაბათს ლეონიდ ლეონოვის საღამოა და შენ, როგორც საქართველოს მწერლების წარ-

29 მაისი, მოსკოვი.

დღეს რადიოთი მოვისმინე ჩვენი გუნდის თავგანწირული თამაშის რეპორტაჟი, და, რასაკვირველია, წაგება. წააგეს ჩვენებმა და ძალიან ცუდ გუნებზე დაგდექი. ახალი მწერთნელი მოუყვანიათ, იქნებ ახლა მაინც გამოასწორონ მდგომარეობა.

დღეს შემხვდა ბორის ჩორნი თავისი მეუღლითურთ. კარგახანს ვისაუბრეთ. მკითხა აქაური ამბები, სიკო დოლიძე რას აკეთებსო. მე ვუთხარი, პიესას წერს რუსთავის გიგანტზე მეთქი. ოპო, ვინ უნდა შეასრულოს ქარხნის როლი, ალბათ ზორავე ითამაშებსო. მართალი გითხრა, ხუმრობა მომეწონა.

დღეს დავურეკე კოლია ტიხონოვს.

მერე ვიყავი „სოვეტსკი პისატელში“, ვნახე კირიანოვი, ვადაცეცო ლევიქიაჩელის წერილი. შევთანხმდით ჩემი წიგნის შესახებ და იქიდან გავწიე „ნოვი მირის“ რედაქციაში. იქ უნდა მენახა რედაქტორის მოადგილე, რომელსაც ჩემთვის უნდა მოეცა ეურნალის შტატები და ჰონორარის ოდენობა (ახალი ეურნალი რომ გამოდის ჩვენთან, იმისთვის კირდებით და დამავალეს მე მიმეღო). იქ ვერავინ ვერ ვნახე, ასე რომ, მეორედ დამპირდება მისვლა.

მომადგენელმა, სიტყვით უნდა მიმართოთ. ვიუარე, რა ჩემი საქმეა, თავი დამანებეთ მეთქი, არ მომეშენენ, სულ სამი წუთი ილაპარაკე, ორიოდ სიტყვა უთხარი, ჩვენ მეტი არ გვინდაო.

ვნახე ვიქტორ გოლცევი, ერთად ვისადილეთ (სიკო ფაშალაშვილთან და დონთან). მითხრა, მალე საქართველოში უნდა წავიდე და ნარკვევები ვწერო თქვენს მშენებლობაზეო.

საბუთა მწერალში ანუ „სოვეტსკი პისატელში“ მითხრეს, სიმონის წიგნის საქმე მოგვარდა და ხელშეკრულება გაუფხავნეთო.

მითხრა, — ხვალ აუცილებლად შევხვდეთ ერთმანეთს, ზეგ კი, საღამოზე უსათუოდ უნდა სიტყვა მისასალმებელი სიტყვაო. რას ჩამაცივდნენ?! ახლა წინ მიდევს ლეონოვის სქელი ტომი და ვათვალისკრებ.

პასაჟში შემთხვევით წავაწყდი წიგნის ბაზარს. სპეციალურად მოუწყვიათ და პასაჟის დიდ დერეფანში ჩაუმწყრივებით მაგიდები ნაირნაირი წიგნებით. თავიდან ბოლომდე დავიარე. ვხედავ, ერთ მაგიდაზე ჩემი „ბესიკი“ დევს. ჩემსავით მართო იყო. ერთგან კი ლეო ქიაჩელის რჩეული ვნახე, ისიც საცოდავად იყო მისრესილი წიგნებში. ვერაფერი ვერ ავარჩიე, საღამოხანი იყო და იშვიათი წიგნები ალბათ სულ გაიყიდა.

ჩვენი იუმორისტული ყრილობა და-

მთავრდა. ბევრი ლაქლაქი იყო იმის შესახებ, რომ უკეთ უნდა ვიხუმროთ და აგრეთვე დიდი მსჯელობა დადებითი ფელეტონის შესაძლებლობაზე. თურმე ზოგიერთები უარყოფენ დადებით ფელეტონს, ის მხოლოდ უარყოფითი, გამკილავე შეიძლება იყოსო. მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი და-

1 ივნიანი, მოსკოვი.

გუშინ შესდგა ლეონიდ ლეონოვის სალამო. უამრავი ხალხი ესწრებოდა და ამ სიტყეში პირდაპირ შეუძლებელი იყო სუნთქვა. სალამო ძალიან კარგი და გულთბილი გამოვიდა. მრავალი მისასალმებელი სიტყვა წარმოითქვა. ტიხონოვმა ყოველგვარი ეპიტეტების გარეშე გამოაცხადა, სიტყვა ეძლევა აქაი ბელიაშვილსო, საზოგადოებამ იფიქრა, ეს ალბათ დიდი ვინმეაო და ტრიბუნამდე ტაშით მიმაცილეს, კიდევ კარგი, სიტყვა დაწერილი შქონდა, თორემ მთლად წაგზდებოდა. ჩემმა უბრალო სიტყვამ მოულოდნელი შთაბეჭდილება მოახდინა. სალამო რომ დამთავრდა, ლეონოვი მოვიდა ჩემთან, მიტხრა — ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით პირადად, თუმცა მე თქვენ მახსოვხართ პლენუმზე თქვენი შესანიშნავი გამოსვლითო. მერე იყო კონცერტი, რომელზედაც პიანისტმა იაკობ ფლიერმა დაუკრა ლისტის „ქარიშხა-

3 ივნიანი, მოსკოვი.

დღეს გუნებაზე ვერა ვარ. წუხელ ველაპარაკე ხაჩიძეს ტელეფონით. ფული ჭერ არ გამოუგზავნიათ და არც იციან, როდის გამოგზავნიან. ამას არც კი ვიცი, რა ვუწოდო. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა და თბილისიდან ფეხი არ უნდა მომეცვალა. რაც მთავარია, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. არც ვიცი, კუჭის ბრაღია, თუ წხევა ძაქვს დიდი... აქ საყურადღებო არა არის რა

დებითი ფელეტონისა. ეს ფელეტონები მართლა მშვენიერებოდა, არც ერთგორც ფორმით, აგრეთვე შინაარსითაც, თუმცა რატომ უნდა იყოს ასეთი ნაწარმოები დადებით ფელეტონად მონათლული, ვერ გამიგია. ეს, ჩემი აზრით, სრულიად ახალი სახეა პოზიტიური პროზისა.

ლი“, რამაც ჩემზე გასაოცარი შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც სალამოს მონაწილენი, მწერლები და მსახიობები იყვნენ მიწვეულნი. ასე რომ, უკვე გათენებული იყო, როდესაც საკმაოდ გამობრუნებული კოლია ტიხონოვმა მიმიყვანა მანქანით სასტუმროში.

დღეს თბილისიდან ჩამოსული ჩვენი კინოსტუდიის თანამშრომელი ლაფერაშვილი მომადგა და წერილი ჩამომიტანა კვესელავისი. ფული კი, ცხადია, ჭერ არ გამოუგზავნიათ და კვესელავა კი ფიქრობს, აქ ერთი თვე დამაბას, ტყუილი იმედები აქვს. ამ დღეებში როგორც კი მოვათავებ საქმეებს, მაშინვე თბილისისაკენ მოვუსვამ. მით უმეტეს, რომ მინისტრის მოადგილე შჩერბინაც მოდის თბილისში სასცენარო საქმეების გასაცნობად და მოსაგვარებლად.

დღეს, ალბათ, ბოლშაქოვის ნახვა მომიხდება.

სიცხის მეტი, რომელიც ხანდახან ისეთი სიცივით შეიცვლება, რომ სულ კანკალი ავითანს.

ამ წუთში დამირეკა ბესო ელენტმა. ახლა ჩამოფრენილან ის და აქაი ხორავა პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით. ძალიან გამეხარა, ასე მგონია, მე თვითონ ჩამოვედი თბილისში მეთქი. ნომერი ჭერ ვერ უშოვია და თუ მოვახერხებ, იქნებ ჩემთან შემოვსახლო.

სიმონ ჩიქოვანს უთხარი, ის ცნო-

ბები, რომ გინდოდათ ჟურნალის და გაზეთის შტატების შესახებ, კარგა ხანია, რაც გამოგზავნეს და თუ მიიღეთ-თქო.

აქ ჩამოიტანეს სურათი „ნატო ვან-ნაძის შემოქმედებითი გზა“, მაშინ რომ ვნახეთ მის იუბილეზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დაუმატებიათ თვით იუბილე, რაც იმ ღამეს გადაიღეს და მოულოდნელად ჩემი თავი და-

5 ივნისი, კვირა, მოსკოვი.

ღღეს დილით მინდოდა წასვლა მიტინგზე, რომელიც გაიმართა პუშკინის ძეგლთან, მაგრამ გზაში ლაფერაშვილი შემხვდა და მითხრა, საგანგებო საშვის გარეშე არავის არ უშვებენო. გულდაწყვეტილი დავბრუნდი უკან. შემდეგ გავიგე, რომ განკარგულება გაუციათ

8 ივნისი, მოსკოვი.

გუშინწინ საღამოს დავესწარი პუშკინისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას. ოფიციალური საზეიმო ნაწილი უფრო საინტერესო იყო ყოვლად უზეირო და გაჭიანურებულ კონცერტზე. ბესო გამოვიდა სიტყვით, რომელიც გაზეთებში თითქმის მთლიანად დაბეჭდეს და მეორე ღღეს რომ ვნახეთ, ორივეს გაგვიხარდა.

კონცერტზე შესანიშნავი იყო ეპიზოდი „ბახჩისარაის შადრევანიდან“, ცეკვადა ულანოვა და ვილაც მოცეკვავე ქალი, ორივენი ისეთები იყვნენ, უმთესს ვერ წარმოიდგენ. საოცარი იყო აგრეთვე ნაწყვეტი ბალეტიდან „ბრინჯაოს მხედარი“.

ეს იყო და ეს. დანარჩენი ყოველივე უფერული და მოსაწყენი იყო. იმღერა დავიდოვამ (საშუალოდ), კოხლოვსკიმ (შედარებით კარგად) და ლისიციანმა (საზიზღრად). უნდა გამოსუ-

ვინახე რამდენიმე კადრში და ერთ ადგილას კი მსხვილი პლანით ზემოთქმული ვანილი ცხვირით.

ამ საღამოს ალექსი მიტროფანჩი ლუბროვსკი მპატუებს კომედიის თეატრში (აქ საგასტროლოდ ლენინგრადის თეატრია ჩამოსული). შემპირდა, გამოვივლიო, ვნახოთ. თუ გამოიარა, შეიძლება წავიდე. მგონი, რალაც თანამედროვე პიესაა.

და კორდონები მოუხსნიათ, რადგან მიტინგზე საკმაო ხალხი არ მოგროვილიყო. ბოლოს მგონი, კიდევაც ნანობდნენ, ეს რა მოგვივიდაო. მიტინგზე ხორავა გამოსულა სიტყვით, საკმაოდ კარგად. ბესო, ალბათ, თეატრში გამოვა.

გუშინ ბუკინისტებთან ვიყიდე ძარსელ პრუსტის პირველი ტომი.

ლიყო ხორავა, მაგრამ პროგრამა შეამოკლეს. კონცერტი დამთავრდა ალექსანდროვის სასიმღერო გუნდის გამოსვლით. მთელი თეატრი უკვე თითქმის დაცარიელებული იყო და ფარდა რომ გაიხსნა, გამოაცოც ამდენი ხალხის სცენაზე დანახვამ. მომდერალთა გუნდში, მგონი, ორასზე მეტი კაცია და ამდენივე დამკვრელები. სიმღერებს კარგად ასრულებენ, მაგრამ მაინც მოსაწყენია.

გუშინ ლუბროვსკიმ წამიყვანა სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლზე. იდგმებოდა კალდერონის კომედია „სიყვარულთან არა ხუმრობენ“. ძალიან კარგი კოლექტივია, სპექტაკლიც ერთი „ამოსუნთქვით“ მიდის, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ჩვეულებრივია, ძველებურად ტრაფარეტული.

გუშინ ჩამოვიდა ჩვენი მთავარი ბუხპალტერი, ისიც ჩვენთან შევასახლეთ დიდის გაჭირვებით, ასე რომ, ახლა ჩემთან ნამდვილი პანსიონია. ბუხპალ-

ტერს ვუთხარი, აბა ახლა ერთი შენთვითონ გამოსცადე მოსკოვში მივლინება, რომ იქაბი დღეში ოცდაექვსი მანეთი გეყოფაო, თუ ბიჭი ხარ იყოფინე და იქეიფე შეტყი. იცოცხლე, კრუსუნებს. გუშინ მომივიდა ხაჩიძისაგან გამოგზავნილი ათასი მანეთი. დღეს ფილიმონოვმა უნდა ჩამაბაროს სცენარი, ხვალ მთავარსამმართველოში გამოვარკვევ ზოგიერთ საკითხებს და

მე მგონია, შაბათს მოვახერხებ წამოსვლას. მართალია, სამხატვრო საბჭოს სხდომას უნდა დავესწრო სცენარის განხილვისას, მაგრამ ის შეიძლება არ განიხილონ მთელი ორი კვირის განმავლობაში, ასე რომ მე მაგას ვერ დავუციდი.

ბესო ხვალ ლენინგრადში მიდის და ორი დღის შემდეგ დაბრუნდება. შეუბნება, ერთად წავიდეთო.

□დასასრული იქნება□

ჩემი პოეზია

არის ლექსი — ტიტველი; არის ლექსი — ჩაცმული;
არის ლექსი — სასმელი; არის ლექსი — სასმური;
არის ლექსი — ლატაკი; არის ლექსი — მდიდარი;
არის ლექსი — მამრი; არის ლექსი — მდედრი;
არის ლექსი — მაღალი; არის ლექსი — დაბალი;
არის ლექსი — ჭკვიანი; არის ლექსი — დებილი;
არის ლექსი — დობილი; არის ლექსი — მშობილი;
არის ლექსი — ურემი; არის — ავტომობილი;
არის ლექსი — ვედრება; და ლექსი — განაჩენი;
არის თავანჯარა და არის მისი ნარჩენი;
არის ლექსი — ქართული; არის ლექსი — სხვა ენის;
არის ლექსი — აბელი; არის ლექსი — კენი;
ისე, როგორც სასტუმრო — დამიჯერე, ლექსებიც
არის — ჩვეულებრივი, მაგრამ არის — ლექსებიც;
არის ლექსი — სიკვდილი; არის ლექსი — ცხოვრება;
არის ლექსი — წარწყმედა; არის ლექსი — ცხონება;
არის ლექსი — ღალატი, და ლექსი — ერთგულება!
(ერთგულების ხსენებამ დამიწმინდა გუნება!).

რუსთაველზე მაღალი ლექსი არ მეგულება!
აკაკიზე მაღალი ლექსი არ მეგულება!
ილიაზე მაღალი ლექსი არ მეგულება!
ნიკოლოზზე მაღალი ლექსი არ მეგულება!
არც დავითზე მაღალი ლექსი არ მეგულება!
არც ვაჟაზე მაღალი ლექსი არ მეგულება!

ყოველ შემთხვევაში — ბევრი არ მეგულება...

• • •

ფეხშიშველა!
 ჭალამნებით!
 ჩეკებით!
 ჩუსტით!
 ბოტასებით!
 დარში!
 თოვლში!
 დღისით!
 ღამით! —
 შენს მიწაზე
 ბოლთას ვცემდი...

ქართლის ბედზე როცა ვწუხდი,
 ან იმ ერთზე როცა ვწერდი,
 ან თუ მსურდი,
 ან თუ მძულდი —
 რეტდასხმული ბოლთას ვცემდი...

ხატი ჩემი — იეშუა...
 ლოცვა, თქმული მოწიწებით...
 უფალსა და ეშმაკს შუა
 დრო, განვლილი ბოლთის ცემით...

მთხვ, განვმარტო, რაა ბოლთა! —
 კონველსია უიღბლოთა!
 (ჩარგალსა და თბილისს შუა
 გახსოვს რუსთველი და ვაჟა?
 თბილისსა და სხვიტორს შუა
 გახსოვს აკაკი და შოთა...)...
 მოლოდინი ეშაფოტის! —
 რა თქმა უნდა, ცემა ბოლთის...
 ცემა დღისით;
 ცემა ღამით;
 ცემა მუშტის;
 ცემა შოლტის...

მე სამყაროს მოსაცდელში
 ნაღვლიანი ბოლთას ვცემდი...
 და სიმდიდრე, თუ რამ მქონდა,
 ერთადერთი — მქონდა ცრემლი.

• • •
 ბოლთას ვცემდი, სანამ სულმთლად
 არ დამეხა ბოტასები!..

ახალგაზრდების საღვთობაზე ნარმოთქმული „არაგვში“, როცა უცნობა გოგო-ბიჭებმა სუფრასთან მიგვიპატიჟეს

— გული ცვალებთ ერთმანეთში! სისხლი ცვალებთ! გენი ცვალებთ!
 ჩემი შვილის ტოლები ხართ! შემოგვევლეთ! გენაცვალებთ!

საქართველო ნაგებია ქვით და რკინით! — განა ცვილით!
 იმ ქვას — ქვა და რკინას — რკინა მიუმატეთ, გენაცვალებთ!

ზენაარი გვიხმობს ყველას! — ყველასა გვაქვს ზენას ვალი!
 ვალი წმინდად მოგებადოთ! შემოგვევლეთ! გენაცვალებთ!

მოიწყინოთ უნდა ზოგჯერ! დაიღალოთ ფიქრით ცოტა,
 სანამ ერთ დღეს ვიქცეოდეთ გრანიტის და ფიქლის ზოდად!

შეიყვარეთ ერთმანეთი: სისხლი ცვალებთ! გენი ცვალებთ!
 საქართველოს იმედი ხართ!
 საქართველოს ენაცვალებთ!

შინაგა მოგზაურა თვალი მოკრა გრემის ქალას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესაქმელი, ჩასაყლაპი,
ტბილი, როგორც ტორტზე კრემი —
მუპატიოს მკრეხელური
შეღარება! — მოჩანს გრემი!
ვინ სულელი ჩივის ღვინოს! —
პურიც არ გვაქვს ერთი გრამი!
შესაქმელი, ჩასაყლაპი —
ერთადერთი — შეგვრჩა გრემი!
მშვენიერზე მშვენიერი —
მეწამული ღრუბლის გრიმი,
და შესაქმელ-ჩასაყლაპი —

მხოლოდ — გრემი!
ისევ — გრემი!

ახლა — სულ სხვა შეღარება:
მიირწევა, როგორც გემი
და ზეცაში უშვებს ლუზას
გრემი. გრემი. გრემი. გრემი.

და ხმიანობს ნატვრა სულში:
მარად ასე იდგეს გრემი,
სულ ხარობდეს — ვის რას უშლის —
ჯიში ჩვენი და ნაგრამი!

• • •

მიწა მიწად! მაგრამ მცხეთის დიდებული ცაც ხო
ისეთია, იტყვი: ღმერთმა ცას მალამო წაცხო!
მიწას ფესვი — შენი იჭერს! მაგრამ მცხეთის ცაც ხო
შენს ტოტებში გახლართული
იწყებს შრიას, ცაცხვო!

ექუნიაც, ბედნიერი ამ მიწით და ამ ცით,
იხვეწება: — მალლა! მალლა! უფრო მალლა ამწით!

• • •

გაყოფილია ქვეყანა ორად:
ჩვენად და მათად!
ახლოდ და შორად!
კაცად და ლორად!
მართლად და ქორად! —
გაყოფილია ქვეყანა ორად...

მოყვრად და მტერად;
ბრძენად და შტერად...

გაყოფილია ერად და ბერად;
აისისფერად;
დაისისფერად;
საფლავის ლოდად;
ოჯახის კერად;

არც ისე ზუსტად, არც ისე სწორად—
გაყოფილია ქვეყანა ორად:
მტრედად და ქორად;
ჩოხად და თორად;
ლომად და ჯორად;
ბინად და სოროდ...

გაყოფილია ქვეყანა ორად!
ო, რისთვის! ო, რად!
ო, რისთვის! ო, რად!



• • •

აქ აკვანი — ყრმა, ჩაკრული ჩვრებით!
 იქ გოლგოთა — ყრმა გაკრული ჭვარზე!
 მთლად ქვეყანა, მოფენილი ჭვრებით!
 (ვფიქრობ ყრმობის მოვარდისფრო ჩვარზე...).

სულ ერთია: კოცნა იუდასი
 და სოკრატეს შხამიანი თასი!
 სულ ერთია, რით მოგისპობს დღეებს
 ქვეიანების უღლეური დასი.
 სულ ერთია, ახვალ გოლგოთაზე,
 თუ სოკრატეს გაივსება თასი!

...მაგრამ ჭერ ხომ ვარდობისთვე ბზინავს
 და იგება შენიც ფიანდაზი...

• • •

ან სიმღერა რად ღირს შენი, ან ღიმილი, ან თამადის
 სიტყვა მკვევრი, საინძელო და კოლხური ანდამატი...

— არაგვზე გრძლად ვინც ვერ იტყვის, მოშაირე არა ქვიან!
 — ვინ პოეტი! რა პოეტი! — აქ პოეტი — არაგვია!

შენც მღერი და ჩვენც გვამღერებ! ჩვენც გვათრობ და შენაც
 ბათარეკავ, შე ღმერთძაღლო! ამიტომაც გვენატრებ!
 თვრები!

— სად მისდინხარ, რომ მისდინხარ! — სულ ერთია, უკან მახოლ!
 უკაფიოდ როგორ გასძლებ, უღუდოდ და უკალმახოდ!

მთელი თვეა უქაღალდო, უღექსო და უკალმო ვარ!
 ან სიცოცხლე მომინდება!
 ან სიკვდილი მომინდება!
 და როდესაც მომინდება,
 რა თქმა უნდა, უკან მოვალ!

ბეგერი

ცას შეწვდები კრიმანჭულით,
 შერმე — დაბლა დახრი კილოს,
 კრიმანჭულის კილოსავით
 ბებერო და დაღრეკილო!

ღრუბლის ირმებს მიუსიე
 ღრუბლის მარდი ეგერები!
 ისე მოგწონს ეს ცა — ამ ცას
 მართლა გამოეკერები!

• • •

მე ერთადერთი მიყვარს წესრიგი! —
დილა. ბოთლები. დილა. რძის რიგი!

ყუთებს ყუთებზე აწყობს აკოფა:
„ბევრი მოიდა! ყველას ეყოფა!“

ღარიბებიც და დიდი ქურდებიც —
აქ ყველა მოდის მხოლოდ ხურდებით.

იმის დედაც და იმის ატომიც! —
მე ეს ცა მიყვარს — ირმის ნახტომი!
ეს ცა, ეს მიწა — ძველი, დაღლილი,
და რძე — ქალაქში, მტვერში
დაღვრილი...

ვიყიდი ხაკოს, მაწონს, არაქანს...
მაგრამ მანქანა რატომ არა ჩანს!

მომწონს ეს ხალხი! მიყვარს ეს რიგი! —
თეთრი ბოთლების თეთრი წესრიგი!

• • •

სურვილებს შენსას — ზებგერითს —
ვერ სდევს სხეული — საპყარი...
კონკორდი — სადღაც სამხრეთით...
კორკოტი — შენი სამხარი...

სად — „ტუ-ას ოთხი“, სად — „ილი“!
სად — ზებგერითი „კონკორდი“,
სად — მიტერანის სადილი,
სად — შენი მწირი კორკოტი...

ქართველი გლეხის კირიმე:
სახლი მაქვს, თავზე კერი მაქვს!
რად მინდა მილიონები! —
თავი რა, დასაკერი მაქვს?



მეზარ კვიციანი

მახსენებს...

ქამი, ეს ქამი წვეული,
არ ვიცი — რას შეეწირე;
ლოდინისათვის — დიდია,
ცხოვრებისათვის — მცირე.

წითელ-ყვითელი ფოთლო,
შენ თვალი უნდა კვებო,
თქვენ კიდევ, როცა იქნება,
გულზე დამეწყვეთ, ქვებო,
უკეთესს ვინ რას ინატრებს,
ბედია სანაქებო.

ღვთისგან ბოძებულს, ნაჩუქარს
არ დაედება წუნი...

ვველას ვერ გასწვდა უფალი,
არც არის გასამტყუნი.

ვმადლობ, ის მაინც ვისწავლე,
ერთია — ლანძღვა, ქება...
ვისი რა უნდა შემშურდეს,
თავი პარტახად მრჩება.

„უბრალოდ უნდა სიმღერა, —
მახსენებს მიწა გრილი, —
რაღა დროს კულის ქნევია,
კაცი ხარ მიხვედრილი“.

ბავშვობა

ლეილა ნადარეშილის ხსოვნას

ბედმა შავს მიწაში დაფლო
ჩვენი ქალი სადღეოდოლო,
ვაი, სიმწრით გადამსყდარო,
ჩვენო სისხლო, ჩვენო ოფლო.

როგორ შემოგვადნა ქამი
მისი სამზეოზე ყოფნის...
*სად ჩაქანდა, ის რომ იწვა,
ბლავგი ყუა იმ კიღობნის.

რომელ ცხრაკლიტულში დნება
მისი იისფერი შარფი,
თმა — თეთრ შუბლზე ჩამოშლილი,
მისი თვალი, მისი წარბი.

ატმის ყვავილად რომ ენთო,
რამ დაშრიტა ასე ხორცნი...

რაღად მოფარფატებს დაბლა
სული ცაში ანატუორცნი.

უკვე მორთეს, გულმდულარე,
დადგომიან თავზე ძმები...
არ გენახოს, გაკლდეს ვითომ, —
კიდევ ერთხელ ჭვარს ეცმები...

გზა, არსაით მიმავალი,
თითქოს იცნო და ვერც იცნო,
სხვა მინდორზე ჩაიმუხლა,
სხვა გვირგვინი შემოიწნა.

თითქოს გვითხრა სახემ ლურჯმა,
არაფერი მრჩება მანდო;
მასთანა ვარ, ეს უთქმელი
საიდუმლო ვინც გამანდო.



ნიშანი

არც დევნა ქარის, არც ღამის თევა...
 აწ აღარ გიხტის გული კობრივით.
 სიბერის მაცნე — დაგეწყო წნევა
 და მოვლენები ასაკობრივი.

ჯერ ივლი, ვიდრე დასამარდები.
 დრო — ძველი კრუხი — კვერცხებს დაათბა;
 უნდა დაგმართოს დასამართები —
 წელმა სამოცმა, სამოცდაათმა...

ისწავლა ბედმა თავის ავდება —
 აღარ გაშორებს მზერას ალმაცერს;
 თუ შეტი არა, გაორმაგდება —
 სიბრყვე შენი და სიზარმაცე.

მიგათრევს თავქვე უშნო ღინება,
 ლულული მისი გავს მთვარის ლიღის...
 გაჩხოტილ მტევანს ეპოტინები,
 რაც დარჩა, ნუთუ ამდენად გიღირს...

წინათბრძნობა

მალე გახდება საქმე საკივრად...
 მიღის და მიღის განზე მიღები
 სიკოცხლისაგან... სამის შაგივრად
 მექნება ერთი განზომილება.

შავი ბორბლების მე ვისმენ დგანდგარს,
 ნუ განმსჯით,
 ცოდვა არვინ დაიდოთ...
 იქ, ჯოჯოხეთის კარებთან დამდგარს,
 აღარ მეცლება სამუშაითოდ...

ჩირად არ გიღირს ჩემი დაწნება,
 სხვა რამეც თუა ასე უდავო...
 შუბლზე გეტყობა — რისი მაცნე ხარ,
 სულის შემძვრელო და შემხუთავო.

პანი



მოსკოვი, ძველი რომი.

რქანაყაის და დანაყრებულ,
აწითლებულ პანს,
ქაფიანი, მოჩქაფუნე
მაჭრის ღელე ბანს.

შემღვრეულ და ამღვრებულ
ბადაგს პეშვით ხვრეპს.
სადაცაა, საძოვარზე
გაღარეკავს ცხვრებს.

მზეს გაღუტყდა ხერხემალი,
ქვა და მიწა ხურს;
ცხელი, აწრიალებული
რძე აწვება ცურს.

ილურსება, ველურ ვნების
ტანში ბრუნავს დენთი.

მოღის ქალი, მის დაკუნთულ
მკლავზე მოსათენთი.

იცის, რადაც გაუფინა
მოლი მოხასხასე, —
გოგო ვაზისფოთლიანი
ათამაშოს რქაზე...

გეგონება, ისევ ისე,
მწიფე მტევნებს წნებს;
ეწურება, ეწირება
თემოს, შიშველ ფებს...

არც გახედავს, სარეკელას
ხმაზე დაძრულ ცხვარს...
ხელუკუღმა იწმენდს შუბლზე
დაყრილ თქროს ცვარს.

სიერი

ძველი გრაფიურა

წამოვიდა თათები
ათ-ათთა და ოც-ოცთა;
ძნელი გასარჩევია, —
ვინ ვისგან გამოცოცდა.

თვალში ბევრი მეჩრება
წვრილშუბლა და ბრტყელთავა —
მეტჩრების, ლაჩრების
და სხვა ჩვრების ხელთა ვარ.

როღის იყო, ვეჭექი
ან მათ ღვინოს ვისხამდი,
არასოდეს მჭონია
ბედი ანუ ყისმათი.

ვაკვირდები მუჩუჩებს —
ვინ ვის ახლოს მოჩოჩდა;
წყალში დაოსებულან,
აქვთ იმედი მეჩერთა.



ყრია სანეხველაზე
ჩენჩო, მიზანს რაც აცდა;
ხელმრუდედ განასროლი
ხელმოცარულ ბაცაცთა.

სად ეტევა ამდენი
ჭიჭყინა და ტყლარჭია...
ვხედავ — ქიანჭველები
ასევიან მკვდარ ჭიას.

წყნავიან ფინიები,
წამოშლიათ ბალანი...
და მარწუხებს აკენეტენ
ერთუტრის... კიბორჩხალანი.

გამოგრუნება

იმ ბნელი დღიდან, სუნთქვას რომ აჩერებს,
უკან დავექანე... დავდივარ, ვიღლები.
საკუთარ ნაკვალევზე დადგმულე ტერფივით,
ვიმეორებ ყველა შეცდომას.
თვალი ხედავს, ყური ისმენს, გული ძგერს...
მეტი არაფერი მჭირდებოდა.
არც ვცდილობ — ტანჯვა ავიცილო,
ვნებდები გარდავლილ ცდუნებებს.
ქუსლები მექცა ფეხის წვერებად,
კეფა დაბეჭილი — ოფლიან სახედ...
გზიდან გადახვევის მეშინია.
ადრინდელივით მერევა დღეები, წლები.
არ მახსოვს თავი,
სხვათა გაფრთხილებაც მავიწყდება.
სახლებს ვცნობ, ნაცნობებს პირს ვარიდებ,
მანქანებს, ყოველი შემთხვევისათვის, ვერიდები...
და ისე ვიგებ მოყვასთა დალუპვას,
თითქოს არ ვიცოდი, პირველად მესმოდეს...

როგორ გამიკვირდა: —
ამბს წინათ, ტროლეიბუსში,
ხურდა გადმომაწოდეს, ბილეთი მოხიეთო.
თურმე ვჩანვარ, მე კი ვფიქრობდი —
ყველამ იცოდა ჩემი ამბავი;
მეგონა სხვაგან იხედებოდა ხალხი.
რახან ასეა, უნდა გავიტრუნო,
მადლობის გარდა არაფერი მეთქმის.
სულ მახსოვს ის დღე,



ძირს რომ დაეუშვებ ხელებს,
ძარღვებდაწვეტილი შევქანდები
და ტორტმანით წავალ მაღლა,
ვიდრე გაიპოზა დაბუშტული,
არაფრის გამარჩევი ლურჯი ზედაპირი...
დაძახებასაც ვერ მოვასწრებ,
ეს ისე მოხდება.

მოლანდება

აქ, ამ ადგილზე, პატარა ბიჭს მე ხელი ვკარი,
რომელმაც ნახეთ, შეილია ჩემი.
ერთი დღე იყო,
გულამღვრეული, მომახრჩო ზაფრამ
და გავიმეტე.
ტიქებს ამტვრევდა,
ფარდებს გლეჯდა პატარა ბიჭი,
სხვა არაფერი მას არ შეეძლო.
რისი დანახვაც ასე უნდოდა,
არ ჩანდა არსად.
ათასში ერთხელ გაიცინებდა,
მომექცეოდა მოხრილ ბეჭებზე,
აფათურებდა მსუქან თითებს კარადის თავზე.
აქ, ამ ადგილზე ვწრიალებ, ვიცდრ.
იქნებ ხმა მიწვდეს, —
ჩამოიაროს პატარა ბიჭმა.

რიკულუბიან აივანუა

მომხრობა

ძილი უყვარდა იასეს, განსაკუთრებით — დილის ძილი. ოღონდ კარგად გამოეძინა და მერე გინდა ქვა გეკოდინებინა, გინდა გუთანში შეგება და დილიდან საღამომდე ყამირი გეტეხინებინა. აღარაფერს დაგიდევდა. მითუმეტეს, ეხლა რა შეუშლიდა ხელსა და რა დაათმობინებდა საძილეთს, როცა მშობლიურ სოფელში ჩამოსულს ყოველგვარი საფიჭრალ-საზრუნავი ქალაქისათვის დაემწყურალებინა, აღარა აწუხებდა, არსად ეჩქარებოდა და ღია სარკმლიდან ოთახში შემოჭრილი ჩიტების ჭრიკ-ჭრიკი ნანინასავით ჩაესმობდა ბურანში. მზეს უკვე გვარიანად აემალლაურებინა. მაგრამ თავს ალბათ დიდხანს არ წამოსწყევდა ბალიშიდან, დედას ძალით რომ არ გაედღვიძებინა:

— ადუ, ბიკო, სირცხვილია, აგე, თამრო ბებოა მოსული შენს სანახავად, ეგეთი სიზარმაცე სად გავიზინლა, სულ ნუ მომჭერი თავი — სოფელ-ქვეყანაში...

— დაეხსენ სალომე, ეძინოს, — აივანიდან ისმობდა თამროს ხმა, — ტყუილად კი არ ამბობენ, ნათლულს ცალი გვერდი ნათლიისა აქვსო, იმ ჩემმა მომსპობმა თავის სისხლსა და ხორცზე მეტად ეს რომ იმსგავსა, არ გიკვირს, ქალო?

იასე ზმორებით გამოვიდა ოთახიდან,

ზანტად წამოვიდა თამროსაკენ, მერე უცებ დაავლო ხელი, ციმციმ აიტაცა, გადააკონა, დატრიალდა და ეგრევე პაერში მყოფთან ერთად წაიციკვა.

— დამსვი, შე უვარგისო, შენა, დამსვი, შე მტერმკვდარო... დამსვი, შეილო, ახალი ამდგარი ხარ, ნუ მეწევი, არაფერი იტყინო. — სიცილის შეკავებას ცდილობდა დედაბერი.

— როგორა ხარ, თამრო ბებო, როგორ, ნასყიდა ნათლია ხომ მყავს კარგად?

— ეპ, რაღა კარგად არის, გენაცვალე, — თამრო კაბის კალთების სწორებით ჩამოჭდა სკამზე. — დაბერდა, მოტყდა, ის ნასყიდა აღარ არის, შეილო, შენ რომ გახსოვს...

— კარგი, კარგი, ეგ არის და ვითომ მეც ათი წელი აღარ მენახოს. რაც თავი მახსოვს, შენ სულ მაგის სიბერეზე ჩივიხარ, მაგრამ ნასყიდასათვის ჭერ საწუწუნო არაფერი შემომჩნევია.

— არა, შენკი დაგწამლებივარ, ეხლა სულ სხვანაირად არის, აღარც ვინმეს დალაპარაკება ეხალისება, აღარც ვარრეთ გამოსვლა უნდა, ზის მარტოობისგან თვალგულამოღამებული და ერთთავად გზას გაჰყურებს, ერთთავად წუხს და ოხრავს საცოდავი. — ხელი ჩაიჭნია თამრომ. — შენთანაც იმიტომ ვადმოვედი, ვიფიქრე, ნასყიდას უნა-

ხავად არ გაბრუნდეს-მეთქი ქალაქში. იმან არც იცის თუ აქა ვარ, რომ გამიგოს, შეიძლება გამიბრახდეს კიდევაც: თუკი ვინმეს ჩვენთან მოსვლა და ჩვენი ნახვა უნდა, სპეციალური დაპატიჟების გარეშეც მოვაო, გადმოდი, შევილო, აგრემც ვაიხარებ, ხომ იცი, როგორ ესამოვნება შენი ნახვა.

იასეს ვერ წარმოედგინა უმოკმედებას შეგუებული, სევდის მინებებული და მოწყვნილი ნასყიდა, მაგრამ თამაროს ხმაში ისეთი შემფთობება და წუხილი გამოსკვიოდა, რომ თვითონაც შეფიქრიანდა.

— აბა, რას ამბობ, თამრო ბებო, თქვენს უნახავად როგორ წავიდოდი, მაგან როგორ შეგაწუხა? აი, მოდღენდეს ცოტა და აუცილებლად გადმოვალ, მაშ არ გადმოვალ?

— რა ვიცი, შენკი დაგწამლებივარ, შეიცვალა ქვეყანა, ვილასი რა გაიგება, უკვე შუადღე წამოვიდა და შენი ხნის კაცი ამ დროს რომ იტყვის, მოდღენდესო, აბა იმისი რა იმედი უნდა მქონდეს, რაღა დავიჭერო. — თავსაფრის ბოლოებში ბებრულად ჩაიღიშა თამრომ.

— მაინც ვერ მოითმინე, არა? მაინც ვერ მოითმინე... — ხარხარებდა იასეც.

— მა, ეგეთი ვაკნიაზება და თავის პატივი რა არის, ჭა. — ხელები გაშალა თამრომ. — ჩვენს ძველებს უთქვამთ: ძილი მქონდა უყვედური, იმან გამხადა უბედურიო. შენ ღმერთმა სიკეთე მოგცეს და ბევრ ძილშიც არა ყრია რა, მართო ნესვი იზრდება წოლითა.

და წახუხუსდა სახლისაკენ წელში ყოჩაღად გამართული, გაუტეხელი, ჭაფას დაუმორჩილებელი.

გამორჩეულად უყვარდა ნასყიდას თავისი ნათლული. იასე რომ წამოიზარდა, ნასყიდას ქალიშვილიც გათხოვილი ჰყავდა და ბიჭებიც კარგა ხნის დაბინავებულები იყვნენ ქალაქში. ათასში ერთხელ თუ ჩამოიძლეოდნენ მშობლების სანახავად: ძალიან მოუცლელადა ვართო. შვებულებასაც საღალაქ სხვა-

გან ატარებდნენ, წელიწადში ერთი თვე გვაქვს დასვენება და ისიც თუ ვერ გამოვიყენეთ ჩვენს გემოზე, ისიც თუ საკუთარ სოფელში შემოვფშვინდით, ამ ქვეყანაზე თვალი ვეღარ ვაგვიხელია და ეგა ყოფილაო, იტყოდნენ ხოლმე მშობლების საყვედურის პასუხად ტუჩაბუებულები და ამ საყვედურის გამო თავადვე განაწყენებულები. იმათ ნასყიდასი აღარაფერი უნდოდათ, არც ზრუნვასლა საჭიროებდნენ მისას და არც რჩევა-დარიგებას. ნასყიდამაც მთელი თავისი უშველებელი ცოდნა და გამოცდილება მამით ობოლი ნათლულის აღზრდას მოახმარა და სამომავლო გეგმები და იმედები იმას დაუკავშირა. დიდი ამბავი დასლო, გარჯა და მონდომება არ დააკლო ამ ცქვიტი და ალღოიანი ყმაწვილის გამოზრდას. იასეს ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა, შრომა არ ეზარებოდა და სწავლაშიაც პირველობას ჩემულობდა. ნათლიაც, თავის მხრივ, ბევრს არიგებდა, წვრთნიდა და გეშავდა, ცდილობდა, თავისი ჭკუისა გამოეყვანა. ზოგჯერ საათობით ისხდნენ ფილოსოფიურად ჩაფიქრებულნი და ბჭობდნენ ამქვეყნიურ ავკარგზე. მსჯელობდნენ და კამათობდნენ თავიანთი სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე, თუმცა ამის შესახებ იმათ არავინ არაფერს ეკითხებოდა. ისე კი, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, თუ შექმნილი ვითარება მოითხოვდა, დინგაზე გაკენწვლას არც იასეს უხვალიებდა ნასყიდა, მაგრამ ასეთ კბილის გაკვრაშიაც სიყვარული და სითბო იგრძნობოდა.

იასემ საშუალო სკოლა რომ დაამთავრა... თუმცა, სკობია, ყველაფერი თავიდან დავიწყეთ, ისე, როგორც ეს რიტორიკაში სწერია.

ნასყიდას განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა მამლებისა. მასზე უფრო შნოიანი და პატივსაცემი ფრინველი დედამიწის ზურგზე სხვა არ ეგულებოდა. აბა, ერთი შეხედვით, ალტაცებული ეუბნებოდა იასეს, ნახე, როგორი დარბაისური მიხვრა-მოხვრა აქვს, როგორ ამაყად დადის, ეს იმი-

ტომ რომ გრძობს საკუთარი თავის ღირსებას, მშვენიერად იცის თავისი თავის ფასი და წონა. თანაც რა საოცრად კეთილშობილია! შენ თუ დაჰკვირვებინარ, ნამდვილი რაინდით რომ იქცევა: საღმრეთო საკმელს თუ მიაგნო, მარტო კი არ დაუწყებს ჰამას, დედლებს ეძახის და იპატივებს, ჰარიქა, მოდით და დამეწვიეთო. ინდაურებს კი არა ჰგავს, ათნი ერთს რომ დაუწყებენ ხოლმე ჩხუბსა და ცალ-ცალკე ღმერთს არაფრად უქნია. ჰეი! შვილოსა, მამალი საღვთო ფრინველია, საღვთო! უმაგისოდ სალოცავში შესაწირავს ძალი არა აქვს. მაგნე და ეშმაკი ხომ ვერ უძლებს მაგის ხმასა და ძალიან სანდო ხალხის ნათქვამს გეუბნები, თურმე ლომი ხომ ნადირთა მეფეა, ისიც კი თავზარდაცემული გარბის მამლის ყვილის გაგონებისას. ეგეთი რამე უმიზეზოდ და შემთხვევით არა ხდება!

იმ ხანებში მაინც ხომ მთლად გადაიირია მამლებზე. კვირაობით ბოდბისხევის ბაზრობას არ გააცდენდა და თუ კაი ჭიშის მამალი შეხვდებოდა, უყიდველს არ გაუშვებდა. იასესაც შეაყვარა მამლების ჩხუბი და ძიძგილი, ერთად ერთობოდნენ დაქოჩრილ-დასისხლიანებული მამლების ცქერით და თამროს ქოთქოთსა და დავიდარბას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთხელ კაბლიდან ისეთი მამალი მოიყვანა, ავთვალს არ ენახებოდა, საცხოვრებელს დასთმობდა ნასყიდა და იმას კი არა. ღვთის წინაშე უნდა ითქვას, მართლაც ლამაზი იყო ის ოხერი, ღონიერი და კეჟა-გონებით საესე. იმისი შიშით უცხო საქონელი ვერ გაიჰკანებდა ეზოში, ძაღლზე უკეთ დარაჯობდა კარმიდამოს. ან ეგრე აზრთანად როგორ არ ჩევდა სხვის ცხვარსა და ღორს თავისიანისაგან. ვინც იცოდა ელეფთრეს ამბავი, (ნასყიდამ ელეფთრე დაარქვა მამალს), ეზოში უჭოხოდ შესვლას ვერა ბედავდა, დასაკორტნად თავი არ ეშეტებოდა. ნასყიდას რომ მამალი ჰყავს, ცხენიან კაცს ძირს დასცემსო, ამბობდნენ სოფელში. ჰე, ჭერ მარტო ხმა

რად ღირდა ელეფთრესი, ომახიანი, ვაეკატური, აქ რომ დაიყვილებდა, ყვეარლისა და ლაგოდებისაკენ დედლებს მუხლებში აყრუოლებდათ.

მაგრამ რა ამოაესებს და გააძლობს კაცის გულს. ნასყიდაც არ დასჯერდა ელეფთრეს ასეთ სიჩაუქესა და შემართებას, ღვთის ბოძებულთ არ დაკამყოფილდა და უფრო მეტი მოინდომა. ამის გამო იყო, რომ მამლის აქტიურობის გასაძლიერებლად დაეკვილ ხორცში ცეცხლივით მწვავე, დანაყილ ტიპა წიწაკას ურევდა და იმას აქმევდა. წიწაკამ, ეტყობა, უარყოფითად იმოქმედა სახმო სიმებზე და მამალს ხმა ჩაუხრინწა. მთელი ერთი კვირა ამოდ ელოდნენ გაღმა მხრის დედლები ელეფთრეს ხმის გაგონებას. საწყალი ელეფთრე აიყაყებოდა, აიწევდა კლანჭებზე, მაგრამ ძველებური ხაფი ყვილის ნაცვლად საცოდავი ხაფილი ამოსდიოდა ყელიდან და პირშერტყვენილი გარბოდა დასამალად. იდარდა მამალმა, მოიწყინა, აღარავის ეჩვენებოდა, ჭათმებს აღარ ეკარებოდა. ნასყიდა ხომ მთლად გადაიირია, ელეფთრეს წამლობის მეტი სხვა აღარა ახსოვდა რა, დილა-საღამოს ახალ კარაქს აყლაპებდა ძალისძალიად. იასემ, თავისი კეჟით, რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა:

— ნასყიდა ნათლი, კარაქის ნაცვლად კვრცხის გული ხომ არ გვეცადა?

— აჰ, არა, — შორს დაიჭირა ნასყიდამ ეს მკრეხელური აზრი. — დღესვე რომ მოკვდეს კაციჰამიობას მაინც არ მივაჩვევ. ვინც გაიგებს, რას იტყვის, მერე თავი როგორღა გამოვყოთ სოფელ-ქვეყანაში ან ჩვენ, ან ელეფთრემ.

ღვთის შეწევნით, მამალს კარაქმაც უშველა და ცოტა ხანში ძველებური ზარი და ომახი დაუბრუნდა ხმაში. შვებით ამოისუნთქეს გაღმელმა დედლებმა და საერთოდ, ჭათმის ჭიშმა და ჭილაგმა ამაყად გამოიხედა თვალში.

ერთხელ ალოღლეტიანთ ესტატემ

ახალი აღმოჩენის შესახებ შეატყობინა ნასყიდას:

— საკვირველი ამბავი გავიგე, კაცო, თურმე ბადრიჯანს ადამიანის მეტი არაფერი სკამს, ღორი და ვირი რომ ღორი და ვირია, ისინიც კი არ აკარებენ პირსა:

ნასყიდას თუმცა არც თვითონ უყვარდა ბადრიჯანი, მაინც შეეკვდა ამ მიგნების ჭეშმარიტებაში:

— ისე, ბადრიჯნისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ... თუკი ადამიანი სკამს, ცხოველი ვინ მიგდია, რომ საქმლის არჩევანში შევიდეს და რასაც პატრონი შეაძლევს, იმაზე უარი განაცხადოს.

— პო, შენ ხომ ვერაფერს დაგაჯერებს კაცი. — ამბობდა ესტატე.

— ერთი ამას უყურეთ ე! მემდურის, რატო ტყუილებს არ იჯერებო. მე თუ ეგრე იოლად ვირწმუნე ვიღაც-ვიღაცეების მონაჩმაბი, კარგად წასულა ჩემი საქმე. რაა, ხალხი იმას კი არ ამბობდა, რომ ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში სჩრიდნენო, მაგრამ...

— არა სთქვა ეხლა, მართალი არ არისო.

— დამაყა, შე დალოცვილო, მათქმევინე სიტყვა ბოლომდე. — დინჯად ჩაიციხა ნასყიდამ. — ამასწინებზე დავგლიჯე ერთი კალთა პიტნა, დაუყარე გიობელას ვირსა და...

— მერე, შეჭამა?

— სულ ღიღინითა! კლერტიც აღარ გაუშვია.

— აბა ელაპარაკე... ვირს დააოხრებინე იმდენი პიტნა?!

— მეცნიერების განვითარებისათვის ხალხი მილიონებს არ იშურებს და მე პიტნა დამანებოდა! ყველანი შენისთანა ჭეაწვიები რომ ვყოფილიყავით, ეხლაც გამოჭვებულში ვიცხოვრებდით და რწყლიან ტყავებში გვეძინებოდა.

— ვირისა და პიტნის ამბისა არაფერი მეკითხება, — სიბრაზისაგან პატარა თავი აუცახცახდა ესტატეს. — მე ბადრიჯანზე გელაპარაკები, შეუსმინარო!

„ვინ იცის იქნება არცა ტყუის“, გაიფიქრა ნასყიდამ ესტატეს წასვლის შემდეგ. სიმართლე რომ დაედგინა, თამროს რამდენიმე ცალი ბადრიჯანი მოჰპარა და ღორს სალაფავში შეატყუა. ღორმა კარგა ხანს ასარგალავა დინჯით, სალაფავი შეთქვლიფა და ბადრიჯნები შეუქმელი გაუშვა. „ვერ უყურებ იმ მლივს, მართალი ყოფილა!“ — გაიფიქრა ნასყიდამ ესტატეს მისამართით, გაჯავრებულმა ღორს წიხლი უთავაზა და მაგასაც დაგანატრებულვებო, დაემუქრა. მერე ერთი ბადრიჯანი ელეფთრეს დაუჭრა წვრილად: ვნახოთ, ეს რაღას იზამსო. მამალი ვახაცაცებული ეცა, თან სხვებსაც უხმობდა: პირიქა, დროულად მოდით, ნახეთ რა ვიშოვე, რა დოვლათს მივაგენიო. მის დაძახილზე დედლებიც მოცვივდნენ, ხათრის გულისათვის ერთი-ორჯერ უგულოდ, უწადინოდ ჩაპკრეს ნისკარტი და გაწბილებულები გაბრუნდნენ უკან. ამის შემდეგ ხომ მართლა მზე და მთვარე ამოსდიოდა ნასყიდას ელეფთრეზე.

იასემ სკოლა რომ დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში დააპირა წასვლა, ნასყიდას გულს შემოეყარა, განზრახვანზე ხელის აღება ურჩია და ყველანიარად შეეცადა გადაეთქმევინებინა.

— სწავლა თუ გინდა, ეგე წიგნები და ეგე შენა, ცოდნა დედის მუცლიდან კი არავის დაპყოლია. იმ ქალაქებშიც რაც იციან, წიგნებიდან იციან. მაგის გულისათვის იმ მოუსავლეთში სად მიდიხარ.

— რას ამბობ, ნათლი, თბილისამდე რა იმდენი მანძილია? — გაიოცა იასემ, — რა მოუსავლეთი ეგა ნახე?

— საიდანაც აღარა ბრუნდებიან, მოუსავლეთია, მა რა არის. — ჩაიციხა ნასყიდამ. — აქედან იქამდე არაფერია, იქიდან აქამდეა შორი. ერთი ლექსისა არ იყოს, წასვლა ადვილი გეჭნება, მოსვლა გახდება გვიანი. რა იყო, რა მიამიტად შემომყურებ, ეხლა ყველა ეგრება და შენ რაღა წითელი კოჭი იქნები?

იასემ მაინც რომ არ დაიშალა თავისა, ნასყიდა გადავიდა და ელფეთრე გადაჰგვარა საჩუქრად:

— თუ შენი სოფლისა და დედაშენის სიყვარული აღარ შეგრჩება, მეც დამივიწყებ და აღარ ვაგახსენდები, იქნება ამ მამლის ნახვა მაინც მოგენატროს და მაშინ მაინც ჩამოხვიდე ხანდისხან.

პირველ წლებში იასეს სიზმარშიაც ჩაესმოდა ელფეთრეს ყვილი და სოფლისაკენ უხმობდა, სოფლისაკენ ეწეოდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ელფეთრემ რა ხანია თქვენი ჰირი წაიღო. იგი თავისი ბუნებრივი მონაცემებით, თავისი გაქანებითა და შესაძლებლობებით ალბათ მსოფლიოში ცნობილ არცერთ სახელგანთქმულ მამალს არ ჩამოუვარდებოდა, მეტი თუ არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ ადგილას მოუწია ცხოვრება, რომ მისი დიდება ერთ პატარა სოფელს ვერ გასცდა, უაზროდ, უსახელოდ დაასრულა თავისი ხანგრძლივი, ფათერაკებითა და თავგადასავლებით აღსავსე სიცოცხლე, ხოლო ასეთი დიადი ამბის თხრობა მე უღირსს მხვდა წილად.

ნასყიდას ძველებური ორსართულიანი სახლი ნავის წყალთან, თავისივე ვენახის თავში ედგა. ეგეთ ლამაზ შენობას ბევრს ვერ გადაეყრებოდით სოფელში. სხვისა რა მოგახსენოთ და სილამაზის ისეთი მოყვარულისა და დამფასებლისათვის, როგორც ნასყიდა ვახლდათ, ეს სახლი მართლაც რომ დიდ განძს წარმოადგენდა. აივნის ყველა კივისთავი ბულაურით ჩუქურთმებით იყო დაჭრელებული. მოხდენილად და ნატიფად გამოყვანილი კარფანჯრის ჩარჩოები, განსაკუთრებით კი დიდი გემოვნებით გამოხარატებული მოაჯირის რიკულები თვალსა სტაცებდა და ატკობდა მნახველს. თვითონ ნასყიდა შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ თავისი სახლის საქმებარი სიტყვა არ წარმოეთქვა: — ამას რომ

უყურებ, შვილოსა, შენ უბრალო კიწუ გგონია, იმ მარჯვენაკურთხეულ ვაჟისო ჩუთლაშვილის გაწყობილია. — იყო მაინც ეგეთი, კაცო, რა ხელი ჰქონდა იმ სულგანათლებულს! ჯერ მარტო სურაიები ნახე როგორებია. ეხლანდელი სახლებივით ცინკისაგან გამოკრილი ირმებითა და მამლებით კი არ არის მოლამაზებული. წადი, მიიარ-მოიარე ახლომახლო სოფლები, ეგეთ რამეს სხვაგან ვერსად წააწყდები. აღარ არის. დაანგრის და აი, ამისთანა ქარახინები წამოკიმეს... — ხელს მეზობლის სახლისკენ გაიშვერდა. — მე კი არ გავბრიყვდი და შვილებს ეს განძი შევუნახე, ეხლა თვითონ იციან თავიანთი საქმისა, მიხედონ და უპატრონონ.

ამ ბოლო დროს, როცა ცოტა არ იყოს, მუხლმაც უმტყუნა ნასყიდას და ენამაც, იქდა თავის რიკულებიან აივანზე და მოლოდინით საცხე თვლებით გაპყურებდა გზას, იქნება ბიჭებს გავახსენდე და ჩამოვიდნენ, ან არადა ქალსიძე გამოვიდნენ გაღმა სოფლიდანო.

მათკენ მიმავალი იასე რომ დაინახა, სიხარულით აუციმიციმდა თვლები, მოუთმენლობა დაეტყო, ტახტიდან წამოდგა და მოაჯირს გადაეყრდნო.

ნასყიდას ეზოს მიახლოებულ იასეს რაღაც ცრუანტელის მომგერელი, არამქვეყნიური ხმა შემოესმა და შეაკრთო. ეტყობა, რაღაცა ახალი უცნაურობა მოიგონა ჩემმა ნათლიამო, გაიფიქრა გამხიარულებულმა და ფეხს მოუჩქარა. კიშკარი რომ შეაღო, მიხვდა, კატის ხმა იყო, კატის ჩხავილს ჩამოჰქონდა ცა დაბლა.

— რა ხდება, თამრო ბებო, რას აკნავლებთ მაგ კატას, აღამიანო? — ჰკითხა იქვე დერეფანში მოფუსფუსე თამროს,

— ეშმაკმა რომ არ იცის ნასყიდას თავი და ტანი, დააბა, ბიჭო! ერთი იკითხე, კატის დაბმა თუ გაგონილა სადმე.

— თუ არ გავგონილა, ეხლა გაიგებენ, — ჩამოსძახა მილდიდან ნასყიდამ, —

მაგას მაინც გავატარებ ჩემს კუთუხე. მაგაზე მაინც მიმიწვდება ხელი.

— მოდი, გაუშვი, ნასყიდა ნათლი, მაგის ჩხავილს ნუ მომასმენინებ, გაძლება არ უნდა? — შეეხვეწა ისე.

— ეხლა მაგას ვინლა მიუდგება, — ჩაიციხა ნასყიდამ, — თავი ვის მოსძულდება. თუ თვითონ აიშვა როგორმე — ხომ კარგი, თუ არა და იქნება ეგრე.

— შორიდან მაინც გადაუქუერ თოკი, შე არ ვასახარელო, დავიწვი მაგის საცოდობით. — გაკაპასებული იწყევლებოდა თამრო ქვევიდან.

— აბა, გესმის რას ლაპარაკობ, დედაკაცო? მაგ სიგრძე თოკით როგორ უნდა ირბინოს კატამ, არ დაიტანჯება? რატო ერთბეშევა შებრალება არა გაქვს ცხოველისა. — იცინოდა ნასყიდა.

— მაგის მეტი კუთა ნუ მოგცეს ღმერთმა, კატას როგორ უდგები ჩიბრში შე კატებშიაც და აღამიანებშიაც გამოსარჩევო. დაიცა, თუ მაგის ცოდვით საიქიოში ცხრა საყდარი არ ავაგებინონ, შე უბედურო!

— მე რომ კალატოზი ვარ, რატო ოცდაცხრას არ ავაგებ. შენ ისა თქვი, კატის წვალეზზე თუ ცხრა საყდარია, აღამიანისაზე რამდენილა იქნება, ჩემი ტანჯვისათვის შენ რამდენის აშენება მოგაწივს?

— უი! რატო არ დაგიდუნდება ეგ ენა-პირი, ჩემზე ეგ ითქმის, შე მიწის ტუსაღო! — უკვე სერიოზულად გაცხარდა თამრო.

— კარგი, ხალხო, კატის გულისათვის ნუ დახოცავთ ერთმანეთს. — იასე კიბეზე ავიდა და ნასყიდა გადაკოცნა. — რა დავიშავა, ის მაინც მითხარო, 'ნასყიდა ნათლი, რათ დააბი?'

— სისხლი გამიშრო, შვილო, მაგ ძალზე ნამყნობმა, სახლში ჩამ-ჭურჭელი აღარ დამიტოვა მთელი და გარეთ კრუხ-წიწილა დაუწიოკებელი. რა არა ვცადე, რა არ ვილონე, მაგრამ მე ჩემი, მაგან თავისა და ჰე! რათ გინდა რა, ვერაფერი შევასმინე.

— ეგ ჰო, კარგი, მაგრამ შენგან ამი-

სთანა რამეს ნამდვილად არ მოველოდი, ეგ როგორ მოგივიდა, ეგ როგორ დაგემართა, ნათლიაჩემმა ჩინანტულით იქნედა თავს ისე.

— რა იყო, ბიჭო, რას მიწუნებ, რა დანაშაული ჩავიდინე ეგეთი? — ყასიდად გაიოცა ნასყიდამ.

— რაა და, შენისთანა გამოცდილმა კაცმა ის როგორ არ უნდა იცოდეს, რომ ფეხით მარტო მსხვილფეხა საქონელს აბამენ და ისეთებს, როგორიც არის ღორი, ძაღლი, კატა და მისთანანი, საყელურს გამოუნახავენ ხოლმე. რატო შენც საყელურით არ დააბი ეგ შენი ხატატურა, არ დაუმსახურებია თუ რა? ეგეთი იმედი მჭონდა შენი! — ტახტზე ჩამოჯდა ისე.

— ოოო, დიდი არსაითი ხარ! — ღიმილის დასამალად უღვაშებზე გადაისვა ხელი ნასყიდამ. — შენ კატის აქიას თავი დაანებე და აქეთ მომხედე, მოყევი, რა არის ახალი ქვეყანაზე, რა ხდება ქალაქში.

— ქვეყნის ამბები ჩემგან რა გესწავლება, რადიო არ გაკლია და ტელევიზორი, ვაზეთებს ხომ კითხულობ და კითხულობ. რაო, თვალები ძველებურად ხომ გიჭრის ისევ?

— არა, თვალებს ნამდვილად არ ვემდურე, შენ სხვა თქვი თორემ... — უცებ შეეცვალა გუნება ნასყიდას.

— სხვა რაღა სადარდებელი გაგიჩნდა, რას უჩივი.

— რაა და, ჩემი ველარავის რა შევასმინე, ვერც სახლში და ვერც კარში, ვერც შინაურსა და ვერც გარეშეს.

— აღრე ხომ სულ შენს კუთუხე დადიოდა ეს ქვეყანა, შენ გეკითხებოდნენ, ვატრიალოთ თუ არა დედამიწაო, შენმა მზემ. — იგვანზე ამოვიდა თამრო და ლაპარაკში ჩაერია.

— ნეტავი ტარმოტეხილი გუგუთით ვით სხვის საქმეში არ ეჩრებოდე და...

— მე სხვის საქმეში ვეჩრები და შენ არა? — აიკლირსა თამრო.

— დედაკაცო, მაგდენ ლაპარაკს ისა სჯობია, საქმელი მოგვიტანო რამე, და-

პბერდი და შენით ველარაფერი მოგი-
საზრებია.

— არ მინდა, ნასყიდა ნათლი, ეხლა
ვკამე და წამოვედი. შენ ის მითხარი,
ვინ გაგაჯავრა, ვისა აქვს ეგეთი მაგარი
გული.

— ვინა და ხალხმა, სოფელ-ქვეყა-
ნამ: — წამოდგა და გაიარა-გამოიარა
ნასყიდამ.

— ოოო, ეგ კი ვერ მოსვლიათ კარ-
გი საქმე, საკვირველია, როგორ დაე-
მართათ...

— შენ მაიმუნობას თავი დაანებე,
გაიგე? — გაწყრა ნასყიდა. — უნდა
იციოდე, რომ სიცილსაც თავისი დრო
და ადგილი აქვს. რა მემასხრება, ლი-
მის გული გამისკდეს კაცსა.

იასე შეაცბუნა დაუმსახურებელმა
შენიშენამ, გაკვირვებით შეხედა ნათ-
ლიას. რა მოხდა, ეგრე უცებ გუნება
რამ შეუცვალაო. ღმერთი, რჯული,
იასეს საწყენი არაფერი უთქვამს და
გინდაც ეთქვა, როდის იყო, ნასყიდას
ეგეთი წვრილმანები მიჰქონდა გულთან.
მაგრამ, ეტყობა, ძაღლის თავი სადღაც
სხვაგან ემარხა. ამ გაბრაზების მიღმა
რაღაც სერიოზული საქმე იმალებოდა,
რომლის თქმას ნასყიდა თავის გამოზ-
რდილ ნათლულთანაც ვერ ბედავდა და
ეს უილაჯობა და უღონობა იყო, ასე
ძალიან რომ აღიზიანებდა.

რომ შეატყო, იასე ხმის ამოდებას არ
აპირებდა, ნასყიდამ თვითონვე გააგრ-
ძელა დაწყებული სიტყვა:

— რაა, განა შენ კი ვერა ხედავ, რო-
გორ გამოიცივალა ხალხი? ვერ ატყობ,
რომ ფულისა და ქონების შეგროვების
მეტე აღარა ახსენდებათ რა? დაცალ-
ცალდნენ, ერთმანეთისა აღარც ჰკირი
სტკივით და აღარც ლხინი ახარებთ,
საკუთარი ჯიბის იქით აღარ იყურებიან.
წინათ, ხომ გახსოვს, ზაფხულის საღა-
მო ისე არ ჩაივლიდა, ხალხი ერთად
არ შეყრილიყო, არ ესეირნათ, ან ტაშ-
ფანდური არ გაემართათ, ან შაირობა,
ან კიდაობა... ყოველ კვირა დღეს სა-
ღამოები ეწყობოდა, ხალხს სიცოცხლე
უხაროდა. ეხლა, ოღონდ ერთი ბროლის

ვაზა იშოვნონ და ცხრა მთას იქით გა-
ვლენ. განა მე იმას ვამბობ, ქურდობითა
და მამაძაღლობით შოულაობენ, მრუდუ-
ღზით ნაგრულობენ-მეთქი? არა, დი-
ლაბნელზე იწყებენ მუშაობას და გვიან
ღამემდე მაგათი ხელი არა ჩერდება,
ნაწლავებს იყრევიანებენ და ერთი წუ-
თი მოსვენება არა აქვთ, მაგრამ იმდენს
რომ წვალბ კაცი, გამოყენებაც ხომ
უნდა იციოდე ნაშრომისა, რაღაცა აზრი
და დანიშნულება ხომ უნდა ჰქონდეს
შენს გარჯასა, საქონელი ხომ არა ხარ,
შე კაი კაცო, მუშაობაში ამოგხდეს სუ-
ლი. გადი ქვეყანაზე, გაიხედ-გამოიხე-
დე, ნახე, რა ხდება, როგორ ცხოვრობს
ხალხი, ან სიტყვა თქვი, ან დაილაპა-
რაკე. აჰა! გაგიგონია!

გაუტია და გაუტია ნასყიდამ, თან
ბოლთასა სცემდა აივანზე, იშვითად
თუ გაიხედავდა იასესაკენ. ეხლა, გინ-
დოდა თუ არა, უნდა გესმინა, შენ სიტ-
ყვას აღარ ჩაგაგდებინებდა, არ დაგა-
ლაპარაკებდა, მითუმეტეს, ამდენ ხანს
მსმენელმონატრებულმა ყურისმგდებე-
ლი იშოვა და რაღა გააჩერებდა, რაც
კი ძველი და ახალი ამბავი იციოდა,
ყველა ეხლა გაახსენდა:

— ბიძა მყავდა ერთი, დედის ძმა.
დედაჩემი ჯუგანელი ნარინდოშვილე-
ბის ქალი იყო. დედ-მამა ადრე დახო-
ცოდათ და ისა და თავისი ძმა ობლო-
ბაში და სხვათა ხელის შემყურებაში
გამოზრდილყვნენ. დედაჩემს, ღვთის
მადლით, მხსნელი მოვლენოდა, რა ვი-
ცი, სად გადაჰყრდა მამაჩემი, მოსწო-
ნებოდა და უმზითვოდ წამოეყვანა. სა-
წყალ ბიძაჩემსაც დღე და ღამე გაეს-
წორებინა, მოჭამაგირეობით ფული და
ქონება მოვეგროვებინა და ბოლოს სა-
კუთარი ცხვარ-ძროხაც გაეჩინა...

— სულ შენა გგვანებია, შენმა მზემ,
შენსავითა ყოფილა საქმეზე გადამკე-
დარი! — სიტყვა ჩაურთო თამრომ.

ნასყიდას ვითომ არც გაუგია, თავი-
სას აგრძელებდა.

— თანდათანობით ისე გამდიდრებუ-
ლიყო, მერე სოფლის თავკაცებში ითქ-
მოდა თურმე. დასვენება რა იყო, არ

იკოდა, ათასში ერთხელ თუ შეიხედავდა სახლში, ცოლი არ ახსენებოდა და შეილი, ნათესავი იმან არ იკოდა და მოყვარე. ეგრე უმადურ და გარე-გარე ყოფაში, ეტყობა, გაცივდა თუ რაღაც ავადმყოფობა შეეყარა, წელკავად გაუჭდა, მთლად დაკრუნჩხა, დახუთა. ისეთი მიდგვა და უჭიათი იყო, ეჭიმთან რას წავიდოდა, ან ვინ იცის, იქნება ისიც არ იკოდა საწყალმა, ეჭიმი თუ არსებობდა ქვეყანაზე. ცოლი ვადასულიყო მეზობელ სოფელში და ეჭიმბაშისათვის გამოერთმია წამალი, დილა-საღამოს კოვზით უნდა ესვა თურმე. — არა, არა, მე მაგდენი დრო არა მაქვს, ამის წყუმპვლას ვუყურო, სადაც არის დოლი დაიწყება, დროზე უნდა ავდგეო, ეთქვა და ჩარეჭიანი ბოთლი ერთბაშად ჩამოეცალა. რა ვი, რაზე იქნებოდა ის წამალი დაყენებული, რა იქნებოდა გარეული შიგა, სულ ჩაპნავლოდა და ჩაბფერფლოდა საწყალ ბიძაჩემს გულმუცელი. აბა, ეგეთ ქონებას რა ჭკუა აქვს, მთელი იმისი ქონება, მთელი იმისი მონაგარი ბეთარამად წავიდა და წყალს გაჰყვა. ეხლა ეს ამბავი ვინმეს რომ მოუყვე, ხომ არ დაგიჭერებს? მაინც რა ბნელი ხალხი იყო, კაცო, რა ბრმა-ყრუობა იყო, ჰა? შავდაუკუდმა წავიდეს ის დრო და ნულარც დაბრუნებულა.

ჩვენი ხალხი ბიძაჩემთან რა შესადარებელია, მაგრამ ესენიც რომ აღარ მეჩემებთან, გამოიცვალნენ, რაღაცა გასხვანაირდნენ, კაცო, უთქმელები გახდნენ, სიტყვაძვირები. დაბინდებამდე მუშაობენ გაუცილებლად, უსიმღეროდ, უხალისოდ. მერე შეძვრებიან, შეიკეტებიან სახლებში, ცოტა ხანს ტელევიზორს უყურებენ და მიწვებიან კიდევ დასაძინებლად, კვირა-უქმე მაგათთვის არ არსებობს და დღესასწაული. ეგეთი რამე ჩვენს ხალხს არა ჰქონდა წესად, არ ახასიათებდა, უცხო ადათია ეგა, საიდანდაც შემოპარული, სხვისაგან ნასესხები, არ ეგუება ჩვენს ხასიათსა. აი, შენ ხომ ნასწავლი კაცი ხარ, ბევრი რამე იცი და გვსმის, გამაგებინე,

რისგანა ხდება ესა, რა მიზეზია? იქნება ეგრეც უნდა იყოს ქვეყნებში და მე ჩამოვრჩი ქვეყანას, მგე აღსრულდება გამეგება ცხოვრებისა, ჰა?

„რა პუბლიცისტი იქნებოდა, შესაფერის ადგილზე რომ მოხვედრილიყო!“ გაიფიქრა იასემ, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— შევილო, არ გეგონოს, მეც მღვდელივით იმას ჩავჩიჩინებდე ხალხსა: მიჰხედეთ მფრინველთა ცათასა, რამეთუ არა მსთესვენ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა... მაგრამ არც რომ ეგრე შეიძლება! მე ერთი კაცი ვიცი, — თავი მეზობლისავენ გადააქნია, — დამე ფეხისადგილში არ გაევა, რა არის, შარდმა შემაწულხოს, აღრე გამალვიძოს და სხვებზე მეტი საქმის გაკეთება მოვასწროო. ეს იმიტომ, რომ მონაგართ მმას თვალები დაუყენოს, იმას თუ რვაოთახიანი ბინა უდგას, ამან ათოთახიანი დაიდგას. კაცს ჭკუის ნატამალი მაინც რომ ჰქონდეს, ეგეთ სახლს დაანგრევს? — მოაჯირს დაკრა ხელი, — ეგეთ სახლს დაანგრევს და იმისთანა ქარახინას დასდგამს? — ისევე მეზობლისავენ გადააქნია თავი. — აგე, გახედე, მთელი სოფელი სასახლეებით გაივსო, ყველა ოჯახი დულს და ვადმოდის, მაგრამ რად გინდა, ამხელა შენობებში თითო კინკლა ბავშვი დაურბით. შე დალოცვილი შევილო, ადამიანი არა ხარ? ჭკუა არ გაგაჩნია? ერთხელ მაინც როგორ არ უნდა დაუფიქრდეს და როგორ არ უნდა მიხედეს, რომელი სჯობია: ოროთახიან სახლში რვა შეილი გააღალო, თუ რვაოთახიანში — ორი. შენი უგუნურებითა და უვარგისობით ქვეყანა უნდა გადააშენო? რას გაჩუქებულხარ, არა ვარ მართალი?

იასე გულსგარეთ უსმენდა. ხედებოდა, ამ ლაპარაკს ნასყიდას ნამდვილ საწუხართან საერთო ბევრი არაფერი ჰქონდა და ცდილობდა, როგორმე საქმის მთავარ არსს მიახლოებოდა, მაგრამ ამას ჭერ-ჭერობით ვერ ახერხებდა. ნასყიდა არც დალოდებია მის ჰა-

სუხს, ისე გააგრძელა თავისი სათქმელი:

— თუ საქმე, რა საქმეც გინდა იყოს, შენ თვითონ არ გადარღებს, თუ შენ თვითონ არ მიგაქვს გულთან, სხვის გაკეთებულს, რა ლაპარაკი უნდა, არ დააფასებ. ცეკვით აღარავინ ცეკვავს, სიმღერა აღარავინ იცის, ჭიდაობა აღარავინ უნდა, მოთხოვნილება კი, გაგიხარია, დიდი აქვთ: სხვებსა საყვედურობენ, სოფელში გართობა არ არის და ქალაქში იმიტომ გარბის ახალგაზრდობაო. თუკი წინათ გართობაც იყო და მხიარულებაც, თუკი წინათ ვახერხებდით სხვების დაუნმარებლად იოლად გავსვას, ეხლა რაღა მოხდა? სხვითა ხელით ნარის გლეჯას ხომ არ მიეჩვია ახალი თაობა? მეკი მგონია, რომ ძველებურში, მამაპაპურში, ცეკვა იქნება ისა თუ სიმღერა, ჭიდაობა თუ სხვა რამე, ნამდვილ შნოსა და ლაზათს ველარა ხედავთ, სილამაზის შემჩნევა აღარ შეგიძლიათ და თავი და თავი მიზეზი ეგ არის, მარტო ამ საქმისა კი არა, ყველაფრისა.

როგორც იქნა მოიოხა გული ლაპარაკით, დაასრულა თავისი ქადაგება და დაღლილი ჩამოჯდა იასეს გვერდით. დაღლილი, მაგრამ მოსვენებული.

ნასყიდა ნათლი, — გაიფიქრა იასემ, — შენ სხვაგანა გტკივა, მაგრამ, მგონი, მიგიხვდი საწუხარსა.

თავმჯდომარეზედაც გულაყრილი იყო ნასყიდა: თავის შეწუხება არ უყვარს, არც სხვების რჩევას უგდებს ყურსაო. ამ გულაყრილობის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ამ წინეებზე ახალი საწადელი გასჩენოდა ნასყიდასა და საქმესაც ძველებური აზარტით მოჰკიდებოდა. თუკი რაიმე მისთვის მნიშვნელოვანი აზრი დაებადებოდა თავში, ყმაწვილივით აცეტდებოდა და აწრიალდებოდა ხოლმე ეს ოთხმოცს მიტანებული კაცი. სულ იმაზე ფიქრობდა და ლაპარაკობდა, იმის მეტი აღარა აგონდებოდა რა, სანამ გაიტანდა ბოლომდე. ეხლაც, დღე და ღამე ზღარბები ეკერა პირზე,

ყველა შემხვედრს ზღარბებზე ელაპარაკებოდა და მათს საკიროებსა და სარგებლიანობას უმტკიცებდა. ერთხელ ტელევიზორში გადმოეცათ: შუა აზიაში მეტისმეტად ლამაზი ზღარბები ბინადრობენო. ლამაზებიო! და მთლად გადაირია ნასყიდა. ერთი სული ჰქონდა, თავისი თვალით ენახა ბუნების ეს იშვიათი ჯმნილებები. თანაც რაღა შუა აზიაში უნდა ყოფილიყვნენ ასეთი ზღარბები და მის სოფელში კი არა, ვითომ ეს სადაური სამართალი იყო. ნასყიდაც ადგა და თავმჯდომარესთან შევიდა. ახლადარჩეული თავმჯდომარე უკვე მშვენიერად მორგებოდა თავის სკამს, ტელეფონში უყვიროდა ვილაცას. მერე თავი აიღო და ნასყიდას მოუტრიალდა:

— შენ რაღა გინდა, ნასყიდ?

— ზღარბების შესახებ მინდოდა მოგლაპარაკებოდი. — პირისპირ ჩამოჯდა ნასყიდა.

— რის შესახებ, კაცო?! — შეცბა თავმჯდომარე.

— შენ ჩემგან რა გესწავლება, ცოდნაც მეტი გაქვს და განათლებაც, ისიც გაგონილი გექნება, როგორი სარგებლიანი ცხოველია ზღარბი, როგორ ანადგურებს ჭია-ლუასა და მღრღნელებს. სადაც ეგ არის, იმ არემარეზე უხსენებელსაც არ გაეძღბინება, ჭამს. რას იტყოდ, ჩვენც რომ მოგვეშენებინა, ჰა?

— მოშენდნენ მერე, მე საწინააღმდეგო რა მაქვს.

— შენ გინდა, რომ თავისით მოშენდნენ, არა? — გეზად ვახედა ნასყიდამ.

— ჰო, მაშ სხვა რა ვქნათ, კოლმეურნეობის ფონდიდან საკვებს ვერ გამოვუყოთ და ხელოვნურ განაყოფიერებას ჩვენ ვერ ჩავუტარებთ...

— თავი და თავი ის არის, რომ საჭიროა, შუა აზიიდან ჩამოვიყვანოთ იქაური ჯიშის ზღარბები.

— შენ ხომ არ დამცინი? — თუმცა ნასყიდას ბავშვობიდან იცნობდა, მაინც დაეჭვდა თავმჯდომარე.

— რას დაგცინი, შე კაი კაცო, იქაუ-

რი ზღარბი დიდიც არის და, რაც მთავარია, მაღალი ფეხები აქვს. — მერე ცოტა შეყოვნდა და გაუბედავად დაამატა: — ლამაზებიც არიანო...

— შენ შემშლი, ნასყიდ! — გაბრაზდა თავმჯდომარე. — კაცო, კრელი ძროხების შეძენაზე და ჩამოყვანაზე ვიზრუნო მე, თუ იმ ოხერ ზღარბებზე გავგზავნო კაცი შუა აზიაში. ანდა მაღლებიაო, რომ დაგიჩემებია, რა შუაშია სიმალე, სირბილში ხომ არ ვაჭიბრებთ ვინმეს, რაში გვკვირდება გრძელფეხება ზღარბები!

ნასყიდა ამგვარ შეკითხვისათვის მზად არ იყო. აბა საიდან უნდა სცოდნოდა, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ზღარბებისათვის მაღალ ფეხებს და შექმნილი ვითარებიდან თავი რომ დაეფარიონა, პირველად რაც მოადგა ენაზე ის უპასუხა:

— მაღალი ფეხები იმისათვის სჭირდებათ, რომ წვიმიან ამინდში მუცლები არ დაესვაროთ.

— მომასვენე, ნასყიდ, დამაყენე, ათასი საქმე მაქვს და შენ კიდევ ზღარბების ფერმისა თუ ჭიშთსაშენის გახსნასა მთხოვ. ან, ვინც გაიგებს, რას იტყვის, ჩვენი დაცინვის მეტს ხომ ალაფერს გააკეთებენ.

— პირიქით, — არ ცხრებოდა ნასყიდა, ამდენი ხნის ნალოლიავებ ოცნებას ასე ერთბაშად რა დაათმობინებდა. არადა, სიზმარშიაც არ ასვენებდა ლამაზი და მაღალფეხება შუა აზიური ზღარბების ნახვის სურვილი. — პირიქით, ხალხი მაღლობელიც დაგვრჩება. იცი, ამ საქმიდან რამხელა მოგების ნახვა შეიძლება! ცოტა წინაც გავიხედოთ, ხვალინდელ დღეზეც ვიფიქროთ, ერთორ წელიწადში ზღარბები იმდენ ჭიასა და თავეს გაანადგურებენ მინდორში, რომ მოსავალი ზღვად გასკდება, მოსავალს ვეღარ აუვალთ. მეორეც, ახლა ზღარბების გაყიდვით აღებული შემოსავალი იანგარიშე! თითო წყვილს კერძო საკარმიდამო ნაკვეთის ყველა მფლობელი იყიდის, რა დიდი შენახვა და ხარჯი მაგათ უნდათ. მერე როგორი

მიჩვევა იცის, ძალზე უფრო ერთგული და მოყვარულია ბატონისა... თანაც გრილი ღინგები ჭკრინათ... ამასთან ერთად მეზობელი კოლმეურნეობების დაკვეთებსაც ნუ დაიფიქვებ...

— ცოტას მაინც თუ უკვირდები, რას ლაპარაკობ?

— როგორ არ ვუკვირდები, — აენტო ნასყიდა. — ბოლოს და ბოლოს ტელევიზორში შენზეც და ჩემზეც კარგად იციან ყველაფერი.

— კარგი, კარგი, ნასყიდ, — დაუყვავა თავმჯდომარემ, — მოვიფიქრებთ, ავწონ-დავწონით, ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც გამოვიტანთ, ჭერ მაგისათვის არა გვცალაო.

— მე ვიცი, რა ცალებიცა გკიდიათ, არაფრის მაქნისები თქვენ არა ხართ. ოღონდ კი სყამი არ დაქარგოთ და სხვა არაფრის დარდი არა გაქვთ. — ბურტყუნ-ბურტყუნით გამოვიდა ნასყიდა თავმჯდომარის კაბინეტიდან.

ამის გამგონე იასემ ბევრი იხარხარა: რაო, ნათლი, სიბერეში ფერმის გამგეობა მოინდომე? — აცრემლებულ თვალებს ხელის გულებით იშვრალებდა.

— მაგათ იკითხონ, სად მიიყვანთ ეგეთი დაუდევრობა, თორემ მე რა, — იხტიბარს არ იტეხდა ნასყიდა, — მაგათ ჭინაზე ჩვენებურ ზღარბებს მაინც მოვაშენებ და ბუნებრივი შერჩევის გზით იქნება შუა აზიურზე ლამაზებიც გამოვიყვანო.

— ეგრე ქენი, ეგრე, მაგათ ეგრე მოუხდებათ. — ხარხარს ვეღარ იკავებდა იასე.

— რა იყო, ნეტავ რა გაციუნებს, — შეუწყრა ნასყიდა. — შენც იმათი მსგავსი ხარ და იმიტომ იკრიჭები, თორემ სისაცილო რა გაიგე!

— ჩემგან რაღა გინდა, ნათლი, მე რათა მრეე იმათ მარაქაში. — განგებ წყრებოდა იასე, ცდილობდა, ძველებურად წაეთამაშა, ბავშვობა გაეხსენებინა და ნასყიდსთვისაც გუნება გაეხალისებინა. არაფერი გამოუვიდა, მოხუ-

ცი პარტნიორი არ აპყვა თამაშში. ან დავიწყებოდა, ან კიდევ გული უწინდებურად აღარ გულობდა.

— რა მოხდა, ნასყიდა ნათლი, მართლა ხომ არ მემდური რამეს?

— არა, ბიჭო, შენ მამა აბრამის ბატკანი ხარ, შენ ვინ დაგადანაშაულებს!

— ჩაიცინა ნასყიდა.

— მაინც, კერძოდ მე რაში მედება ბრალი?

— მე რაში მედება ბრალი! — გამოაჯავრა ნასყიდა, — რაში და ბევრ რამეში, თუნდაც იმაში, უღელდაუდებელი მოზვერივით რომ დახეტები აქეთიქით. რას დადიხარ ეგრე უცოლშვილოდ, რა დაგაქვს, რის მოხელე ხარ, რას ემსახურები.

— ოჰ, მეც მეგონა... თუ ხატრი გაქვს, არ დამიწყო ეხლა დედაჩემივით...

— ამას უყურეთ ე! თან ხატრის გაწევასაც რომ თხოულობს! გესმის რას ამბობს, დედაკაცო? — ცოლს შეურიგდა იასეს ნათქვამისაგან სახტად დარჩენილი ნასყიდა.

— რატო გიკვირს, შენგან ნასწავლ მცნებას მივდევ, შენ მეუბნებოდ: სანამ კაცი უცოლოა — კოტაა, ცოლს რომ შეირთავს — დალაბადება, და წერილშვილი რომ დაეხვევა — დოლა გახდება.

— მე სხვა რამესაც ბევრს გეუბნებოდი. რაც შენ გაძლევს ხელს, რაღა მაინცა და მაინც ის დიამახსოვრე, თუ არადა, როცა გეუბნებოდი, საჭირო იყო, მე ის კი არ მითქვამს, შენი დღე და მოსწრება უცოლშვილოდ იარე-მეთქი.

— დაიცა, შენ როგორღაც სერიოზულად მელაპარაკები, თითქოს ჩემი უცოლობით მართლა ქვეყანას ვაქცევდე.

— აქცევ კიდევ, შვილო და ძირო, აქცევ, ეგეთ საქმესთან ხუმრობა არ იქნება.

არა, აღარც იასე ხუმრობდა:

— ზოგს ხომ წინათაც არ მოჰყავდა ცოლი?!

— გეშლება, ზოგს ეხლა არ მოჰყავს,

თორემ წინათ თითო-ოროლას არ მოჰყავდა. — ჩაიცინა ნასყიდა.

— იმ საკითხზე სიტყვიტ გამოსვლა რა სჯობია, რაშიც პასუხი არ მოგეთხოვება, არა? აბა, ერთი მეცა მკითხეთ...

— კარგი, კარგი, — სიტყვა აღარ გააგრძელებინა ნასყიდა, — ისედაც ვიცი, რასაც მეტყვი: ჯერ ეს არა მაქვსო, ჯერ ის არ მიმიღიაო... მოჰყვები ეხლა წუწუნსა და ვიწვიშს. როგორ გიბრუნდება სამაგისოდ ენა. მაშ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, ბებრებმა, თავზე კეერი და წისკვილის ქვა რომ დაგებრუნავდა, რა უნდა გვექნა, სულ ამოგვეწყვიტა ქვეყანა? იმ ცხოვრებას ხომ ვერც შეადარებ დღევანდელთანა. მაგრამ გაყვინიზებულები ხართ, შვილო, დღევანდელი ახალგაზრდები, მარტო საკუთარ თავზე, საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობთ. და თუ ცოტა მაინც გაგიჭირდათ ქვეყანას შეჭყრით ვაი-ვიშითა. ვახეთებში და რადიო-ტელევიზორში, ვაგიხარია, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს გაიძახით გამრავლებაზე, მომავალზე, ერისშვილობაზე... მე შენ გეტყვი და სიტყვის სასესხებლად წასვლა დაგჭირდებათ სადმე. შვილებსა და ოჯახს აღარა მდომობენ! — გაცივებითა თუ აღშფოთებით დაიკრა მუხლებზე ხელი ნასყიდა. — არადა, ამ ახე საშური საქმე რა არის, კაცო! სახლი თუ არა გაქვს, ვილაცას შეეკედლები, ანდა სულაც ქირით იცხოვრებ და მერე აიშენებ, შეშა და ფჭვილი თუ არა გაქვს, ისესხებ, ხელს გაიმართავ და მომავალ წელს ჩაასესხებ. აი, შვილს კი, თუ დაჰვეიანდი, ვერც ისესხებ და ვერც ჩაასესხებ. ესაა საქმე. ახლა ქალები... მაგათ ხომ გლორთენისა და მოლამაზების მეტი აღარაფერი ახსოვთ, ოღონდ ფერ-უმაირილი წაიცხონ და წარბები გამოიქნან, ოღონდ მოდაზე თვალი არ დაინარჩუნონ და გამოიპრანკნენ, სხვას აღარას დაგიდევენ, ყველა დანარჩენი თუნდაც წყალს წაუღია. მე ერთი ლექსიცა მაქვს გამოთქმული მაგათზე, თუ გინდა, ვიტყვი:

ეს ეხლანდელი ქალები
თხა-წაღებულად ჭრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს დაგვიჩვენენ,
ყვედრებით დაგვიზრდიანო.

გაიგე, ყვედრებით დაგვიზრდიანო!
არა, ნამდვილად რაღაცა მოხდა თუ
ხდებოდა. ძალღის თავი საღაც სხვა-
გან იყო დამარბული და უნაგირზე ჭა-
ვრის ამომყრელი ნასყიდას ცნობა ძა-
ლზე ჰირდა, აღარა ჰგავდა თავის თავს.
თუმცა პირუთენელი და მოურიღებელი
ყოველთვის იყო და თავისი ხვაშიადის
თქმაც ჭიქურად იცოდა, მაგრამ აღარ-
სად ჩანდა მისი საუბრისათვის დამახა-
სიათებელი მახვილსიტყვაობა, როცა
ხუმრობაში შეფარული სათქმელი ორ-
ღესულად, სიცილ-სიცილით მიიწვედა
მიზნისაკენ. ამის ატანა ძნელი იყო. იქ-
ნება დაუმსახურებელ საყვედურზე მე-
ტად ასეთმა მოულოდნელმა ცვლილე-
ბამ იმოქმედა იასეზე, რომ გაღიზი-
ნებულმა ცოტა არ იყოს უქმეხად შეა-
წყვეტიდა ნასყიდას:

— გაჩე, გაჩე, კაცო... მე ხომ მაინც
ვიცი, როგორი მელექსიცა გყავხარ...
— მერე თანდათან გაწიწმად, ველარ
მოზომა და უფრო და უფრო გადავიდა
დაუკრეფავში: — შენ როგორ უნდა
თქვა სხვაზე, ლაყბობის მეტს არაფერს
აკეთებენო!

— აჰ, საქმით გინდა დავამტკიცო,
არა? მრავალშვილიანი ოჯახი შეგქმნა,
არა? ცოტა დაგვიანებული ხომ არ გე-
ჩვენება? — წყენა არ დაიძინია და ხუ-
მრობაში გაატარა წაძახილი ნასყიდამ.

— მე ეხლანდელზე არ გეუბნები.
როცა დრო იყო, რატო მაშინ არ იყო-
ლიე სამზე მეტი?

— ვინ მოგახსენა, რომ ვითომ სამზე
მეტი არა მყავდა? ამ საქმეშიც ხომ გე-
გმის უდანაკარგოდ შესრულებას ვერ
მომთხოვთ, ბიჭო! ხუთი მყავდა და ორი
ადრე მომიკვდა. მაშინ სხვა დრო იყო,
რა გვექნა, სიკვდილს წინ ვერ გადავუ-
ღეით, მე და ჩემს ღედაკას ნამდვი-
ლად არაფერში მიგვიძღვის ბრალი.

ვინც დამარჩინე ეგენი მყავდნენ კარგად
და სხვებს უკვე აღარ დავეძებ — არც
იმას ვჩივი, თუ ზოგიერთი უმეტარი და
საქმეში ჩაუხნდავი ადამიანი უმართე-
ბულად წამომავყვდარის რამეს. — ნას-
ყიდას წყენა გაერია ხმაში.

— ეგ მე ხომ არ ვიცოდი... — უბერ-
ხულად შეიშმუშნა იასე. — განა რა ხნი-
სები იყვნენ?

— პატარები. მაგრამ აქ დიდ-პატა-
რობა არ გამოდგება საზომად, შვილით
დაწვა ღმერთმა მტერსაც აშოროს, იმა-
საც არ ვუსურვებ შვილის ცეცხლსა.
— მერე ამრებით შეხედა იასეს: —
ვიღაც უვიცსა და ხეპრეს რომ ეთქვა
ეგა, ყურადღებასაც არ მივაქცევდი,
მაგრამ შენ... მაგას ველოდი შენგან?
ჩერ ხომ სათქმელი უნდა მოიფიქრო,
ასწონ-დასწონო, ყველაფერზე კი არ
შეიძლება უთავბოლოდ და მოურიდე-
ბლად ლაპარაკი! რომ იცოდე, უცხო
უცხოს არ ატყენდა ეგრე გულსა.

ეტყობოდა თანდათან ეძალებოდა
გულისწყრომა, სახე მოედრებოდა, და-
ჩაგრული, უდანაშაულოდ დასჭილი
კაცის იერით გასცქეროდა სივრცეს და
იასესაკენ გამოხედვაც აღარ უნდოდა.

შეცბა იასე, ერთიანად წაუხდა გუ-
ნება. „რისთვის, კაცო, რაზე მიწყრება,
— გაიფიქრა თავისთვის, — ეგრე რამ
გაიფხუკიანა, რამ გამოუცვალა ხასია-
თი, რომ სიტყვა აღარ შეეძრახება. —
მერე თავის თავზე გაბრაზდა: — მეც
კარგი ვინმე ვარ რა! ვერ დავეტეე ჩე-
მთვის! რა მრჩიდა, რას ავუხიარდი, აკი
ვამჩნევდი, რომ კაცს სხვა რაღაც სა-
დარდელი უღრღნიდა გულს, ჩემი კრი-
კაში ჩადგომა და მიღეგაობაღა ეკლ-
და!“

ხმამალა კი, ვითომ არაფერი მომხ-
დარაო, ძალადმომხიარულებული, უზ-
რუნველი ხმით უთხრა:

— ნასყიდა ნათლი, რაღაცა ეშმაკი
შემიჭდა და სისულელე წამოვროშე, არ
უნდა მაპატიო? კარგი, ჰო, აკი გეუბ-
ნები, ეტყუივარ-მეთქი, ეგეთ პატარა
რამეზე გაბრაზება როგორ შეიძლება.
კაცო. — გაბუტული ბავშვით უყვა-

ვებდა და ეფერებოდა. მერე თამროს მოშველიება სცადა, იჭნება ამან მაინც იცოდეს წამალი შექმნილი ვითარების გამოსაკეთებლადო: — მოდი, თამრო ბებო, მიშუამდგომლე, უთხარი რამე, რა ჩავიდინე, ეგეთი შეუნდობელი.

თამრომ ჩუმად რალაც ანიშნა ხელით, მაგრამ ისევ ვერ მიუხვდა.

როგორ გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, როგორ კარგად აეწყო ყველაფერი და ეხლა დამდურებულნი უნდა დაშორებოდნენ მოყვარული გამზრდელ-ვაზრდილი? სად იყო სამართალი?

— კარგი, შევრიგდეთ, ნათლი, რამდენს მახვეწინებ, — ისევ სცადა თავისი საცდელი იასემ, — შევრიგდეთ და ხვალე ერთად წავიდეთ ქალაქში, თქვენების ნახვა არ მოგენატრა?

ამ სიტყვებზე ნასყიდა ფიცხლად შემოტრიალდა და კუჭტი მზერა ესროლა იასეს:

— ქალაქში რა მინდა, ორ-სამ დღეში აქ ჩამომვიღენ ჩემი გამორჯვ. დედის მსგავსი შვილები. საქმე ელოდებით აქა. — მერე უფრო მოიჭუშა, მოიჭურუხა, ხმაში უსაშველო ნალველი გაერია: — არ იტყვი, ბიჭო, თანაც როგორი საქმე! გადაწყვიტეს, აეს სახლი, — ფეხი მთელი ძალით დაჰკრა იატაკს, — აეს სახლი დაანგრიონ და ახალი დიიდი სახლი დადგან. აქ ველარ ვთავსდებითო, აღარა გვეყოფნისო... ის ანდაზა ხომ გახსოვს: სამგორში სამი ბებერი ვერ ეტეოდაო!

— აჰააა, — ფიქრიდან გააგრძელა იასემ, — მაშ უნდა დაანგრიონ...

ზაფხულის მშვიდი, მშვიდი საღამო შემოდოდა სოფელში. კატა აღარ ჩხაოდა. ან აიწყვიტა და თავს უშველა, ან კიდევ ნარგუნებ ბედსა და წერას შეურიგდა და მიყურდა.

თამაზ ჩხეიძე

„უშვამი ტრფიალები“

ამოტ კურაპალატს. — როგორც გიორგი შერჩულე გვაუწყებს. —
„გარდაჩვეული სიყვარულით“ შეუყვარდა „დედაკაცი სიძვისაა“.
მისი არტანუჯში არყოფნისას გრიგოლ ხანძთელმა ის ქალი მერეს
ეკლესიაში მიიყვანა. ამის მცნობელმა კურაპალატმა „ფრიად შეიურ-
ვა“. „თავმოთნეობაჲ დააეიწყა და“...

კურაპალატი ტოვებს სასახლეს,
ლეღავს და ჩქარობს კურაპალატი.
შფოთია იქნებ? არ ჩანს ნასახიცი.
იქნებ მზადდება ჩუმი ლალატი?

სწრაფი ნაბიჯით გადის პალატით,
სახეგაყინულს ტოვებს დედოფალს...
დაღუპულია! —

აწ და მარადის
არ არის მისთვის ხსნა და შენდობა!

სიცოცხლე ექვა ჭვრად და წამებად,
(სასახლეს ტოვებს მონა გულისტქმის),
გაუწირია მთელი სამეფო
იმ ერთი ქალის სიყვარულისთვის!

მკვდარი ყვავილი

ისევ მოგწყურდა მუსიკა, გულო,
სიშმაგე, როკვა, ჭანყი, ავარდნა.
გულო, შენ ვერ ძლებ უსიყვარულოდ,
მზისფერი დროშის გინდა ამართვა.

მაგრამ ვაი რომ უკვე დაბერდი,
ჭვალო გაცვია ანაქორეტის
და არავისთან
და არაფერთან
ალარ გაერთებს გრძნობა ბოროტი...

მე გულს დავადე რკინის ცხაური,
მე დავდე ფიცი
და ქურუმგვით

დავთმე ამ სოფლის ფუჭი ხმაური,
რომ შევხვედროდი ჩემს ღმერთს
დუმლით.

და მაინც ურცხვად — გულის საკანში —
ათასხმიანი როგორც ავილი —
უძლები ვნებით, შფოთით, განგაშით
იღვიძებს თესლი მკვდარი ყვავილის.

და სასწაულად, ჩემი სიბერის
შავე მიწიდან სისხლით ცვარული
ამოდის ვარდი — დროშა მზისფერი —
უკანასკელი, ვით სიყვარული.



ტაძარი

უჩუბრად გამოვდივართ ჩვენ ამ ტაძრიდან —
 უცხონი და გულდამძიმებულნი.
 ერთბაშად ჩამოეხსნა საბურველი ყველაფერს:
 ჭვარი უკუიქცა ჩვენგან,
 საკურთხეველმა არ მიგვიკარა,
 სანთლების შექმა ცხადყო ჩვენი წადიერება...

აქი სიყვარული გვწყუროდა მხოლოდ,
 როცა სარეცელზე ველური სიშმაგით ვკოცნიდით ერთმანეთს
 ან როცა ერთმანეთს საუკუნო ერთგულებას ვეფიცებოდით?
 ტაძარმა არ დაგვადგა სიყვარულის გვირგვინი:
 ჭვარი უკუიქცა ჩვენგან,
 საკურთხეველმა არ მიგვიკარა,
 სანთლების შექმა საჩინოჰყო ჩვენი ღ ა ლ ა ტ ი...

ჩვენ კი ერთგულების ფიცსა ვდებდით კუბოს კარამდე;
 ჩვენ, ვისაც ავხორციობა სიყვარულად შეგვირაცხია,
 ჩვენ, ვისაც აღარა გვწამს ჭვარცმული უფალი...



მალე მოთახე

თიხათხე

მოპირუღია მალალი ცელი
სათიბში კვდებიან ზიზილები,
თივის ზვინიდან სევდა და ცრემლი
და სიყვარული იმზირება.

ღმერთო, ეს თიხათხე როგორ მიყვარს,
ერთად დაახვევებს დარს და ავდრებს.
ნეტავი ბალახი ვყოფილიყავ,
თივის სიყვარულში დამმარხავდნენ.

ნეტავი, რა მინდოდა იმ სოფელში,
ნეტავი რა მინდოდა იმ ქალაქში,
ამ მწვანეფეხება დედლოსთან
ნეტავ სამუდამოდ რად არ დავრჩი.

არა, არ ჩასულა მზე იმ მთებში,
არა, არ ჩასულა მზე იმ ზღვებში,
ბალახში ჩავიდა, ცელის ეშმა
უცბად დაიჭირა ბასრი ეშვით.

ესაა თიხათხის სასწაული —
სიყვარულს წაიღებს ბალდახინით,
ასე თივასავეთ ხმელი გული
ტირის მოთიბული ბალახით.

რისთვის ეს სული და რისთვის თიხა,
თუ ვერ მოვუვლიდი რატომ მანდეთ,
ნეტავი ბალახი ვყოფილიყავ
თივის სიყვარულში დამმარხავდნენ.

ჩემი თავიდან

ღმერთო, მიმაბი შენს ლარებ ლობეს,
ღმერთო, ჩემთან თუ მოხვალ მეორედ,
მხოლოდ საკუთარ თავიდან მშობე
და ასეთივე გამიმეორე.

გამოდი ზეცის ფართო სკენახე,
ო, ხელმეორედ გამოდი ბისზე
და დახატული ათას ფაქტით
გამიმეორე ისევ და ისევ.

მხოლოდ ქარები და არა სიო,
უსასრულობა იმედზე მეტად.
შემოდის ჩემში მკაცრი მსოფლიო,
ასიათასჯერ მალეებს და მეტეტავს.

მაბრუნებს შუქი შენკენ და მალა,
ყველა იმედის დიდ უარყოფელს.
გამიმეორებ თუკი ხელახლა,
ჩემივე თავიდან შემქმენ და მშობე.

ვაშლის ზევ, სევდას ოქტომბრის თვეში
 რად ემონები მთელი არსებით,
 რად გიჩანს კვალი გველის და ეშმის
 გამოძევებულს რად ემსგავსები.

რა ბაღებს შერჩათ ჰანგი საჩვენო,
 ვინ იმყოფინა თავის სამყოფი.
 შენც შეგაჩვენა ალბათ გამჩენმა
 შენი ტანით და შენი ნაყოფით.

ახლა საღამოს შენსავეთ დარდობს
 ჩიტი შენს ტოტზე რომ გადმოფრინდა,
 შენ არ ხარ მარტო, თვითონ სამოთხეც
 გამოაძევეს სხვა სამოთხიდან.

გახსოვს ჰყვოდა თიხა ავბედად,
 ჩემი სხეულით და ჩემი ხორციით,
 ახლა ადამი უკვე დაბერდა,
 თვალბში შუქი ჩაუდგა მორცხვი.

ჩამოეცალა ბებერი კანი,
 ძვლებს სინჯავს ხელით მჩატეს
 და დაშლილს;
 ალბათ მოუნდა წასვლა უკანვე,
 თიხის საოცარ ყვავილობაში.

მე კი ისა ვარ, რაც ვიყავ ოდეს,
 როცა შეცივებულ სხეულს ვითბობდი;
 შეფარებული შენს დახრილ ტოტებს,
 შენგან ნაჩუქარ ცოდვის სიტკბოთი.

სადაც არ ისმის

ჩემი სულიდან მოდის ეს წვიმა,
 დგება ჩვენს შორის და ლამეს მითევს,
 ათას ყვავილზე და თმაზე ბრწყინავს,
 ათასნაირად მიღებავს თითებს.

ვარ დამსხვრეული და განწირული,
 ეს ალტაცება ბოლომდე წამშლის.
 შრიალებს სული გრილი და გლუვი
 გაღვიძებული სიკვდილის წამში.

ო, საოცარი და დასანახი
 გადმოდის ზეცა იღუმალ შფოთით,

ზეცის მინდორზე ლელავს ბალახი
 და მარიამი ჩვილ იესოთი.

ვიღაც კეთილი და სახიერი,
 განათებული იღუმალ დარდით,
 ღრუბლის ბაღებში წუთით იელვებს
 გაბრწყინდება და უეცრად ჩადის.

არა, არც დედა და არცა შვილი,
 ჩემი წვიმები წამომყვნიენ უნდა,
 სადაც არ ისმის გალობა ტბილი
 და განწირულთა დაფრინავს გუნდი.

იოკუბას სკლიუტაუსკასი

ფროსანი მხედარი

რომანტიკული მოთხრობა

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძლეარი...

ნ. ბარათაშვილი

რა არ შეხვდება ადამიანს ცხოვრების გზაზე, ხან სასოება წარეკვეთება, ხან ბელი გაულიმებს, ხან სიხარულის დღეები დაუდგება, ხან მწუხარების, ხან წარმატებას იზიემებს, ხან კი მარცხს იწვნევს. იშვიათია კაცი, სიხარული არ განეცადოს, ანდა ერთი ბედნიერი წამი მაინც არ ეგემოს.

„არასოდეს მიხილავს უზენაესის მარჯვენა ისე თვალნათლივ, როგორც ჩემთა ჩანაფიქრთა მსხვერვისას“, — უთქვამს ოდესღაც დიდ საადის. ხუთი საუკუნის შემდეგ დაბადებულ ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისუფლად შეეძლო სახელოვანი სპარსელი პოეტის სიტყვების გამეორება. ბედმა მას ერთი ბეწო სიხარულიც არ არგუნა, თითქოს სამაგიერო მოუზღო. მაგრამ რისთვის, რა ბრალი მიუძღოდა? იქნებ ის, რომ მეოცნებე იყო და სიცოცხლის ბოლომდე ყველას აოცებდა უჩვეულო სიფაქიზით, გულისხმიერებით, სიკეთით. სიკეთე რაღა? სიკეთე სიკეთესვე რომ შობდეს, განა ქვეყნად ამდენი უბედური იქნებოდა...

მაშ რით დავიწყოთ? იქნებ იმით, კაბუკი ნიკოლოზი ოფიცრის ეპოლოტებზე რომ ოცნებობდა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ დაკოკლდა, ან იქნებ იმით, უმაღლესი განათლების მიღებას რომ ესწრაფოდა, მაგრამ დახეთ ბედის უკულმართობას! — მამა დაუთვადდა, ოჯახი უსახსროდ დარჩა და... მშვიდობით ფოლიანტებო, სალამი, სამუშაოვ, შავო სამუშაოვ!

მთელი სიცოცხლე ისეთი საქმის კეთებას ოცნებობდა, უდიდესი აზრი რომ ჰქონოდა. იძულებული კი იყო, მოჰკიდებოდა საძულველს, შავს, ერთფეროვან, გულის გამაწერილებელ საქმეს.

პოეტს საქართველო უყვარდა, მაგრამ რას ნიშნავს შენი მიწის სიყვარული, თუ ყოველი მხრიდან საზრუნავი და გაჭირვება შემოგჯარვია, შენ კი ძალა არ შეგწევს, შეგეუო ტანჯულ ცხოვრებას და ამიტომ ერთ ადგილზე ვერ ჩერდები, დაეხეტები მანამ, სანამ ბოლოს უტხოობაში არ აღმოგზნდება სული.

ლეკსებილა ჰქონდა ნუგეშად. ლექსები მუდამ მასთან იყვნენ. კმუნვითა და სიამაყით გამსჭვალულნი, ლექსები — მეომარნი, მოიერიშე, სიცრუესთან და ტანჯვასთან, სნეულებასთან და გაპირვებასთან მებრძოლნი. ლექსები — მეგობრები, ერთადერთი, ვისაც ესმოდა მისი — მგზნებარე მეოცნების, თავის წარმოსახულ ჭვეყანაში, და არა სასტიკ სინამდვილეში მცხოვრების. წარმოსახულ ჭვეყანაში კოკლიც შეიძლება ოფიცირი გახდეს, უპოვარი ცოდნას ეზიაროს. მერე რა მოხდა, თუ მის სიცოცხლეში არცერთ მის ლექსს დღის სინათლე არ უნახავს. ხომ იყვნენ, ხომ იყვნენ ბედის უკუღმართობის მძლეველნი.

ჰქონდა ლექსები. ჰქონდა სიყვარულიც — ეკატერინე ჭავჭავაძე, ან უბრალოდ კატინკა. ღმერთო, რა სახელია! სულის შემფუთველი. აღარაფერი გინდა, აღარც ეპოლეტები, აღარც სწავლა-განათლება, მხოლოდ იგი სურს სულს, ერთადერთი! რად მოაკელი, მუხთალო ბედო, ამ სიხარულსაც, რად გამოსტაცე ხელიდან, რად?..

ვინ არ იცოდა თბილისში ჭავჭავაძეების სტუმართმოყვარე სახლი! ვინ არ იცნობდა ოჯახის უფროსს, დიდად განსწავლულ ინტელიგენტს, პეტერბურგის პანსიონის აღზრდილს, პოეზიის დიდ ტრფიალსა და თავადაც მგოსანს! თუმცა თავადი ჭავჭავაძე ლექსებზე არანაკლებ დროს უთმობდა თავის ორ ქალიშვილს: უფროსს — ნინოს და უმცროსს — ეკატერინეს, ან შინაურულად კატინკას.

— იკითხეთ კაზმული სიტყვიერება, დაეუფლეთ მუსიკასა და უცხო ენებს, — ეუბნებოდა შვილებს, — ვინ იცის, იქნებ პეტერბურგს მოგვიხდეს ვადასახლება; იქ უფრანგულად ფონს ვერ გახვალთ.

პეტერბურგი, იმეორებდნენ ნინო და კატინკა, სწავლობდნენ რუსულსა და ფრანგულს და დედაქალაქიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს მწერლობასა

და ხელოვნებაზე საუბარში ტოლს არ უღებდნენ.

საპატიო სტუმარი კი მათ ოჯახში ხშირი იყო. მათთან ერთხელ მისულიც კი ვერ იფიქვებდა მასპინძლების სითბოსა და გულითადობას. განსაკუთრებით მათი ქალიშვილების სახელები ეკერათ პირზე.

უფროსი — ნინო მწერალსა და დიპლომატს—ალექსანდრე გრიბოედოვს გაჰყვა ცოლად. მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, ორი თვეც არ უცხოვრიათ ერთად. ათას რვაას ოცდაცხრა წლის ოცდაათ იანვარს გრიბოედოვი ტრაგიკულად დაიღუპა. დაიღუპა ნინოც, ჰო, დაიღუპა, თუმცა ცოცხალი იყო, აბა, რა არის სიცოცხლე უსიყვარულოდ, ნინო ჭავჭავაძეს კი სხვა აღარაფერ შეჰყვარებია.

ხოლო კატინკა, მზიარული და უდარდელი კატინკა, სილამაზეს ასხივოსნებდა. მისი სიცილი დიდიდანვე ჩიტვით აიჭრებოდა ჰაერში, მთელს კარმიდამოს, მთელს ჭვეყანას მოედებოდა. იგი ოჯახის სული და გული იყო. დაუდევარი, ყველა გართობის მოთავე და სულის ჩამდგმელი. ლხინისა და სტუმარიანობის მოყვარული. თითქოს იცოდა, რომ მისი ძალა მისი ჯადოსნური სილამაზე იყო. გრძნობდა და ბევრჯერაც დარწმუნებულა. თვალებს დახრიდა თუ არა, ათასი ანთებული მზერა მიეჩაქვებოდა. ვინ არ ცდილობდა მისი გულის მონადირებას — ფიცხელი ჭაბუკები და სახენაჭრილობევი ჭაღარა შემომრები, დაქვრივებული გენერლები — ცნობილი და უცნობი ბრძოლების გმირები, ყველა მასთან შეხვედრის მიზეზს ეძებდა, კატინკა ყველას ანდამატივით იზიდავდა, ყველა პატივად თვლიდა მის გვერდით ყოფნას.

კატინკას ისლა დარჩენოდა ეშმაკობისთვის მიემართა და აბეზარი თავყვანისმცემლებისაგან სხვადასხვა ფანდებით დაეღწია თავი.

ასეთ დროს ტატოსთან გარბოდა.

ერთგულ სიყრმის მეგობართან, ერთადერთ ადამიანთან, ვისთანაც არასოდეს სწყინდებოდა, ტატო სხვებს არა ჰგავდა, გულთამბილაგი სული ჰქონდა, ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა. არც კატინკას ჰკრავდა ხელს, გულის კარს უღებდა, იმ ფერადოვან, ელვარე სამყაროში შეჰყავდა, სადაც მის სულსაც თვალი ეხილებოდა, სადაც უცნაური, ტკბილი სევდა ეუფლებოდა... მთელს თბილისში, თუმცა თბილისი რაა, მთელს რუსეთის იმპერიაში, ან რუსეთის იმპერია რაღაა, მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა კატინკაზე ბედნიერი ადამიანი, როცა იგი თავის მეგობართან იქდა და ისეთს რასმე ისმენდა და ჰხედავდა, რასაც სხვები ვერც ვერასოდეს გაიგონებდნენ და ვერც იხილავდნენ... ლექსები ხომ ადრეც ბევრი წაეკითხა და მოესმინა, მაგრამ ტატოს სტრიქონები განსაკუთრებული იყო; მათში განსაკუთრებული სინაზე და ძალა იგრძნობოდა, გულში სწვდებოდნენ, სულს უფორიაქებდნენ და დროდადრო თვალებს ცრემლით უმსებდნენ.

არა, არა, მის ნაცნობებში არავის ჰყავდა ისეთი მეგობარი, ასეთ ლექსებს რომ წერდა. ტატო კითხულობდა, ხოლო კატინკა თითქოს სიზმარშიაო, თვალს ვერ აშორებდა მის თვალებს, სიკეთესა და ერთგულებას რომ ასხივებდნენ.

კატინკას ეამაყებოდა მასთან მეგობრობა. ყოველ ცისმარე დღეს ზედებოდნენ ერთმანეთს, ყოველდღე დადიოდნენ დაბურული ბაღის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე, იცინოდნენ, დაობდნენ.

რას აგონებდა მისი აუშმღვრეველი გულის სიღრმეიდან ამოხეთქილი სიცილი? ალბათ ვერცხლის ზარის, მოუღლედი ვერცხლის ზარის წყრიალს...

რა ბედნიერებაა ამ ქვეყნად მასთან ერთად რომ გაჩნდი, ერთ ქალაქში, ერთ ქუჩაზე რომ ცხოვრობთ, შეგიძლია ყოველდღე ნახო, უყურო და არაფერზე არ იფიქრო, არაფერზე. ან კი ფი-

ქრი რა საჭიროა, როდესაც ღეთის წყალობა მოგეფინა, როდესაც სიმღერა და სიცოცხლით ტკობა გწყურია; როცა ყველა და ყველაფერი გიყვარს. თუმცა ტატომ არ იცოდა, რა დაერქმია იმ გრძნობისათვის, რომელსაც შეეპყრო. მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ საღდაც, გულის სიღრმეში, იქ, სადაც ყველაზე იღუმალი გულისტქმა და იმედები ინახება ხოლმე, მისი საიდუმლო იზადებოდა. მაგრამ ტატოს მასთან პირისპირ შეხვედრა ვერ გაებედა. კატინკას კი არა, თავის თავსაც ვერ უტყუდებოდა. ხუმრობა ხომ არ არის, როცა პატარაობიდანვე შენს თავს ეჭვით უყურებ, როცა გაუბედაობა ძვალსა და რბილში გაჯდომია. განა შეეფერება კოქლს სიყვარულზე ლაპარაკი! ვაი, თუ სიტყვებმა, თუნდაც ერთმა დაუფიქრებელმა სიტყვამ ყველაფერი გააფუტოს და კატინკა სამუდამოდ დააქარგვინოს! იქნებ მოცდა სჯობს. გრძნობის დამალვა...

ჰეგავამეძების სახლში არაფერი შეცვლილიყო — ასე მოეჩვენა ტატოს. თავადი ალექსანდრე და მისი ღირსეული მეუღლე სალომე უწინდებურად სიხარულით მიეგებნენ. კატინკაც ისეთივე გულღია, გულითადი და მზიარული იყო, როგორც ყოველთვის, თუმცა ლებიც ისევე მაცთურად უელავდა, არც მის სიტყვებში ჩანდა რაიმეს დაფარვის კვალი. როგორც ყოველთვის, ტატო და კატინკა ბაღში გავიდნენ. დიდხანს მიჰყვებოდნენ ვიწრო ბილიკს მდუმარედ. ბოლოს მინდვრის ყვავილებით მოხატულ მდელოზე აღმოჩნდნენ. კატინკა ყვავილების კრეფას მოჰყვა, ჩაფიქრებული ტატო შორიახლოს დადიოდა, სულს მიანიც ეჭვი უფორიაქებდა. აი, ახლა, ამ ყვავილს რომ მოწყვეტს, ვკითხავ, ან იქნებ მანამდე ვკითხო... მაგრამ ვერ ბედავდა, ეშინოდა, გუნება არ გავუფუტოო. კატინკა კი ყვავილებს კრეფდა და გვირგვინს წნავდა.

— ეს ყვავილები ბედნიერებას მო-

გიტანს, — უთხრა და დიდ თავლის-
ფერ თვალბში მხიარული ნაპერწყ-
ლები აუკიფდა, — ტატო, ალბათ და-
გავიწყდა, დღეს რომ ყვავილების ზეი-
მია, დღეს ერთმანეთს ყვავილები უნდა
ვუძღვნათ.

კატინკას საზე ანცმა ღიმილმა გაუ-
ნათა. ამ ალაღმა და მოულოდნელმა
ღიმილმა ტატოს სუნთქვა შეუტკრა,
მყისვე დაიხარა, ათრთოლებული ხე-
ლით ერთი ამოყვლეულაგებული ყვა-
ვილი მოწყვიტა, გაუწოდა და წაიღულ-
ლულა:

— გილოცავ...

შინისკენ მიმავალი წამდაუწყემ ყე-
ლზე ხელს წაივლებდა, სულშებუთუ-
ლი შვეებით ამოსუნთქვას ლამობდა,
მანამ ბოლოს არ აღმოხდა:

გზოვე ტამარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი,
მუნ ენთო მარად უჭრობელი წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან აჯროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისპოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

შწირი სოფლისა დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა
ზრახვით;
გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის
ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტყობდა ციურთ
სხვიით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას
სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს
გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ
დაშენებულს!

მაგრამ საწუთრო განა ვისმეს ღიღხანს
ახარებს?
განქრა ტამარი — და უდაბნო ჩემდა
მღუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ
ასადარებს,
მის ნაცვლად სევდა და წვედიადი
დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი
კვლი!
განა თუ დრომან დაქრა თვისი მას ავი
თვლი?

არა! მოსიყვანა მას სოფელი ცრუ და
მეგობარი
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპარისგან
ცეცხლი დამქრალი!
ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტამარი!
ვერსად აღვანთე დამოომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხმო უაუღმარაშან ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მელსაფარი!

მეორე დღეს ტატომ ძლივს მოიკა-
და იმ დრომდე, როცა ჰავჰავაძებებთან
მიეშურებოდა ხოლმე. ველარ ითმენდა,
ერთი სული ჰქონდა, კატინკასთვის ახ-
ალი ლექსი წაეკითხა. მომისმენს და
ყველაფერს მიხვდებაო, ფიქრობდა.
ყველაფერს მიხვდება, ყველაფერს,
რითაც ცოცხლობს. მაგრამ ტატომ ვე-
ლარ მოასწრო. კატინკას მისი ლექსე-
ბისთვის არ ეცალა. თითით მიიხმო,
თავის ოთანში შეიყვანა და უცნაური
ღიმილით უთხრა:

— ერთი სასიამოვნო საიდუმლო უნ-
და გაგანდო. თავად დავით დადიანზე
ვთხოვდები. სიტყვა მივეცი.

ტატომ ერთბაშად მხრები ჩამო-
ყარა და თავი ჩაქინდა. მის-
მა გულმა სპილენძის ზარივით და-
იწყო გუგუნე, უკვირდა, რატომ
კატინკასაც არ ესმისო. ხელები
გაუშეშდა და თავბრუ დაეხვია. რაღა-
ცის თქმა დააბირა, მაგრამ ენა დაემა,
დანა პირს არ უხსნიდა. თვითონაც არ
იცოდა, რის თქმა უნდოდა— შეჩვენების
სიტყვების თუ მილოცვის. ალბათ, მი-
ლოცვის, აბა, თავის რჩეულს ვინ შე-
აჩვენებს! ბოლოს სიტყვის უთქმელად
შეტრიალდა და გაიქცა. ეჩვენებოდა,
რომ ცოცხალი აღარ იყო და თვითონ კი
არა, მისი არრდილი ვარბოდა.

იმ დღეს ტატო გიღხანს დაეხეტე-
ბოდა ნისლით დაბურული თბილისის
შუკებში. აწეწილი ფიქრები თავზე
ღრუბელივით შემოაწევა, ბოლოს ნის-
ლში განიხნა და დარჩა მხოლოდ სი-
ცარიელე, სიცარიელე, სიცარიელე...

გონს ვერ მოსულიყო, ფეხებს ძლივს
მიათრევდა. კოკლობა ასე არასოდეს
უგრძნია. ფეხებს ვერ იმორჩილებდა,
უცნობ, უხილავ ძალას თითქოს მიწაზე

მიეჯავება. სპილენძის ზარი დადუმებულყო და ახლა აუტანელი სიმძიმით აწვა გულზე. ტატოს ლოცვა მოუნდა, უზნაესთან სიტყვის აღვლენა... მუხლებზე დაეცა, პირჯვარი გადაისახა, ხელები ლოცვად აღაპყრო, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ წარმოთქვა, სიტყვები სადაც გამჭრალიყვნენ. ნუთუ ღმერთმა სიყვარულთან ერთად ლოცვის უნარიც მოუსპო, რით დავიმსახურე შენი რისხვა, მოწყალო? განა შენს წინაშე ალაღმართალი გულის გადაშლა არ მოვიწადინე? შენ ხომ უწყვი, ჩემი ლოცვა მუდამ გულის სიღრმიდანაა ამოსული. ტატო თრთოლვის დაოკებას ლამობდა. უცებ იგრძნო, სახეზე ორი მოღალატე ცრემლის წვეთი ჩამოუვარდა. ორი თითი ლოყაზე ფრთხილად ჩამოისვა, თითქოს ჭრილობა მოისინჯა და გაოცდა — რა ღრმა, რა მოურჩენელი იარაღი დასჩენოდა. კვლავ ლოცვად აღეპყრო ხელები. სურდა, ღმერთისთვის ჭრილობის გამო — სიყვარულის გამო მაღლი მოეხსენებინა, მაგრამ ვერც ახლა იპოვა სიტყვები. გონი ვერ მოიკრიბა, ისევე ხელაპყრობილი იდგა და თვალბეგამტერებელი სულ სხვა დავითს — არა ქართველ მთავარს, არამედ ისრაელის მეფე დავითს ხედავდა. ერთხელ პატოსანი და უდანაშაულო კაცი რომ დაჩაგრა. ტატოს გაახსენდა, რომ მან, ისრაელის მეფემ, დავითმა თავის ქვეშევრდომს ცოლი წაჰგვარა და მხედართმთავართან — იოაფთან ბრძანების ბარათი აფრინა — თავისი მეტოქე ბრძოლაში ისეთ ადგილზე გაავზავნინა, სადაც მტრის ხელით სიკვდილი არ ასცდებოდა. აღასრულა იოაფმა მეფის ბრძანება და დაიღუპა დავითის ერთგული მეომარი, ხოლო ნათან წინასწარმეტყველმა შერისხა მეფე ისრაელისა და მიხვდა დავით მეფე, რა სასტიკი შეცოდება იყო თავს. მაგრამ გვიანდა იყო.

მერე რა, რომ დავით დადიანი მიხვდებოდა, რა ცოდვაც ჩაიდინა, როდესაც პოეტს ბედნიერება დაუნგრია?

ტატომ თავისი გულის სწორის — კატინკას გვერდით თავადი დადიანი დაინახა, ბედნიერთა შორის უმედნიერესი, მდიდართა შორის უმდიდრესი, ის ვის ფეხქვეშაც მიწა მღეროდა, მაღლიდან ზეცა დახაზოდა და ყველა მნათობი გზას უნათებდა. ისევე შეირხა მის გულში სპილენძის ზარი. ოჰ, რა მწარე, რა გაუსაძლისად მწარეა რაყიფის ხვედრი! მაგრამ ტატოს არ სურდა, არ შეეძლო, თავისი გრძნობა თუნდაც ეკვიანობით შეებლალა. რა და აშავა თავადმა დავითმა — ყველაზე ბედნიერმა, ყველაზე მდიდარმა კაცმა ეს შენ, შენ თვითონ ხარ დამნაშავე. რატომ ერთხელ მაინც არ გადაუჯარი კატინკას სიტყვა სიყვარულზე? ახლა ხომ დარდობ და პღვრი ცრემლს? კატინკას რაღას ერჩი? ყველაფერი წამებში წყდება, მოკლე, წარმაველ წამებში. სწორედ მაშინ ვხდებით ან ბედნიერნი, ან უბედურნი. თუმცა, რატომ „ან“? ბედნიერნიც და უბედურნიც ყოველი წამი პირველი და უკანასკნელი წამია.

იქნებ კატინკა მართლა ელოდა მისგან სიყვარულის გამხელას. მაგრამ სიყვარულის არსი სწორედ საიდუმლოშია დამარხული, სიყვარულში ყველაზე მშვენიერი მაინც მღუმარე მზერით ნათქვამი სიტყვაა.

სასოწარკვეთილ ტატოს კატინკაზე ფიქრიც აღარ უნდოდა, ქვეყანაძებების სახლს არ ეკარებოდა, გან-გან დადიოდა, რათა შემთხვევით არ შეხვედროდა. ფიქრები კი სულ მისკენ გაუბოღნენ. აბა, ფიქრს რას დაეკავებ.

მაგრამ ერთხელ მაინც გადაუყარა. ორივენი ერთად მოდიოდნენ და წყნარად საუბრობდნენ. ნიკოლოზმა თავი დაუქრა, თვალბეგა დახარა და გაერიოდა, პირველივე შესახვევში გადაუხვია. მეორედაც ნახა, სულ ახლოს, იყო, ოღონდ ზურგით იდგა და ვერ ხედავდა. ტატო ჩუმად უყურებდა. მისი ხილვით ხარობდა და თანაც დარდობდა,

რომ. მათი მზერა ერთმანეთს ვერ შეხვდა.

მხოლოდ ერთხელ შესძლო ჰეგვავაძეებთან მისვლა. ქორწილის წინა დღეს მივიდა.

— ძლივს არ გაგახსენდით, ასე რატომ მოგვანატრე თავი! — შესძახა კატინკამ და სიხარულისაგან ტაშიც კი შემოჰკრა. ნუთუ ჩემმა მოსვლამ ასე გაახარაო, უნებურად გაიფიქრა ტატომ და მზერა მიაპყრო. კატინკას თვალები არ ტყუოდნენ. თვალები უცინოდა, ლაწვები შეფაცლოდა. თვალებში ჰინკები დაუბტოდნენ. ტატოს ვერ გაერკვია, ასე რატომ უყურებდა, რას ნიშნავდა მისი მზერა, მოალერსე, მიმზიდველი. როგორ აკლდა ეს მზერა, როგორ ენატრებოდა, რა ობლად იყო უმისოდ. მზერა კი არა, ჰეშმარიტად ღვთის წყალობა იყო. მისი ხელების, ნორჩი ნაძვივით დრეკადი ხელების ყოველ მოძრაობას რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა და ტატო უბრალო და დაუოკებელმა სურვილმა აიტანა — ერთი სული ჰქონდა, ხელზე ხელი მოეკიდა. მაგრამ თავისივე ფიქრის შერცხვა, თვალი მოარიდა და განაჩენის მომლოდინე დამნაშავესავით ხმაჩაყარდნილმა ესლა მოახერხა:

— მაპატიე, კატინკა, მე სულ ერთი წუთით...

— როგორ თუ ერთი წუთით? რამდენი ხანია, არ მინახავხარ... არა... ასე მალე არ გაგიშვებ! — ალერსიანად უთხრა კატინკამ.

მის თვალებში წყლანდელივით დაბტოდნენ ანკი, დაუდგარი ჰინკები. ტატოს რატომღაც საღამოს ცა გაახსენდა, სადაც ერთიმეორის მიყოლებით ენთებოდნენ მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები. თვითონაც არ იცოდა, ვარსკვლავებსა და ჰინკებს საერთო რა ჰქონდათ. ალბათ მხოლოდ ვნებით ანთებულ გულს შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— მაპატიე, საქმეზე მოვედი.

— რა საქმეზე? — ყურადღებით შეხედა კატინკამ.

— ხვალ შენი ქორწილია, — წამოიწყო ტატომ, მაგრამ ველარ გაგერკვია...

— კიდევ კარგი, არ დაგვიწყებია ხომ იცი, ტატო, გელოდებით, ჩვენი საპატიო და სანატრელი სტუმარი იქნები.

— მაპატიე, — ისევ წამოიწყო ტატომ და კვლავ ენა დაება. მაგრამ თავს ძალა დაატანა და განაგრძო, — მე იმის სათქმელად მოვედი, რომ... მაპატიე, მაგრამ ვერ გეახლებით... ვერ მოვალ...

— რა სისულელეა, — წამოენთო ეკატერინე, — განა მეგობარს ასეთი საქციელი შეშვენის?

— ვიცი, ცუდად ვიქცევი. მაგრამ დამიჯერე, ნამდვილად ვერ გეახლებით... ამ საღამოს მივემგზავრები.. საშური საქმე მაქვს... საშური. გეახელი, რათა წინდაწინ მოგილოცო და კიდევ...

— მან ათრთოლებული ხელებით რაღაც გახვეული გახსნა, — ამის მეტი არაფერი მაბადია, — თქვა და ცისფერყდიანი რვეული გაუწოდა, — ჩემი ლექსებია, უარით ნუ გამაწბილებ. ჩემგან საქორწინო საჩუქრად გქონდეს.

— მადლობელი ვარ... ხომ იცი, შენს ლექსებს რარიგ ვაფასებ. მარად თან მექნება შენს სახსოვრად...

ტატო სწრაფად გამოეთხოვა. ეშინოდა, ვაითუ, თავი ველარ შევიკავო და მოღალატე ცრემლებმა გულისნადები გამამხელინონო.

— ვიმედოვნებ, მეგობრებად დაერჩებით, — უთხრა ეკატერინემ და ხმა ჩაუწყდა, თვალებში სიბრაღული გაუკრთა, თითქოს ემუდარებოდა, ნუ იღარდებ, სჯობს, დამივიწყო.

— მეც ვიმედოვნებ...

მეორე დღეს სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი და თავად ჰეგვავაძის ასული ეკატერინე ჯვარს იწერდნენ. საკურთხეველს რომ მიუახლოვდნენ, ეკატერინემ კედელს მიყრდნობილი ტატო შენიშნა. მისმა თვალებმა თავზარი დასცა: ასეთი ტანჯული მზერა მას ჯერ არ ენახა. მოეჩვენა, თითქოს მას მნიშვნელოვანი რაღაცის თქმა სურდა.

წამით შედგა, უკან გაიხედა, უეცრად ფეხები მოეკვეთა და გული შეულონდა. იქვე, ეკლესიაშივე მოასულიერეს.

ამას ადასტურებენ მომსწრენი. ამას ადასტურებენ თანამედროვეთა მოგონებები. ამბობენ, ეკატერინე ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად ნიკოლოზ ბარათაშვილი უყვარდაო. მაშ რად ამჯობინა სამეგრელოს მთავარი ჭაბუკ პოეტს? სიმდიდრეს დაეხარბა? ვაი, რომ ასეთ შემთხვევებში, ზშირად ამბობენ, სიმდიდრეს დაეხარბაო. მაგრამ ასე ისინი ფიქრობენ, ვინც ცხოვრებაში მხოლოდ იმ ფერს — თეთრსა და შავს ხედავს. ვის მიაკუთვნებენ ისინი თეთრ ფერს — პოეტს თუ მის რჩეულს? ხალხმა პოეტო ტანჯულად წარმოიდგინა და მთელი დანაშაული ჭავჭავაძის ასულს დააკისრა, თითქოს მისი დანაშაული ბარათაშვილის სახეს მეტ ნათელს მოჰფენდა. მაგრამ განა გამართლებულია ასეთი ბრალდება? ისტორიამ შერისხა ეკატერინე. ახლა ძნელი სათქმელია, ვინ ესროლა პირველი ქვა, ის კი ცხადია, რომ არ გამოჩნდა ისეთი რაინდი, ვინც ჭავჭავაძის ასულს გამოეკომპაგებოდა და მისი დანაშაულის დასაბუთებას მოითხოვდა. ვინ დაამტკიცებს, რომ ეკატერინემ თავადი დადიანი იმიტომ არჩია, რომ მის ქონებას დაეხარბა? რა თქმა უნდა, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ხომ შეიძლება ისევე გულწრფელად შეპყვარებოდა თავადი დადიანი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებით იზიბლებოდა? განა ვიცით, რად გვიყვარდება ერთი და არ გვიყვარდება მეორე, არანაკლებ ღირსეული? ადამიანებს ყოველთვის ღირსებებისთვის არ უყვარდებათ ერთმანეთი. ბოლოს და ბოლოს ისიც ვთქვათ, ვის რა ესაქმება დღეს კატიკასთან, მის წმინდა სახელთან? მისი ნეშტი ღიღიხანია მიწამ მიიბარა, მისი ხსოვნაც მივიწყებას მიეცა. მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, გადაარჩებოდა რვეული? დაიბეჭდებოდა ბარათაშვილის ლექსები მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ, თუ საქართველო

ვერც გაიგებდა, რა შეილი დაკარგა? მცირეა კატიკას დამსახურებამ და თან უზომოდ დიდი.

მან უარყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაგრამ მსოფლიოს ბრწყინვალე პოეტი აჩუქა.

ეკატერინე ჭავჭავაძე ცამეტი წლისა იყო, როდესაც პირველად ნახა თავადი დავით დადიანი. მაშინ თავადი მას ისე ეპყრობოდა, როგორც ბავშვს. მეორედ ოთხი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. კატიკა მეთვრამეტე წელიწადში იყო გადამღვარი. თბილისში, ბაგრატიონების სასახლეში საოჯახო სპექტაკლი იდგმებოდა. სტუმრები ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძის ალექსანდრე გრიბოედოვის კომედიას „ვინ ჭკუისაგანს“ უნდა დასწრებოდნენ. რა თქმა უნდა, თავადი ჭავჭავაძე თავისი მუეღლითა და ქალიშვილებით იქ გახლდათ. სპექტაკლის შემდეგ ცეკვები გაიმართა. თავადმა დადიანმა პირველივე ვალსზე ეკატერინე გაიწვია და მთელ საღამოს აღარ მოშორებია. ასე მსუბუქად და მოხდენილად არავინ ცეკვავდა და თავადი ცდილობდა, მისთვის ღირსეული პარტნიორობა გაეწვია. თავადმა დადიანმა ეკატერინეზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; იგი კარგად ცეკვავდა, საოცრად თავაზიანი და ყურადღებიანი იყო, მის ყოველ სურვილს უსიტყვოდ ზედებოდა.

თავად დადიანს კარგი მოსაუბრის, მომლხენი და ენამოსწრებული კაცის სახელი ჰქონდა. სუფრისა და ღვინის მშვენება იყო. მაგრამ ზუმარა და კვიმატი კაცის ნიღბის ქვეშ სერიოზული და ღრმა, უმწიკლო ადამიანი იმალებოდა. მას სწამდა, რომ ეგრეთწოდებული „ბედნიერი წამები“ კუშმარიტი ბედნიერება კი არა, ამოთა ამოებაა და ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, ცხოვრებას ისე არ ჩაველო, რომ გზაში არ ასცდენოდა იმ ერთადერთს, ვინც ზეცამ მისთვის შექმნა და ვისთან შეხვედრასაც ასე ესწრაფოდა. და ბოლოს

შეხვდა მას, ვისთან ერთადაც სამარის კარამდე უნდა ევლო.

თავად დავით დადიანზე გათხოვების შემდეგ ეკატერინე ჰაეჰაეჰაძე თბილისიდან შორს, ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრის მდიდრულ სასახლეში ცხოვრობდა. თავს კარგად და მყუდროდ გრძნობდა. სახლის ირგვლივ დიდი, ლამაზი ბაღი გადაშლილიყო. კატინკას მოსწონდა ზუგდიდში ყოფნა. თავადი საოცარ ყურადღებას იჩენდა, ახალგაზრდა ცოლს ყოველ სურვილსა და ახირებას უსრულებდა. კატინკა ამას ხელდავდა და მეგობრობისა და სიყვითის მადლიერი იყო. მაგრამ განა ეს კმაროდა? იქნებ თავადისთვის კიდევაც კმაროდა, კატინკასთვის კი არა. მისი სული ელოდა, მის სულს სიყვარული სწყუროდა. სწამდა, რომ თავადი დადიანი სიყვარულის ღირსი იყო, მაგრამ კატინკას სიყვარულის დღესასწაული არ დასდგომოდა. რატომ — თვითონაც არ იცოდა. ხშირად ცდილობდა ამ კითხვის პასუხის პოვნას, მაგრამ თავის თავსაც არ უტყუებოდა, არ უმხელდა იმას, სულს რა უღრღნიდა. თავადისა და მისი სულიერი კავშირი ღრმა არ იყო. კატინკა თანდათან მიხვდა, რომ მისი მეუღლე ზერეღე კაცი იყო, თავის თავითა და ცხოვრებით კმაყოფილს არაფერი აინტერესებდა, არაფერს ელტვოდა; თითქოს ყოველივესთვის მიეღწია. როგორ შეიძლება ასე ცხოვრება, გაოცებული ეკითხებოდა კატინკა თავის თავს, როგორ შეიძლება ასე უყურო სამყაროს? მართალია, სამყარო ძველია, მაგრამ ამავე დროს მარად ახალიც ხომ არის. განა ყოველთვის ახლად არ გვაოცებს სიკოცხლის დაუცხრომელი ძალა, განა ყველა ახლად არ აღმოაჩენს ხოლმე სამყაროს?

აბა, მას რაღა დამართვია, რა დამართვია ყველაზე ბედნიერსა და მდიდარს კაცს? რატომ მისცემია უცნაურსა და ავადმყოფურ თვლემას, რად დაუკარგავს განცვიფრების უნარი? ნუთუ არ ახარებს ის, რაც ყოველდღიურად

ხდება, რაც განგებისა და მოკვდავთა ხელით იქმნება? აი თურმე, ანაწმენდილი ლეში როგორი ყოფილა, მის სულიც სხვა თვისებები მიაწერა. ახლავა მიხვდა, რა უცხო ყოფილა მისთვის ეს კაცი და მარტოობა იგრძნო. ამჟვეყნად ყველაზე საშინელი მარტოობა — ორის მარტოობა. როცა მეტის გაძლევა აღარ შეეძლო, კატინკა ნიკოლოზ ბარათაშვილს ლექსებს აიღებდა, კითხულობდა და კითხულობდა. ამ საოცარ სამყაროში, სიყვითისა და სილამაზის სამყაროში ყველაფერი ისეთი უჩვეულო იყო, როგორც ზღაპარში და თან ისეთი მარტივი, როგორც სუნთქვა ან შამისიეული ბალის ხეთა შრიალი. თუ სხვანი ლოცვაში ჰპოვებდნენ შეგებას, ეკატერინე დადიანი ნუგეშისათვის თხელ, ცისფერყდიან რვეულს მიმართავდა, როგორც ლოცვანს, ისე ფურცლავდა. დასცქეროდა ლექსის სტრიქონებს და მის ყურს ტატოს ხმა — სიყვარულისა და სასოწარკვეთის ხმა სწვდებოდა. ეს ხმა მკაფიოდ და მზრძანებლურად ეღერდა და კატინკას სულს უნათებდა და უმსუბუქებდა. მაგრამ ზოგჯერ უცნაური გულისტკივილი და სინანული აიტანდა, ავანდელობდა სამუდამოდ ჩავლილი წარსული, ის რაც იყო და თითქოს არც იყო...

ერთხელ კატინკამ ვეღარ მოითმინა და თავის მეუღლეს უთხრა, ჩემიანები მომენატრა და მათი ნახვა მინდაო. თავისი ცოლის სურვილების უყოყმანოდ აღმსრულებელმა თავადმა არც ახლა დააყოვნა და კატინკა თბილისს გაამგზავრა. კატინკამ ჩასვლისთანავე სთხოვა ნინოს, ტატოს ბართი გაეზღავენ და სტუმრად მოიპატიეო.

თავადი ბარათაშვილი ჯერ ისევ თბილისში ცხოვრობდა. სასამართლოს მოხელედ მუშაობდა, მცირე ხელფასს იღებდა და თავს ძლივს ირჩენდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, მეოცნებეებსა და რომანტიკოსებს ცხოვრებისეული წვრილმანები არ აწუხებთ. ასეთ ადამიანებს ყველაზე მეტად სულიერი ტანჯვა აწინებთ. ტატომ იცოდა,



უბელურ ვარსკვლავზე იყო გაჩენილი და ბედის დარტყმები არ ასცდებოდა. თითქოს შეეჩვია კიდევაც და მათ ვარზე შეცხოვრება ვერც წარმოედგინა.

მაგრამ კატინკას დაკარგვა არაფერს არ შეედრებოდა. ტატომ პირველად იგრძნო, რომ ამ დარტყმას ვერ გაუძლებდა. მისი ხატება ერთთავად თვალწინ ედგა, ისეთი ახსოვდა, ბოლოს ეკლესიაში რომ ნახა. საიდან ჩნდება ასეთი ენითუთქმელი სილამაზე, ერთს ბედნიერებას რომ უქადის, ხოლო მეორეს — დაღუპვას?

არიან ადამიანები, რომლებიც გონებასა და უფალს შორის არჩევანს არ აკეთებენ. არიან ადამიანები, რომელთათვის გონება ერთადერთი უფალია. რა არის მათთვის ოცნება? გონების ფუჭი თამაში. მათ ცხოვრებაში ყველაფერი აწონილ-დაწონილია. ნიკოლოზ ბარათაშვილს ასეთი ცხოვრება არ უნდოდა, სინამდვილე ევიწროებოდა; მისი გული ყოველდღიურობიდან შეუცნობი, არამიწიერი სივრცისაკენ მიისწრაფოდა. იქ იყო მისი ნამდვილი ცხოვრება, იქ, სადაც დროის საზღვარს გადალახავდა, სადაც თავნება, იღუმანი ძალები უკვდავი აზრებით ირევიან და სასურველი ადამიანის ხატებას აღადგენენ.

მართალია, ის სამყარო მყარი არ არის და ღრუბელივით ქრება, მაგრამ გაქრობის შემდეგ ისეთ ნათელ სევდას ტოვებს, რომ არც ეს ქვეყანა და არც განშორებები ისე უიმედოდ და უსაშველოდ აღარ გეჩვენება.

კატინკა ტატოს სულს მოლოდინის ნათელი სიხარულითა და ლეჭსების წკრიალა მუსიკით ავსებდა:

ცისა ფერს, ღურჯაა ფერს,
პირველად კმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყმილდგან ვერტფოდი,
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებულთ.

ვფიცავ მე — არ ვერტფო
არ ოდეს ფერსა სხვას.
თვალეში მშვენიერს
ვეტრთო მე ცისა ფერს:

მოსრული იყო ცით
გამოკრთის სიამით.
ფიჭო მე სანატრა
მიმწივეს ცისა ქვეს.
რომ ემზით დამნაართ
შევერთო ღურჯაა ფერს.
მოგვკვები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე შობლიურს, —
მის ნაეულად ცა ღურჯა
დამაფრქვევს ცვარს ციფრს!
სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოცეცას. —
იგიცა შესწიროს
ციცამან ღურჯაა ცან!

რას ნიშნავდა ტატოს იმედები? ნუთუ მართლა ეგონა, რომ ისევ შეხვდებოდა სამეგრელოს მთავრის მეუღლეს. ასეთი იმედისთვის არავითარი საფუძველი არა ჰქონდა. მაგრამ განა პლეტებს საფუძველი სკირდებთ? მათ თავიანთი ნაწარმოებებისა უფრო სჯერათ, ვიდრე სინამდვილის. ნიკოლოზ ბარათაშვილი ცხოვრებისეულ ლოგიკას არაფრად აგდებდა და მტკიცედ სწამდა, რომ სასწაული უნდა მომხდარიყო. ამიტომ ოდნავადაც არ გაპყვირებია, ნინომ ბარათი რომ გამოუგზავნა და შინ მიიბატიეა.

ტატო და კატინკა ძველებურად გავიდნენ ბაღში, სადაც მრავალი ბედნიერი დღე ჰქონდათ ერთად გატარებული. ტატომ აქ ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი ბილიკი და ხე იცოდა. აგერ იმ ბუჩქზე ერთხელ კატინკამ ბუღბუღის ბუდე აჩვენა. ჩახბართულ, ეკლიან ტოტებში ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას და ცდილობდნენ არ ესუნთქათ, რათა ბარტყები არ დაეფრთხობთ. ხოლო იმ სკამზე კატინკა თავისი პირველი მეჭლისის ამბებს უყვებოდა, სასაცილოდ ბაძავდა იმ დარბაისელ კაცებს, სულელური ქათინაურებით რომ ავსებდნენ და ორივენი სიცილით იხოცებოდნენ. აქ ყოველი ხის შრიალი რაღაცას აგონებდა, ყოველ კენჭს რაღაცა ახსოვდა.

მზიანი დარი იდგა. იმ მდელოს, სადაც ერთ დროს კატინკა გვირგვინს

წინადა, დაეყვავილა. ძველი ბაღის ბილიკებზე ოქროს შემოდგომა დაეხეტებოდა. ხეები მდუმარებას მოეცვა, სამოსელი ჭერ არ შემოსძარცვოდათ და მზის სხივებში გახვეულნი წითლად და ყვითლად ეღვარებდნენ. თბილი, ხანგრძლივი შემოდგომის საწინდრად პაერში აბრეშუმის მსუბუქი აბლაბუდები ეკიდა. ისეთი საზეიმო სიჩუმე გაშეფებულყო, როგორც სამლოცველოში. შემოდგომის კაეშნიანი ვანწყობილებით შეპყრობილი კატინკა და ტატო უსიტყვოდ მიუყვებოდნენ ბილიკს, ისე დაბნეულები იყვნენ, თითქოს ერთმანეთი გუშინ გაეცნოთ. ტატომ არ იცოდა, საუბარი რით დაეწყო. წლების მანძილზე იმდენი სათქმელი, იმდენი დარდი და გულისტქმა დაგროვებოდა, მაგრამ მის გვერდით მიმავალი ცოცხალი კატინკა თითქოს აბარეალური იყო, თითქოს ის უფრო ნამდვილი და ხორცშესხმული იყო, ვისაც ყოველდღე ფიქრებში ხედებოდა. ბოლოს, ბაღის სიღრმეში, ბებერ ვაშლის ხესთან თავიანთ საყვარელ სკამს მიადგნენ: ღმერთო, რა კარგი იყო აქ ჭდომა, ოცნება, ხეების შრილისა და ჩიტების გალობის სმენა.

კატინკა უფრო დამშვენებულიყო. დროს მისი ქალურობა გამოეკეთა, ოღონდ თვალთა ეღვარება ჩაქრო. სად გამჭრალან ის კინკები ადრე მის თვალებში რომ ხტოდნენ? რატომ დაუქავებია მათი ადგილი სევდას?

— შეცვლილხარ, კატინკა.

— მართლა? თუმცა, შევიცვლებოდი, დრო მიდის... რაო, აღარ მოგწონვარ? — კატინკამ გახუმრება სცადა. მის ხმაში წამით ადრინდელი უღარდულობა და სიკეკლუცე გაისმა... მაგრამ მხოლოდ წამით — იმ ბედნიერი დღეების მხიარულება უკვალოდ გამჭრალიყო. თვალებიც წამით წამოერთო და ისევ ჩაუჭრა, მხოლოდ დაბნეული დიმილი შეეყინა სახეზე.

— როგორ არა! — შესძახა ტატომ,

— მე შენ ყოველთვის მომწონხარ.

ოღონდ ახლა ასე მგონია, გულს რაღაც მძიმე დარდი ვაწევს.

— სცდები, ჩემო მეგობარო, ეს წლების ბრაღია. თხუთმეტი წლისა ხომ აღარა ვარ, და არც ჩვიდმეტის, სულ რომ ვიცირო.

კატინკამ მოჩვენებითი გატაცებით დაიწყო ზუგდიდის სასახლის აღწერა, იქაური გართობებისა და ათასი წერილმანის მოყოლა, რაც ტატოს სულაც არ ეკაშნიკებოდა. კატინკა ყველაფერს ყვებოდა, მაგრამ თან თითქოს არაფერს ამბობდა. ტატოს მოეჩვენა, რომ იგი თავის თავზე ლაპარაკს ერიდებოდა.

— კატინკა, წინათ ასეთი გულჩახტობილი არ იყავი. დაგავიწყდა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ, — ჩუმიდ მიუგო კატინკამ და გულღიად და ნაზად პირველად შეხედა.

— ნუ გამიწყრები, მაგრამ შენი ბედი მაწუხებს, მითხარი, ბედნიერი ხარ?

ტატოს ცნობისმოყვარეობამ და ზედმეტმა თანაგრძობამ კატინკა გაანაწყენა. სულაც არ უნდოდა, ტატო მიხედრილიყო, რომ იგი სამუდამოდ გაფრენილ სიყმაწვილეს მისტიროდა. არადა, როგორ ნატრობდა ამ შეხვედრას, როგორ უნდოდა, თავისი ერთგული მეგობრისთვის გული გადაეშალა. მხოლოდ მასთან შეეძლო გულახდილობა, მხოლოდ მის სულში ჰპოვებდა გამოძახილს მისი დარდი. მაგრამ ახლა, შემოდგომის მინავლულ და სევდიან ბაღს რომ უყურებდა, მიხვდა, ცდებოდა. ამაოდ ჩამოვიდა თბილისში, ამაოდ მოიწვია ტატო. არა, ერთი სიტყვაც არ დასცდებია, არ გაამხელს, რა სტანჯავს. რა საჭიროა? შეცვლა ხომ მაინც აღარაფრისა შეიძლება. ის გოგონა, ამ ბაღში ყვავილებს რომ კრეფდა და ტატოს გვირგვინს უწნავდა, აღარ არსებობს.

— მომისმინე, ტატო, იქნებ ჯობდეს, ლექსები წამიკითხო. ახლებს დაწერდი.

— დაეწერე, რამდენიმე...

— მე ისე მიყვარს შენი ლექსები.

იცი, როდესაც მოვიწყენ ხოლმე, შენს რვეულს ვიღებ, ვკითხულობ და გულს მომეშვება.

— ხშირად მოიწყენ ხოლმე?

კატინკას სახეზე უკმაყოფილება და ეტყო, მაგრამ არაფერი უპასუხა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— ძვირფასო კატინკა, ჩვენი შეხვედრა სულ სხვანაირად შესახებოდა. მეგონა სათქმელს ვერ გამოვლევდით. ჩვენ ხომ იმ სკამზე, იმ ბაღში ვსხედვართ, სადაც საოცარი წამები გავვიტარებია. აქ არაფერი შეცვლილა. მხოლოდ შენ ვერა გცნობ. მე შენ მიყვარდი და შენთან განშორება ჩემთვის მტკივნეული იყო. მიყვარდი მეთქი, არა, ტყუილია, მე შენ ახლაც მიყვარხარ. ამას უწინდელ კატინკას არ ვეტყობდი... რა მოგივდა, კატინკა? მე ბედი არასოდეს მანებიერებდა, მაგრამ შენ, შენ ხომ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. შენი ცულად ყოფნა დარდს მიორკეცებს. მაპატიე ეს დაჟინება, მაგრამ შენი ბედი მაწუხებს, მითხარი, ბედნიერი ხარ?
არა ქრისტიანობა ვარსკენმა. დესპანმა ველარ დაუმალა და შუანიკს სიმართლე გაუმჟღავნა. აქ იბადება ეკვი, ყოველივე ეს განზრახ ზომ არაა გაკეთებული ვარსკენის მიერ? მართლაც, თუ დესპანი იტყოდა სიმართლეს, ცხადია, ვარსკენი ჩასვლისთანავე მიხვდებოდა ამას. მაშ რავგორდა გაბედა დესპანმა ასეთი რამ? განა ვარსკენი ვერ შეარჩევდა კაცს, რომელიც არ გატყდებოდა? ან შუანიკის მსგავსად ვერ დააფიცებდა დესპანს, არ გამტყდარიყო? ან ფიცის გარდა სხვა უფრო დამაჯერებელი არგუმენტები არ ექნებოდა? გავიხსენოთ, ისიც, რომ ეს დესპანი ვარსკენის მონა იყო, ე. ი. ვარსკენის უფლება მასზე განუსაზღვრელი იყო. ამიტომ ჩნდება ეკვი, რომ იქნებ დესპანს საიდუმლოდ დავალებული ჰქონდა, ვითომცდა უნებლიედ წამოსცდნოდა სიმართლე, რათა ვარსკენის ჩამოსვლისათვის უკვე დაწყნარებულიყო პირველი აღშფოთება. ზევით ითქვა ისიც, რომ თვით ვარსკენი დესპანის ჩასვლიდან მხოლოდ სამი დღის შემდეგ ჩავიდა, რაც აგრეთვე შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. გამოდის, რომ საზღვრიდან ცურტავამდე მისასვლელად ვარსკენს დასკირვებია სამი დღე და კიდევ ის დრო, რომელიც გზაში დაყო დესპანმა. რამდენი ხანი უნდა ყოფილიყო გზაში დესპანი? ცურტავი უნდა ყოფილიყო სადღაც ქვემო ქართლის, დაახლოებით, დღევანდელი ნომენკლატურით, სადღაც თეთრი წყაროს, ბოლნისისა ან მარნეულის რაიონში. ქართლის სამხრეთ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან ცურტავის შესაძლებელ ადგილმდებარეობამდე დესპანს დასკირდებოდა. ერთი, მაქსიმუმ ორი დღე (შეიძლება დავუშვათ, რომ მანძილი იქნებოდა 60-120 კმ.). ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვეულებრივი სიჩქარით მოძრაობისას ვარსკენს ამ გზის გავლაზე დაკირვებოდა ოთხი-ხუთი დღე, ე. ი. დღეში ევლო 12-25 კმ-ის სიჩქარით. ამგვარად, ვარსკენმა განზრახ დაგვიანა. მან წინ გაგზავნა თავი-

სი დესპანი, რომელსაც, ჩანს, დაავალა ეცნობებინა მომხდარი ამბები. მან იცოდა რა რეაქციას გამოიწვევდა ეს ცნობა და, პირველ რიგში, შუანიკში; რათა ყველაფერი დამცხრალიყო და კალაპოტში ჩამჭდარიყო. მან ფეხი აითრია, ჩასვლა დაავიანა და დრო მისცა ხალხს მოეწყოთ მისთვის შეხვედრა. ამრიგად, დესპანისაგან შუანიკისთვის ვარსკენის განდგომის ამბავის ცნობა თვით ვარსკენის მიერ არის დაგეგმილი. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ უთხრა დესპანმა შუანიკს მთელი სიმართლე? რომ ვარსკენმა შაპის ასული შეირთო ცოლად? შუანიკმა როდესაც გაიგო ვარსკენის გამაზღვანების ამბავი, დავარდა მიწაზე „და ცრემლითა მწართა იტყოდა: საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო ჰეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“. იაკობი საქმაოდ დაწვრილებით გვიხატავს შუანიკის მწუხარების სურათს, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ მას დაეჩივლოს ვარსკენის როგორც მეუღლის ღალატზე. ცხადია, შუანიკს ამაზე რომ რაიმე ეთქვა, იაკობს ეს აღუნიშნავი არ დარჩებოდა. ვარსკენის განდგომა რომ გაიგო, შუანიკმა მიატოვა სასახლე, წაიყვანა თავისი შვილები, შევიდა ერთ პატარა სახლაკში ეკლესიის მახლობლად. შემდეგ შუანიკმა შვილები ღმერთს შეავედრა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცივენ ესენი. განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულითა წმიდისაჲთა. ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

შუანიკის მოძღვარი იაკობი ვარსკენის განდგომის ამბავს რომ გაიგებს, სასწრაფოდ მივა თავის სულიერ მოწაფესთან. მოწაფესა და მოძღვარს შორის იმართება უაღრესად საინტერესო საუბარი. ამ საუბრის დროს, რომელსაც იაკობი საქმაოდ დაწვრილებით გადმოსცემს, ლაპარაკია შუანიკის შემდგომ მოქმედებაზე, მისსა და ვარსკენ-

ნის მომავალ ურთიერთობაზე. იაკობი საიღუმლოდაც კი („ხუაშიადად-რე“) ეკითხება მას, რას აპირებს. შუშანიკი მიუგებს: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა“. შუშანიკი ზოგადად ლაპარაკობს ვარსკენის ცოდვებზე და არაფერს ამბობს მის მიერ მეორე ცოლის მოყვანაზე ანუ ქრისტიანული მორალით მრუშობაზე. იაკობის შემდგომი გაფრთხილებისაგან, ვარსკენი „გუემასა და ტანჯვასა დიდსა“ შეგავლენსო, შუშანიკი ისევ ამბობს: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთავან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარყმედა სულისა ჩემისაა“.

აქაც შუშანიკი ლაპარაკობს მხოლოდ იმაზე, რომ არ წარიწყმდეს სულს ვარსკენთან შეერთებით და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს შეერთება მისთვის შეუძლებელია, რადგან ვარსკენს მეორე ცოლი ჰყავს. ჩანს, ამაზე არც იაკობმა იცის რაიმე. შეიძლება დავუშვათ, რომ არც შუშანიკმა და არც იაკობმა ჯერ არაფერი იციან. მაგრამ გადის სამი დღე, ჩამოდის ვარსკენი. საფიქრებელია, რომ მას როგორც სურდა, წინ მიეგებნენ აზნაურნი, ძენი და მსახურნი. ჩასვლისთანავე მის სპარს მსახურს ფარულად უცნობებია მისთვის შუშანიკის ამბავი და თანაც ურჩევია: „ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნება იწრო არს“-ო. ვარსკენი აგრძელებს თავის პოლიტიკას. რაც შეიძლება ნაკლები ხმაური ატეხოს თავის ირგვლივ, როგორც ეტყობა, მას ოფიციალურად არ მოუკითხავს შუშანიკი. მეორე დღეს ვარსკენმა თავისთან დაიბარა ხუცესები. საინტერესოა, რომ ქრისტიანობისგან გამდგარი პიტიახში საჭიროდ სცნობს პირველი შეხვედრა მოაწყოს, სწორედ ქრისტიანული ეკლესიის მსახურებთან — ხუცესებთან, მათთან, ვისაც საქმე აქვს ხალხის ფართო მასებთან. იაკობი გადმოგვცემს, ჩამოსვლის მეორე დღესვე, „ვითარ აღდგა პიტიახში, გვწოდა ჩუენ ხუცეს-

თა და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვნა და გურქუა ჩუენ: „აჲ ნურას მერიდებით მე და ნუცაღა გმაგ“. უალრესად საინტერესო ვითარებაა: გამაზნდნებელი ვარსკენი სიხარულით ხვდება ქრისტიან მღვდლებს და ეუბნება, ნუ მერიდებით და ნუ მომიძულებთო. შესაძლებელია, ვარსკენმა მეტიც თქვა, მაგრამ ამ სიტყვებიდანაც აშკარად ჩანს, რომ იგი ეუბნება ხუცესებს, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს განდგომას, თქვენთვის ამას არავითარი შედეგი არ მოყვებაო.

ასეთი შეხვედრით წახალისებული მღვდლები პირდაპირ მიახლიან ვარსკენს, შენი თავიც დაილუბე და ჩვენც დაგვლუბეო. თავისი დაპირებისამებრ ვარსკენი სრულებითაც არ გაწყობა მათს სიტყვებზე, მაგრამ ამის შემდეგ კი იკითხავს შუშანიკის ამბავს. „მაშინდა იწყო სიტყუად“-ო. იგი გამოაცხადებს თავის უკმაყოფილებას იმით, რომ შუშანიკმა თავისი წასვლით შეურაცხყო იგი, რომ მან ვარსკენის ხატი დაამხო, მის საგებელს ნაცარი მიაყარა, თავისი ადგილი დასტოვა და სხვაგან წავიდა.

აქ ჩვენს ყურადღებას ორი მომენტი იპყრობს, პირველი არის ის, რომ ვარსკენი კრინტსაც არ ძრავს შუშანიკის წასვლის ნამდვილ მიზეზსა და შედეგზე. მას შეგნებულად ყველაფერი ოჯახურ კონფლიქტამდე დაჰყავს. ვარსკენი არც შემდგომში გადაუხვევს ამ ერთხელ აღებულ გეზს. მთელი „წამების“ მანძილზე ის მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ცოლი დაუბრუნდეს ქმარს. არც ერთი სიტყვა ქრისტიანობის გამოცვლაზე, ან სხვა რამეზე, გარდა ცოლქმრული ურთიერთობის დარღვევისა.

მეორე საყურადღებო მომენტი არის ის, რომ შუშანიკთან შესარიგებლად ვარსკენი სწორედ იმ ხუცესებს გაგზავნის, რომელნიც ერთი წუთის წინ აყვედრიდნენ მას, რატომ დაილუბე თავი და რატომ დაგვლუბე ჩვენცო. რატომ გაუგზავნა ვარსკენმა შუშანიკს ხუცესების მთელი ჯგუფი? მას ხომ შეეძლო გაე-

გზანა მხოლოდ იაკობი, რომელიც ამ ჯგუფში იყო. უეჭველია, ვარსკენი განზრახ აკეთებს ამას. ამითი იგი მნიშვნელოვნად აბათილებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც უნდა შეექმნა შუშანიკის წინააღმდეგობას. მართლაც, თუ შუშანიკთან შუამავლად ხუცესების მთელი დეპუტაცია მივიდოდა, ეს ყველას დაანახებდა, რომ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ვარსკენს არც თუ ისეთი მიუტყვებელი ცოდვა მიუძღოდა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ვარსკენისთვის აუცილებელი იყო ხუცესებს შუშანიკთან მის სასარგებლოდ ელაპარაკათ. თუ ისინი შუშანიკთან ვარსკენს აგინებდნენ და მას განამტკიცებდნენ თავის გადამწყვეტილებაში წინააღმდეგობა გაეწვია ვარსკენისთვის, დეპუტაციას ვარსკენისთვის მხოლოდ დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. მაშასადამე, ვარსკენმა იცოდა, რომ ხუცესები შუშანიკთან მის სასარგებლოდ ილაპარაკებდნენ. მას რომ ამაში ეჭვი შეჰპარვოდა, ცხადია, ის მხოლოდ იაკობს გაუგზავნიდა, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები მოწმე ჰყოლოდა. ზემოთქმული საინტერესო მასალას გვაძლევს როგორც საკუთრივ ვარსკენის დახასიათებისათვის, ისე იმ განწყობის გასარკვევად, რომელიც შექმნილია ვარსკენის განდგომის შემდეგ.

როგორც დავინახეთ, ის ხუცესები, რომლებიც აგინებდნენ ვარსკენს ქრისტიანობის უარყოფისათვის, ცოტა ხნის შემდეგ დაყაბულდნენ მას შუამავლებად წასულიყვნენ შუშანიკთან. მაშასადამე, ვარსკენმა შეძლო დარწმუნებინა ისინი, ისეთი რაღაცა ეთქვა მათთვის რამაც შესაძლებლად ჩათვლევინა ხუცესებს ვარსკენის სასარგებლოდ ემოქმედნათ. აშკარაა, ვარსკენი მოხერხებული დიპლომატი და ნიჭიერი ორატორია, ასე სწრაფად რომ შეძლო ხუცესთა თავის მხარეზე გადაბირება. არ იქნებოდა სწორი, თუ ვიფიქრებდით, რომ ხუცესთა დეპუტაცია ასე იქცეოდა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვარსკენის ბრძანებით.

ასეთი დეპუტაცია ვარსკენს სრულიად არ აძლევდა ხელს.

იმ დეპუტაციის ამბავი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ, როგორც ირკვევა, ვარსკენის ირგვლივ არ შექმნილა უნდობლობის ვაკუუმი. მასთან დადიან სამღვდლო პირები, უსმენენ, რიგ შემთხვევაში იზიარებენ მის შეხედულებებს. საერთოდ მისი განდგომა სრულებითაც არ მიიჩნევა რაღაც უჩვეულო, უნახავ ამბად. თვით ვარსკენი არ მიიჩნევა ისეთ ადამიანად, რომელთანაც ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეწყდეს, და ყოველივე ეს ჩანს სწორედ სასულიერო პირთა მაგალითზე, ვინც ყველაზე მეტად უნდა დაპირისპირებოდა ვარსკენს. ცხადია, საერო პირები კიდევ უფრო ლოიალურად იქნებოდნენ განწყობილი.

ამგვარად, ვარსკენი აგზანის შუშანიკთან ხუცესებს და აბარებს, შენ ჩემი ხატი დაამხე და ჩემს საგებელს (ე. ი. ჩვენს ცოლ-ქმრულ საგებელს) შეურაცხყოფა მიაყენეო. ვარსკენს რომ მეორე ცოლი ჰყოლოდა, განა უცნაურად არ გაისმოდა ცოლქმრული სარეცელის სიწმინდის დაცვაზე პრეტენზია კაცისგან, რომელმაც თვითონ შეირთო მეორე ცოლი, რომელიც ქრისტიანული მორალით ხარკა იყო, ხოლო ვარსკენის საქციელი კი მრუშობა? შეიძლება ვარსკენისთვის მეორე ცოლის ყოლა, როგორც მანდინისთვის, უკვე აღარ იქნებოდა ცოლქმრული ნორმების დარღვევა, მაგრამ ქრისტიანი შუშანიკისთვის, ქრისტიანი ხუცესებისთვის? განა ისიც უცნაური არ არის, რომ ქრისტიანი სამღვდლოება (და, რაც მთავარია, მგფთ-იაკობი) სთხოვს შუშანიკს დაუბრუნდეს თავის ქმარს!

ძალიან საინტერესოა შუშანიკის პასუხი: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ“, შემდეგ იგი ახასიათებს არშუშას საქმიანობას და უპირისპირებს ვარსკენისას. შუშანიკი მხოლოდ სარწმუნოებრივ მხარეზე ლაპარაკობს. ნუთუ იგი არ იტყოდა, ყველაფერ ამასთან ერთად მრუშობასაც

ეწვიო? იგი უთვლის ვარსკენს: „და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ვერცეა მე შენ შეუთრაც გყავ“-ო. როგორც ვხედავთ, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ვარსკენის მეორე ცოლზე. ამასთან ცხადია, თუ შეიძლე-ბა დავუშვათ, რომ შუშანიკმა აღრე არ იცოდა ცოლის შერთვის ამბავი, ახლა, ვარსკენის ჩამოსვლის შემდეგ, ეს გა-მორიცხებულია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვარსკენ-მა შეძლო ხუცეების დარწმუნება, შუშანიკთან წასულიყვნენ შუამავლად, მაგრამ იაკობი არ გადმოგვეცემს იმას, თუ რა უთხრა მან მათ, რითი გადაი-ბირა ისინი თავის მხარეზე, არც იმას გვიამბობს, რა უთხრეს მათ თავის მხრივ შუშანიკს. თავის თხზულებას იაკობი სწერს უკვე შუშანიკის სიკვდი-ლის შემდეგ, როდესაც ყველაფერი დამთავრებულია. რასაკვირველია, ია-კობს ხელს არ აძლევდა იმისი მოყო-ლა, რაც მკითხველის თვალში გაამარ-თლებდა ვარსკენის მოთხოვნას, ხოლო შუშანიკის პოზიციას გაუმართლებელ სიჭიჭტედ დახატავდა.

როგორც ვიცით, ხუცესთა დებუტა-ციას წარმატება არ მოჰყოლია. მაშინ ვარსკენმა ახალი დებუტაცია გაგზავ-ნა: თავისი ძმა ჯოჯიკი, ჯოჯიკის ცოლი და ეპისკოპოსი აფოცი. ჯოჯიკს ვარს-კენი აგზავნის იმიტომ, რომ, როგორც ირკვევა, იგი ძალიან ახლო იყო შუშა-ნიკთან. თვით შუშანიკის სიტყვით ისი-ნი ერთად გაზრდილნიც კი ყოფილან. ბუნებრივია, რომ ვარსკენი აგზავნის მის ცოლსაც, რომელსაც შუშანიკზე უნდა ემოქმედნა უკვე როგორც ქალს და ამასთან ახლობელს. დაბოლოს, იგზავნება აფოციც, ეპისკოპოსი, მთე-ლი საპიტიახშოს სულიერი მამა. თუ მას მიაჩნია, რომ შუშანიკი უნდა შე-ურიგდეს ვარსკენს, ვის რაღა უნდა დარჩეს საეკვეო და სათქმელი?!

ამჯერად ვარსკენის შეთვლილი გან-სხვავდება ხუცეების პირით შეთვლი-ლისგან. თუ მაშინ ვარსკენი მხოლოდ მიუთითებდა შუშანიკს, რომ მან შეუ-

რაცხყოფა მიაყენა ქმარს და თავისი ადგილი მიატოვა, ამჯერად ვარსკენი ტონს უწევს. იგი უთვლის შუშანიკს: „აღდგე და მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგვევითარი გონება გიპყრის!“ ამ მოთხოვნას თან მუქარაც მოსდევს: „უკუეთუ არა, თრევით მოგიტრიო“. ვარსკენის შეთვლილიდან იაკობს მხო-ლოდ ეს მუქარა მოჰყავს. საფიქრებე-ლი კია, რომ მას სხვა რამეც ჰქონდა შეთვლილი, უფრო ნაკლებად მკაცრი. ყოველ შემთხვევაში თვით ამ ახალმა დებუტაციამ ბევრი რამ უთხრა შუშა-ნიკს ისეთი, რაც ამართლებდა მის შე-რიგებას ვარსკენთან. იაკობი ამბობს: „მრავალსა დასაჭერებელსა სიტყუასა ეტყოდესო“. თვით შუშანიკიც იძულე-ბულია აღიაროს: „კაცნო ბრძენო, თქუენ კეთილად იტყუთ“-ო. სამწუხა-როდ, ამჯერადაც იაკობს არ მოჰყავს მათი ნალაპარაკევი და ჩვენ არ ვიცით, როგორ ამართლებდნენ ვარსკენს და რითი ასაბუთებდნენ შუშანიკის სასახ-ლეში დაბრუნების აუცილებლობას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შუშანიკი გადაწყვეტით იტყვის უარს ვარსკენის ცოლობაზე, მხოლოდ ამის შემდეგ შე-ატყობინებენ მას ვარსკენის მუქარას: „პრქუა მას ჯოჯიკ: უწყი მე, აჲ მოა-ვლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყ-ვანოს შენ“. ამ შემთხვევაში განსაკუ-თრებით მნიშვნელოვანია აფოკის შუა-მავლობა ვარსკენთან შესარიგებლად. პიტიახშოს კარის ეპისკოპოსი და მთე-ლი საპიტიახშოს სასულიერო მეთაური შესაძლებლად და მიზანშეწონილად მი-იჩნევს, რომ შუშანიკი დაუბრუნდეს თავის ქმარს. ამითი ეკლესია სანქციას სდებს ვარსკენთან ურთიერთობაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ეპისკოპოსი აფო-ციც კი შესაძლებლად თვლის აპატიოს ვარსკენს ქრისტიანობისგან განდგომა. ცხადია, აფოცმა იცის, რომ ამის იქით რაღაც სხვა ამბავი იმალება. მაგრამ ამას ისიც რომ დამატებოდა, რომ ვარ-სკენს მეორე ცოლი ჰყოლოდა, ჩასთ-ვლიდა თუ არა აფოცი შესაძლებლად აგტაცია გაეწია შუშანიკისთვის დაბ-



რუნებოდა ქმარს, რომელსაც მეორე ცოლი ჰყავდა? ვფიქრობთ, რომ არა. იგივე ითქმის ხუცესების დეპუტაცი- ზეც, რომელშიც თვით შუშანიკის პი- რადი მოძღვარი ერიო. როდესაც შუშა- ნიკი უარს ამბობს შეუთრგდეს ვარს- ქენს, იგი ერთადერთ მოტივს აყენებს სარწმუნეობრივს: „მეგონა მე, ვითა- რმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჰუმშარიტი აღიაროს. და აწ მე მი- ძულვებთ ამას ყოფად?“ აფოცს შუშა- ნიკი ეუბნება: „ვითარ მეტყვ მე და- ჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უფარ-ყო? განა შუშანიკი არ იტყოდა, როგორ მეუბნებოდა შენ, ეპისკოპოსი, დავებრუნდ ქმარს, რომელსაც მეო- რე ცოლი ჰყავსო. უარს ეუბნება შუ- შანიკი ჯოჯიკსაც და ისევ არც ერთი სიტყვა მეორე ცოლზე და მხოლოდ სა- რწმუნეობრივი მოტივის წამოყენება. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდე- გი გარემოება. ჯოჯიკი აფრთხილებს შუშანიკს, ვარსქენი თრევით წაგაყვა- ნინებსო. ამაზე შუშანიკი ეუბნება: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხა- რის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩი- ნება ჩემი მისგან“. განჩინება აქ ნიშ- ნავს გაყრას, როგორც ეს გაარკვიო ც. ქურციკიძემ.¹ ვარსქენს რომ მეორე ცოლი ჰყოლოდა, ქრისტიანული მორა- ლით ხარკა, განა შუშანიკი გაყრის მი- ზეზად შეეკრასა და თრევას დაასახე- ლებდა? მეორე საინტერესო მომენ- ტია ის, რომ „ჯოჯიკი ევედრებოდა და ეტყოდა: „დაა ჩუენი ხარ შენ, ნუ წარ- სწყემდ სახლსა ამას სადედოფლოსა“. შუშანიკის წასვლა ღუბავს სადედოფლო სახლს, რადგან თვით შუშანიკია დე- დოფალი. მაგრამ ვარსქენს რომ მეორე ცოლი ჰყოლოდა, ისიც ირანის შაჰის ასული, შუშანიკის წასვლა ჩაითვლე- ბოდა სადედოფლო სახლის დაღუპ-

ვად? რომ ვარსქენს მეორე ცოლი არა ჰყავს, ეს შემდგომშიც დასტურდებ- ბა.

ბოლოს და ბოლოს შუშანიკი დაი- თანხმეს სასახლეში დაბრუნებაზე, მა- გრამ ის მაინც არ შევიდა „თუსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირე- სა“. ვარსქენს რომ შაჰის ასული შეე- რთო ცოლად, მოსალოდნელი იყო, რომ შუშანიკის „გალიაკი“ (აქ უთუოდ იგულისხმება მისი სადედოფლო ოთა- ხი) მას უნდა სჭეროდა. მაგრამ იაკობის სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს ოთახი ცა- რიელი იყო და შუშანიკმა იგი თავისი ნებით არ დაიკავა. სასახლეში დაბრუ- ნებულმა შუშანიკმა „აღიპყრნა კელნი თუსნი ზეცად... და თქუა... უფალო ღმერთო, არცა მღღელთაგანი ვინ იბო- ვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გა- მოჩნდა შორის ერსა ამას არამედ ყო- ველთა მე სიკუდილდ მიმითულეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“. ამასთან ერთად შუშანიკი პირველი დღიდანვე, როდესაც გაიგო ვარსქენის განდგომის ამბავი, შიმშილობს. ცხადია, ვარსქენმა ყველაფერი ეს იცის, და უეჭველია, ძალზედ ღიზიანდება კიდევც, მაგრამ ჭერ კიდევ არ ღალატობს თავის ვადა- წყვეტილებას, როგორმე თავიდან აი- ცილოს სკანდალი, საინტერესოა, რომ თუმცა იგი ასე დაჟინებით მოითხოვს შუშანიკის დაბრუნებას და შუშანიკი მას სასახლეში არ ხვდება, თვითონ მხო- ლოდ ორი დღის შემდეგ მოდის. ჩანს, ამჭერადაც ცდილობს დრო გაახანგრ- ძლიეოს, რათა შუშანიკი დასცხრეს და რამდენადმე დამშვიდდეს. მაგრამ შუ- შანიკის შეუთრგებლობას და გამომწვევ მოქმედებას ბოლოს და ბოლოს მოთ- მინებიდან გამოჰყავს ვარსქენი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ შუშანიკის უღირსმა საქციელმა ჯოჯიკის ცოლის მიმართ გამოიწვია ვარსქენის მხრივ საშინელი მრისხანება. სიბრაზისგან გონებადაკა- რგულმა ვარსქენმა უწყალოდ სცემა შუშანიკს. საინტერესოა, რომ ასეთ გა- მძინვარების დროსაც კი ვარსქენს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია შუშა-

1 იაკობ ცურტაველი, წამებაა წმ- დისა შუშანიკის დედოფლისა, ტექსტი გამო- საცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლე- ქსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბი- ლისი, 1979, გვ. 66.

ნიკის სარწმუნოებრივ შეუწყნარებლობაზე, მხოლოდ „სახლისა შოკრებელად სახელ-სდებდა მას“. საყურადღებოა, რომ აქ ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცოლ-ქმარს შორის იყო რაიმე უსიამოვნება ეროვნულ ნიდაგზეც. იაკობის სიტყვით, გამჭინვარებული ვარსკენი „აგინებდა ...თესლ-ტომსა მისსა“.

ვარსკენმა შუშანიკს ცემა არ აქმარა „და უბრძანა შეკრვამ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერკთა მისთა“. როდესაც მას ცოტადენ გადაუარა სიბრაზემ, „მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ ევედრებოდა მას, რაჟამცა საკრველთა მათგან ვანეტევა წმიდაჲ შუშანიკი“. მართლაც, ვარსკენმა ბრძანა მისი საკრველთაგან გახსნა, „ვანეტევაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა, და რაჟთა სხუად არავენ შევიდეს ხილვად მისა, — არცა მამაკაცი, არცა ღედაკაცი“. ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვარსკენი იმიტომ კრძალავს შუშანიკთან ვინმეს შეშვებას, რომ არავენ ნახოს ესოდენ ნაცემი შუშანიკი. ჩანს, ვარსკენს, რომელსაც სიბრაზემ გადაუარა, სცხვენია კიდევაც თავისი საქციელია.

ძალზედ საყურადღებოა შემდეგიც: ვარსკენმა ბრძანა შუშანიკისთვის დაეყენებინათ ერთი მსახური. ჩანს, ამ მსახურს არა მარტო თვალი უნდა ეღვენებინა, რომ შუშანიკთან არავენ შესულიყო, არამედ მოეარა კიდევაც მისთვის. მეორე ღღეს, როდესაც იაკობი მონიდომებს შუშანიკთან შესვლას, ეს მსახური უარს ამბობს მის შეშვებაზე, ვარსკენმა რომ გამოიგოს, მომკლავსო. ამაზე იაკობი გაახსენებს მას, რომ შუშანიკის გაზრდილია და რომ თუ საკირო იქნება, კიდევაც უნდა მოკვდეს შუშანიკისთვის. მართლაც ამის გაგონებაზე მსახური მხატვრებს იაკობს. მასადავამე, ვარსკენს შუშანიკისთვის ისეთი კაცი დაუყენებია მსახურად, თუ მცველად (იაკობი მას ორჯერ მსახურს უწოდებს და ერთხელ მცველს), რო-

მელიც შუშანიკის გაზრდილია და თვით სიცოცხლესაც კი შეიძლება განსწოროს მისთვის. ეტყობა, მას უფრო მსახურისა და მომვლელის ფუნქცია უნდა შესრულებინა, ვიდრე მცველისა. ვფიქრობთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვარსკენს არ სცოდნოდა, ვის უყენებდა მსახურად შუშანიკს. როგორც ჩანს, მას სურდა გარეგნულად ეჩვენებინა თავისი სიმეცრე, ამავე დროს უნდოდა მის გარეშე და ისე, რომ მისთვის არ შეეტყობინებინათ, შეემსუბუქებინა შუშანიკის მდგომარეობა.

რ. ბარამიძეს სწორედ აქვს შენიშნული, რომ როდესაც ვარსკენს ვარსიხებამ გადაუარა, იგი შეაწუხა შუშანიკის ბედმა და უთენია მიაშურა მის სენაკს, ხოლო მსახურისგან მისი ცუდი მდგომარეობა რომ გაიგო, კიდევ უფრო შეწუხდა და თვითონ შევიდა მის სანახავად. ნაგვემი შუშანიკის ნახვამ იგი გააკვირვა და თუმცა ბრძანებს, რომ არავენ შეუშვან მის სანახავად, ამ ბრძანებით ვარსკენს იმდენად შუშანიკის დასჯა კი არა სურს, რამდენადაც სცხვენია, რომ ეს საბრალო ქალი ასეთ მდგომარეობაში სხვამ ნახოსო.¹

იაკობის გაღმოცემით, ვარსკენმა ორჯერ ხაზგასმით ბრძანა, რომ შუშანიკთან არავენ შეეშვათ, „არცა მამაკაცი, არცა ღედაკაცი“. ერთხელ ეს ბრძანება შუშანიკის ცემის შემდეგ გასცა, მეორედ — დილას, როდესაც თვითონ ნახა ნაცემ-ნაგვემი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ბრძანებაც უფრო გასაგონად იყო ნათქვამი, ვიდრე ნამდვილად ასასრულებლად. მსახურის სიტყვებით უარს რომ ეუბნება იაკობს შეშვებაზე, ვარსკენმა რომ გამოიგოს მომკლავსო, აგრეთვე, გაზვიადებდა გამოიყურება. მართლაც, მოხდება ასეთი რამ: ვარსკენ-

1 რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 29. მართალია, შეიძლება მკვლევარის სიტყვებით თითქოს ვარსკენი იმდენად შეწუხებულყო უფილოყო, რომ მშფოთვარე და მღელვარე ღამე გათენებინოს, გაზვიადებდა მოგვეჩვენოს, მაგრამ საერთოდ დაკვირვება ვარსკენის შეწუხებაზე უთუოდ სწორია.

ნის შემდეგ შუშანიკის სანახავად მივა იაკობი, რომელსაც ფარულად გაატარებს შეშინებული მცველი (სწორედ ის, რომელსაც ასე ეწინა ვარსკენისა). ამ დროს „მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქვა: „იაკობ მანდა არსა?!“ ყრმა ეტყვის იაკობს, რომ ვარსკენი ეძახის. როგორც ვხედავთ, ვარსკენის გაგზავნილი ყრმა პირდაპირ შუშანიკის ოთახთან მივა. ჩანს, იაკობის შუშანიკთან ყოფნა სისახლეში ყველასთვისაა ცნობილი. უტკველია, ეს იცის ვარსკენმაც. საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკენის ორჯერ გაცემული ბრძანება დარღვეულია, ვარსკენი არაფერს უზამს ამ ბრძანების დამრღვევთ, არც მცველსა და არც იაკობს. ამ უკანასკნელს იგი ძალიან მშვიდობიანად ელაპარაკება.

იაკობს ვარსკენი ეტყვის: „უწყია, ხუცის? მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართე იგი ყოველივე, რაჲცა რამ არს“. ვარსკენის ეს მოთხოვნა ზოგჯერ ესმით, როგორც ადამიანური სისუსტის გამოვლენა, აგრეთვე ისიც, „რომ მას სურს გააღიზიანოს შუშანიკის ქალური, მეუღლეობრივი თამოყვარება“.¹ ეს უკანასკნელი დაკვირვება სავსებით სწორია, მაგრამ რაც შეეხება სამკაულების დაბრუნების ფაქტს, აქ გასათვალისწინებელია შემდეგი. შუშანიკს ვარსკენისგან მიღებული აქვს სამკაულები, რომლებიც მისი დედოფლობის პიტიანშის ცოლობის აღმნიშვნელიც არიან. შესაძლებელია, ეს საგვარუთლო სამკაულიცაა, რომელიც პიტიანშის ოჯახში მამიდან შვილზე გადაიციმა. შუშანიკი უარს ამბობს ვარსკენის ცოლობაზე. ვარსკენს სურს აჩვენოს, რომ აღარც მას უნდა მისი ქმრობა. სამკაულების მოთხოვნით მას უნდა უთხრას შუშანიკს, რომ დღეიდან ის მისი ცოლი აღარაა. ვარსკენის მიზანია დაანახ-

ვოს შუშანიკს, რომ ის ღრმად არის ნაწყენი და შეურაცხყოფილი შუშანიკის საქციელით. მისი სიტყვებიც მხროლდ ნაწყენი კაცის სიტყვებია. სინამდვილეში, როგორც ქვევით დავინახავთ, ვარსკენი სხვას აპირებს. იგი კიდევ ბევრს ეცდება შუშანიკი როგორმე შემოირიგოს.

ძალზედ საყურადღებოა ვარსკენის სიტყვები: „იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი“, ე. ი. სამკაულიო. ვარსკენს რომ მეორე ცოლი ჰყოლოდა, რატომ იტყოდა, მოიძებნება ისეთი, ვინც ამას ატარებსო. იგი იტყოდა, უკვე არსებობს ის, ვინც უფრო ღირსია ამ სამკაულების ტარებისათ. საინტერესოა, რომ როდესაც იაკობმა მოუტანა ვარსკენს სამკაული, მან ისევე გაიმეორა ერთხელაც თქმული: „და კუალად თქვა: მერმეცა“: იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს — შემდეგაც მოიძებნება ვინმე, ვინც ამას შეიმკობს. ვფიქრობთ, თქმული სავსებით ადასტურებს იმ აზრს, რომ ვარსკენს მეორე ცოლი არ შეურთავს.

„და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა, და იძია მცირე სენაკი და მუნ დაეყუდა“. როგორც ჩანს, შუშანიკი რომ გამოჯანმრთელდა, სისახლიდან ისევ წავიდა და ეკლესიისთან დასახლდა. აქედან ირკვევა, რომ მანამდე იგი პატიმრობაში არ ყოფილა და ჩვენი დასკვნაც, რომ მასზე მიჩენილი მსახური მართლაც მსახური იყო და არა მცველი, დასტურდება.

ცხადია, ეს ამბავი ვარსკენისთვის მაშინვე ცნობილი გახდებოდა. მას ისევე ურჩევნ, ამჯერად მისი საკუთარი, არაფერი უთხრას შუშანიკს მარხვის დროს. აქედან ჩანს, რომ ვარსკენი მაინც პატივს სცემს ჭრისტიანულ დღესასწაულებს. ამ დროს ვარსკენი ჰონებთან საბრძოლველად ყოფილა. მაშასადამე. საკუთარის რჩევა ისე უნდა გავიგოთ, რომ ვარსკენს არაფერი არ უნდა შემოეთვალა იქიდან შუშანიკისთ-

ვის, ან, შესაძლებელია, ვარსკენი რამოდენიმე ხნით ცურტავში იყო და მერე ისევ გაბრუნდა საომრად. ყოველ შემთხვევაში, ალესების ორშაბათს იგი ისევ ცურტავშია. ჩანს, იგი რალაცხედ ძალზედ გაღიზიანებულია. იგი პირდაპირ მივა ეკლესიაში და აფოცს გინებას დაუწყებებს, მომეცი ჩემი ცოლი, რატომ მაშორებო. რ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ვარსკენი სხვებს ადანაშაულებს თავისი ოჯახის ნგრევაში და ეპისკოპოსს განზრახ დებს ბრალს. „რასაკვირველია, ვარსკენმა ვანშორების ნამდვილი მიზეზი შესანიშნავად იცის, მაგრამ თავისთავად საინტერესო ისაა, რომ ვარსკენი ამ ნამდვილ მიზეზს შეგნებულად, დემილით გვერდს უვლის და სხვებზე გადაბრალებით ქმნის საზოგადოებრივ აზრს“. ვფიქრობთ, ვარსკენს სრულებითაც არ უნდოდა ისე გამოეყვანა, თითქოს აფოცი უნგრევდა მას ოჯახს. პირიქით, როგორც ზევით არაერთხელ ითქვა, ვარსკენისთვის უფრო ხელსაყრელი იყო და ის ამას მშვენივრად ხვდებოდა კიდევაც, რომ შუშანიკი სრულიად იზოლირებულად წარმოედგინა სხვებისთვის. ვარსკენის მიერ აფოცის გინება გვაფიქრებინებს, რომ მოხდა რალაც, რამაც იგი სრულიად გამოიყვანა წონასწორობიდან. მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ამ დროს ვარსკენმა „იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“. ეს ერთადერთი შემთხვევაა, არათუ ღმრთის გმობაზე, საერთოდ არასოდეს ულაპარაკია ვარსკენს სარწმუნოებაზე. იგი მუდამ არიდებს თავს ამაზე ლაპარაკს. იაკობს არც მანამდე, არც ამის შემდეგ არა აქვს საშუალება აჩვენოს მკითხველს, რომ ვარსკენს რაიმე ღმრთისმგმობი საქმე ჩაედინოს. ან თუნდაც სიტყვა ეთქვას.

მიინც რამ გააღიზიანა ვარსკენი ამრიგად? სასახლიდან შუშანიკის ისევ წასვლა? საფიქრებელია, რომ სანამ თვითონ მივიდოდა, ვარსკენმა ალბათ

მიუგზავნა შუშანიკს ვინმე. საფიქრებელია, ისიც, რომ შუშანიკი, რომელიც ვარსკენის საყვედურს ხმამაღლა ლაპარაკობდა, ჭერ კიდევ განხეთქილებაზე, მას შემდეგ, რაც ეს განხეთქილება მოხდა და ვარსკენმა იგი სასტიკად გალახა, კიდევ უფრო მეტს ილაპარაკებდა მასზე. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამ ეპიზოდის აღწერისას იაკობი ყველაფერს არ ყვებდა. იგი ყრუდ აღნიშნავს, რომ ვარსკენი აღლუგებული იყო, „ეშმაკი თბრიდა გულსა მისსა“-ო. მაგრამ რატომ „თბრიდა“, ამას კი აღარ ამბობს. არ ამბობს არც იმას, რა უპასუხა აფოცმა ვარსკენის ბრალდებას, თითქოს იგი აშორებდა ვარსკენსა და შუშანიკს. ჩანს, არც ეს პასუხი აწყობდა იაკობს.

ვარსკენი იმდენად აღლუგებულია, რომ ჭოხს დაარტყამს ვილაც ხუცესსაც, რომელმაც მას უთხრა: „უფალო, რამსა ეგრე იქმ და ეტყუ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყუ“, ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა, და მან ვერღარა იკადრა სიტყუად“. არც ასეთი მოქცევა ხუცესთან არის დამახასიათებელი ვარსკენისთვის, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს, როგორც ვნახეთ. სამღვდლოებასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს.

ვარსკენი ეკლესიაში, ეტყობა, იმისთვის მივიდა, რომ შუშანიკი სასახლეში დაებრუნებინა. როგორც ჩანს, იქ მას მაგარი შეჯახება მოუხდა შუშანიკთან, რის შემდეგაც მან თრევით წამოიყვანა შუშანიკი. ჩანს, ვარსკენი გზადაგზა კიდევ უფრო გაღიზიანდა. სასახლეში მან ბრძანა შუშანიკის შეკერა და თითქოს სამასი ჭოხიც დაარტყმევინა. იაკობის გადმოცემით ამჯერად შუშანიკი მართლაც რომ უწყალოდ იყო ნაწამები: „და ეგრეთ წმიდაი შუშანიკ თრევით მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი მიეთრია. და აღგილ-აღგილ ქუე ქუე დაეფინა. და თვით ფერკნი დაიდგნის ძეძუსა მას

1. რ. ბარამიძე, გვ. 25.

ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და კორცნი, წულილ-წულილად დაეძმარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად“. ეტყობა, ვარსკენმა მიიჩნია, ნაწილობრივ ეს ალბათ ასეც იყო, რომ შუშანიკს მფარველობის გაწევა დაუწყო ეკლესიამ. ამიტომაც ავინა მან აფოცს და ამიტომაც ეუბნებოდა მას, როდესაც სცემდნენ: „აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიამ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი— ქრისტიანენი და უფალი იგი მათი“-ო. როგორც ითქვა, მხოლოდ ამ ეპიზოდში მოხდა ისე, რომ ვარსკენმა ღმრთის გმობა გაბედა.

რაც შეეხება შუშანიკის წამებას, ზე-ვით უკვე ითქვა ერთხელ, რომ, საფიქრებელია, იაკობი აქ რამდენადმე აზვიდებს, რადგან მისი სიტყვით ამდენი წამების შემდეგ შუშანიკი ფეხშიშველი, კისერზე ჩაქვდადებული. საკუთარი ფეხით წაუყვანიათ ციხეში, რომელიც საკმაოდ მოშორებით ყოფილა. საეკვოა, რომ ამდენი ტანჯვის შემდეგ შუშანიკს ეს შესძლებოდა. უნდა გავიმეოროთ ისიც, რომ, ეტყობა, ვარსკენს თავდაპირველად შუშანიკის სასახლეში დაბრუნება სდომებია. მას რომ შუშანიკის ცემა და ციხეში ჩასმა ჰქონოდა განზრახული, უძვევლია, ეკლესიიდან პირდაპირ ციხეში წაიყვანდა, იქვე დასჯიდა, და მოწმეც ნაკლები ეყოლებოდა. ჩანს, თავისი განზრახვა ვარსკენმა ეკლესიაში მისვლისა და სასახლეში შუშანიკის მოყვანის შემდეგ შესცვალა თანდათან. ჭერ მოისურვა მისი დასჯა, მერე კი გადასწყვიტა ციხეში გადაეყვანა. სამწუხაროდ, იაკობი ამაზეც არაფერს ლაპარაკობს. როგორც ეტყობა, ვარსკენი უკიდურესად გააბოროტა რაღაცამ, რაც ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით.

შუშანიკის ცემით დასჯის შემდეგ ვარსკენმა „უბრძანა დადებად ჩაქვქელსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რამთა წარიყვანონ წმიდაა შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს“. როგორც ვხედავთ, ასე სასტიკად ვარსკენი

ჭერ არ მოქცეულა. ჭერ საშინლად ატანჯინა, მერე კი სიკვდილიც კი გაუდგა წყვიტა. მაგრამ ესეც არ აკმაბრუნა უდიდესი შეურაცხყოფაც მოაყენა: „მამინ წარმოიყვანეს, და მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უკამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთავანი“. უკან მას მისდევდა ცხენზე ამხედრებული ვარსკენი, რომელიც თვალყურს ადევნებდა, რომ არაფერი მიხმარებოდა. ხოლო როდესაც ხალხმა, შუშანიკს რომ მიაცილებდა, ხმამაღლა დაიწყო თავისი თანაგრძნობის გამოთქმა, ვარსკენი ცხენდაცხენ დაერია მათ და გაჰფანტა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს გაკეთდა და ითქვა ვარსკენის უკიდურესი განრისხების ვაშს, ჩანს, ზოგი რამ ისევე როგორც წინათ, ნათქვამი კი იყო, მაგრამ მის ასრულებას თვით ვარსკენიც არ აპირებდა. მაგალითად, ვარსკენმა სენაკაპანს უბრძანა, წაეყვანათ „შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს“. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ შუშანიკი არ ჩაუსვამთ ციხეში, ან საპყრობილეში დღევანდელი გაგებით. „ვითარცა შევიდეს ციხედ (მაშასადამე, აქ იგულისხმება არა სატუსალო, არამედ ციხე-სიმაგრე), პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოთ კერძო, მცირე და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდაა იგი“. როგორც ვხედავთ, ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე უპოვიათ პატარა სახლი და შუშანიკი შიგ შეუყვანიათ. სახლის განსაკუთრებულად უარყოფითი თვისება იყო ის, რომ იგი იღვა ჩრდილო მხარეს და ბნელიც ყოფილა. მაგრამ იგი მაინც სატუსალო არ ყოფილა.

თვალი მივადევნოთ, როგორ თანდათან შეეცვლის თავის გადაწყვეტილებას ვარსკენი შემდეგშიც. შუშანიკი ამ პატარა სახლაკში რომ შეიყვანეს, ვარსკენმა კისერზე დადებული ჩაქვი თავისი ბეჭდით დაბეჭდა, რომ აღარავის აეხსნა. შემდეგ მცველები მიუყენა და „ამცნო მათ, რამთა სიყმილითა მოკლან იგი“. თანაც სასტიკად აკრძალა

შუშანიკთან მამაკაცისა, თუ დედაკაცის შეშვება. მან გააფრთხილა მცველები, რომ ამ აკრძალვის დარღვევისათვის არა მარტო მათ დასჯიდა, არამედ მათს ოჯახებსაც და საგვარეულოებსაც კი.

პირველად, ეტყობა, არ შესრულდა ბრძანება შუშანიკის შიშლით მოკვლის შესახებ. მესამე კვირა დღეს თვით ვარსკენმა მოისურვა მისი ამბის გაგება. მან თავისთან დაუძახა ერთ-ერთ მცველს და ჰკითხა: „აქამომდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?“ (მიუხედავად იმისა, რომ შუშანიკის ტონს ვარსკენი შუშანიკზე „საწყალი“-ო ამბობს). მცველმა ვარსკენს უპასუხა, შუშანიკი უფრო მკვდარია, ვიდრე ცოცხალი „რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“ — აქედან ჩანს, რომ შუშანიკი თვითონ არ კამდა არაფერს, ე. ი. საკმელს მას მიიღებს აძლევენ. მცველის პასუხზე ვარსკენი თითქოსდა ამბობს: „ნურარაა გგლიან, უტე-მოკუდესო“, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ის კითხულობს „საწყალობელი“ შუშანიკის ამბავს, გვიჩვენებს, რომ ვარსკენის ეს უღარდებლობა მოჩვენებითია.

შემდეგ დაირღვა ვარსკენის ბრძანება შუშანიკთან მნახველების არ შეშვებაზე. ჭერ იაკობმა შეაღწია მასთან. იაკობმა „უჭადა კურკური“ მცველს და მანაც გაატარა იგი. შემდეგ ხომ შუშანიკთან ყველა დადიოდა, ვისაც კი მოესურვებოდა, მისივე შეილებით დაწყებული და მასთან სამკურნალოდ მოსიარულე ხეობრებით დამთავრებული.

დაბოლოს, ჭოჭიკის მუამდგომლობით ვარსკენმა ნება დაართო შუშანიკისთვის აესხნათ ჭაქვიცი.

საბოლოოდ აღარც ჩანს, შუშანიკი ამ ციხეში იძულებით იყო, თუ ნებაყოფლობით. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მან თავისი ნებით არ მოიხსნა ბორკილი, ეძლეოდა ყოველგვარ თვითგვემას, შიშშილობდა, არ იძინებდა, თავს დებდა აგურზე. მასთან მისვლა-მოსვლა სრულიად თავისუფალი იყო. შუშანიკი კითხულობდა, გალობდა, ასრულებდა ყოველგვარ ქრისტიანულ წესს და

თვით ქრისტიანობის აგიტაციასაც კი ეწეოდა. ამასთან ერთად ვარსკენმა შეშვებოდა დაბრუნებულნიც სასახლეში!

თავდაპირველად ვარსკენს მოციქულები მიუგზავნია შუშანიკისთვის დამუქრებია კიდევაც: „ანუ ნებაა ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხუდე შინა, ჩორდ წარგუე შენ ანუ კარად კარაულითა“-ო. შუშანიკს, როგორც ვიცით, ამ მუქარისა არ შეშინებია.

რამოდენიმე ხნის შემდეგ „პიტიახ-შმან გამოარჩია ძუძუმს-მტმ მისი საკუთარი“ და ახლა ის მიუგზავნა შუშანიკს. ეს კაცი უფრო ლმობიერად ელაპარაკა შუშანიკს, თითქმის თხოვნის ტონი ჰქონდა: „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოკრებ სახლსა მას თქუნესა“-ო. როგორც ვხედავთ ვარსკენი ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ შუშანიკი სასახლეში დააბრუნოს. ხან მუქარას მიმართავს და ხანაც თხოვნას, ძუძუმს-მტმს სიტყვებში ერთი მომენტიცაა საყურადღებო. ვარსკენის და შუშანიკის ოჯახზე იგი ამბობს, „ნუ აოკრებ სახლსა მას თქუნესა“-ო. მაშასადამე, ვარსკენის სახლი ჭერ კიდევ შუშანიკის სახლიცაა, საერთოა მათთვის. ამასთან შუშანიკის არ დაბრუნებით ეს სახლი ოხრდება. ვარსკენს რომ მეორე ცოლი ჰყოლოდა, ისიც მეფის ასული, საეკევა ძუძუმს-მტმს ასე ელაპარაკა.

შემდეგაც ცდილობდა თუ არა ვარსკენი შუშანიკთან შეთანხმებას, არ ვიცით, მაგრამ ეს გამორიცხული არაა. ყოველ შემთხვევაში, იაკობი ამაზე აღარაფერს ამბობს. უნდა ითქვას, შუშანიკის ცხოვრების შემდეგი პერიოდი იაკობს ძალზედ მოკლედ, აშკარად არასაკმარისად აქვს აღწერილი. ვარსკენი მეტად თუ აღარ ცდილა შუშანიკის დაბრუნებას, სამაგიეროდ, მეტად აღარც უტანჯავს. ეტყობა, საერთოდ თითქმის აღარ ჩარეულა მის საქმეში, თუნდაც ეს ვარსკენის საწინააღმდეგოდ ყოფილიყო მიმარ-

თული. როგორც ვთქვით, შუშანიკთან უფლია ყველას, რაც ცხადია, ვარსკენის საწინააღმდეგო დემონსტრაცია იქნებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ როდესაც შუშანიკის სიკვდილის წინ იგი მოინახულეს აშკარად ვარსკენის მოწინააღმდეგეებმა, ვარსკენს ამ შემთხვევაშიაც არაფერი არ გაუკეთებია. ვარსკენის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადაიქცა თვით შუშანიკისვე ჩანაფიქრით მისი დასაფლავებაც, დაწყებული დასაფლავების აღგებითა და დასაფლავების წესის ასრულებით დამთავრებული. ვარსკენს არც აქ ჩაუტარებია რაიმე საწინააღმდეგო აქცია. ასეთი რამ რომ ყოფილიყო, ეჭვი არაა, იაკობი აუცილებლად აღნიშნავდა.

როგორც ვხედავთ, „წამების“ მიხედვით ვარსკენი გვესახება, როგორც ნამდვილი პოლიტიკოსი. პოლიტიკა მისთვის მთავარია. ყველაფერი ექვემდებარება ამ პოლიტიკას. თვით რელიგიაც მეორე პლანზე გადაწეული. ვარსკენი თავის სარწმუნოებას უქვემდებარებს საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს და არა პირიქით. როდესაც იგი ქრისტიანი იყო, ისე იქცეოდა, რომ ქრისტიანთა გულისწყრომა შეეძლო დამსახურებინა. ხოლო როდესაც მაზდეანი გახდა, ქრისტიანთა გულის მოგებას ცდილობდა. ვარსკენის ასეთი დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, უეჭველია, მისი აზროვნების გარკვეულ თავისუფლებაზე მეტყველებს.

როგორც პოლიტიკოსი ვარსკენი ძალზედ ფრთხილია და გონიერი. თუმცა მან ქრისტიანობა უარყო, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს თავის ქრისტიან ქვეშევრდომებთან, პირველ რიგში კი სამღვდელთაგანთან. ამგვარადვე ის ცდილობს შეარბილოს მომავალი კონფლიქტი შუშანიკთან. მოთმინებით და მოხერხებულად არიდებს თავს მასთან პირდაპირ შეჯახებას. როდესაც ურთიერთობა მათ შორის მაინც ფუჭდება, ვარსკენი ცდილობს რაც შეიძლება მე-

ტად მიაფუჩეჩოს სკანდალი, ყველაფერი ეს მხოლოდ ოჯახურ უსიამოვნებაში დამთავრდეს, როგორც ითქვა, ვარსკენი არც ერთხელ არ თხოულობს შუშანიკისგან რჯულის გამოცვლას, მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ სახლში დაბრუნებას.¹ მეტიც შეიძლება ითქვას: ვარსკენი იმდენად ფრთხილია და ეშვავი, რომ შესაძლებელია, ამის იგი გულწრფელადაც კი აკეთებდეს. მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ იგი ცდილობდა ქრისტიანთა გულის მოგებასაც. ამდენად მისთვის არც შუშანიკის ქრისტიანად დარჩენა იქნებოდა მთლად უსარგებლო. ყოველ შემთხვევაში, ის, უეჭველია, ხვდებოდა, რომ სკანდალს ეს მაინც სჯობდა: ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოდ გამოიყურება ერთი საკითხი.

ვარსკენმა მაზდეანობა მიაღებინა თავის შვილებსაც, მაგრამ იაკობი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ მას რაიმე ამგვარივე მოთხოვნა, წარეყენებინოს ჯოჯიკის მიმართ. ჯოჯიკი მთელი თავისი ოჯახით ქრისტიანი რჩება, მაზდეანობას იღებს მხოლოდ ვარსკენი და მისი შვილები, ე. ი. უფროსი ძმის შტო. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ არის. შესაძლებელია, თვით ვარსკენსაც არ უნდა, რომ მაზდეანობა ჯოჯიკსაც მიიღოს. მისთვის ალბათ უფრო ხელსაყრელია აჩვენოს ირანელებს, რომ მხოლოდ თვითონ არის მათი თანამგრძნობი. ამავე დროს, შესაძლებელია, ჯოჯიკისთვისაც ხელსაყრელია ქრისტიანად დარჩენა. იგი უმცროსი ძმაა, ძალაუფლება უფროს ძმას აქვს. ბუნებრივი იქნებოდა, რომ ჯოჯიკს გულის სიღრმეში ჰქონოდა სურვილი საბოლოოდ თვითონ ჩაეგდო ხელთ პიტიახშობა. ამისთვის მას, შესაძლებელია, ხელს აძლევდა დაპირისპირებოდა ვარსკენს. თუ არ ასეთი მოსაზრებით, სხვაფრივ ძნელდება იმისი ახსნა, თუ რატომ მო-

1 აშკარად ცდებიან ის მეკლევარები, რომლებიც აღნიშნავენ ხოლმე, თითქოს ვარსკენი შუშანიკისგან მოითხოვდა ქრისტიანობის უაღრესესს.

ბდა, რომ ვარსკენმა არც ერთხელ არ მოინდომა ჯოჯიკისა და მისი ოჯახის გამაზღვანება. თუ ეს მოსაზრება სწორია, ვარსკენის წინდახედულება უფრო ცხადი ხდება.

ვარსკენი, ჩანს, კარგი დიპლომატია. ჩვენ ზევით ვნახეთ, როგორი გასაოცარი სისწრაფით შესძლო მან მისი მოსაყვედურე ზუციების განწყობილების შეცვლა, ისე რომ შემდეგ ისინი შუამავლებადც კი წაიღინენ შუშანიკთან. ასევე დავრწმუნდით, როგორ მოფიქრებული აქვს მას ყოველი ნაბიჯი. შეიძლება პარადოქსად ქდერდეს, მაგრამ ვარსკენი ძალიან მომთმენია. გავიხსენოთ, რა დიდხანს ითმენდა იგი შუშანიკის წინააღმდეგობას, ჯერ ირანში წასვლამდე, მერე კი დაბრუნების შემდეგაც. მაგრამ ამასთან ერთად ვარსკენი ძალიან ფიცხია. თუ გული მოუვიდა, წონასწორობას ჰკარგავს, თავს ველარ იჭერს. ამ დროს შეიძლება ადამიანიც კი შემოაკედეს. სამაგიეროდ, როდესაც გაბრაზება გადაუვლის, თითქოს სცხვენია და ნანობს კიდევაც იმას, რაც სიბრაზეში ჩაიდინა. ამისი არა ერთი მაგალითი ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ.¹

ტრადიციულად ვარსკენი ითვლება საშინელ დესპოტად, რომელმაც უწყალოდ ტანჯა თავისი ცოლი და საბოლოოდ სიკვდილამდეც კი მიიყვანა. თვით ისეთი მკვლევარიც კი, როგორიც რ. ბარამიძეა, რომელიც სხვათაგან განსხვავებით კარგად ამჩნევს და აღნიშნავს ვარსკენის ადამიანურ თვისებებს, ასე ახასიათებს მას ზოგადად: «ვარსკენი ძირითადადში წარმოდგენილია, როგორც საშინლად მკაცრი, დესპოტი ფეოდალი. მისი ტირანული ბუნებისათვის უცხოა ყოველგვარი სიბოძო, სინაზე და, უბრალოდ, ადამიანური სიკეთე. ის თითქოს სიმკაცრის სრული განსახიერებაა».² „წამების“ ტექსტის

დაკვირვებით შესწავლა ასეთ შეხედულებას ვარსკენზე არაა დასაბუთებულს. თუნდაც, ნურაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ვარსკენზე ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა ცნობა მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ეკუთვნის და ამიტომ ტენდენციურია. თვით „წამების“ ტექსტიც გვარწმუნებს, რომ ყველაფერი ისე როდია, როგორც ეს ერთი შეხედვით გამოიყურება. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ შუშანიკის „ციხეში“ ჯდომა და ექვსი წლის განმავლობაში ვარსკენისგან იქ მისი ტანჯვა ფიქციაა, თავიდან ბოლომდის მოგონილი ამბავია. შუშანიკი არც ციხეშია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და არც ვარსკენისგან იტანჯება. ყველაფერი, რაც მას იქ მოსდის, თვით მისივე სურვილით ხდება. ვნახეთ ისიც, რომ შუშანიკის პირველი ცემა პუროს ჰამის დროს თვით შუშანიკის საქციელით იყო გამოწვეული და თვით ამ საქციელის ხასიათით გაბირობებული. ნამდვილ სისასტიკეს იჩენს ვარსკენი შუშანიკის ეკლესიიდან წამოთრევისა და სისახლეში ჯოხებით ცემის დროს. სხვა შემთხვევებში იგი ყოველთვის მოთმინებით იქცევა და ცდილობს უმთავრესად სიტყვით დააშოშმინოს შუშანიკი. როდესაც ვარსკენი დარწმუნდება, რომ მისი და შუშანიკის შერიგება შეუძლებელია, საერთოდ დაანებებს თავს და არ უშლის იცხოვროს, როგორც მას სურს, თვით ვარსკენის წინააღმდეგაც რომ მოქმედებდეს. ვარსკენს იმდენი კეთილშობილებაც აღმოაჩნდება, რომ ხელს არ შეუშლის დაასაფლავდეს შუშანიკი, მისი იდეური მოწინააღმდეგე. იქ, სადაც თვით შუშანიკი მოისურვებს (ჩვენ კი ვნახეთ, რომ ეს სურვილი სწორედ ვარსკენის დამპყრობას ისახავდა მიზნად) და ისეთი დიდებით, როგორცაა ამას ისურვებენ შუშანიკის მომხრე და, მაშასადამე, ვარსკენის მოწინააღმდეგე წრეები.

საინტერესოა ვარსკენის დამოკიდებულება თავის ქვეშევრდომებთანაც. საერთოდ ვარსკენისა ეწინააღმდეგება, განსა-

1 ასეთი მაგალითები და ვარსკენის ხასიათის ეს მხარე კარგად აქვს შენიშნული რ. ბარამიძეს. გვ. 28-29.

2 რ. ბარამიძე, გვ. 26.

კუთრებით მაშინ, როდესაც იგი გან-
რისხებულია. გავიხსენოთ დიკვანი,
რომელსაც სურდა შუშანიკის გამხმევე-
ბა, როდესაც ჯობით ნაცემი შუშანიკი
გამოჰყავდათ სასახლიდან. დიკვანს
სდომებია მისი გამხმევეობა და თქმა
„მტკიცედ დეგო“, მაგრამ როდესაც შე-
ნიშნა, რომ გამძვინვარებულია ვარსკე-
ნმა იგი დაინახა, „სხუამ ვერლარამ
სცალდა სიტყუად, ესთენ ოლე სრკოა:
„მტკი...“ და დადუმნა ხოლო და
ლტოლად იწყო სწრაფით“. მეორე
მხრივ იგივე ხუცესები საკმაოდ თამა-
მად ელაპარაკებიან ვარსკენს. პირვე-
ლივე შეხვედრაზე ვარსკენთან ისინი
მოურიდებლად მიახლიან პირში: „წარ-
სწყშიდე თავი შენი და ჩუენცა წარ-
გუწყშიდე“-ო. როდესაც ვარსკენი მი-
იჭრება ეკლესიაში და დაიწყებს აფო-
ცის გინებასა და ღმრთის გმობას, „ხუ-
ცესმან ერთმან პრქუა მას: „უფალო,
რამსა ეგრე იქმ და იტყვ ეგრეთ ბო-
როტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმი-
დასა შუშანიკს რისხვთ ეტყვ?“. მარ-
თალია, ამ ხუცესს ვარსკენი კვერთხს
უთავაზებს ზურგში, მაგრამ ჩვენთვის
საყურადღებოა, რომ ხუცესმა მაინც
გაბედა მასთან შელაპარაკება.

ხოლო როდესაც ვარსკენი დამშვი-
დებულია, მასთან თავისუფლად ლაპა-
რაკობენ მისნი ხელქვეითნი, ხშირად
რჩევასაც კი აძლევენ მას, თანაც ძალ-
ზედ ინტიმურ საკითხებზე. მაგ., ვილაც
სპარსი, რომელიც ჩანს ვარსკენის ახ-
ლობელია მის მსახურთაგან, როდესაც
შეატყობინებს მას შუშანიკის სასახლი-
დან წასვლის ამბავს, რჩევასაც აძლევს
ვარსკენს: „ნურას ფიცხელსა სიტყუ-
ასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნე-
ბამ იწრო არს“-ო. პურის ჭამის დროს
მომხდარი ამბის შემდეგ იგივე სპარ-
სელი „შეურვალედ ევედრებოდა მას,
რამთამცა საკრველთა მათგან განეტევა
წმიდაა შუშანიკ. და ვითარ ფრიად
ევედრებოდა, ბრძანა განტევებამ მი-
სი...“ როდესაც შუშანიკი მეორედ წა-
ვა სასახლიდან და ეკლესიის მახლობ-
ლად დასახლდებოდა, „პრქუა ვინმე პი-

ტიახშა და საკუთარმან მისმან, ვითარ-
მედ: „ამათ წმიდათა მარხეთა“ ნურას-
ეტყვ მას“. „ჩორდ“ მიმავალ ვარსკენს
ჰერეთის საზღვარზე დაეწია ჯოჯიკი
„და ევედრებოდა მას ფრიად, რამთა-
მცა ბრძანა საკრველთა მათგან განტე-
ვებამ მისი. და ვითარ ფრიად აწყინა,
ბრძანა განტევებამ საკრველთაგან
ოლენ“.

როგორც ვხედავთ, ვარსკენს ურჩე-
ვენ, ან სთხოვენ შუშანიკთან დაკავში-
რებით დაწყებული ჯოჯიკით და დამ-
თავრებული ვარსკენისვე საკუთარით.
საინტერესოა, აღინიშნოს, რომ არც
ერთი შემთხვევა არაა მოყვანილი ისე-
თი, რომ ვარსკენს არ აესრულებინოს
სათხოვარი თუ რჩევა.

გავიხსენოთ ისიც, რომ ვარსკენის
სასტიკი ბრძანებაც კი ხანდახან ირღ-
ვევა. მაგალითად, მცველმა დაარღვია
ვარსკენის მიერ ორჯერ გაცემული
ბრძანება, შუშანიკთან არ შეეშვათ არც
მამაკაცი და არც ქალი, და მის სანახა-
ვად შეუშვა იაკობი. საინტერესოა, რო-
გორ აძლევს ბრძანებას ვარსკენი ცი-
ხეში მოთავსებულ შუშანიკის მცვე-
ლებს: „მამინ დაადგინნა მცველნი მის
ზედა და ამცნო მათ, რამთა სიყმილი-
თა მოკლან იგი. და ესრეთ ეტყოდა
მათ: „გეტყვ თქუენ, უკუეთუ ვინმე
შევიდეს მისა, მამაკაცი გინა დედაკა-
ცი, იხილენით თავნი თქუენნი, და ცო-
ლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი,
უბრალომცა ვარ, რამ გიყო თქუენ“.
ვარსკენი ჯერ იმუქრება, რომ მცვე-
ლებს დედაბუდიანად დასჯის, მერე კი
სრულიად მოულოდნელად ამბობს, მე
გაგაფრთხილეთ და თუ მაინც რამეს
იზამთ, ბრალი ნულარ დამედებო. უც-
ნაურად დემოკრატიული ფორმაა ბრძა-
ნებისა, საესებით მოულოდნელი ისე-
თი დიდი და ამაყი ფეოდალისაგან, რო-
გორიცაა ვარსკენი (სხვათაშორის, ასე
საგულდაგულოდ გაფრთხილებულმა
მცველებმა გაატარეს იაკობი).

ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან უნდა
გამოჩენილიყო, რომ შეხედულება
ვარსკენის არაადამიანურ სისასტიკესა

და შეუბრალებლობაზე მნიშვნელოვან-
წილადაა გაზვიადებული. მით უმეტეს,
თუ მსედველობაში მივიღებთ, რომ,

როგორც აღინიშნა, ყველა ეს ცნობა
ვარსკენის საწინააღმდეგოდ განწყობი-
ლი პირისაგან გვაქვს მიღებული.

ჯოჯიბი

საინტერესოა ჩვენთვის ჯოჯიბი. ჯოჯიბი ვარსკენის უმცროსი ძმა უნდა იყოს. ამაზე ლაპარაკობს ის, რომ პიტიახშია ვარსკენი. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ შუშანიკის სიტყვით ისინი ერთად არიან გაზრდილნი. სად, ან როგორ შეიძლება ისინი ერთად გაზრდილიყვნენ? ჩვენ ვიცით, რომ არშუშას კარზე იზრდებოდნენ შუშანიკის ბიძის, ჰშიაკის შვილები. ვარდანის შვილებიც რომ არშუშასთან ყოფილიყვნენ, საფიქრებელია, რომ ლაზარ ფარაბეცი (სწორედ ის გვაწვდის ცნობას ჰშიაკის შვილებზე) ალბათ, ამასაც გადმოგვცემდა. შეიძლება დავეუშვათ, რომ შუშანიკი აღრე გათხოვდა ვარსკენზე, ამ დროს კი ჯოჯიბი მასზე უმცროსი იყო, ე. ი. შუშანიკის თვალწინ გაიზარდა. ამდენად შეეძლო შუშანიკს ეთქვა „უწყვი, ვითარმედ დაი ვარ, ერთგან გაზრდილნი“-ო.

ჯოჯიბი თავიდანვე კარგად არის განწყობილი შუშანიკის მიმართ, ცდილობს შეარჩოს იგი ვარსკენს. ის აფოცთან და თავის ცოლთან ერთად დაიყოლიებს შუშანიკს სასახლეში დაბრუნდეს. პურის ჭამის დროს მიუხედავად იმისა, რომ შუშანიკი ძალიან ცუდად მოექცევა მის ცოლს, ჯოჯიბი ცდილობს გადაარჩინოს შუშანიკი ვარსკენის რისხვისაგან, რისთვისაც თვითონაც გაილაზება. შემდგომშიც იგი, ჩანს, არაერთხელ ეხმარებოდა შუშანიკს. ჩვენ ვიცით ისიც, რომ ჩორდს მიმავალ ვარსკენს იგი გაეკიდება, პერეთის საზღვარზე დაეწევა და სთხოვს გაათავისუფლოს შუშანიკი ბორკილებისაგან. საფიქრებელია, რომ ჯოჯიბი ციხეშიც მიაკითხავდა შუშანიკს. მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ჯოჯიბისა და შუშანიკის ურთიერთობა რამდენადმე ცივდება. შართალია, იაკო-

ბი ჯოჯიბს აღარ ახსენებს შუშანიკთან მოსიარულეთა შორის, მაგრამ ამჟამად ამას არ ვგულისხმობთ, რადგან ციხეში ყოფნის პერიოდი იაკობს საერთოდ ძალიან გაცვრით აქვს აღწერილი და ამიტომ შეიძლება ეს ამბებიც შიგ არ მომხდარიყო. ვგულისხმობთ შემდეგს: შუშანიკის სიკვდილის წინ მასთან მივა ჯოჯიბი. შუშანიკი მას და მის ცოლს თითქოს საყვედურს ეტყვის: „ჰყავთ წარმდებად საქმეც ესე ჩემი, რამეთუ არავერ იბოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობა და ტყივილი ჩემთვის, რომელმანმცა შეაჯერა უღრმთოსა მას საწუთროსა მეუღლესა“. ამაზე ისინი პასუხობენ: „ჩუენ თვნიერ შენსა ფრიად დავშუერთით, გარნა არა იყო სენენამ, არცა სიტყუამ“. უნდა ვიფიქროთ, რომ ჯოჯიბისა და მის ცოლს დიდიხანია არ უნახავთ შუშანიკი, თორემ მას ეცოდინებოდა, რომ ისინი ვარსკენთან შემდგომლობდნენ მის შესახებ.

მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ჯოჯიბს უკანასკნელ მისვლამდე კარგახნის განმავლობაში არ ენახა შუშანიკი. საინტერესოა თვით ეს მისვლაც. „და ვითარცა ესმა ჯოჯიბს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაი შუშანიკ სიკუდილდ, წავიდა და თანა წარიყვანა ცოლი და შვილნი და მონა-მკველნი მისნი“. ქვემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ჯოჯიბს არა მარტო მონა-მხველნი, საერთოდ მთელი თავისი კარი წაუყვანია. ზევით არაერთხელ ითქვა, რომ შუშანიკთან უამრავი ხალხი დადიოდა. მაგრამ ჯოჯიბს, ჩანს, რაღაც დაბრკოლება შეხვდა. იაკობი გადმოგვცემს: „და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტულისა. და ვითარცა მიიწია, მძღავრ შე-ხოლოვიდა და თაყუანის სცა პატროსანსა ჯუ-

არსა და მოიკითხა წმიდად შუშანიკ. თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა საღმობათო მათთვის“. ჭოჯიკის ქცევა დემონსტრაციასავით გამოიყურება. ყველასთვის ცნობილია, რომ შუშანიკი წაეჩხუბა ვარსკენს ქრისტიანობის უარყოფის გამო. ამიტომაც არის ახლა თვითონ ციხეში და აი, მოდის ჭოჯიკი მთელი ოჯახითა და ხელქვეითებით, ძალით(!) შედის შუშანიკთან და დემონსტრაციულად თაყვანს სცემს ჭვარს. როგორც ჩანს, ჭოჯიკს სურს, რომ მისი მისვლის ამბავი ყველასთვის ცნობილი გახდეს. შემდეგ იგი თხოვს შუშანიკს მოუტეოს შეკლდებანი და ეუბნება: „მაგის სახისათვის მოვედ მე შენდა, რამათა, რომელი-იგი არა რაამე სათნო იყოს ღმრთისა, არა ვქმნე“. იმისთვის მოვედი, რომ, რაც ღმერთს არ ესიაშოვნება, არ ვგავაქეთოო, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, რათა მტკიცედ და წმინდად დავიცვა ქრისტიანობაო.

ჭოჯიკი ისევ თხოვს შუშანიკს: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკვევალი შენი, და შეილნი ჩემნი და მონა-მკვევალნი ჩემნი...“ იქვე ეტყვის შუშანიკს იმასაც, რომ შენზე „ფრიად დავშუერით“, მაგრამ ვარსკენმა არ გვისმინაო, რის შემდეგაც შუშანიკი საჯაროდ იმუქრება, რომ ვარსკენზე ღმრთის წინაშე ილაპარაკებს, რათა იგი ღმერთმა შესაფერისად დასაჯოს მისი წამებისათვის. შუშანიკის ლაპარაკის დროს ჭოჯიკი და მისიანები ტირიან და კურთხევის თხოვენ: „მოგვტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტულო სანატრულო ქრისტეს ღმრთისაო“. ხოლო წმიდამან შუშანიკ პრეტუა: „ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ-რაამ-იგი ჰყავთ“. მაშინდა აკურთხნა ჭოჯიკ და ცოლი და შეილნი მისნი და მონა-მკვევალნი მისნი და ყოველი ეზოა და პალატი მისი“. რაშია საქმე?

ზევით ჩვენ უკვე განვიხილეთ ის საოცარი გარემოება, რომ გამაზღვანებული ვარსკენი სრულიადაც არ ცდილა ჭოჯიკიც გაემაზღვანებინა და მხოლოდ თავისი შვილები გადაიყვანა თა-

ვის ახალ სარწმუნოებაზე. ახსნილი იყო, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ეს სასარგებლო ვარსკენისთვის და გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ, შესაძლებელია, ეს ჭოჯიკსაც ხელს აძლევდა. ჩვენ ვნახეთ ისიც, რომ თავდაპირველად ჭოჯიკი და ვარსკენი კარგად იყვნენ ერთმანეთთან. ჭოჯიკი თითქოს ცდილობდა შუშანიკის შერიგებასაც. შემდეგ ჭოჯიკი აღარ დადის შუშანიკის სანახავად, ჩანს, ერიდება ვარსკენის გაღიზიანებას, ამავე დროს ექომაგება შუშანიკს, ცდილობს მისი მდგომარეობის შემსუბუქებას. ბოლოს კი იგი მთელი თავისი ოჯახითა და ქვეშევრდომებით მიდის შუშანიკისგან კურთხევის მისაღებად. მართლაც, შუშანიკი აკურთხებს ჭოჯიკს თავისი ოჯახით, მონა-მხვევლებით, ეზოთი და პალატით. ვფიქრობთ, რომ, აშკარაა, ჭოჯიკს ამითი სურს შეგნებულად დაუპირისპირდეს ვარსკენს. პიტიახშების გამაზღვანებულ შტოს იგი შეგნებულად უპირისპირებს თავის შტოს, ქრისტიანსა და თვით წმინდა შუშანიკისგან კურთხეულს. აქ ჭოჯიკის არა თუ ყოველი მოქმედება, ყოველი სიტყვაც კი პრეტესტად გაისმის. ჭერ მხოლოდ იმის აღნიშნავს კი კმარა, როგორ მიმართავს იგი შუშანიკს: „სძალო და მკვევლო ქრისტესო“; „წმიდაო მოწამეო და მარტულო სანატრულო ქრისტეს ღმრთისაო“. ასე მიმართავს იგი ქალს, რომელმაც უარყო ვარსკენი. ძალაუნებურად იბადება ეჭვი, ვარსკენთან რომ შუშანიკს ექომაგება, ესეც იმისთვის ხომ არ ხდება, რომ ხალხმა დაინახოს ქრისტიანობისთვის მისი თავდადება და უკეთ შეიგნოს ის განსხვავება, რომელიც მასსა (ჭოჯიკსა) და ვარსკენს შორის არის?

ჩვენის აზრით, ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ პიტიახშების ოჯახში იწყება ჭერ კიდევ ფარული, მაგრამ უკვე დაპირისპირება და ბრძოლა პირველობისათვის. ეს ბუნებრივია. თავისთავადაც ძნელი წამოსადგენი იქნებოდა, რომ ასე არ მომხდარიყო

და, რაც მთავარია, ამ ქიშპობას, ალბათ, სხვა ძალებიც აქეზებდნენ და ამწვევებდნენ. ზევით ითქვა, რომ ვარსკენი ებრძვის ცენტრალურ ხელისუფლებას. ცხადია, ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულხელდაკრეფილი არა ზის. ალბათ, ცენტრალური ხელისუფლებაც ცდილობს ვარსკენის წინააღმდეგ ყოველი ღონე იხმაროს, როგორც პირდაპირი, უხეში ძალა, ისე ფარულიც, ინტრიგაც; ჩვენ ვიცით, რომ ამ

ამბებიდან შეიღი-რვა წლის შემდეგ ვახტანგ გორგასალი ვარსკენს მოაკვლევინებს. საფიქრებელია, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს თავის ბრძოლაში ვიღაცას დაეყრდნოს მის წინააღმდეგ, ვიღაცა დაუპირისპიროს. არაფერი იქნებოდა გასაკვირი, თუ ამ როლის შემსრულებლად იგი სწორედ ჭოჭიკს იყენებდა.

რომ ამ საქმეში ჭოჭიკი ერთადერთი არ იყო, შევეცდებით ეს ცოტა ქვემოთაც ვაჩვენოთ.

აფოცი და სამოელი

უაღრესად საყურადღებოდ გვეჩვენება სამღვდელოების დამოკიდებულება ვარსკენსა და შუშანიკთან. დავიწყოთ აფოცი.

